

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო
უნივერსიტეტი

თეუსუ

INTERNATIONAL REFEREED AND REVIEWED SCIENTIFIC JOURNAL OF
THE TBILISI STATE UNIVERSITY OF ECONOMIC RELATIONS

TEUSU

ЕЖЕКВАРТАЛЬНЫЙ МЕЖДУНАРОДНЫЙ РЕФЕРИРУЕМЫЙ И
РЕЦЕНЗИРУЕМЫЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ ТБИЛИССКОГО
ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА ЭКОНОМИЧЕСКИХ
ОТНОШЕНИЙ

ТЭУСУ

2 (10)

*ჟურნალი გამოდის ყოველკვარტალურად
ჟურნალი „თეუსუ“ 2010 წლამდე გამოდიოდა
„კომერსანტი“-ს სახელწოდებით*

Quartely Published

Выходит ежеквартально

თბილისი Tbilisi Тбилиси

2010

სარედაქციო კოლეგია

ავთანდილ ჩუთლაშვილი - მთავარი რედაქტორი, პროფესორი. მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: ანზორ თოთაძე (რედაქტორი), გია ლაღანიძე, ბესიკ ალადაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დავით იაკობიძე, ნოდარ ბაგრატიონი, გურამ ყუფუნია, ვალერი ვაშაკიძე, ვენედი ბენიძე, ოთარ გამყრელიძე, გია მეფარიშვილი, იაკობ ფუტყარაძე, რომან შენგელია, გია ლილუაშვილი

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

ჩერეკ ბუსტრა (ნიდერლანდები), დიმიტრი შესტაკოვი (რუსეთი), ჰელმუტ კური (გერმანია), ვიქტორ ივანენკო (უკრაინა), როლფ კნიპერი (გერმანია).

კომპიუტერული უზრუნველყოფა
დაკაბადონება ნატო არაბიძე

© თეუსუ, 2010

დაბეჭდილია თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში
ქეთევან წამებულის ქ. №55, ტ. 45-48-51
www.teusu.edu.ge

EDITORIAL COUNCIL

Avtandil Chutlashvili-Head of Board

Anzor Totadze, Gia Gaganidze, Besik Aladashvili (Executive Secretary), David Iakobidze, Nodar Bagrationi, Guram Kupunia, Valeri Vashakidze, Venedi Benidze, Otari Gamkrelidze, Gia Meparishvili, Iakob Putkaradze, Roman Shengelia, Gia Liluashvili

INTERNATIONAL BOARD

Tjerek Busstra (Netherlands), Dmitri Shestakov (Russian), Helmut Kur (Germany), Victor Ivanenko (Ukraine), Rolf Knipper (Germany).

РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ

Автанлил Чутлашвили -Главный редактор

Анзор Тотадзе. Гиа Гаганидзеб. Бесик Аладашвили (Ответственный секретарь)ю Нодар Б агратиониб Гурам Купуниаю. Валери Вашакидзе. Венеди Бенидзеб. Роман Шенгелия. Гиа Мепаришвили. Якоб Путкарадзе. Гиа Лилуашвили.Омар Гамкрелидзе.

МЕЖДУНАРОДНЫЙ СОВЕТ ЖУРНАЛА

Черек Бустра (Нидерланды). Дмитрий Шестаков (Россия). Гельмут Кур (Германия). Виктор Иваненко (Украина). Рольф Книрер (германтя).

შინაარსი

СОДЕРЖАНИЕ

CONTENT

ინფორმაცია საერთაშორისო სამეცნიერო
კონფერენციის შესახებ;

ეკონომიკა
ЭКОНОМИКА
ECONOMICS

ეკატერინე ნაცვლიშვილი
რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური
განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის
მეთოდოლოგიის ზოგიერთი საკითხი;

Екатерина Нацвлишвили
Некоторые вопросы методологии
стратегического планирования
регионального социально-экономического
развития;

Ekaterine Natsvlishvili
Some issues of the methodology of strategic
planning of regional social-economic development;

დავით იაკობიძე, ნინო ლომიძე
სამშენებლო ბიზნესის განვითარების
ხელისშემწყობი ფაქტორების
სრულყოფის მიმართულებები
საქართველოში;

Давид Иакобидзе, Нино Ломидзе
Улучшение тенденции совершенствования
факторов развития строительного
бизнеса в Грузии;

David Iakobidze, Nino Lomidze
Enhancing completing factors of construction
business in Georgia;

ბესიკ ალადაშვილი, ხათუნა ბარათაშვილი
რა პოტენციური ეკონომიკური
საფრთხის შემცველია თავისუფალი

ინდუსტრიული ზონები?;

Бесик Аладашвили, Хатуна Бараташвили

Какие потенциальные экономические угрозы содержат особенные экономические Зоны?;

Besik Aladashvili, Khatuna Baratashvili

What potential economic threat is involved in special economic zones?;

ნუნუ ხარაზიშვილი

მაკროგარემოს ფაქტორების ზემოქმედება აგროსასურსათო სექტორის განვითარებაზე;

Нуну Харазишвили

Влияние факторов макросреды на развитие агропродовольственного сектора;

Nunu Kharazishvili

Affect of Micro Factors on the Development of Agricultural Selector;

სამართალი

ПРАВО

LAW

იაკობ ფუტკარაძე, თამარ ზაალიშვილი

სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპის წარმოშობის წინაპირობები და განვითარების პერსპექტივები;

Иакоб Футкарадзе, Тамар Заалишвили

Предпосылки возникновения и перспективы развития конституционно-правового принципа социального государства;

Iakob Putkaradze, Tamar Zaalishvili

Welfare State As a Constitutional Principle – Premises of Emergence and Development Prospects;

გიორგი ხუნაშვილი

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალდაკარგულად გამოცხადება;

გიორგი Хунашвили

Анулирование административно правового акта;

George Khunashvi

Cancellation of administrative legal act;

დავით ბენიძე

**შეჯიბრებითობის თავისებურება
ბრალდებით და სამძებრო
(ინკვიზიციური) ტიპის პროცესში;**

Давида Бенидзе

**Особенности состязательности в обвинительном
и следственном (инквизиционном типа) процессе;**

Davit Benidze

**Peculiarity of Adversary Method in Accusatory
and Inquisitional Proceeding;**

ალექსანდრე ლილუაშვილი

**კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო
გადაწყვეტილების გადასინჯვის წესი
და ფორმა საქართველოში 1924-1996
წლების სამოქალაქო საპროცესო
კანონმდებლობაში;**

Александр Лилуашвили

**Форма и порядок пересмотра
вступивших в законную силу
судебных решений в гражданском
процессуальном законодательстве
в Грузии 1924-1996 гг.;**

Alexandre Liluashvili

**Form and Rule of Review entered into legal
force of judgments in civil procedure law in
Georgia from 1924 to 1996 years;**

მარინა ლონდარიძე, დოქტორანტი

საკუთრების უფლების დაცვა;

Марина Лондаридзе

Защита права собст;

Marina Londaridze

Defending the right of property;

ლიკა საჯაია

**ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმი
საავტორო სამართალში შესავალი;**

Ли́ка Саджа́я

**Критерии охраноспособности произведения в
авторском праве;**

Lika Sajaia

Protectability criteria of a work within Copyright Law;

თამარ ზაალიშვილი

სოციალური სახელმწიფოს პრინციპის
ფუნქციები და კონსტიტუციური
გარანტიები;

Tamar Zaalishvili

Принципы социального государства
и конституционные гарантии;

Tamar Zaalishvili

Principles of Welfare State and Constitutional
Guarantees;

რევაზ ფუტკარაძე

ფიზიკური პირის გარდაცვლილად
გამოცხადების პრეზუმფცია;

Revaz Putkaradze

Презумпция объявления физического
лица умершим;

Revaz Putkaradze

Presumption of Recognition of Physical
Person Deceased;

ლევან დოღონაძე

არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება;

Levan Dogonadze

Понятие о нематериальном (моральном)
ущербе;

Levan Dogonadze

The definition of moral (nonmaterial) damage.

ინფორმაცია

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

2010 წლის 21 მაისს თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა პროფესორ-მასწავლებელთა XVIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების პერსპექტივები გლობალური გამოწვევების ფონზე».

კონფერენციის მუშაობაში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობდნენ სომხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ხარკოვის შინაგან საქმეთა ნაციონალური უნივერსიტეტის (უკრაინა) მეცნიერები. კონფერენციის მონაწილეებმა მოხსენებები წაიკითხეს ექვს სექციაში, კერძოდ, ზოგადი ეკონომიკის, მენეჯმენტისა და მარკეტინგის, ტურიზმის, ფინანსებისა და ეკონომეტრიკის, სამართლისა და უცხო ენების სექციაში. იმავე დღეს მოხდა კონფერენციის შედეგების შეჯამება.

ეკონომიკა

ეკატერინე ნაცვლიშვილი, სრული პროფესორი

რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის ზოგიერთი საკითხი

გარდამავალ პერიოდში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების ამოცანათა შორის განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფის საკითხები, ვინაიდან, როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ცხადჰყოფს, კრიზისული მოვლენების დაძლევისა და ეკონომიკის გაჯანსაღების უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვან როლს სწორედ რეგიონები ასრულებენ. ამიტომ წინა პლანზე წამოიწევეს ეკონომიკური პროცესების რეგულირების ტერიტორიულ ასპექტებზე ყურადღების კონცენტრირების საკითხი, რამაც ასახვა უნდა ჰპოვოს სახელმწიფო რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება-განხორციელების პროცესის სრულყოფაში სწორედ ცალკეული ტერიტორიული ერთეულების (რეგიონების, რაიონების, მუნიციპალიტეტების) თავისებურებათა, ინტერესთა და კონკრეტულ ამოცანათა გათვალისწინებით.

საერთოდ, ნებისმიერი ქვეყნის რეგიონული განვითარების პრობლემა უპირველესად ტერიტორიული ერთეულების უთანაბრო სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთანაა დაკავშირებული. ასეთ პირობებში აუცილებელია ეკონომიკაზე ახალი, ეფექტიანი მეთოდებით ზემოქმედება, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია პროგრამულ-მიზნობრივი პროგნოზირება, რაც შესაძლებლობას იძლევა კვალიფიციურად, საიმედოდ, მოკლე ვადაში, სახელმწიფოს ერთიან

პოლიტიკასთან კავშირში გადაწყდეს ცალკეული რეგიონების სტრატეგიული პრობლემები. რეგიონული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების საბაზისო მეთოდოლოგიური პრინციპებია: პროგრამის მიზნების, ამოცანების კომპლექსურობა, სინქრონულობა და სისტემურობა; პროგრამის ღონისძიებათა გარანტირებული შემუშავება და განხორციელების ალტერნატიული პირობების გათვალისწინება; რესურსული უზრუნველყოფა; პროგრამის ამოცანათა დამისამართება (შემსრულებლის, ვადების, საკონტროლო მაჩვენებლების მითითება და ა.შ.); პროგრამის მართვის უზრუნველყოფა (სამართლებრივი, ორგანიზაციული, ფინანსური მექანიზმების შექმნა) [1; 85].

ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ეტაპობრივი ანალიზი მკაფიოდ წარმოაჩენს, რომ თანამედროვე ეტაპზე წინა პლანზე წამოიწია ახალმა ამოცანებმა და პრიორიტეტებმა, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტერიტორიულ ერთეულებზე (განსაკუთრებით რეგიონის დონეზე) ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, ეკონომიკის სტაბილიზაციას, საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნას, პრივატიზაციას, მეწარმეობის როლის ზრდას, საინვესტიციო პროცესების მართვის, რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის, ტერიტორიული კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შემუშავებას, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდებით ხელმძღვანელობის აუცილებლობას და სხვა. თუმცა, ხაზგასასმელია ისიც, რომ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზირება და მართვა უკიდურესად გართულდა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში. ჩვენი აზრით, რეგიონის კომპლექსური განვითარების სფეროში საპროგნოზო-ანალიტიკური სამუშაოების შეფერხება უკავშირდება გასული საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, როდესაც ეკონომიკური რეფორმების ბლოკის მესვეურები ხელმძღვანელობდნენ დებულებით „გეგმისა და ბაზრის შეუთავსებლობის» შესახებ. შემდგომ პერიოდში, უკვე 2006 წელს ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საქართველოს კანონი «ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური საფუძვლების შესახებ», რამაც, გარკვეული თვალსაზრისით, შეაფერხა ტერიტორიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესები. მართალია, საქართველოს მთავრობამ მოამზადა „საბაზისო მონაცემები და მიმართულებები 2007-2010 წლებისათვის», რომელიც მოიცავს საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი სტრატეგიის მიმართულებებს და რეფორმის მოსალოდნელ შედეგებს საანგარიშგებო პერიოდისათვის. მაგრამ ტერიტორიულ ჭრილში საკითხის ანალიზმა მკაფიოდ წარმოაჩინა, რომ ასეთი ღონისძიებები არასაკმარისია. ქვეყანაში უნდა არსებობდეს ერთიანი მეთოდოლოგიური და მეთოდური ბაზა რეგიონული/მუნიციპალური კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების დასამუშავებლად. ამგვარი პროგრამების ახალი მოდელის შემუშავებამ უნდა უზრუნველყოს: ა) რეგიონის ეკონომიკის სტაბილური განვითარების ხელშეწყობა რესურსული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე; ბ) რეგიონის განვითარების პროგრამის საკანონმდებლო უზრუნველყოფა; გ) რეგიონის ორგანიზაციულ-სამეწარმეო ინფრასტრუქტურის კორექტირება; დ) რეგიონის ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების, ასევე ფინანსური ინტერესების დაცვა; ე) რეგიონული და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გამოყენების ოპტიმიზაცია (თითოეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული

ერთეულის ინტერესების გათვალისწინებით); ვ) პროგრამის ეფექტიანი ინფრასტრუქტურის შექმნა [3; 149].

მსოფლიო გამოცდილების ანალიზი მოწმობს, რომ ტერიტორიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში საგეგმო რეგულირების მეთოდებისა და საბაზრო მექანიზმების ურთიერთშეხამება არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ გარდაუვალიცაა, ოღონდ – სახელმწიფო (მუნიციპალური) მართვის ორგანოებსა და სხვადასხვა ბიზნეს-ორგანიზაციას – სამეურნეო სუბიექტს შორის პარტნიორული ურთიერთობის პრინციპის საფუძველზე. რეგიონების კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარება უცილობლად მოითხოვს ტერიტორიული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდებით ხელმძღვანელობას (რასაც კარგად აცნობიერებენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელები). მაშასადამე, თუ ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების საწყის ეტაპზე ტერიტორიული განვითარების დაგეგმვის სისტემის მოშლა განაპირობა პოლიტიკურმა და იდეოლოგიურმა ფაქტორებმა, ახალმა ეკონომიკურმა ვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ტერიტორიული სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მართვის პროცესში სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი პრინციპებითა და თანამედროვე ტექნოლოგიებით ხელმძღვანელობის საკითხი. ამან პრაქტიკოსებსა და მეცნიერ-მკვლევარებს ტერიტორიული დაგეგმვის ახალი ადეკვატური ფორმებისა და მეთოდების მოძიებისა და სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სისტემაში მენეჯმენტის ელემენტების დანერგვისაკენ უბიძგა. (პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, ბოლო დროს ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში სულ უფრო მრავლადაა წარმოდგენილი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის შემუშავება-განხორციელების საკითხებისადმი მიძღვნილი შრომები).

რეგიონული ეკონომიკური განვითარების უმთავრესი თავისებურებაა ყურადღების გამახვილება შიდა რესურსების ანუ ადგილობრივი (რეგიონული) ინფრასტრუქტურული, სამრეწველო, ინფორმაციული, საორგანიზაციო, ინსტიტუციური რესურსებისა და პოტენციალის ეფექტიან გამოყენებაზე. ამ თვალსაზრისით, რეგიონული ეკონომიკური განვითარება პროცესია, რომლის მეშვეობითაც რეგიონის (ტერიტორიული ერთეულის) ადმინისტრაცია, ეფექტიანად მართავს რა საკუთარ რესურსებს, კერძო სექტორთან ამყარებს პარტნიორულ ურთიერთობას მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნისა და საქმიანი აქტივობის სტიმულირების მიზნით. მაშასადამე, თანამედროვე რეგიონული განვითარებისა და მართვის პროცესებში კიდევ უფრო იზრდება ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოთა როლი, რადგან მათდამი დაქვემდებარებული ტერიტორიის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და შესრულება უშუალოდ მათ კომპეტენციაში შემაჯავლი ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია. თუმცა, ცხადია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის სუბიექტების საქმიანობის ეფექტიანობას მხოლოდ ადმინისტრაციული სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს, ისევე როგორც მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებები ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი საკითხების გადაწყვეტას, როგორცაა: რეგიონის ტერიტორიაზე მეურნეობის რაციონალური სტრუქტურის შექმნა; ლოკალური რესურსების გამოყენება; ცალკეულ

რეგიონთა დეპრესიული მდგომარეობის დაძლევა; სოციალურ-დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა; ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეფორმების განხორციელება. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს: რეგიონული კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შედგენის მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საფუძვლების შესწავლას, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების შეფასების მეთოდოლოგიური საკითხების მეცნიერული გაანალიზებას, სტრატეგიული გეგმის როგორც რეგიონული ტერიტორიული განვითარების პროგრამების რეალიზაციის ეფექტიანი ინსტრუმენტის გამოყენებას, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფინანსური ბაზის ჩამოყალიბების გზებისა და მეთოდების მოძიება-დანერგვას, საბოლოო ჯამში კი, რეგიონების როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფის სრულყოფილი, თანამედროვე მეთოდებითა და ხერხებით ხელმძღვანელობას.

რეგიონული მართვის დასავლური გამოცდილება ცხადყოფს, რომ ტერიტორიული ერთეულის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდიკის გამოყენებით შესაძლებელია განისაზღვროს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის ფუძემდებლური პრინციპები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტერიტორიული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და სხვადასხვა პროგრამის შედგენისას. გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანია რეგიონის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში თვით ამ პროცესის ხარისხის შეფასება, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს, თუ რომელი სფერო საჭიროებს დამატებით ღონისძიებათა შემუშავებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთი შეფასება საშუალებას იძლევა გაანალიზდეს, თუ რამდენად შეესაბამება სტრატეგიული გეგმის განხორციელების მოსალოდნელი შედეგები იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომელთა მიღწევაც არის დაგეგმილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი მიზანია ყურადღება გავამახვილოთ რეგიონის ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის შეფასების მეთოდიკაზე.

სტრატეგიული გეგმის ან ნებისმიერი პროგრამის შედეგების შეფასებამდე, ცხადია, ჯერ უნდა განისაზღვროს შეფასებისათვის საჭირო მოდელი, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ პროგრამის ფორმალიზებულ წარმოდგენად, ანუ ურთიერთდაკავშირებული ეტაპების ერთობლიობად. თუ შესაფასებელია თვით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი, მაშინ ის შეიძლება განვიხილოთ როგორც ქმედებათა გარკვეული პროგრამა, რომლის შედეგიცაა - ტერიტორიის სტრატეგიული განვითარების გეგმა. პროგრამათა განხორციელება შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი ჯაჭვური პროცესის სახით: **რესურსები - საქმიანობა - პროდუქტი - შედეგები - ეფექტი**, რომელსაც შეიძლება პროგრამის შედეგებზე ორიენტირებული მოდელი ეწოდოს. რეგიონის მაგალითზე, **რესურსებს** წარმოადგენს: რეგიონის ტერიტორიაზე და მის განკარგულებაში არსებული ფინანსები, ინფორმაცია, ადგილობრივ ხელისუფლებათა და არაკომერციულ ორგანიზაციათა საორგანიზაციო რესურსები, მეთოდური სახელ-მძღვანელოები, შრომითი რესურსები და სხვა. **განსახორციელებელი საქმიანობაა** - სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება, სტრატეგიის შემუშავება, მისი საჯარო განხილვა და დამტკიცება. პროგრამის განხორციელების შედეგად შექმნილი **პროდუქტია** - რეგიონის განვითარების სტრატეგიული გეგმა; **შედეგი** - რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის

მიერ ტერიტორიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხების ერთიანი, შეთანხმებული ხედვის გამომუშავება. დაბოლოს, პროგრამის *ეფექტია* - სტრატეგიული გეგმის განხორციელების შედეგად მიღწეული რაციონალური რეგიონული/მუნიციპალური მენეჯმენტი, მოზიდული ინვესტიციები, ახალი სამუშაო ადგილები და სხვა.

შემოთავაზებული მოდელის ყოველი ელემენტი ხასიათდება გარკვეული ინდიკატორებით, რომელთა მნიშვნელობები შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროგრამის შედეგების ან მისი განხორციელების პროცესის რაოდენობრივი შეფასებისათვის. ინდიკატორთა შერჩევას აუცილებელია შემდეგი პრინციპების გათვალისწინება: გამოსაყენებელი ცვლადი უნდა ასახავდეს იმ მიზანს, რისთვისაც შეირჩა ინდიკატორი; ცვლადი ზუსტად უნდა განისაზღვროს; ცვლადის მნიშვნელობები საიმედო უნდა იყოს; მნიშვნელობის შეფასება (ე.წ. გაზომვა) მკაფიოდ უნდა განისაზღვროს; მნიშვნელობის შეფასება (ე.წ. გაზომვა) არ უნდა იყოს რთული; მნიშვნელობებმა თავიანთი აქტუალობა უნდა შეინარჩუნონ მინიმუმ ინფორმაციის შეკრებისა და მომხმარებლისათვის მიწოდების პერიოდში.

ჩვენი აზრით, შეფასებისათვის მომზადების პროცესში პირველ ეტაპზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მკაფიოდ დადგინდეს შემდეგი პოზიციები: შეფასების მიზანი; შეფასების შედეგების მომხმარებელი; შეფასების შედეგებისა და რეკომენდაციების გამოყენების მიზანდასახულობანი; არსებობს თუ არა რაიმე სტანდარტი პროგრამის ხარისხის შესახებ მსჯელობისა და დასკვნისათვის; შეფასების დამკვეთმა (დაინტერესებულმა პირმა) უნდა დააზუსტოს ჩამონათვალი იმ კითხვებისა, რომლებზეც შეფასებამ უნდა გასცეს პასუხი მათ მნიშვნელობათა ხარისხის შესაბამისად; არსებობს თუ არა პროგრამის მონიტორინგის სისტემა (ანუ, იმ მონაცემების მუდმივი შეკრება-დამუშავებისა, რომელიც დაგვეხმარება კითხვებზე პასუხის გაცემისას); შეფასების განხორციელების ვადები.

სტრატეგიული დაგეგმვის ხარისხის შეფასება შეიძლება განვსაზღვროთ როგორც იმ პროცედურათა ერთობლიობა, რომელთა შესრულება საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ფორმალიზებული შეფასება ქულათა ჯამის მეშვეობით, აგრეთვე, არაფორმალიზებული შეფასება შემფასებელი ექსპერტის მიერ ჩამოყალიბებული საექსპერტო დასკვნის სახით. ფორმალიზებული შეფასება საშუალებას გვაძლევს ერთმანეთს შევადაროთ შედეგები და გამოვიტანოთ ზოგადი დასკვნა. არაფორმალიზებული შეფასება ექსპერტის სუბიექტური შეხედულებაა, რომელიც აღწერს შესაფასებელ ტერიტორიაზე არსებულ კონკრეტულ ვითარებას. საექსპერტო დასკვნა, შესაძლოა, შეიცავდეს იმგვარ ინფორმაციას, რომელსაც, თუმცაკი, არსებითი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილებათა მისაღებად (სწორედ ესაა შეფასების მიზანიც!), მაგრამ ფორმალურად მისი გათვალისწინება შეუძლებელია.

სტრატეგიული დაგეგმვის ხარისხის შეფასების მეთოდიკა იმ პროცედურათა ერთობლიობის აღწერაა, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება შეფასება (თვით ამოცანის დასმის ჩათვლით, ანუ ის, თუ რა უნდა დადგინდეს შეფასების თითოეულ ეტაპზე); დგება ინდიკატორთა ჩამონათვალი (რომლებიც გაზომვადი პარამეტრებია კრიტიკული შეფასებისათვის); განისაზღვრება ინსტრუმენტები (ანუ ის, თუ როგორ ყალიბდება შეფასება); დგინდება მოთხოვნები შემფასებლებისადმი და მომზადდება ანგარიში შეფასების შედეგების შესახებ.

ცხადია, შეფასების გლობალური მიზანია - ხელი შეუწყოს რეგიონულ დონეზე ეფექტიანი სტრატეგიული დაგეგმვის ხარისხის ამაღლებას, რომელმაც, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს რეგიონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. შეფასების ამოცანები შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგნაირად: პირველ ჯგუფში გაერთიანდება ის ამოცანები, რომლებიც აქტუალურია მხოლოდ ცალკეული ტერიტორიული ერთეულებისათვის; მეორე ჯგუფში კი გაერთიანდება ის ამოცანები, რომლებიც აქტუალურია ტერიტორიულ ერთეულთა ჯგუფებისათვის ანუ თვით რეგიონებისათვის. შეფასება ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებში საშუალებას მოგვცემს: ა) განვსაზღვროთ ტერიტორიული ერთეულებისათვის, სადაც ჯერ კიდევ გრძელდება სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა); ბ) დავადგინოთ სტრატეგიული გეგმის შემუშავება-სრულყოფის საჭიროება და მიმართულებანი დაგეგმვის მიმდინარე ან მომავალ ეტაპზე; გ) შევაფასოთ გეგმის შესრულების მიმდინარეობა და გამოვიტანოთ დასკვნები მისი კორექტირების ან განხორციელების მექანიზმების განმტკიცების შესახებ.

ჩვენს მიერ შემუშავებული შეფასების მეთოდიკა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ინსტრუმენტი (მექანიზმი), რომელიც საშუალებას გვაძლევს კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის მიხედვით შევაფასოთ სტრატეგიული დაგეგმვის ხარისხი და დავსახოთ მისი სრულყოფის მიმართულებანი. შემოთავაზებული მეთოდიკით ხელმძღვანელობა საშუალებას იძლევა შეფასდეს: სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მიმდინარეობა და სტრატეგიული თანამშრომლობის სისტემა; სტრატეგიული დაგეგმვის უშუალო შედეგი - სტრატეგიული გეგმა; სტრატეგიული დაგეგმვის მოსალოდნელი შედეგები - სტრატეგიული გეგმის განხორციელების შედეგად ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების თვალსაზრისით მიმდინარე ცვლილებები. რამდენიმე ტერიტორიულ ერთეულში სტრატეგიული დაგეგმვის შეფასება შემოთავაზებული მეთოდიკის გამოყენების საფუძველზე, ხელს შეუწყობს ორი უმთავრესი ამოცანის გადაჭრას: 1) ტერიტორიულ ერთეულებში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში წამოჭრილი ტიპური შეცდომებისა და ხარვეზების გამოვლენას; 2) სტრატეგიული დაგეგმვის ამათუიმ ეტაპზე დადებითი გამოცდილების მქონე ტერიტორიული ერთეულების გამოვლენასა და მათი გამოცდილების განზოგადებას.

აქვე შევნიშნავთ, რომ თვითმმართველ ერთეულებში, სადაც სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს თვით ექსპერტ-კონსულტანტები აფასებენ, მიზანშეწონილია, დასკვნები და რეკომენდაციები მისი სრულყოფის თაობაზე, შეძლებისდაგვარად, უშუალოდ გეგმის განხორციელების პროცესშივე იქნეს გათვალისწინებული. შეფასების პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს უპირატესად დადებითი გამოცდილების შესწავლა-გაზიარებაზე. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესისა თუ შედეგების შეფასების ფურცლებში დაფიქსირებული მოთხოვნები დამოუკიდებელ ექსპერტ-კონსულტანტებს შესაძლებლობას აძლევს, გაიაზრონ და განსაზღვრონ თუ როგორი უნდა იყოს პროცესისა და შედეგის ესა თუ ის კომპონენტი, აგრეთვე, ის თუ რისი გაუმჯობესება შეიძლება სტრატეგიული გეგმის კორექტირებისას.

სტრატეგიული დაგეგმვის შედეგიანობის შეფასების შემოთავაზებული მეთოდიკა გულისხმობს შეფასებას შემდეგ მიმართულებათა მიხედვით: 1. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი და სტრატეგიული პარტნიორობის სისტემა; 2. სტრატეგიული გეგმის შინაარსი; 3. სტრატეგიული გეგმის გაფორმება და წინ

წამოწევა; 4. სტრატეგიული დაგეგმვისა და სტრატეგიული გეგმის განხორციელების პროცესის შედეგები.

შეფასების მეთოდიკა ემყარება შეფასების ფურცელში კრიტერიუმებისა და მაჩვენებელთა ჩამონათვლის სახით რეალური სურათის შესახებ მიღებული ინფორმაციის ურთიერთშედარებას, რაც მოდელირებულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესისა და სტრატეგიული გეგმის შესახებ წარმოდგენებისა და შეფასების შედეგად. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ფასდება ისეთი კომპონენტების ერთობლიობით, როგორცაა: დაგეგმვის მეთოდური საფუძვლები, პროცესის მონაწილეთა პროფესიონალიზმი, მოსახლეობის აქტივობა და სხვა. სტრატეგიული გეგმის შინაარსის სისრულე ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენადაა ის გათვალისწინებული მუნიციპალური/რეგიონალური მართვის სისტემაში, რამდენად სრულადაა წარმოჩენილი ტერიტორიული ერთეულის განვითარების მამოძრავებელი შიდა და გარე ფაქტორები; განსაზღვრულია თუ არა სტრატეგიული გეგმის რეალიზაციის მექანიზმები და მართვის სისტემა, როგორია ამორჩეული სტრატეგიის განხორციელების შესაძლო შედეგები და ა.შ.

სტრატეგიული გეგმის გაფორმება და წინ წამოწევა ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად მკაფიოდ და გასაგებადაა გადმოცემული ძირითადი თეზისები და რამდენად მისაღებია ისინი მიზნობრივი აუდიტორიისათვის, ასევე, რამდენად შეესაბამება ისინი საზოგადოებასთან ურთიერთობის დამყარების მიზნით ჩატარებულ PR-აქციებს და პუბლიცისტური მასალების გამოცემის სიხშირეს და სხვა.

სტრატეგიული გეგმის შედეგების ზემოაღნიშნული მეთოდიკით შეფასებისას, გასათვალისწინებელია ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრები, რომლებიც საერთოა ტერიტორიულ წარმონაქმნათვის. შეფასების ეს კომპონენტი არ გულისხმობს იმის დეტალურად აღწერას, თუ რამდენად ზედმიწევნით ზუსტად განხორციელდა სტრატეგიული გეგმა და რამდენად შეესაბამება მიღებული შედეგები დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. ყოველი შემადგენლის მიხედვით უნდა განისაზღვროს სტრატეგიული დაგეგმვის მხარეები, ანუ შესაფასებელი კომპონენტები და თითოეულის მიხედვით დადგინდეს მისი ხვედრითი წილის განმსაზღვრელი „წონა“. შეფასებები დგინდება ისეთი დოკუმენტების გათვალისწინებით, როგორებიცაა: - სტატისტიკური მაჩვენებლები; - სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მსველობისა და მისი შედეგების დამაფიქსირებელი ტექსტები; - მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მასალები; - ადგილობრივ სპეციალისტებთან, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მონაწილეებთან და დამკვირვებლებთან ინტერვიუები; - ჯგუფური ინტერვიუ-განხილვისას, სპეციალისტთა ანკეტირება.

სხვადასხვა თვითმმართველ ერთეულში არსებული მდგომარეობის შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის ურთიერთშედარების საფუძველზე უნდა გამოიყოს ტერიტორიულ ერთეულთა ჯგუფი, სადაც: ა) მუშავდება სტრატეგიული გეგმა; ბ) მუშავდება, ქვეყნდება და საჯაროდ განიხილება სტრატეგიული გეგმა; გ) ხორციელდება სტრატეგიული გეგმა.

შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ ექსპერტმა თითოეული შედეგის მიხედვით უნდა მოამზადოს საბოლოო ანგარიში, სადაც უნდა აღინიშნოს: - სად, როდის და ვინ განახორციელა შეფასება; - შეფასებისათვის გამოყენებული მასალების ნუსხა, მათი მოკლე დახასიათება; - შევსებული შეფასების ფურცლები მოკლე კომენტარებითურთ; - ზოგადი დასკვნები.

საექსპერტო დასკვნა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას: ა) კონკრეტულ ტერიტორიულ წარმონაქმნში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესისა და სტრატეგიული გეგმის სუსტი და ძლიერი მხარეებისა და კომპონენტების შესახებ; ბ) რეკომენდაციებს კონკრეტულ ტერიტორიულ წარმონაქმნში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის სრულყოფის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ; გ) რეკომენდაციებს სტრატეგიული დაგეგმვის სფეროში კონკრეტული ტერიტორიული წარმონაქმნის გამოცდილების გაცნობა-გაზიარების შესახებ.

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ მოკლედ გადმოგვეცა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის შეფასების მეთოდის არსი. ვფიქრობთ, შემოთავაზებული მეთოდის გამოყენება მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ტერიტორიული ერთეულის (რეგიონის, მუნიციპალიტეტის) ხელმძღვანელობას სტრატეგიული დაგეგმვის ორგანიზებასთან დაკავშირებული ლოკალური ამოცანების გადაჭრაში.

ეკატერინე ნაცვლიშვილი, სრული პროფესორი

რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის ზოგიერთი საკითხი

სტატიაში გამოკვეთილი და გაანალიზებულია სტრატეგიული დაგეგმვისა და რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავების ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზის არსებობის მნიშვნელობა. ავტორის მოსაზრებით, რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას გასათვალისწინებელია აგრეთვე სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის შეესაბამება სტრატეგიული გეგმის რეალიზაციის შედეგები დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს. ავტორი გვთავაზობს რეგიონის ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის შეფასების მეთოდოლოგიას.

Екатерина Нацвлишвили, Профессор

Некоторые вопросы методологии стратегического планирования регионального социально-экономического развития

В статье выделены и проанализированы важность и значение наличия единой методологической базы стратегического планирования и разработки программ регионального социально-экономического развития. По мнению автора, при разработке

стратегии развития региона должны быть учтены также и методологические вопросы оценки процесса стратегического планирования, так как особенную важность имеет оценка качества самого процесса, который четко указывает – насколько соответствуют ожидаемые результаты реализации стратегического плана запланированным целям и задачам. Автор предлагает методику оценки процесса стратегического планирования территориального экономического развития региона.

Ekaterine Natsvlishvili, Full Professor

Some issues of the methodology of strategic planning of regional social-economic development

The paper emphasizes and analyzes the importance of a unified methodological framework of the strategic planning and working out programs of regional social-economical development. According to the author, while working out the strategy of region's development, the methodological issues of the evaluating of strategic planning process should be also considered. The process of the quality assessment itself has a high importance and clearly indicates as far as the expected results of the implementation of strategic plan correspond to the planned goals and objectives. The author offers the methodics of evaluating of the process of strategic planning of region's territorial economic development.

ლიტერატურა

1. ენაცვლიშვილი, ნ.ცანავა, მ.ტულუში, ადგილობრივი თვითმმართველობის სუბიექტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია/საინფორმაციო-ანალიტიკური და მეთოდოლოგიური მასალები, თბ., „უნივერსალი“, 2007;
2. ენაცვლიშვილი, ტერიტორიული წარმონაქმნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის შეფასების მეთოდოლოგია, თბ., „უნივერსალი“, 2008;
3. ნ.ჩიხლაძე, რეგიონის და თვითმმართველი ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის საკითხისათვის, იხ.: კრებულში: „გამჭვირვალე ადგილობრივი ბიუჯეტი“, ქუთაისი, 2008.

*დავით იაკობიძე, პროფესორი
ნინო ლომიძე, დოქტორანტი*

სამშენებლო ბიზნესის განვითარების ხელისშემწყობი ფაქტორების სრულყოფის მიმართულებები საქართველოში

საქართველოში ეკონომიკური აღმშენებლობის მთავარი მიმართულებაა მისი ინტეგრაცია ევროკავშირში. ევროკავშირი არის საქართველოს წინსვლის მთავარი ორიენტირი და მიზნობრივი მიმართულება. საქართველო უნდა გახდეს ევროკავშირის წევრი – ამ მიზანდასახულობას ალტერნატივა არ აქვს. საქართველოს ევროპისკენ «სვლა» განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

გლობალური ეკონომიკური კანონზომიერებებით და
საკუთრივ საქართველოს ისტორიული ადგილითა და როლით მსოფლიო კულტურულ სივრცეში.

საქართველოს ევროპისკენ სწრაფვას ხანგრძლივი და ურთულესი ისტორია აქვს. ჩვენი მიზანი არ არის ამ ისტორიული ძირების კვლევა, მაგრამ აუცილებელია შევნიშნოთ, რომ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულიდან საქართველო განუხრელად დგას ევროინტეგრაციის გზაზე. ეს გზა კი არც ისე მარტივია. მას აქვს საკუთარი სირთულებები, რომლებიც პირველ რიგში უკავშირდება ჩვენი ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ თანამშრომლობას ევროპის ქვეყნებთან, მისი ადგილისა და როლის განსაზღვრას მომავალ ეკონომიკურ და კულტურულ სივრცეში. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია გავარკვიოთ უმთავრესი ბიზნეს მიმართულებები, რომლებიც სამომავლოდ დააჩქარებენ საქართველოს ევროსივრცეში ადაპტაციისა და შემდგომი სრული ინტეგრაციის პროცესს. ეკონომიკის რეალური პროცესის ერთ-ერთი მთავარი ინდუსტრიული მიმართულება, რომელიც პრაქტიკულად განსაზღვრავს ქვეყანათა ინტეგრირების დონესა და მისი გაღრმავების შესაძლებლობებს არის მშენებლობა. სწორედ ამიტომ, წინამდებარე ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ საქართველოში სამშენებლო საქმიანობის განვითარების მიმართულებებსა და მისი სრულყოფის გზებს.

1. საქართველოში სამშენებლო ბიზნესი საერთაშორისო და რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის საშუალება

ეროვნულ სახელმწიფოთა შორის ნებისმიერი ინტეგრაციის საფუძველს ეკონომიკური თანამშრომლობა წარმოადგენს. ეკონომიკური ინტეგრაცია თავის მხრივ განსაზღვრავს ქვეყანათა შორის სოციალური და პოლიტიკური ინტეგრაციის პირობებსა და ფორმებს. ეს, სახელმწიფოთა შორის ინტეგრაციის ზოგადი ფილოსოფიური დებულება არსებითად განაპირობებს ამჟამად მსოფლიოში

მიმდინარე ურთიერთთანამშრომლობის გენერალურ ტენდენციებს. გლობალიზაციის პროცესი გვიჩვენებს, რომ მსოფლიო დონეზე ყალიბდება პროგრესის საყოველთაო ტენდენციები, რომლებიც დღის წესრიგში სვამენ მთელი სამყაროს მასშტაბით ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა სახის თანამშრომლობათა აუცილებლობას. მსოფლიოს გლობალური ერთიანობის საფუძველს კი შეზღუდული რესურსების პირობებში ეკონომიკური თანამშრომლობა განსაზღვრავს.

ცდებიან ისინი, ვისაც მიაჩნია, რომ მსოფლიო გლობალურ განვითარებაში მთავარ დაპირისპირებულ ძალებს წარმოადგენენ განვითარებული სამყარო და განვითარებად ქვეყანათა არაერთგვაროვანი ერთიანობა. მართალია, არსებობს გარკვეული წინააღმდეგობა განვითარებულ და განვითარებად სამყაროთა შორის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში ანტიინტეგრაციული პროცესებისა და ქვეყანათა შორის კონფლიქტების წყაროს ძირითადად განვითარებადი სამყაროს ეკონომიკური და პოლიტიკური ძალებით არაერთგვაროვან სუბიექტთა შორის დაპირისპირებები განაპირობებენ. ამის მაგალითია საქართველო, სადაც ლოკალური კონფლიქტები, რომლებიც რუსეთის მიერ იყო ინსპირირებული, აგრესიული სეპარატიზმის გამოვლინებად მოინათლა და, რომ არა რუსეთის ღია აგრესია საქართველოს მიმართ, 2008 წლის აგვისტოში, ეს პროცესი სათანადოდ ვერ შეფასდებოდა. ამიტომ, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი ანტიგლობალურ პროცესებში კი არა, გლობალიზაციის ტენდენციებში უნდა ვეძებოთ. კერძოდ, საერთაშორისო ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობა არის გზა ერთიანი პროგრესისაკენ. ამასთან, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ მსოფლიო ბაზარზე ერთმანეთის კონკურენტები არიან ბიზნეს სუბიექტები და არა ქვეყნები. ეკონომიკური ავტარკიზმით გამოწვეული სამეურნეო იზოლაციონიზმი ვერასდროს ვერ იყო ქვეყანათა განვითარების ეფექტური მსაზღვრელი. ამ თვალსაზრისით რუსეთის იმპერიული ამბიციები და მისი ხელისუფლების მიერ ენერგეტიკული საწარმოების პოლიტიკური ლობირება ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ენერგორესურსების განაწილებასა და ტრანსპორტირებაზე მსოფლიოში, რისი მსხვერპლიც მრავალი ქვეყანა, მათ შორის საქართველოც ხდება.

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ის გარემოება, რომ რუსეთისთვის მიუღებელია საქართველოს ტერიტორიაზე შუა აზიის ენერგომატარებლების ტრანსპორტირება. იგი ხელს ვერ უშლის საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის მაგისტრალების მშენებლობას, რადგანაც ვერ ახორციელებს ღია კონკურენტულ ბრძოლას მწარმოებელ ფირმებთან, მაგრამ იგი საკმაოდ «წარმატებით» ახდენს პოლიტიკურ ზეწოლას საქართველოზე, რომელიც პირდაპირ აგრესიაში და ტერიტორიების ნაწილის ანექსიაში ვლინდება. ამ თვალსაზრისით რუსეთი დაემსგავსა ორსახა იანუსს, რომლის ერთი სახე მხარს უჭერს ტრანსეროვნული კორპორაციების საქმიანობას, მეორე სახით კი, მრისხანებას აფრქვევს საქართველოსადმი, როგორც პოლიტიკური სუბიექტისადმი, რომელიც პარტნიორულ საწყისებზე თანამშრომლობს აღნიშნულ ტრანსეროვნულ კომპანიებთან. გამოდის რომ საქართველოში მიმდინარე პროცესების შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება არა ბიზნესთანამშრომლობა განვითარებულ ეკონომიკურ სისტემასთან, არამედ რეგრესის მატარებელი პოლიტიკური ძალები, რომლებსაც ვერ შეუძლებიათ საკუთარი რესურსების რაციონალური გამოყენების ეფექტური

მექანიზმები და დგანან რესურსების მონოპოლიზაციის ძალისმიერ გზაზე, რითაც ფეხქვეშ თელავენ მრავალი ქვეყნის ინტერესებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ვრწმუნდებით, რომ თანამშრომლობა, პარტნიორული დამოკიდებულებები არის ერთადერთი გზა, რომელსაც მივყავართ პროგრესისაკენ. ამ შემთხვევაში რა შეგვიძლია ჩვენ დავუპირისპიროთ რუსეთის აგრესიას?! – მხოლოდ განვითარებული სამყაროს ბიზნეს სუბიექტებთან საქმიანი თანამშრომლობის გაღრმავება და მათთან პარტნიორულ საფუძველზე ურთიერთობების ინტენსიფიკაცია. ასეთი გზა მიგვიყვანს ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური პროცესების აღმავლობასთან და საბოლოო ჯამში შეგვაძლებინებს ქვეყნის დაკარგული ერთიანობის აღდგენას.

არ არის საჭირო იყო დიდი ეკონომისტი, იმისათვის რომ იცოდე, ქვეყნის მაკროეკონომიკური აღმავლობა იწყება მშენებლობიდან. ენერგეტიკული, ინდუსტრიულ-სამრეწველო, მაღალ ტექნოლოგიებზე დამყარებული გადამამუშავებელი საწარმოებისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების მშენებლობა არის გზა, რომელსაც ყველა ეკონომიკა გამოყავს სტაგნაციიდან. სამართლიანად მიგვაჩნია საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული მნიშვნელოვანი მშენებლობები ნავთობსადენებისა (ბაქო-სუფსა, ბაქო-ჯეიჰანი) და შაჰ-დენიზ-თბილისი-ყარსის გაზსადენისა, რომლებიც ჩვენი ქვეყნისათვის საუკუნის მშენებლობებს წარმოადგენენ. სწორედ მათ განაპირობეს საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია მსოფლიო ბაზარზე და შექმნეს აზერბაიჯანთან და თურქეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის მძლავრი საფუძველი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1998 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს, როდესაც მთელს რეგიონში შეინიშნებოდა ეკონომიკური ზრდის შემცირება, საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში ვარდნა არ მომხდარა მხოლოდ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე მიმდინარე ინტენსიური სამშენებლო პროცესების გამო. შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკური დინამიზმის მასტაბილიზებული ფაქტორი გახდა ტრანსნაციონალური სამშენებლო პროექტი. ამიტომ, აღსანიშნავია, რომ საქართველოსათვის, ისე როგორც ყველა სხვა ქვეყნისათვის მშენებლობა ერთ-ერთი მთავარი მაინტეგრირებელი დარგია, რომელიც განაპირობებს, როგორც რეგიონალური მასშტაბის, აგრეთვე გლობალურ გარემოში მის ჩართულობას და სხვა ქვეყნებთან პარტნიორული თანამშრომლობის ახალ ფორმათა ჩამოყალიბება-დამკვიდრებას.

მშენებლობამ განაპირობა საქართველოს ჩაბმა საერთაშორისო ეკონომიკურ თანამშრომლობაში და განსაზღვრა კავკასიის რეგიონში მისი მნიშვნელობა და გეოპოლიტიკური ადგილი. სატრანსპორტო კომუნიკაციების (ნავთობსადენების, გაზსადენის, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების, ავტობანების, შიდა გზების და ა.შ) მშენებლობამ და ქალაქმშენებლობითმა (თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სიღნაღში) საქმიანობამ განამტკიცა საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა საერთაშორისო ასპარეზზე და მიანიჭა მას სწრაფად განვითარებადი ქვეყნის სტატუსი.

ამგვარად, მშენებლობა, როგორც ინდუსტრიული საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება საქართველოსათვის იქცა მისი ეკონომიკური აღმავლობის (მხედველობაში გვაქვს ეკონომიკის მიღწეული დონე) უმთავრეს სფეროდ, მსოფლიო სამეურნეო სივრცეში მისი ინტეგრაციის ქმედით საშუალებად და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების განმსაზღვრელ ფაქტორად.

საქართველოში მშენებლობის სფეროს ასეთი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, შესამჩნევია ის არსებითი ნაკლოვანებები, რომელთა დაძლევა ჩვენი აზრით ხელს შეუწყობს ამ ბიზნესის საკუთარ საფუძველზე განვითარებას და დააჩქარებს ჩვენი ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციას. სწორად წარმართული სამშენებლო პოლიტიკა და სამშენებლო-ინდუსტრიული პროცესების რაციონალიზაციის უზრუნველყოფილი მექანიზმების შემოტანა საქართველოს ეკონომიკაში განაპირობებს მის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას კავკასიაში. გარდა იმისა, რომ დადგა დრო საქართველოში განხორციელდეს არსებითი ცვლილებები ტრანსეროვნული მასშტაბებისა და მნიშვნელობის პროექტების მშენებლობაში, აუცილებელია მოხდეს გადამწყვეტი ძვრები ადგილობრივი მნიშვნელობის სამშენებლო საქმიანობაში, ვინაიდან ჩვენი ევროპაში ინტეგრაციისათვის, ტრანსნაციონალურ სამშენებლო პროექტებში ჩართულობაზე მეტად მნიშვნელოვანია ადგილობრივი სამშენებლო ინდუსტრიის ორგანიზება თანამედროვე განვითარებულ დონეზე

მიგვაჩნია, რომ სწორედ ადგილობრივი სამშენებლო ბაზრის ორგანიზება თანამედროვე ევროპულ დონეზე გახდება ინტეგრაციის აუცილებელი პროცესის დამაჩქარებელი და მხარდამჭერი სამეურნეო ფაქტორი. ამიტომ, მიმდინარე ეტაპზე გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია გარკვეულ ღონისძიებათა სისტემის ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში სამშენებლო ბიზნესის ნაკლოვანებათა დაძლევას და ხელს შეუწყობს მშენებლობის სფეროს ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებას.

2. სამშენებლო საქმეში საქართველოს ჩამორჩენა და მისი მიზეზები

საქართველოში სამშენებლო ბიზნესის ჩამორჩენაზე როდესაც ვლაპარაკობთ, მხედველობაში არ გვაქვს ამ ბიზნესში გაწეულ სამუშაოთა მოცულობები, ანუ ბიზნესის რაოდენობრივი მხარე, რადგან, როგორც ზემოთ უკვე შევნიშნეთ, სამშენებლო სამუშაოთა მოცულობა საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში იზრდება და მშენებლობა ხდება ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი (იხ. გრაფიკი №1). მშენებლობის ბიზნესის ჩამორჩენაზე საუბრისას პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ საქართველომ (იგულისხმება ქვეყნის იურიდიული პირი სამშენებლო ორგანიზაციები) ვერ გამოიყენა საკუთარი შესაძლებლობები დარგის განვითარებაში და ვერ შეძლო მშენებლობა გამხდარიყო განვითარების მთავარი ფაქტორი საბაზრო ეკონომიკის ორგანიზებისა და თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენების თვალსაზრისით.

ჩვენი აზრით, მშენებლობის სფეროში საქართველო სტრატეგიული თვალსაზრისით ჩამორჩა, როგორც მაკროეკონომიკური ერთეული. ასეთი აზრის გამოთქმის საშუალებას გვაძლევს შემდეგი გარემოებები:

1. ტრანსეროვნულ კორპორაციებთან თანამშრომლობისას, როდესაც ხორციელდებოდა საერთაშორისო (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და შახ-დენიზ-ბაქო-თბილისი-ერზურუმი) და რეგიონული (ბაქო-სუფსა) მნიშვნელობის სამშენებლო პროექტები, საქართველო წარმოადგენდა პრაქტიკულად სამშენებლო მოედანს. მისი მონაწილეობა მშენებლობაში გამოიხატებოდა სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებაში,

ხოლო მშენებლობა, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, მთლიანად ტრანსეროვნულ კომპანია «ბრითიმ პეტროლიუმს» მიყავდა. აღნიშნული პროექტების განხორციელებისას საქართველოს საწარმოებმა შეასრულეს მხოლოდ დამხმარე, უმნიშვნელო ფუნქციები. მშენებლობაში ნაკლებად იყო ჩართული ადგილობრივი სამუშაო ძალა და პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა ადგილობრივი მასალები. უნდა ვაღიაროთ, რომ პროექტების განხორციელება მიმდინარეობდა რთულ პოლიტიკურ გარემოში, როდესაც რუსეთი პირდაპირ მოითხოვდა საქართველოსაგან, არ დაეშვა მის ტერიტორიებზე ასეთი მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობა, მაგრამ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მშენებლობა მიმდინარეობდა საქართველოს საზოგადოებისგან თითქმის ფარულად და ასეთი მასშტაბური საერთაშორისო პროექტები ვერ გადაიქცა საქართველოში კვალიფიციური კადრების მომზადების სამჭედლოდ. ვერ შევძელით, რომ მშენებლებს გამოეყენებინათ ჩვენს განკარგულებაში არსებული უმაღლესი კვალიფიკაციის (კონსტრუქტორები, გეოლოგები, გეოდეზისტები, შემდუღებლები) სამუშაო ძალა.

2.სამწუხაროა, რომ ვერ შევძელით საერთაშორისო ასპარეზზე გაგვეტანა და მომხმარებელთათვის შეგვეთავაზებინა ჩვენი გამოცდილება, რომელიც ემყარებოდა საქართველოს მათემატიკოსთა და მექანიკის სპეციალისტთა ცოდნას. საქმე ისაა, რომ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტულ გარემოს ქმნიან საწარმოები და არა ქვეყნები. შესაბამისად მაკროეკონომიკური პოტენციალი უნდა მივმართოთ ცალკეულ ეკონომიკურ სუბიექტთა შესაძლებლობების განვითარებისაკენ, რათა მათ შეძლონ მიაღწიონ უპირატესობებს მსოფლიო ბაზარზე, რაც სწორედ ეროვნული უპირატესობის სახით წარმოჩინდება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მშენებლობაში საქართველოს გააჩნდა გარკვეული ეროვნული უპირატესობა, რაც ემყარებოდა აკადემიკოსების, ნიკოლოზ მუსხელიშვილისა და ილია ვეკუას მათემატიკურ გამოკვლევებს. ამ გამოკვლევათა საფუძველზე დამუშავდა უნიკალურ ნაგებობათა კონსტრუქციები და აშენდა კიდევ ისეთი მნიშვნელოვანი ნაგებობები, როგორებიცაა: თბილისის სპორტის სასახლე, საგზაო დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობა და ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონი. აღნიშნულ ნაგებობათა პროექტირების, მისი კონსტრუქციების შემუშავებისა და მშენებლობის ერთიანი პროცესი იყო სწორედ ის დიდი უპირატესობა, რომელსაც მიაღწიეს ქართველმა მშენებლებმა და რომელიც უნდა გამხდარიყო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი საექსპორტო პროდუქტი. ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ნაცვლად ტექნოლოგიური მიღწევის ექსპორტისა, ჩვენ უარი ვთქვით ამგვარ ნაგებობათა მშენებლობაზე და თავად გავხდით მშენებლობის დარგში ბევრად უფრო დაბალი ტექნოლოგიების მომხმარებლები.

ფაქტია, რომ საქართველოს ავტობანების მშენებლობის ტენდერი მოიგო უცხოურმა ფირმამ. იგი გვიშენებს გზებს, მაშინ, როდესაც ჩვენი გვირაბგამყვანები, კონსტრუქტორები და საინჟინრო ნაგებობათა სხვა სპეციალისტები უნიკალურ ნაგებობებს ქმნიდნენ. ჩვენს ეკონომიკურ პოლიტიკას დადებითად ვერ დაახასიათებს ის ფაქტიც, რომ საგზაო მშენებლობისათვის მოზიდული საკრედიტო რესურსი (მსოფლიოს ბანკის, ქუვეიტის ფონდის კრედიტი და ა.შ.) საქართველოში ისე იხარჯება, რომ ვერ უზრუნველყოფს ახალ ტექნიკურ სპეციალობებში კადრების დაოსტატებას. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყანა, სადაც აშენდა ხრამჭესი, ენგურჭესი და სხვა უნიკალური ჰიდრო-ენერგო ნაგებობები დღეს ბევრად მარტივი რელიეფისა და

გეოლოგიური პირობების გარემოში ჰესების (ფარავანზე და გუბაზოულზე) მშენებლობას თურქ სპეციალისტებს უკვეთავს.

ჩამოვრჩით ქალაქმშენებლობაშიც, ძირითადად ქალაქგეგმარებით პროცესში, სივრცის ორგანიზაციისა და მდგრადი განვითარების საკითხებში. გარდა ამისა, სამოქალაქო ნაგებობები შენდება დაბალი ხარისხის საშენი მასალით და არ არსებობს საშენ მასალებზე (ცემენტი, ბეტონი, არმატურა, საკედლე ქვები, აგური და ა.შ) ხარისხის კონტროლის ეფექტური სასიტემა. მშენებლობამ დაკარგა ინდუსტრიული ხასიათი და მეცნიერთევადობა. მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები ნაკლებ მასტიმულირებელია ადგილობრივ არქიტექტორთა და მშენებელ-კონსტრუქტორთა საქმიანობისათვის. საქართველოში მიმდინარე ქალაქმშენებლობით პროცესების განხილვისას შეიძლება კიდევ მრავალი ნაკლოვანებისათვის მიგვექცია ყურადღება, მაგრამ შემოვიფარგლებით უმთავრესით:

შესამჩნევია ჩამორჩენა არქიტექტურასა და საკონსტრუქტორო საქმეში;

დაბალია გამოყენებული საშენი მასალების ხარისხი. ქვეყანაში ფაქტიურად ვერ ვითარდება საშენ მასალათა ინდუსტრია;

ვერ ავითვისეთ თანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიები და დავკარგეთ საკუთარი გამოცდილება ამ სფეროში;

არსებითად დაბალეფექტურად ვიყენებთ სამშენებლო ტექნიკას, რომელიც ექსპორტირებულია განვითარებული ქვეყნებიდან და ხშირ შემთხვევაში ადგილობრივ საჭიროებათა გათვალისწინების გარეშე;

განვიცდით უნიკალურ სამშენებლო პროფესიათა ნაკლოვანებებს და ვერ უზრუნველვეყოფთ საკუთარი კადრების მომზადებას.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მშენებლობა მიმდინარეობს წინასამშენებლო გეოლოგიურ, გეოდეზიურ და სხვა საქმიანობათა დაბალი ხარისხის პირობებში, მივიღებთ საკმაოდ არასასურველ სურათს.

3. ვერ შევძელით აგვეთვისებინა ახალი ფინანსური მექანიზმები, რომლებმაც მნიშვნელოვანი დადი დაამჩნია ჩვენს სამშენებლო კომპლექსს. როდესაც ვსაუბრობთ სამშენებლო პროცესის ფინანსირებაზე, მხედველობაში გვაქვს ამ მიმართულებით მობილიზებული სახსრების გამოყენების წესი და მასთან დაკავშირებული ფინანსური და მართვლობითი აღრიცხვის წარმოების მექანიზმი. საერთოდ, მშენებლობაში არსებული ნორმატიული ბაზის დაბალი ხარისხი განაპირობებს ჩვენს ქვეყანაში დაუმთავრებელ მშენებლობათა რაოდენობრივ ზრდას, რაც საკმაოდ თვალშისაცემია და რის გამოც არა მარტო მახინჯდება საქართველოს ქალაქების ლანდშაპტური პეიზაჟი, არამედ იგი სერიოზულ პრობლემებს ქმნის ქალაქებში სასიცოცხლო გარემოს უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის თვალსაზრისითაც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სამშენებლო ბიზნესის ევროინტეგრაციაში ხელშემწყობ ფაქტორად ჩამოყალიბება უნდა დავიწყოთ ამჟამად სამოქალაქო ობიექტების მშენებლობაშიშეძლონ მიაღწიონ უპირატესობებს მსოფლიო ბაზარზე, რაც სწორედ ეროვნული უპირატესობის სახით წარმოჩინდება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მშენებლობაში საქართველოს გააჩნდა გარკვეული ეროვნული უპირატესობა, რაც ემყარებოდა აკადემიკოსების, ნიკოლოზ მუსხელიშვილისა და ილია ვეკუას მათემატიკურ გამოკვლევებს. ამ გამოკვლევათა საფუძველზე დამუშავდა უნიკალურ ნაგებობათა კონსტრუქციები და აშენდა კიდევ ისეთი მნიშვნელოვანი

ნაგებობები, როგორებიცაა: თბილისის სპორტის სასახლე, საგზაო დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობა და ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონი. აღნიშნულ ნაგებობათა პროექტირების, მისი კონსტრუქციების შემუშავებისა და მშენებლობის ერთიანი პროცესი იყო სწორედ ის დიდი უპირატესობა, რომელსაც მიაღწიეს ქართველმა მშენებლებმა და რომელიც უნდა გამხდარიყო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი საექსპორტო პროდუქტი. ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ნაცვლად ტექნოლოგიური მიღწევის ექსპორტისა, ჩვენ უარი ვთქვით ამგვარ ნაგებობათა მშენებლობაზე და თავად გავხდით მშენებლობის დარგში ბევრად უფრო დაბალი ტექნოლოგიების მომხმარებლები.

ფაქტია, რომ საქართველოს ავტობანების მშენებლობის ტენდერი მოიგო უცხოურმა ფირმამ. იგი გვიშენებს გზებს, მაშინ, როდესაც ჩვენი გვირაბგამყვანები, კონსტრუქტორები და საინჟინრო ნაგებობათა სხვა სპეციალისტები უნიკალურ ნაგებობებს ქმნიდნენ. ჩვენს ეკონომიკურ პოლიტიკას დადებითად ვერ დაახასიათებს ის ფაქტიც, რომ საგზაო მშენებლობისათვის მოზიდული საკრედიტო რესურსი (მსოფლიოს ბანკის, ქუვეიტის ფონდის კრედიტი და ა.შ.) საქართველოში ისე იხარჯება, რომ ვერ უზრუნველყოფს ახალ ტექნიკურ სპეციალობებში კადრების დაოსტატებას. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყანა, სადაც აშენდა ხრამჭესი, ენგურჭესი და სხვა უნიკალური ჰიდრო-ენერგო ნაგებობები დღეს ბევრად მარტივი რელიეფისა და გეოლოგიური პირობების გარემოში ჰესების (ფარავანზე და გუბაზოულზე) მშენებლობას თურქ სპეციალისტებს უკვეთავს.

ჩამოვრჩით ქალაქმშენებლობაშიც, ძირითადად ქალაქგეგმარებით პროცესში, სივრცის ორგანიზაციისა და მდგრადი განვითარების საკითხებში. გარდა ამისა, სამოქალაქო ნაგებობები შენდება დაბალი ხარისხის საშენი მასალით და არ არსებობს საშენ მასალებზე (ცემენტი, ბეტონი, არმატურა, საკედლე ქვები, აგური და ა.შ.) ხარისხის კონტროლის ეფექტური სასიტემა. მშენებლობამ დაკარგა ინდუსტრიული ხასიათი და მეცნიერთევადობა. მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები ნაკლებ მასტიმულირებელია ადგილობრივ არქიტექტორთა და მშენებელ-კონსტრუქტორთა საქმიანობისათვის. საქართველოში მიმდინარე ქალაქმშენებლობით პროცესების განხილვისას შეიძლება კიდევ მრავალი ნაკლოვანებისათვის მიგვექცია ყურადღება, მაგრამ შემოვიფარგლებით უმთავრესით:

შესამჩნევია ჩამორჩენა არქიტექტურასა და საკონსტრუქტორო საქმეში;

დაბალია გამოყენებული საშენი მასალების ხარისხი. ქვეყანაში ფაქტიურად ვერ ვითარდება საშენ მასალათა ინდუსტრია;

ვერ ავითვისეთ თანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიები და დავკარგეთ საკუთარი გამოცდილება ამ სფეროში;

არსებითად დაბალებფექტურად ვიყენებთ სამშენებლო ტექნიკას, რომელიც ექსპორტირებულია განვითარებული ქვეყნებიდან და ხშირ შემთხვევაში ადგილობრივ საჭიროებათა გათვალისწინების გარეშე;

განვიცდით უნიკალურ სამშენებლო პროფესიათა ნაკლოვანებებს და ვერ უზრუნველვყოფთ საკუთარი კადრების მომზადებას.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მშენებლობა მიმდინარეობს წინასამშენებლო გეოლოგიურ, გეოდეზიურ და სხვა საქმიანობათა დაბალი ხარისხის პირობებში, მივიღებთ საკმაოდ არასასურველ სურათს.

3. ვერ შევძელით აგვეთვისებინა ახალი ფინანსური მექანიზმები, რომლებმაც მნიშვნელოვანი დადი დაამჩნია ჩვენს სამშენებლო კომპლექსს. როდესაც ვსაუბრობთ სამშენებლო პროცესის ფინანსირებაზე, მხედველობაში გვაქვს ამ მიმართულებით მობილიზებული სახსრების გამოყენების წესი და მასთან დაკავშირებული ფინანსური და მართვითი აღრიცხვის წარმოების მექანიზმი. საერთოდ, მშენებლობაში არსებული ნორმატიული ბაზის დაბალი ხარისხი განაპირობებს ჩვენს ქვეყანაში დაუმთავრებელ მშენებლობათა რაოდენობრივ ზრდას, რაც საკმაოდ თვალშისაცემია და რის გამოც არა მარტო მახინჯდება საქართველოს ქალაქების ლანდშაპტური პეიზაჟი, არამედ იგი სერიოზულ პრობლემებს ქმნის ქალაქებში სასიცოცხლო გარემოს უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის თვალსაზრისითაც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სამშენებლო ბიზნესის ევროინტეგრაციაში ხელშემწყობ ფაქტორად ჩამოყალიბება უნდა დავიწყოთ ამჟამად სამოქალაქო ობიექტების მშენებლობაში სამშენებლო ბიზნესისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ თავისი ზეგავლენა მოახდინა, ერთი მხრივ, უძრავი ქონების ბაზრის ფორმირებაზე და, მეორე მხრივ, საიპოთეკო საფინანსო მექანიზმების დინამიკაზე. შესაბამისად, აღნიშნული მდგომარეობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა სპეციალისტებისათვის და მათ დაიწყეს დეველოპერულ კომპანიათა მხილება «ჰაერით ვაჭრობაში». ეს პროცესი საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა. მოგვიანებით, საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, რის შედეგადაც ეგრეთწოდებული «შავი კარკასის» რეალიზაცია შეუძლებელი გახდა (რადგანაც ასეთ «პროდუქტს» არ ატარებდნენ რეესტრში და მისი საკუთრებრივ-ქონებრივი ტიტულირება არ ხდებოდა) ცოტა შეამცირა ამ სფეროში ფინანსური მენეჯმენტის დამაბულობები. მიუხედავად ამისა, დღესაც მნიშვნელოვანია აღნიშნული პრობლემა და სამშენებლო ფირმები ხშირად მიმართავენ ფინანსური პირამიდების აგების პრინციპს, რასაც საკუთარი საფუძველი ბანკების მხარდაჭერის გარეშე არ გააჩნია. მეტიც, ამგვარი პირამიდები ხუხულასავით იშლებიან, რადგანაც მათ უკან დგას მოსალოდნელი მატერიალური ფასეულობები და არარეალური კაპიტალი. მრავალი ასეთი პირამიდის მოშლისა და მრავალი მოქალაქის დანაზოგების უყიარათო გამოყენების მოწმე გახდა ჩვენი სამეურნეო პრაქტიკა ბოლო წლებში, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ის, რაც წინ გველოდება, რადგანაც მიგვაჩნია, რომ რიგი სამშენებლო-დეველოპერული კომპანიების გაკოტრება გარდაუვალია.

მთავარი მიზეზი სამშენებლო ბიზნესში «პირამიდალური» საქმიანობისა არის ის ძველი კორუფციული სქემა, რომელსაც მშენებლები ფართოდ იყენებდნენ სსრკ-ის ეკონომიკაში. სქემა მარტივია. სამშენებლო კოოპერატივი იწყებს მშენებლობას და ბინათმშენებლობის საჭიროებისათვის იზიდავს მოსახლეობის დანაზოგებს, რომელიც მიმართულია საერთო კოოპერატიული სარგებლობისათვის. დანაზოგების მესაკუთრე ხდება კოოპერატივის წევრი და ერთი თვალის გადავლევით ყველაფერი კანონიერების ფარგლებში ექცევა. თუმცა აქ მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ახალ გარემოებაზე, რომლის მიხედვითაც კოოპერატივს ეძლევა საშუალება შეიძინოს ახალი სამშენებლო პოლიგონი შედარებით ხელსაყრელ ფასებში და ამისათვის გამოიყენოს კოოპერატივის კუთვნილი სახსრები. შემდეგ დგება მომენტი, როდესაც კოოპერატივი ვეღარ იღებს ახალ წევრებს, ე.ი მობილიზაციას ვეღარ უწყევს ახალ ფულად სახსრებს და მშენებლობა ჩერდება გაურკვეველი დროით.

ამ მექანიზმს ხშირად მიმართავდნენ სსრკ-ში მშენებლები, როდესაც ერთი დაუმთავრებელი მშენებლობისათვის გამოყოფილ სახსრებს ახალი ობიექტის ნულოვანი ციკლისათვის იყენებდნენ, ხოლო შემდეგ დაწყებული სამუშაოების დასამთავრებლად საგეგმო ორგანოებისაგან იღებდნენ ახალი დაფინანსების ლიმიტებს. ასეთმა მექანიზმმა მიიყვანა საქართველოში ბინათმშენებლობა უაზრობამდე. კერძოდ, თბილისი და ზოგიერთი სხვა ქალაქი «გაივსო» ახალი დაუმთავრებელი, ან დამთავრებული, მაგრამ აუთვისებელი ნაგებობებით.

ეს ძველი კორუფციული «სქემა» ნაკლოვანია საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების თვალსაზრისითაც, რადგანაც სამშენებლო კომპანიის მიერ მოზიდული ინვესტიცია თავისი შინაარსით არის ფიზიკური პირის ფულადი დანაზოგი და ბიზნესში მონაწილეობს, როგორც საპაიო შენატანი. შესაბამისად ამ თანხის განკარგვის შესაძლებლობები რეგულირდება კანონმდებლობით. გამოდის, რომ საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც:

უკავშირდება მოსახლეობის დანაზოგთა უყაირათო და არამიზნობრივ გამოყენებას;

ქალაქმშენებლობაში ქმნის პრობლემებს, რაც მოქალაქეთათვის საცხოვრებელი ფართობის ხელმიუწვდომლობაში გამოიხატება;

ქმნის ანტისანიტარულ და სიცოცხლისათვის საშიშ სივრცობრივ გარემოს.

ყველა ეს მახასიათებელი არსებითად უშლის ხელს ეკონომიკას ევროპულ არეალში ინტეგრაციის საქმეში და სვამს პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაც საშური და მნიშვნელოვანი საქმეა.

4. მშენებლობაში ევროპული გამოცდილების გაზიარების აუცილებლობა

ევროპაში დიდი ხანია მშენებლობა მოქცეულია კანონიერების მკაცრ და ეფექტურ ჩარჩოებში. ევროპული კანონმდებლობა ემყარება დემოკრატიული განვითარების პრინციპებს და ადმინისტრირებაში ფართოდ იყენებს, როგორც დისციპლინარულ (პროექტების შეთანხმება, მშენებლობის სამოქალაქო პირობების დაცვა, მოზიდული ფულადი სახსრების დაცულობა და ა.შ), ასევე კონტროლის (წინასწარშეთანხმებათა დარღვევის გამოვლენა და აღკვეთა) მექანიზმებს.

ამოსავალი სამშენებლო ბიზნესის განვითარებაში არის მისი, როგორც ტიპური ინდუსტრიული საქმიანობის გააზრება, რომლის მზაპროდუქტს აშენებული ნაგებობები წარმოადგენს. მშენებლობა საკმაოდ რთული ტექნოლოგიური პროცესია და თავის თავში მოიცავს არქიტექტურის, ქალაქგეგმარების, საქალაქო დიზაინის, საშენ მასალათა და კონსტრუქციების წარმოების საკითხთა ერთობლიობას. საქმიანობის სფეციფიკიდან გამომდინარე სამშენებლო კომპანიებს თანამშრომლობა უწევთ როგორც სახელმწიფო, ასევე ქალაქების თვითმართველი ხელისუფლების ორგანოებთან, რის შედეგადაც ყალიბდება საქმიანობის ისეთი მექანიზმი, რომელიც, ერთი მხრივ, საშუალებას აძლევს სამშენებლო კომპანიებს მოგების მიღების თვალსაზრისით თავისუფლად იფუნქციონირონ თავისუფალ საბაზრო პირობებში, მეორე მხრივ, კი ავალდებულებს მათ წინასწარ შეთანხმებულ ვადებში შეასრულონ მომხმარებლების წინაშე აღებული ვალდებულებები. სამშენებლო კომპანიათა

წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია თვით კომპანიებს ჰქონდეთ თანამედროვე მენეჯმენტი და ამავდროულად არსებობდეს ისეთი ნორმატიული გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზაციათა სწორ ფუნქციონირებას.

სამშენებლო-დეველოპერულ საქმიანობას ევროკავშირში აქვს თავისი ზოგადი მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც შინაარსობრივად სარეკომენდაციო ხასიათს ატარებენ. ევროკავშირის ქვეყნებში კი მუშავდება ღონისძიებათა მთელი სისტემა ამ დარგის განვითარებისათვის. მაგალითად, შვეიცარიაში სამშენებლო ფორმები მუშაობენ ბანკებთან მჭიდრო კავშირში და კლიენტის მოთხოვნათა საფუძველზე, აქ მესაკუთრე-მშენებელი-ბანკის მკაფიოდ გამოხატულ სამკუთხედთან გვაქვს საქმე. დიდ ბრიტანეთში სამშენებლო ორგანიზაციები აღჭურვილნი არიან დამატებითი უფლებებით, რომელთა ერთიანობაც მათ სადეპოზიტო-საფინანსო დაწესებულებათა სტატუსს ანიჭებს. როგორც შვეიცარული, ასევე ბრიტანული სისტემა მკაფიოდაა ორიენტირებული მშენებლობის საბოლოო პროდუქტის მომხმარებლის ინტერესების დაცვაზე. საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე დაუშვებელია მოსახლეობის დანაზოგების, ანუ ქვეყნის მთავარი საინვესტიციო რესურსის უყარათო გამოყენება და მშენებელთა მიზეზით მომხმარებელთა საცხოვრებელი პირობების გაუარესება. ეს პრობლემა სახელმწიფოებრიობის განმტკიცებასა და ქვეყნებში ერთიანი სოციალური პირობების ჩამოყალიბებას უკავშირდება. ამიტომ, გასაგებია სახელმწიფოებრივი ზრუნვა მშენებლობის და განსაკუთრებით ბინათ-მშენებლობის პროცესის რეგულირებასა და ოპტიმიზაციაზე. მიუხედავად ამისა, ბევრ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-იც დაშვებული იყო მთელი რიგი შეცდომებისა საბინაო მშენებლობის ფინანსირების საკითხში, რამაც მძლავრი იპოთეკური კრიზისი გამოიწვია 2006-2007 წლებში. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სწორედ აღნიშნული იპოთეკური კრიზისი გახდა მიზეზი (აღმძვრელი, დეტონატორი) მსოფლიო ფინანსური კრიზისისა. ამ პრობლემის ჭეშმარიტება სადავოა, მაგრამ მისი მნიშვნელობა ცხადია. ასევე ცხადია ის გარემოება, რომ სამშენებლო კორპორაციებსა და ბანკებს შორის ძველი საიმედო სამეურნეო კავშირები მოიშალა. დამოკიდებულება მშენებლებსა და ბანკებს შორის გახდა კონკურენტული, საბოლოო შედეგში გამოხატული, მოგების მიღების მიზნით. პარტნიორულ ურთიერთობებს ჩაენაცვლა კონკურენტული, ანტაგონისტური დამოკიდებულებები. ამ პრობლემაზე მსჯელობდნენ ქართველი სპეციალისტებიც. ისინი ბანკების მომგებიანობაზე გადაჭარბებულ ორიენტაციას აკრიტიკებდნენ და მათ საქართველოში სამშენებლო კრიზისის მონაწილეებად მიიჩნევდნენ. რა თქმა უნდა ბანკები ამ შენიშვნას არ იღებდნენ და სამშენებლო კომპანიებს მიუთითებდნენ მიზეზები საკუთარი საქმიანობის არასწორ ფინანსურ და მართველობით მიდგომებში ეძებნათ.

იმისათვის რომ გავერკვეთ, თუ რა შინაგანი მიზეზები არსებობდა საქართველოში სამშენებლო კრიზისის გამოწვევისათვის, განვიხილოთ მშენებლობის გამარტივებული სქემა. ბანკები სამშენებლო კომპანიებს აკრედიტებენ მათ საკუთრებაში არსებული სამშენებლო ობიექტების გარანტიით და არა როგორც საწარმოო ერთეულებს. შესაბამისად, კრედიტი გამოდის ძვირი და გადაუხდელობის შემთხვევაში ბანკები ხელთ იგდებენ გაცემული კრედიტის სანაცვლოდ სამჯერ და მეტჯერ მაღალი ღირებულების, ნაკლებად ლიკვიდურ ქონებას, რაც მათთვის საკმაოდ მომგებიანია. ბანკებსა და სამშენებლო კორპორაციებს შორის ამგვარი ურთიერთობები სხვა ქვეყნებშიც არსებობს და ყველგან პრობლემის ცენტრალურ რგოლს წარმოადგენს.

ამკარაა, რომ საკითხი პრინციპულად გადასაჭრელია და არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფილაქტიკური ღონისძიებებით. ამ თვალსაზრისით საინტერესოდ მიგვაჩნია ბრიტანეთის გამოცდილება, სადაც სამშენებლო კომპანიები მცირე დანაზოგთა პატრონებისა და კერძო მსესხებლებისათვის უმნიშვნელოდ თუ განსხვავდებიან ბანკებისაგან. კერძოდ, 1986 წელს მიღებული კანონის საფუძველზე სამშენებლო ორგანიზაციებში იხსნება საპაიო, ან სადეპოზიტო ანგარიშები, რაც მშენებლობაში მოსახლეობის დანაზოგების მოზიდვასა და მათ მომგებიანობას უზრუნველყოფს. მეტიც, სამშენებლო საზოგადოებებს აქვთ უფლება მოსახლეობას შესთავაზონ საბანკო მომსახურების მთელი სპექტრი, მათ შორის სესხები უზრუნველყოფის გარეშე. გამოდის, რომ მოცემული კანონმდებლობა საშუალებას აძლევს სამშენებლო კომპანიებს აღარ იყონ მიბმულები საიპოთეკო კრედიტთან.

როგორც ვხედავთ, სამშენებლო ბიზნესში მესაკუთრეებსა და საკუთრივ მშენებელ სუბიექტებს შორის გაჩნდა სამშენებლო საზოგადოებები, რომლებიც ჩვეულებრივ სამშენებლო ამხანაგობებიდან ამოიზარდა და შეიძინა ცალკეული საბანკო ფუნქციები. ეს გამოცდილება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ამგვარი საკრედიტო დაწესებულებები, რომელთა საქმიანობაც მხოლოდ სამშენებლო ბიზნესს უკავშირდება მუნიციპალური ფინანსების მხრიდან გარკვეულ მხარდაჭერას იღებენ და პრაქტიკულად წყვეტენ მოსახლეობის დანაზოგებისადმი საზოგადოებრივი მზრუნველობისა და მოქალაქეთათვის ხელმისაწვდომი ბინათმშენებლობის პრობლემებს. მიგვაჩნია, რომ თუ საქართველოში სამშენებლო ბიზნესისადმი გაჩნდება სახელმწიფოებრივი ყურადღება, შემუშავდება ამ ბიზნესში ადგილობრივი ფინანსებისა და მოსახლეობის დანაზოგების მოზიდვის დაცული სისტემა, მშენებლობა კვლავ დაიძვრება და გახდება ეკონომიკური ზრდის საფუძველი. აუცილებელი არ არის ბრიტანელთა გამოცდილების პირდაპირი გადმოტანა. მთავარია განხორციელდეს მოზიდული ფინანსური რესურსის დაცვის ღონისძიებები. ეს კი სხვა მექანიზმებითაც შეიძლება განხორციელდეს.

5. სამშენებლო ბიზნესის გაჯანსაღების ღონისძიებები საქართველოში

საქართველოში ამჟამად არ არსებობს შესაძლებლობები შეიქმნას ბრიტანული ტიპის სამშენებლო საზოგადოებები, რომლებიც ერთდროულად შეძლებენ მშენებლობის სფეროს ფინანსურად უზრუნველყოფას და მომხმარებელთა დანაზოგების დაცულობას. მიუხედავად ამისა, უნდა გავითვალისწინოთ ევროპული გამოცდილება და ახალმშენებარე საცხოვრებელი სახლები გავათავისუფლოთ იპოთეკური დაკრედიტებისაგან. ამ სივრცეში კრედიტებს უნდა ქონდეთ საწარმოო პროცესების დაკრედიტების სახე და მათი დაბრუნებადობა უნდა უკავშირდებოდეს სამშენებლო პროდუქტის რეალიზაციის პირობებს. გარდა ამისა, სამშენებლო ორგანიზაციებში მოზიდულ მოსახლეობის დანაზოგებს უნდა ქონდეთ ლიკვიდობის მტკიცე გარანტია. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბანკებსა და სამშენებლო კომპანიებს შორის ჩამოყალიბდება არსებითი მტკიცე პარტნიორული ურთიერთობები. კერძოდ, ბანკები იქნებიან სამშენებლო კორპორაციათა ისეთი

პარტნიორები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის დანაზოგთა მიზნობრიობის გარანტიებს.

როგორც აღვნიშნეთ, მშენებლობის ბიზნესის მდგომარეობის გაუმჯობესება, რომელიც დაკავშირებულია მშენებლობაში მოსახლეობის დანაზოგების მობილიზაციასთან, სამშენებლო კორპორაციების ბანკებთან პარტნიორული თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ სამშენებლო დაწესებულებების ფინანსური და მართვითი საკითხებისადმი მიდგომა მოითხოვს არსებით ცვლილებებს. სამშენებლო კორპორაციებში შესაძლებელია გაწევრიანდნენ ახალი პირები, რომელთა ერთი ნაწილი დაინტერესებული იქნება საკუთარი ბინათმშენებლობით, ხოლო მეორე ნაწილი – ფულის დაბანდებით, მომავალი სარგებლის მიღების მიზნით. აქედან გამომდინარე, თითოეული მათგანის ფულადი შენატანი უნდა განთავსდეს შესაბამის ანგარიშებზე მკაცრად პერსონიზებულად (მსგავსად ჟირო ანგარიშებისა), როგორც დეპოზიტები ან, როგორც საპაიო შენატანები. რაც შეეხება საბანკო კაპიტალს, ის მშენებლობაში უნდა მონაწილეობდეს კომპანიებისათვის გამოყოფილი მიმდინარე საწარმოო სესხების ფორმით და არა, როგორც საიპოთეკო კრედიტები.

სამშენებლო ბიზნესის, როგორც ინდუსტრიული პროცესის მაკროეკონომიკური, სისტემური გააზრება მნიშვნელოვანია იმისათვისაც, რომ ერთმანეთს პრინციპულად გაემიჯნება უძრავი ქონების ბაზარი განვითარების საკუთარი ტენდენციებით და სამშენებლო-დეველოპერული საქმიანობა. საბოლოო ჯამში მივიღებთ ისეთ დამოკიდებულებებს საქართველოს ბაზარზე, სადაც საწარმო პროცესებისა და საბოლოო პროდუქტების შეფასება და მათი მოძრაობის ფინანსური მექანიზმები ცივილიზებულ, ევროპულ სტანდარტებში მოექცევა. ამასთან ერთად, უფრო მკაფიო და გამოკვეთილი გახდება მესაკუთრეთა, მენეჯერთა და პოლიტიკას შორის პასუხისმგებლობები სამშენებლო სფეროში და უძრავი ქონების (მიწის ჩათვლით), ვაჭრობის ბიზნესში. ჩვენ ღრმადდა ახალ საფუძველზე ბიზნესის წარმოება პირველ რიგში უკავშირდება მშენებლობის, როგორც პროცესის ინდუსტრიულ საქმიანობად წარმოჩენას და მის ნორმატულად განსაზღვრას.

სამშენებლო ბიზნესის განვითარებაში მნიშვნელოვანია კიდევ ერთი მახასიათებელი. ესაა ქვეყანაში ადგილობრივი თვითმართველობითი პროცესების ორგანიზაცია და მისი საკანონმდებლო ბაზის დაბალი განვითარებულობა. ქვეყანაში, სადაც არ არსებობს ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების რაიმე რეალური წყარო და მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტირება დამოკიდებულია ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერებზე, სადაც ადგილობრივ თვითმართველ ორგანოებს არ გააჩნიათ საკუთრება და მიმდინარე სამეურნეო პროცესებში აქტიური ჩარევის ლეგიტიმური ბაზა, ძნელია ილაპარაკო ჯანსაღ სამშენებლო პოლიტიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო პროცესი არის ინდუსტრიული საქმიანობის ნაირსახეობა, მისი სპეციფიკურობა იმაში გამოიხატება, რომ წარმოებული პროდუქტი მიმაგრებულია მოცემულ ადგილსა და სოციალური გარემოსადმი. შესაბამისად, სამშენებლო ადგილის შერჩევა და მასზე წარმოებული სამუშაო პროცესის (დაწყებული ნაგებობის პროექტირებიდან, დამთავრებული საბოლოო პროდუქტამდე) მენეჯმენტის მარეგულირებელი ნორმები მჭიდროდ უკავშირდება დასახლებული სოციალური ერთეულების განვითარების პრობლემებს. ამიტომ, ადგილობრივი ხელისუფლების ადგილი და როლი მკაფიოდ უნდა იქნას

განსაზღვრული სამშენებლო ბიზნესის განვითარების კანონზომიერებათა შესწავლისას. ადგილობრივი თვითმართველი ორგანოების ეკონომიკურ პროცესებში შემოქმედებითი მარეგულირებელი მონაწილეობა სამშენებლო ბიზნესის განვითარების სხვა შესაძლებლობებსაც ქმნის. კერძოდ, შესაძლებელია ავამოქმედოთ ადგილობრივ ბიუჯეტებზე დაყრდნობით წარმოებული საფინანსო ინსტრუმენტები, ობლიგაციები, სასესხო ვალდებულებები და ა.შ. რომლებიც საინვესტიციო გარემოს უფრო სანდოსა და პასუხისმგებლურს გახდის. ისტორიულად ამის კარგი მაგალითია გასულ საუკუნეში ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით ქალაქ ფოთში მიმდინარე აღმშენებლობითი პროცესები. მიგვაჩნია, რომ სანამ არ შეიქმნება ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების საკუთარი წყაროები და ადგილობრივ თვითმართველ ორგანოებს არ გაუჩნდებათ საკუთრად, ცენტრალური ხელისუფლების გარეშე განსაკარგი ქონება, მანამ შეუძლებელი იქნება ადგილებზე სამოქალაქო მშენებლობების რაიმე ერთიანი პრინციპებით ორგანიზება. ამის თქმის უფლებას გვაძებს ის გარემოება, რომ პროფესორ ნ. ცანავას მონაცემებით საქართველოში ამჟამად ადგილობრივი ბიუჯეტების ჯამური ხვედრითი წილი მთელს საბიუჯეტო ასიგნებებში მხოლოდ 15 პროცენტს შეადგენს, ესეც იმიტომ, რომ ქალაქ თბილისს ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოეყოფა მნიშვნელოვანი გამოთანაბრებითი ტრანსფერი. თბილისის გარეშე კი დანარჩენი საქართველოს ყველა რაიონის ბიუჯეტების ჯამი მხოლოდ მთელი საბიუჯეტო რესურსის 4 პროცენტს შეადგენს. ამგვარად არ არსებობს ადგილობრივი ფინანსური სისტემა და შესაბამისად ადგილებზე, როგორც მშენებლობის, აგრეთვე სხვა დარგების მხარდაჭერის მუნიციპალური მექანიზმების შემუშავება შეუძლებელი ხდება.

ამჟამად საქართველოში არსებული დაფინანსების მექანიზმები სამშენებლო ბიზნესის განვითარებას მხარს სათანადოდ ვერ უჭერს. უფრო მეტიც, ქვეყნის პოპულარული სამშენებლო კომპანიები, რომელთა რეკლამაც აგერ უკვე ათი წელია ელექტრონული მედიის საშუალებით ნაცნობია საქართველოს ყველა მოქალაქისათვის, გაკოტრების წინაშე დგას, თუ დეფაქტო უკვე არ გაკოტრებულა. მათი გაკოტრების პროცედურები «არ დაწყებულა», რადგანაც იგი უკავშირდება მოსალოდნელ რთულ საზოგადოებრივ რეზონანსს. ცხადია, რომ სამშენებლო კომპანიათა კრახს რთულად შეხვდება მოსახლეობის ის ფენები, რომელთა დანაზოგებიც ინვესტირებულია აღნიშნულ კომპანიათა დაუმთავრებელ მშენებლობებში.

სამშენებლო ბიზნესში შექმნილი მდგომარეობა მიგვანიშნებს საქართველოს ეკონომიკაში ახალი კრიზისული ტალღის დასაწყისზე, იმ კრიზისულ მოვლენებზე, რომლებსაც საკუთრივ ქართული წარმომავლობა აქვთ და მათი ცუდი სამეურნეო მდგომარეობა არ არის ინსპირირებული მსოფლიო ფინანსური კრიზისით. სამშენებლო სფერო, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი ფაქტორია საერთოდ ქვეყნის მაკროეკონომიკური დინამიზმის უზრუნველსაყოფად. იგი მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ ქვეყნის ეკონომიკის ამ სეგმენტში ხდება გადაკვეთა ქვეყნის მეურნეობაში ცალკეული სუბიექტების საინვესტიციო საქმიანობისა და საინვესტიციო საქმიანობის მაკროეკონომიკური პროცესებისა. ამ თვალსაზრისით ნებისმიერ ქვეყანაში სამშენებლო საქმიანობა არის ცალკეულ ინვესტორთა ინტერესებსა და საერთო მაკროეკონომიკურ კანონზომიერებებს შორის პროპორციული დამოკიდებულების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ქმედითი სფერო.

შესაბამისად, სამშენებლო ბიზნესისათვის რაციონალური პირობების ჩამოყალიბება ქვეყნის განვითარების ფუნდამენტალური ფაქტორია. ამიტომ ცხადია, რომ სამშენებლო ბიზნესისათვის სახელმწიფოებრივი ზრუნვა ამავე დროს ქვეყანაში კრიზისის საწინააღმდეგო ფაქტორადაც გვევლინება.


არ გვინდა ნაშრომი დავასრულოთ ქვეყანაში მოსალოდენელი ეკონომიკური კრიზისის წინასწარმეტყველებით. გვჯერა, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ვიპოვით მხოლოდ გლობალური პროცესების გათვალისწინების შემთხვევაში, ევროკავშირის ქვეყნებისა და სხვა მეგობარი სახელმწიფოების დახმარებით. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ თუ ჩვენ თვითონ არ მივიღებთ სწორ გადაწყვეტილებებს, ჩვენ თვითონ არ გავხდებით ჩვენს სამეურნეო საქმიანობაში ახალი ევროპული მექანიზმების დანერგვის ავტორები, ძალიან გაგვიჭირდება ეკონომიკურ აღმასვლაზე ლაპარაკი. ეს ყველაფერი კი საშურია ამჟამად იმიტომაც, რომ ევროპა საკუთარი პრობლემების წინაშე დგას. ევროპაში იქნება ერთიანი ევროპული ეკონომიკური ხელისუფლება (მთავრობა), რომელიც სამომავლოდ ევროკავშირში შემავალი ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საერთო კორდინატორი გახდება. ე.ი ევროპული თანამშრომლობის ამოსავალი იქნება არა მზა პროდუქციით ვაჭრობა, არამედ ეკონომიკურ მიზანდასახულობათა შეჯერება, რის საფუძველზეც შეიქმნება ერთიანი, ევროპული ეკონომიკური პოლიტიკა. ევროპელთა ასეთი მტკიცე ნაბიჯებით სვლა ერთიანობისაკენ კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის მას სხვა სახელმწიფოებისათვის. კერძოდ, საქართველოს სხვა გზა არ აქვს. იგი ევროპის ნაწილია კულტურით და მოქალაქეობრივი მრწამსით. მისი ნებისმიერი ნაბიჯი ევროპისკენ უნდა იყოს მიმართული. რა თქმა უნდა საქართველოს სწრაფვა ევროკავშირისაკენ არ გამორიცხავს მის ეკონომიკურ ინტეგრაციას კავკასიის მასშტაბით, მის ადაპტაციას ახლო აღმოსავლეთისა და რუსეთი ბაზრებზე, მაგრამ ორიენტირი ევროპაა და ევროპისაკენ სვლას უნდა დავუქვემდებაროთ ქვეყნის მთელი ეკონომიკური პოტენციალი.

გრაფიკი №1

1. აქ და შემდგომში მოყვანილი გრაფიკები და დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე


წყარო: www.geostat.ge

საშენიანო სამუშაოთა მოცულობის დინამიკა 1996-2009 წლებში




გრაფიკი №2

შენიშნულზე ზანხორციელებული კაპიტალური მშენებლობები 1996-2008 წლებში



დიაგრამა №1



დავით იაკობიძე, პროფესორი
 ნინო ლომიძე, დოქტორანტი

სამშენებლო ბიზნესის განვითარების ხელისშემწყობი ფაქტორების სრულყოფის მიმართულებები საქართველოში

ნაშრომში განხილულია საქართველოში სამშენებლო ბიზნესის დღევანდელი მდგომარეობა და განვითარების შესაძლებლობები საერთო ევროპულ ნიადაგზე. ყურადღება გამახვილებულია: მოწინავე ევროპული გამოცდილების, კერძოდ, ინგლისის სამშენებლო ბიზნესში ფინანსირების მართვის გამოცდილების ქართულ რეალობაში ადაპტაციის, საუკეთესო პრაქტიკისა და ახალი პირობების ურთიერთშეჯერების მექანიზმების ფორმირების საკითხებზე.

Давид Иакобидзе, Профессор
Нино Ломидзе, Докторант

**Улучшение тенденции совершенствования факторов развития
строительного бизнеса в Грузии**

В статье рассматривается нынешнее состояние строительного бизнеса в Грузии и возможности его развития на общей Европейской почве.

Особое внимание уделяется передовому европейскому опыту, в частности опыту вопросов управления финансирования в строительном бизнесе Англии и адаптации лучшей практики в действительности Грузии.

David Iakobidze, Full Professor
Nino Lomidze, PHD student

Enhancing completing factors of construction business in Georgia

The article deals with the current state of the construction business and its development opportunities due to European base in Georgia.

The paper highlights significant issues: The experience of leading European countries (Great Britain) in construction business, concerning the financing management issues and importance of this experience to be adopted in Georgian reality. As well as to combine this excellent experience and new proposals for the future development to solve the financing problems in construction industry.

*ბესიკ ალადაშვილი, პროფესორი
ხათუნა ბარათაშვილი, დოქტორანტი*

რა პოტენციური ეკონომიკური საფრთხის შემცველია თავისუფალი ინდუსტრიული ზონები?

გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო ეკონომიკური განვითარების საფუძველი განსაკუთრებით ინტერნაციონალური (კოსმოპოლიტური) გახდა, რომლის ფუნქციონირებასაც, შეიძლება ითქვას, არარეგულირებადი და ხშირად უმართავი საბაზრო ძალები განსაზღვრავს. გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა გვიჩვენა, რომ მსოფლიო გლობალური სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბაზრები რაიმე ხელშესახებ რეგულირებას ფაქტიურად უკვე აღარ ექვემდებარებიან.

გლობალიზაცია წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკათა ინტეგრაციის ურთულეს პროცესს, სადაც აქტიურად არიან ჩართულნი ქვეყნები, ორგანიზაციები და ადამიანები. ეკონომიკური გლობალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, ხორციელდება მრავალმხრივი და სულ უფრო მზარდი სავაჭრო და საფინანსო ნაკადების მეშვეობით. ვლენდობთ მსოფლიო კულტურების, ნაციონალური ეკონომიკისა და პოლიტიკური ინფრასტრუქტურების მზარდ ინტეგრაციას, რის შედეგადაც ეროვნული კულტურების, ეროვნული ეკონომიკური სისტემებისა და თავად სახელმწიფოების გამყოფი საზღვრები ფაქტიურად ქრება.

უნდა ვაღიაროთ, რომ გლობალიზაციის შედეგად მთელი რიგი ახალი საფრთხეები წარმოშვა: ეკონომიკური უთანასწორობა, ეკონომიკური არასტაბილურობა, სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბაზრების სულ უფრო მზარდი დამოკიდებულება გეოპოლიტიკური ფაქტორებისადმი; სამუშაო ძალის მზარდი ლეგალური და არალეგალური მიგრაცია, ორგანიზებული დანაშაული, «კორპორატიული თაღლითობა» («ენრონისა» და «მედოფის» საფინანსო თაღლითობების მაგალითზე) და ა. შ. ამ კუთხით გლობალიზაცია დიდ საფრთხეს უქმნის არა მარტო საერთაშორისო ეკონომიკურ უსაფრთხოებას, არამედ აძლიერებს და ართულებს ეროვნული და საერთაშორისო ინფრასტრუქტურების ურთიერთდამოკიდებულებას. ხშირად გლობალიზაცია სპეკულანტებსა და «ჰაკერებს» უადვილებს თავდასხმას მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკურ სისტემებზე.

საყურადღებოა, რომ გლობალურ მსოფლიოში ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა განპირობებულია შემდეგი ძირითადი ფაქტორებით:

ა. სხვადასხვა ქვეყნების, ხშირად პოლიტიკური მოკავშირეების (მაგალითად, ევროკავშირი – აშშ – იაპონია, ჩინეთი – რუსეთი) ეროვნული ინტერესებისა და მიზნების დაპირისპირებით, რაც ძირითადად საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ინტეგრაციით, ინტერნაციონალიზაციითა და ეროვნული ეკონომიკური

მეურნეობების სულ უფრო მზარდი გლობალური ურთიერთდამოკიდებულებითაა განპირობებული;

ბ. სტრატეგიული რესურსების არათანაბარი განაწილების გამო, მათი მოპოვების, ტრანსპორტირებისა და მოხმარებისას წარმოქმნილი დაპირისპირება. ზოგიერთი ქვეყანა ცდილობს სტრატეგიული რესურსები და მათი ტრანსპორტირების არხები პოლიტიკურ ბერკეტად გამოიყენოს;

გ. გასაღების ბაზრების ხელში ჩასაგდებად მიმდინარე სულ უფრო მზარდი კონკურენტული ბრძოლით;

დ. ეკონომიკური კეთილდღეობის უთანაბრობის ნიადაგზე ცივილიზაციათა შორის დაპირისპირებით (ე.წ. «ჩრდილოეთი – სამხრეთის» პრობლემა);

ე. სარწმუნოებრივი უთანხმოების გაღვივების შედეგად ე.წ. «აღმოსავლეთ – დასავლეთის» და პირისპირებით.

ვ. საერთაშორისო ბაზრების (საფონდო, სავალუტო და სასაქონლო) სულ უფრო მზარდი დომინანტობით ეროვნულ-სახელმწიფო რეგულირების პრინციპებზე.

გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს «თვითრეგულირებადი» საბაზრო მექანიზმებისა და საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტების ეფექტიანობის შესუსტებით, რის გამოც ისინი ვერ უზრუნველყოფენ ცალკეული ქვეყნების ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების აუცილებელ დონეს.

ზ. ტრანსნაციონალური კორპორაციების ფორმირებით. მათი ძირითადი პრინციპი კოსმოპოლიტიზმია. ისინი ფაქტიურად ეროვნული სახელმწიფოების კონტროლს აღარ ემორჩილებიან და ძირითადად საკუთარ კორპორატიულ ინტერესებს იცავენ.

აღსანიშნავია, რომ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების საექსპორტო პროდუქციას ნედლეული, შრომატევადი და სასოფლო-სამეურნეო საქონელი, აგრეთვე ტრანსეროვნული კორპორაციების ფილიალების მიერ შექმნილი საექსპორტო პროდუქცია

წარმოადგენს, რომელიც სუსტად არის დაკავშირებული ეროვნული ეკონომიკის სხვა დარგებთან.

არსებულ პირობებში, როდესაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ძირითადად უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზეა დამოკიდებული, ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ეკონომიკური, (მ.შ. ინდუსტრიული) ზონების შექმნა და განვითარება.

საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში გარდაუვალი ჩართვა საჭიროებს ახალი და თანამედროვე ეკონომიკური უსაფრთხოების ბერკეტების ძიებას და დანერგვას.

წლების წინ ჩვენში დამკვიდრდა ტერმინები – «თავისუფალი ეკონომიკური ზონები» და «თავისუფალი ინდუსტრიული ზონები». მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში სიტყვა «თავისუფალი» სათანადოდ ვერ ასახავს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის ამ მნიშვნელოვანი ფორმის მთელ სპეციფიკას.

ჩვენი აზრით, უფრო მართებულია ტერმინის «განსაკუთრებული (ან სპეციალური) ეკონომიკური ზონა» - გამოყენება, რადგანაც გ ე ზ არის ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ამ ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიისაგან განსხვავებული, *განსაკუთრებული* ეკონომიკური, საკანონმდებლო

და სოციალური რეჟიმი. ამგვარად, «ზონებში» მოქმედებს არა «თავისუფალი», არამედ «განსაკუთრებული» რეჟიმი უცხოელი ინვესტორების მოსაზიდად. ამასთან ერთად, არსებობს გ ე ზ ერთ-ერთი სახეობა, ე.წ. «თავისუფალი ვაჭრობის ზონები», ამ შემთხვევაში ეს ტერმინი უფრო ზუსტად ასახავს თავისუფალი ვაჭრობის, როგორც ეკონომიკური საქმიანობის შინაარსს. ამ ტერმინების მართებული განმარტება – დეფინიცია, არა მხოლოდ ენათმეცნიერებისთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ დიდი შინაარსობრივი დატვირთვაც აქვს.

ეკონომიკური გლობალიზაცია და გ ე ზ

ეკონომიკური გლობალიზაციის განვითარების და საერთაშორისო კონკურენციის გამძაფრების პირობებში გ ე ზ წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვან წყაროს, საექსპორტო პოტენციალის განმტკიცების საშუალებას და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების ერთ-ერთ მთავარ გზას.

ჩვენი აზრით გ ე ზ არის ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, რომლის ფარგლებში მოქმედებს ამ ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიისაგან განსხვავებული განსაკუთრებული ეკონომიკური, საკანონმდებლო და სოციალური რეჟიმი, რის საშუალებითაც იქმნება ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეებისთვის პრეფერენციების ერთიანი სისტემა. ფაქტობრივად, «ზონა» არის სახელმწიფო სახელმწიფოში, თუმცა ადმინისტრაციულად იგი ექვემდებარება იმ ქვეყანას, რომელიც არის უცხოური ინვესტიციების ხელშეუხებლობის გარანტი და «ზონების» შექმნისათვის საბოლოო ნებართვის გამცემი. ამასთან ერთად, გ ე ზ ეს არის შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და კაპიტალის მოზიდვის მეტად ეფექტური ფორმა. ჩინეთის ყოფილი ლიდერის, დენ სიაოპინის სიტყვებით: განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა ეს არის ფართოდ გაღებული სარკმელი თანამედროვე ტექნოლოგიისა და მმართველობითი გამოცდილების მისაღებად, საბოლოოდ კი – ეკონომიკის მოდერნიზაციის პროგრამის განსახორციელებლად.

დღეისათვის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები ფართოდაა გავრცელებული ეკონომიკურად განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებშიც. ამჟამად მსოფლიოში ფუნქციონირებს 1000-ზე მეტი სხვადასხვა სახის გ ე ზ. ისინი ყველა კონტინენტზე ფუნქციონირებენ და ზოგჯერ ათასობით კვადრატულ კილომეტრ ფართობს იკავებენ. განვითარებულ ქვეყნებში დაახლოებით 300-მდე «ზონა» მოქმედებს, მათ შორის აშშ-ში - 145, ინგლისში - 25, შვეიცარიაში - 26, ესპანეთში - 22, იტალიაში - 11, საფრანგეთში - 10, ფინეთში - 7, გერმანიაში - 6, კანადაში - 3, იაპონიასა და ავსტრალიაში თითო-თითო. მსოფლიოს სხვა რეგიონებში ასეთი მდგომარეობაა: ლათინურ ამერიკაში მოქმედებს - 73, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში - 24, აფრიკაში - 22, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში კი - 17 ზონა.

21-ე საუკუნის დასაწყისისთვის მსოფლიო საქონელბრუნვის 30 პროცენტი გ ე ზ მოდიოდა, სადაც დასაქმებული იყო 40 მილიონზე მეტი ადამიანი. ამავე დროს, როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, გ ე ზ-ის შექმნა წარმოადგენს ხანგრძლივ და რთულ პროცესს. იმიტომ, რომ იგი დაკავშირებულია მთელი რიგი

სამართლებრივი, საფინანსო-საკრედიტო, საგადასახადო, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკოლოგიური, სოციალური და სხვა პრობლემების გადაჭრასთან.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ «ზონები» ეკონომიკის განკურნების პანაცეა არ არის და ამიტომაც ერთნაირი წარმატებით ვერ მოქმედებს ყველა ქვეყანაში. მაგალითად, რაიმე მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწიეს ინდოეთსა და მექსიკაში შექმნილმა «ზონებმა», სამაგიეროდ, «მსოფლიოს ოთხი დრაკონი» (სამხრეთ კორეა, ტაივანი, სინგაპური, ჰონგკონგი) «ზონებს» უნდა უმაღლოდეს იმ ეკონომიკურ სასწაულს, რომელიც მათ 1980-იან წლებში მოახდინეს.

მსოფლიოში გ ე ზ ფუნქციონირების ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითს წარმოადგენს დუბაიში გახსნილი «ჯებელ ალის თავისუფალი ზონა». ეს ზონა შექმნილია მსოფლიოს უმსხვილეს ხელოვნურ ნავსადგურში – სპარსეთის ყურის რეგიონში. ზონაში წარმოდგენილია საქმიანი აქტივობის მთელი სპექტრი წარმოებისა და მიმსახურების ჩათვლით, ხოლო საქონლის გასაღების ბაზარმა მოიცვა მთელი ახლო აღმოსავლეთი, აზიური სუბკონტინენტი, აფრიკა, ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკები, აღმოსავლეთი ევროპა. «ჯებელ-ალი»-ში მოქმედებს 58 ქვეყნის 700-მდე კომპანია 11 მილიარდი დოლარის ინვესტიციების საერთო მოცულობით. ყოველთვიურად ზონაში რეგისტრაციას გადის 15 კომპანია. კომპლექსში დასაქმებულია 3 ათასი კაცი. ნავსადგურის ახალი კომპლექსი მოიცავს 102 დიდი სიღრმის ნავმისადგომს. დუბაის მსოფლიოში მე-15 ადგილი უკავია საკონტეინერო ტვირთბრუნვის მიხედვით.

სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გ ე ზ წარმოადგენს ძლიერ იმპულსს ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიის სწრაფი განვითარებისათვის. განვითარებად ქვეყნებში შექმნილ «ზონებში» ცხოვრების დონე გაცილებით მაღალია, ამ ქვეყნის სხვა რაიონებთან შედარებით. ხელფასი, თუმცა, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით 10-20-ჯერ დაბალია, ამავე დროს, დანარჩენ ტერიტორიასთან შედარებით 2.5-3-ჯერ მეტია. ხელფასის ნაწილი (15-20 პროცენტი) კონვერტირებული ვალუტით გაიცემა. დიდი ხელფასის გამო მუშახელი ყოველთვის მისწრაფის ზონებში, სადაც ერთ სამუშაო ადგილზე 10-15 მსურველი მოდის, ამიტომ «ზონებში» სამუშაო ადგილების დაკომპლექტება მკაცრი კონკურსის საფუძველზე ხდება, არჩევენ მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის მუშაკებს.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება და გ ე ზ

საკამათო არ უნდა იყოს, რომ ნებისმიერი ეკონომიკური პროექტი, რომელშიც ჩვენი ქვეყანა მონაწილეობს ან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ხორციელდება, უნდა პასუხობდეს საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს და უზრუნველყოფდეს საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვას დროის ხანგრძლივი პერიოდისათვის. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა წარმოადგენს ქვეყნის მნიშვნელოვან სტრატეგიულ რესურსს და ქმნის ხელსაყრელ პირობებს საერთაშორისო საბაზრო სისტემაში ინტეგრირებისათვის. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა უპირველესად მიმართულ უნდა იქნეს ამ «გეოპოლიტიკური რესურსის» ეფექტიანი გამოყენების გზით მსოფლიო საბაზრო ურთიერთობებში ოპტიმალური

ინტეგრირების პირობების შესაქმნელად. ტერმინ «ოპტიმალური ინტეგრირების» მიღმა ჩვენ ვგულისხმობთ ეკონომიკურ გლობალიზაციაში აქტიური მონაწილეობის პირობებში ეროვნული ინტერესების მაქსიმალურ დაცვას და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

გეზ ამოქმედებით ხომ არ შეექმნება საფრთხე საქართველოს ეკონომიკას? აი ის ძირითადი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გავცეთ არა ეკონომიკური ეფექტიანობის კოსმოპოლიტური შესახედიდან, არამედ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესებიდან გამომდინარე. გეზ შესახებ მსჯელობა იმდენად აკადემიური (თეორიული) ხასიათის არ უნდა იყოს (გეზ შესახებ საკმაოდ სერიოზული სამეცნიერო გამოკვლევები უკვე არსებობს), რამდენადაც კონკრეტული, იმიტომ რომ საკითხი ეხება საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც დროულად უნდა გამოიკვეთოს ის პრობლემები, რომლებმაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას საქართველოს და უნდა დაისახოს მოქმედების კონკრეტული მიმართულებები მათ გადასაწყვეტად. აუცილებელია ამ პრობლემის ყოველგვარი პოლიტიკური საბურველისაგან გათავისუფლება და მხოლოდ საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ჭრილში განხილვა.

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ პირველი რესპუბლიკის პერიოდში, 1920 წლის სექტემბერში, საქართველოს მთავრობამ მიიღო სპეციალური დეკლარაცია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. საქართველოს ნავსადგურები თავისუფალი ვაჭრობისთვის გახსნილად გამოცხადდა. სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფდნენ იმპორტიორების ინტერესების დაცვას. მათ მხოლოდ ბაჟი უნდა გადაეხადათ, არ დაიშვებოდარეკვიზიცია, შემოტანილი საქონლით ვაჭრობა არ აიზღუდებოდა მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გ ე ზ წარმოადგენს მძლავრ იმპულსს ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიის სწრაფი განვითარებისათვის. ამასთან ერთად, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების შექმნის მოტივები და მიზნები უმეტესად დიამეტრულად განსხვავებულია, ერთი მხრივ, იმ ქვეყნისათვის, რომელიც თავის ტერიტორიაზე ქმნის «ზონას» და, მეორე მხრივ, უცხოელი ინვესტორისათვის, რომელიც კაპიტალს აბანდებს ამ «ზონაში». პირველი ცდილობს უცხოეთის კაპიტალის მოზიდვით მიაღწიოს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის ექსპორტს, ამის საფუძველზე კი კონვერტირებული ვალუტის მიღებას; უმუშევრობის ლიკვიდაციას; წარმოების მართვის თანამედროვე მეთოდებისა და ხერხების დაუფლებით ინჟინერთა და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას; „ზონაში» შემავალ სწარმოებსა და ქვეყნის ძირითად ეკონომიკას შორის მჭიდრო კავშირის დამყარებას; მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურის შესწავლას და საბოლოოდ განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის საშუალებით საერთაშორისო საბაზისო სისტემაში ქვეყნის მთელი ტერიტორიის ჩართვას.

უცხოელი ბიზნესმენები «ზონებში» კაპიტალის დაბანდებით ცდილობენ მოგება მიიღონ იმ ქვეყნებში, სადაც მთელ რიგ მიზეზთა გამო (იაფია მუშახელი; შეღავათიანია გარემოს დაცვის კანონმდებლობა; მეტად ხელსაყრელია საბაჟო-საგადასახადო რეჟიმი; დიდი შეღავათებია ინფრასტრუქტურის ობიექტით სარგებლობის მხრივ და სხვ.), პროდუქციის წარმოება ძალზე იაფი ჯდება. საზღვარგარეთის ფირმები, რომლებიც «ზონებში» მოქმედებენ, მოითხოვენ

გარკვეული პერიოდის მანძილზე მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებას. აგარდა ამისა, მათ უფლება ეძლევათ სრულად გაიტანონ მოგება და სურვილისამებრ გადაანაწილონ ინვესტიციები. «ზონებში», როგორც წესი, საბაჟო გადასახადით იმპორტი არ იბეგრება. განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ორგანიზატორი ქვეყანა უცხოეთის ფირმებს აძლევს ვალუტის თავისუფლად გატანისა და საჭიროების შემთხვევაში დაბანდებული კაპიტალის უკან დაბრუნების გარანტიებს და სხვ.

გ ე ზ და მოსალოდნელი ეკონომიკური საფრთხეები

გ ე ზ არსებობა, ეკონომიკური პოლიტიკის სათანადო დონეზე წარმართვის პირობებში, პოზიტიურ შედეგებს იძლევა. მაგრამ, არსებობს «მედლის მეორე მხარეც», «ზონების» შექმნას თან ახლავს მთელი რიგი ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური საფრთხეები.

საფრთხე I. «ზონებში» მოქმედი უცხოეთის ფირმების უმრავლესობა ცდილობს იქ დამზადებული პროდუქცია გაიტანოს არა მსოფლიო ბაზარზე, სადაც მძაფრი კონკურენციაა და მათ დიდი ბრძოლა მოუხდებათ ნაწარმის სარეალიზაციოდ, არამედ «ზონის» ორგანიზატორი ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უცხოელი ბიზნესმენები განვითარებადი ქვეყნით, როგორც გასაღების ბაზრით, არიან დაინტერესებულნი და არა იმით, რომ «ზონაში» მომძლავრებულმა ეროვნულმა ეკონომიკამ კიდევ უფრო გაამძაფროს მსოფლიო ბაზარზე არსებული, ისედაც დამაბული კონკურენცია.

ამასთან დაკავშირებით უნდა ავლნიშნოთ, რომ საქართველოს კანონი «თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ» ადგილობრივ ბაზარს «ზონაში» გაცილებით შეღავათიან პირობებში წარმოებული პროდუქციის «შემოჭრისგან» კი არ იცავს, არამედ პირიქით - «ზონიდან» იმპორტი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისგან. ჩვენი აზრით, ეს გარემოება არათანაბარ პირობებში აყენებს «ზონაში», პრეპერენციულ რეჟიმში მოქმედ უცხოურ ფირმასა და საქართველოს სხვა ტერიტორიაზე მოქმედ კომპანიას და საფრთხეს უქმნის ადგილობრივი წარმოების განვითარებას.

საფრთხე II. უცხოელი ინვესტორების მიერ კაპიტალის დაბანდებისას შეიმჩნევა ერთი კანონზომიერება – უცხოელი მეწარმეები ცდილობენ „ზონებში“ პირველ რიგში აწარმოონ განსაკუთრებით შრომატევადი, მასალატევადი და ეკოლოგიურად მავნე პროდუქცია, რითაც სურთ თავიდან აიცილონ თავიანთ ქვეყნებში მოქმედი მკაცრი სოციალური და ეკოლოგიური კონტროლი.

საფრთხე III. უცხოელი ინვესტორები დაინტერესებულნი არიან რა, მოგების სწრაფი მიღებით, კაპიტალს ათავსებენ არა მეცნიერებატევად დარგებში არამედ არასაწარმოო სფეროს (ვაჭრობა, მომსახურება და სხვ.) განვითარებაში.

საფრთხე IV: «ზონებში» დასაქმებულთ ფაქტობრივად არ გააჩნიათ სოციალური გარანტიები. პროფესიული კავშირების მოქმედება ან საერთოდ იკრძალება ან ძალზე შეზღუდულია. ამიტომაც, ხელფასებს შორის დიდი სხვაობის მიუხედავად, შრომის ინტენსივობა «ზონებში» გაცილებით დიდია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. «ზონებში» სამუშაო დღე კვირაში 48-50 საათს აღწევს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით თუ სამუშაო კვირის ხანგრძლივობა ფილიპინებზე 43 საათს შეადგენდა, ამ ქვეყანაში მოქმედ საექსპორტო ზონა «ბატანში» 54-ს აღემატებოდა, ხოლო სამხრეთ კორეის «მასანის» ზონაში ერთი მესამედის სამუშაო დღის ხანგრძლივობა 15 საათს აღწევს.

საფრთხე V. სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ნაკლოვანებების გარდა, უნდა აღინიშნოს «ზონების» შექმნის ფსიქოლოგიური თავისებურებებიც. შექმნის შემდეგ «ზონა» ფაქტობრივად უცხო ქვეყნის ტერიტორიად იქცევა, სადაც შესვლა ქვეყნის ძირითადი მოსახლეობისათვის დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ჩინეთში შენ ჩჟენის «ზონა» მეზობელ ქალაქებიდან და პროვინციებიდან გამოყოფილია სამი-ოთხი მეტრი სიმაღლის ბეტონის კედლით, რომელზედაც ეკლიანი მავთულხლართებია გაჭიმული. ამ «ზონაში» შესვლა, თუ უცხოელთათვის თავისუფალია, ჩინეთის მოქალაქეებისათვის ძალზე გართულებულია და მათ მხოლოდ სპეციალური სასაზღვრო-საკონტროლო პუნქტებიდან უშვებენ.

გ ე ზ და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა

გლობალიზაცია ხშირ შემთხვევებში ქვეყნებისა და რეგიონებისათვის რეალური საფრთხის მომცველი შეიძლება აღმოჩნდეს. არსებობის უფლება აქვს მოსაზრებას, რომ რადგანაც გლობალიზაცია წარმოადგენს ეკონომიკური სივრცის მაქსიმალურ გახსნას, უსაფრთხოება კი საგანგებო და განსაკუთრებული კონტროლის დაწესებას ეროვნული ეკონომიკის მდგრად და გრძელვადიან განვითარებაზე, მაშინ თეორიულად დასაშვებია, რომ მოვლენათა განვითარების გარკვეულ ეტაპზე გლობალიზაცია და ეროვნული ინტერესები ურთიერთსაპირისპირო პროცესებად იქცნენ.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში «ზონების» შექმნისა და ფუნქციონირების მდიდარი გამოცდილების შესწავლა და განზოგადება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური ზონის ფუნქციონირება საქართველოსთვის მაშინ იქნება მომგებიანი, როდესაც შესრულდება შემდეგი ძირითადი პრინციპები:

1. უნდა მოხერხდეს ეკონომიკური ზონისა და ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიას შორის პირდაპირი ეკონომიკური კავშირების დამყარება და ამგვარი გზით ეროვნული კაპიტალის გაძლიერება;

2. ეროვნულმა კაპიტალმა უნდა შეძლოს ჯერ «შეჭრა» და დამკვიდრება ზონაში, შემდეგ კი ერთობლივი საწარმოების და უცხოეთის ფირმების შესყიდვა ან მართვაში მონაწილეობა;

3. «ზონის» სპეციალიზაცია მიმართული უნდა იყოს მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოებისაკენ;

4. «ზონა» არ უნდა იქცეს კონტრაბანდული საქონლის ქვეყნის ძირითად ტერიტორიაზე «შემოპარვის ფანჯარად»;

5. «ზონა» არ უნდა გახდეს საქართველოდან კაპიტალის გაქცევის პლაცდარმი;

6. «ზონაში» ხელი არ უნდა შეუწყოს კორუფციას, «ფულის გათეთრებას» და სხვა ეკონომიკურ დანაშაულს.

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების ნეგატიური მხარეების ჩვენებით მიზნად ვისახავთ იმ რეალური სიძნელების წარმოჩენას, რაც თან ახლავს «ზონის» შექმნას. უცხოური ინვესტიციების სამართლებრივ ბაზას შეადგენს როგორც შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, ისე ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები. მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას ქვეყნის შიდა სამართლებრივი რეგულირება იწვევს.

სამწუხაროდ, დღეისთვის საქართველოში არსებული «ზონების» რეგულირების საკანონმდებლო ბაზა არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნული ეკონომიკური საფრთხეებისგან დაცვის მექანიზმს.

2007 წლის 3 ივლისს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი «თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ», რომლის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებული საქონლის თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან შეტანა საქართველოს სხვა ტერიტორიაზე (თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ) გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან, რაც არ მიგვაჩნია მართებულად, რადგანაც ნებისმიერი ქვეყანის ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის უმთავრესი მოთხოვნაა, რომ განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში წარმოებული საქონლის ექსპორტი განხორციელდეს არა ქვეყნის შიგნით, სხვა («ზონის» გარეთ) ტერიტორიაზე, კონკურენცია გაუწიოს და დააზარალოს «შიდა ბაზარზე» მოქმედი ადგილობრივი მწარმოებელი (ან სხვა იმპორტიორი), არამედ მოხდეს აღნიშნული პროდუქციის ქვეყნის გარეთ გატანა.

ჩვენი აზრით «ზონაში» წარმოებული პროდუქციის შიდა ექსპორტი მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი, რა მიზნითაც უნდა დაწესდეს შედარებით მაღალი საბაჟო გადასახადი პროდუქციის განბაჟებაზე.

ზემოაღნიშნული კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით: «თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საზღვრებთან უნდა მოეწყოს საბაჟო-გამშვები პუნქტები», თუმცა ეს მოთხოვნა ჯერ-ჯერობით არ სრულდება და არ კონტროლდება, თუ სად და რა ოდენობით გადის (ან შემოდის) «ზონაში» წარმოებული პროდუქცია. «ზონაში» შემოსული უცხოელი ინვესტორი უპირატესად ცდილობს აწარმოოს ისეთი პროდუქცია, რომელიც მას სწრაფ და მაღალ მოგებას მოუტანს, ხოლო ქვეყანა, რომელშიც ფუნქციონირებს «ზონა» უნდა ცდილობდეს, რომ უცხოეთის კაპიტალის მოზიდვით მიაღწიოს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის ექსპორტს და ა.შ. აღნიშნული საკითხი ასევე არანაირად არ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. სამწუხაროდ, ამ კანონის მიხედვით ეროვნული კაპიტალის გაძლიერებას არავითარი ხელშეწყობა არ აქვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა განსაკუთრებით ეკონომიკური ზონების შესახებ ზედმეტად ლიბერალურია და უფრო მორგებულია უცხოელ ინვესტორზე ვიდრე ქვეყნის ინტერესებზე.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელმა გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა გვიჩვენა, რომ სახელმწიფოს როლის ტრანსფორმირება ეხება გლობალური ეკონომიკის ყველა მონაწილეს – მაღალგანვითარებული, განვითარებული, გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებს.

აღნიშნული ქვეყნები, იმისთვის, რომ მოიზიდონ უცხოური კაპიტალი, იძულებულნი არიან უარი თქვან სახელმწიფო სუვერენიტეტის გარკვეულ ფაქტორებზე. სწორედ კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაცია განაპირობებს სახელმწიფოს როლის ტრანსფორმაციას განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებში და ზრდის ამ ქვეყნებში გლობალიზაციისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას.

ამავე დროს ყველა სუვერენული სახელმწიფოს ხელისუფლება ვალდებულია თავიდან აიცილოს ნეგატიური შედეგები და მაქსიმალურად დაიცვას ეროვნული ინტერესები, მათ შორის, ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების მოთხოვნები.

*ბესიკ ალადაშვილი, პროფესორი
ხათუნა ბარათაშვილი, დოქტორანტი*

რა პოტენციური ეკონომიკური საფრთხის შემცველია განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები?

სტატიაში განხილულია ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე «თავისუფალი ინდუსტრიული ზონების» ზეგავლენის აქტუალური პრობლემები. დასაბუთებულია ამ პროცესების თანმხვედრი ნეგატიური პრობლემების ნეიტრალიზაციის აუცილებლობა. ნაჩვენებია, რომ ერთიან მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში, ამა თუ იმ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, საბოლოო ანგარიშით ობიექტურად ეწინააღმდეგება სხვა ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს და მიზნებს, რაც ქმნის ეკონომიკური და პოლიტიკური სეპარატიზმის გამოვლინების პირობებს.

გლობალურ მსოფლიოში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოითხოვს გლობალიზაციისა და ინტეგრაციის თანმხვედრი ნეგატიური შედეგების მუდმივ პროგნოზირებას და დასაბუთებული სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას.

*Бесик Аладашвили, Профессор
Хатуна Бараташвили, Докторант*

Какие потенциальные экономические угрозы содержит особенные экономические Зоны?

В статье поднимается актуальная проблема влияния «экономических зон» на экономическую безопасность отдельных стран и обосновывается необходимость нейтрализации сопутствующих этим процессам негативных явлений. Показано, что повышение конкурентоспособности той или иной страны в едином мировом экономическом пространстве, в конечном счете, объективно противоречит национальным интересам и целям других стран, что создает условия для проявления экономического и политического сепаратизма.

Обеспечение экономической безопасности в глобальном мире требует постоянного прогнозирования сопутствующих глобализации и интеграции негативных последствий и проведения обоснованной государственной политики, позволяющей добиться их максимальной нейтрализации.

Besik Aladashvili, Profesor

Khatuna Baratashvili, PHD student

What potential economic threat is involved in special economic zones?

The issuer of economic globalization, integration and economic security, indication of general factors impacts and neutralization of their consequent negative events are discussed in this article.

Possibility of economic and political separatism development and necessity of economic security assurance in the global world is shown in this article. In the phase of globalization and integration into the unified world, increasing competitiveness of one country's national interests and objectives of other countries. According to the above mentioned necessity of adopting a relevant state policy for forecasting and neutralization of consequent negative events of globalization and integration for forecasting and neutralization of consequent negative events of globalization and Integration is formed.

ლიტერატურა

1. თ. ჩიკვაძე, «საქართველოს ახალი პარადიგმა: მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგია XXI საუკუნისთვის»;
2. პოლ ჰერსტი, გრემ ტომპსონი, «გლობალიზაცია, კრიტიკული ანალიზი», თბ., 2005;
3. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის «სამეცნიერო შრომების კრებული», თბ., 2008.

ნუნუ ხარაზიშვილი, დოქტორანტი

მაკროგარემოს ფაქტორების ზემოქმედება აგროსასურსათო სექტორის განვითარებაზე

მსოფლიო ეკონომიკა გადავიდა გლობალიზაციის ახალ ეტაპზე, რომელმაც გამოიწვია პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სფეროების კარდინალური ცვლილებები. საერთაშორისო ინტეგრაციის ზრდისა და გლობალიზაციის ტენდენციებმა ზემოქმედება მოახდინა ზოგადად ეკონომიკის სტრუქტურაზე და მათ შორის აგროსასურსათო სექტორზე. თანამედროვე პირობებში სასურსათო პროდუქტების ბრუნვამ ტრანსნაციონალური ხასიათი მიიღო. ამ ფონზე, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საექსპორტო შესაძლებლობების სრული მასშტაბით მსოფლიო ბაზარზე რეალიზება. საქართველოდან პროდუქციის ექსპორტმა განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა დღევანდელ ეტაპზე, რადგანაც, რუსეთის ემბარგომ განაპირობა საქართველოს საექსპორტო ვექტორის შეცვლა და პროდუქციის საექსპორტოდ ახალი ბაზრების მოძიების აუცილებლობა. შესაბამისად, გარდაუვალი გახდა აღნიშნულ ბაზრებზე მოქმედი მარკეტინგული შიდა და გარე ფაქტორების შესწავლა.

როგორც ცნობილია, სასურსათო პრობლემა განისაზღვრება მსოფლიო განვითარების სხვადასხვა ასპექტებით, როგორცაა *ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული და ეთნოსოციალური*. სასოფლო-სამეურნეო საწარმოები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ თვითუზრუნველყოფილ ერთეულებს, ისინი ფუნქციონირებენ მარკეტინგულ გარემოში, სადაც ხორციელდება რესურსების და ინფორმაციის მუდმივად გაცვლა. აგრომარკეტინგის სისტემაში სოფლის მეურნეობის საწარმოს, ფერმების, ასევე კოოპერატივების მართვის პროცესის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, იმისათვის, რომ მათ დროულად მოახდინონ მაკროგარემოში მიმდინარე ცვლილებებთან ადაპტირება, მნიშვნელოვნად გაიზარდა მარკეტინგული კვლევების როლი. კერძოდ, მაკროგარემოს *დემოგრაფიული, ეკონომიკური, ბუნებრივი, მეცნიერულ-ტექნიკური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორების* ზემოქმედების განსაზღვრა სოფლის მეურნეობაზე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა კონკურენტულ ბრძოლაში.

მარკეტინგული მაკროგარემო არის ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც ფართომასშტაბიან და გლობალურ ზემოქმედებას ახდენენ, როგორც საწარმოს საქმიანობაზე, ასევე მიკროგარემოს ელემენტებზე.

აღსანიშნავია, რომ სურსათით უზრუნველყოფაში წარმოქმნილ პრობლემებს ტრადიციულად უკავშირებენ გასულ საუკუნეში *დემოგრაფიულ გარემოში* მიმდინარე ტენდენციებს, კერძოდ დედამიწის მოსახლეობის სწრაფი ტემპით ზრდას (გასულ საუკუნეში პლანეტის მოსახლეობა 1,6 მლრდ-დან 6,6 მლრდ-მდე გაიზარდა, შესაბამისად იზრდება მოთხოვნილება სურსათით უზრუნველყოფაზე). მსოფლიოში ღარიბი მოსახლეობის 70 %-ზე მეტი ცხოვრობს სოფლად, გარდა ამისა, განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 90 %-მდე დამოკიდებულია სოფლის

მეურნეობაზე, რამდენადაც ეს დარგი წარმოადგენს მათთვის შემოსავლის წყაროს, დასაქმების და გამოკვების საშუალებას და ასევე ქმნის ნედლეულს მრეწველობის დარგებისთვის და ექსპორტისთვის. სწორედ ამიტომ, გაეროს ათასწლეულის დეკლარაციაში, რომელსაც ხელი მოაწერეს მსოფლიოს სახელმწიფოთა ლიდერებმა 2000 წელს (სადაც პირველ საკვანძო ამოცანას წარმოადგენს სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა), ნათქვამია, რომ სიღარიბის და შიმშილის მასშტაბების შემცირება ჩვენს პლანეტაზე შესაძლებელია სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის და შემოსავლების ზრდის გზით.

დემოგრაფიული გარემო ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს, რადგანაც ბაზარი წარმოდგენილია ადამიანებით. ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის რაიონების დემოგრაფია ხასიათდება ხანდაზმული და საშუალო ასაკის ადამიანების სიჭარბით ახალგაზრდებთან შედარებით. ამის მიზეზია, მთელი რიგი ტენდენციები: ურბანიზაცია, მიგრაცია, დაუსაქმებლობის მოტივით ახალგაზრდობისა და განათლებული ადამიანების გადინება სოფლებიდან. აღნიშნული პროცესები განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობს გარდამავალ პერიოდიდან მოყოლებული დღემდე. **სტატისტიკური** მონაცემებით, საქართველოში სოფლის მოსახლეობა 2000 წელს შეადგენდა მთელი ქვეყნის მოსახლეობის 48 პროცენტს, 2009 წელს კი ეს მაჩვენებელი 47,3 პროცენტამდე შემცირდა (ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა სოფლის მეურნეობის სექტორში 2009 წელს — 94,3%, ანუ 1,3%-ით ნაკლები დაფიქსირდა 2008 წლის 95,6%-თან შედარებით) [5]. მცირე ერისთვის და ეკონომიკურად დაბალგანვითარებადი ქვეყნისთვის აღნიშნული ტენდენცია და პროცენტული თანაფარდობა მეტად არასახარბიელო მაჩვენებელია.

ინდუსტრიალიზაციის და ურბანიზაციის პროცესების გაძლიერებასთან ერთად მცირდება სასოფლო - სამეურნეო სავარგულების ფართობები. სამრეწველო საწარმოების და საცხოვრებელი სახლების, საავტომობილო გზების, ავტოსადგომების და ა.შ. მშენებლობა მოითხოვს სასოფლო სამეურნეო სავარგულების შემცირებას. ცნობილია, რომ ყოველ 20 მანქანაზე საჭიროა 0,4 ჰექტარი მოასფალტებული ფართი [3].

ნავარაუდებია, რომ მსოფლიო სასურსათო წარმოება 2050 წლისათვის უნდა გაიზარდოს 70%-ით, ვინაიდან ამ პერიოდისთვის მსოფლიოს მოსახლეობა გაიზრდება 2,3 მილიარდით და მიაღწევს 9,1 მილიარდ კაცს (34%-ით მეტი დღევანდელ მაჩვენებელთან შედარებით), მთელ მოსახლეობაში მნიშვნელოვნად გაიზრდება ქალაქის მოსახლეობის წილი.¹ მიუხედავად აღნიშნული ცვლილებებისა, ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ უკანასკნელ პერიოდში მხოლოდ დემოგრაფიულ გარემოში მიმდინარე ტენდენციები არ ყოფილა კრიზისის გამომწვევი უშუალო მიზეზი.

ეკონომიკური ფაქტორები მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ სოფლის მეურნეობის სუბიექტების საქმიანობაზე. თანამედროვე მსოფლიოს აგროსამრეწველო სექტორში უკანასკნელი წლების განმავლობაში ვითარება გამწვავდა, რაც გამოიხატა ფასების ზრდის ტენდენციით. სწორედ აქედან გაჩნდა ეკონომიკურ

¹ რომის 2009 წლის ოქტომბრის ფორუმზე მიღებულ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის დოკუმენტში (როგორ გამოკვებოთ მსოფლოს მოსახლეობა 2050 წ.) ნავარაუდებია, რომ ურბანიზაციის პროცესი უფრო მეტად დაჩქარდება და 2050 წ. მსოფლიო მოსახლეობის 70% იცხოვრებს ქალაქად [4].

ტერმინოლოგიაში ახალი სიტყვა აგფლაცია (*agflation*), რაც ნიშნავს სასურსათო საქონელზე ფასების მკვეთრ ზრდას. აღნიშნული ტენდენცია ყველაზე შესამჩნევი გახდა 2008 წელს, რომელიც თითქმის ყველა ქვეყანას შეეხო და განსაკუთრებით მწვავედ გამოვლინდა აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. 2008 წელს ნავთობზე ფასის მკვეთრად აწევამ თავისთავად გააძვირა სასურსათო საქონელი, რაც ასევე ყველაზე მეტად შეეხო კვების პროდუქტების ექსპორტიორ ქვეყნებს.

2009 წელი უკიდურესად მძიმე იყო მსოფლიოში მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომელიც შიმშილობის ზღვარზეა – კიდევ უფრო გაღრმავდა სურსათის უსაფრთხოების სფეროში არსებული ნეგატიური ტენდენცია, რომელიც მსოფლიოში 1996 წლიდან გამძაფრდა.

გლობალური ეკონომიკური განვითარების ტემპის შემცირებამ, მის კვალდაკვალ 2006-2008 წლების სასურსათო კრიზისმა, განაპირობა ის, რომ 100 მლნ-ით მეტი ადამიანი შეემატა შიმშილის ზღვარზე მყოფ მოსახლეობას. რომელთა რიცხვმა მთელ მსოფლიოში 1 მლრდ-ს გადააჭარბა. თუმცა, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (*FAO*) ბოლო მონაცემებით 2010 წელს ქრონიკული შიმშილის მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა რიცხვი 1 მლრდ-დან 925 მილიონამდე შემცირდა. 2010 წლის განმავლობაში ასეთი პროგრესი და შიმშილის პირას მყოფი ადამიანების ცხოვრების დონის გაუმჯობესება ბევრად განაპირობა მოსალოდნელმა ახალმა ეკონომიკურმა ზრდამ, ძირითადად განვითარებად ქვეყნებში. სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (*FAO*) კვლევებით, კრიზისმა მნიშვნელოვნად შეასუსტა სოფლის მეურნეობა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ხოლო, მსოფლიო ბანკის შეფასებით ევროპა და ცენტრალური აზია წარმოადგენენ რეგიონებს, რომლებიც, სხვა რეგიონებთან შედარებით, მეტად დაზარალდა.

როგორც ცნობილია, მსყიდველობითი უნარის საერთო დონე დამოკიდებულია მიმდინარე შემოსავლებზე, ფასებზე, დანაზოგებსა და კრედიტის ხელმისაწვდომობაზე. მსყიდველობითუნარიანობაზე აისახება ეკონომიკური ვარდნა, უმუშევრობის რიცხვის ზრდა, საპროცენტო-საკრედიტო განაკვეთები, ასევე, საქმე ეხება მანქანების, დანადგარების და ინვენტარის შემენისთვის საჭირო კაპიტალის უქონლობას. საერთოდ, კიდევ უფრო რთულდება ფინანსური კრიზისის პირობებში აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარება. ამასთან, საერთო ეკონომიკურმა კრიზისმა, უმუშევრობის ზრდამ და ინფლაციამ გამოიწვია ადამიანთა სიფრთხილე და დამაბულობა. თანამედროვე პირობებში ასევე მეტად აქტუალური გახდა ეკონომიკური და ეკოლოგიური მიზნებისა და პრინციპების ერთმანეთთან თანხვედრა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რეგიონალურ დონეზე აგროსასურსათო პოლიტიკის შემუშავებისას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს **ბუნებრივ ფაქტორებს**.

ბუნებრივ გარემოს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგრომარკეტინგის სისტემაში, ვინაიდან წარმოების მთავარი ფაქტორი მიწა შეზღუდული რესურსია. არანაკლებ მნიშვნელოვანია გააქტიურებული მოძრაობა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე, რაც აფერხებს წვრილ ფერმერებში საკუთარი პროდუქციის მოცულობის გაზრდას ადრე გავრცელებული ქიმიური დანამატების მეშვეობით. ეკოლოგიურად დაცული, უსაფრთხო პროდუქტის დამზადება მოითხოვს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, მომავალი თაობისადმი ზიანის მიყენების გარეშე. დღეს

მსოფლიოში სულ უფრო მიუღებელი ხდება განვითარების ის მოდელი, რომელიც არაგანახლებადი რესურსების ინტენსიური გამოყენებას ეფუძნება. ბოლო პერიოდში, ადამიანის საქმიანობის მასშტაბების უჩვეულო ტემპებით ზრდამ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვამ მატერიალური დოვლათის წარმოებაში საგრძნობლად დაარღვია გარემოს ეკოლოგიური წონასწორობა, კერძოდ, ბუნებრივი რესურსების მოხმარების ინტენსივობის გადაჭარბებული ზრდა, რის გამოც პროდუქტიულობის ზრდა აღარ ხდება და მოსავალიც მცირდება. ნიადაგის ნაყოფიერების შემცირება, ეროზია, მისი არაკვალიფიციურად გამოყენება საფრთხისმომცველია მიწათმოქმედებისთვის. ბუნებრივი რესურსების ამოწურვა განსაკუთრებით მკვეთრად გამოიხატება წყლის რესურსის არასაკმარის რაოდენობაში, რაც მეტად სერიოზულ პრობლემებს აჩენს სოფლის მეურნეობის წარმოებაში. ცნობილია, რომ წყლის რესურსის მთლიანი მოხმარების 70% მოდის სოფლის მეურნეობის ნათესების მორწყვაზე. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სასოფლო სამეურნეო წარმოების ზრდის უზრუნველსაყოფად წყლის რესურსების გადაჭარბებული მოხმარება იწვევს გრუნტის წყლების ამოწურვას. ასეთი საფრთხე ემუქრება მსოფლიოში ჭარბად დასახლებულ და მარცვლეულის მსხვილ მწარმოებლებს – ჩინეთს, ინდოეთს და აშშ-ს. როდესაც მიწათმოქმედები იყენებენ იმაზე მეტ წყალს ვიდრე ნალექების სახით შეიძლება მოვიდეს, ასეთ შემთხვევაში ისინი ეხებიან და აზიანებენ მიწის ქვედა შრეებს, რომელიც საერთოდ არ წარმოადგენს აღდგენით რესურსს. სწორედ ამის გამო ახლო მომავალში ბევრ ქვეყანას (ახლო და შუა აღმოსავლეთი, საუდის არაბეთი, ჩრდ. ჩინეთის და სხვ) მოუწევს უარის თქმა მარცვლეული კულტურების წარმოებაზე.

ატმოსფეროში სწრაფად იზრდება ნახშირორჟანგის კონცენტრაცია, რაც თავისთავად უარყოფითად მოქმედებს ადამიანის გარემო სფეროზე. გარდა ამისა, გამწვავდა ბიომრავალფეროვნების პრობლემა, ნიადაგის მიწის საფარი განიცდის დეგრადაციას. ასეთი ცვლილებები მიწის რესურსებში პირდაპირ მოქმედებენ ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობაზე. ამიტომაც, მნიშვნელოვანი გლობალური პრობლემაა ატმოსფეროს *ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების გონივრული ბალანსი*.

გლობალური დათბობის ტენდენცია (ბუნებრივი პირობების არასტაბილურობა, სიმშრალე, წყალდიდობები, ექსტრემალური ტემპერატურა), მნიშვნელოვნად აისახება აგროსასურსათო სექტორის ფუნქციონირებაზე (მაგალითად, ხორბლის დაბალი მოსავალი ავსტრალიაში და ბრინჯის მოსავლის კლება ძირითად ექსპორტიორ ქვეყნებში – ტაილანდში და ვიეტნამში). ასევე, უკანასკნელ პერიოდში მსოფლიო კლიმატის ცვლილებამ ძლიერი გავლენა მოახდინა პაკისტანისა და რუსეთის ეკონომიკებზე, რომლებიც მარცვლეულის უმსხვილესი ექსპორტიორების ათეულში შედიან. გაეროს მონაცემებით, პაკისტანში მომხდარმა წყალდიდობამ 1,3 მილიონ ჰექტარზე მარცვლეულის მოსავალი გაანადგურა, ხოლო, რუსეთში წლევანდელმა გვალვამ მოსავალი 11 მილიონ ჰექტარზე მოსპო, მოსავლის პროგნოზი მესამედით, 60-65 მილიონ ტონამდე შემცირდა. პროდუქციის ექსპორტზე რუსეთმა დროებითი ემბარგო გამოაცხადა, რამაც ფასების ზრდა გამოიწვია მსოფლიო ბაზარზე. არსებულ პრობლემებს კიდევ უფრო ამძიმებს ის ტენდენცია, რომ სოფლის მეურნეობის ნედლეულის გამოყენების ხარჯზე სწრაფი ტემპით იზრდება ბიოსაწვავის წარმოება. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის

მონაცემებით 2007-2008 წლებში «ეტანოლის» წარმოებაზე გამოყენებული საკვები მარცვლეულის მთლიანი მოცულობა 110 მლნ ტონას შეადგენდა, რაც მსოფლიო წარმოების 10%-ია.

ასევე უნდა ითქვას, რომ მარკეტინგულ გარემოში მიმდინარე უარყოფითი მოვლენა, ხშირად ახალ შესაძლებლობებს უხსნის კომპანიებს. მაგალითად, 1992 წელს სამხრეთ აფრიკის სტიქიამ და გვალვამ განაპირობა უცხოური წარმოების, განსაკუთრებით ყვითელი ჯიშის სიმინდის დიდი რაოდენობით მიწოდება აშშ-დან და სამხრეთ ამერიკიდან, რამაც ახალი საბაზრო შესაძლებლობები შეუქმნა სატრანსპორტო მომსახურებას.

რაც შეეხება *მეცნიერულ — ტექნიკურ გარემოს*, ეს პროცესი სოფლის მეურნეობის სფეროზე შედარებით ნელი ტემპით აისახება, შესაბამისად, სუსტადაა განვითარებული ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით კი სოციალური ინფრასტრუქტურა. აგროსამრეწველო კომპლექსის ფორმირება, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის დონეზე. ზოგადად, შენელებული პროცესი განპირობებულია, მეცნიერულ-ტექნიკურ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების დაბალი წილით, ასევე, ახალი ჯიშების და სახეობების გამოგონებების შენელებული ციკლით.

აგრობიზნესის გლობალიზაცია მიმდინარეობს მსოფლიო ბიოტექნოლოგიური რევოლუციის ფონზე. 1995 წლიდან დაწყებულია მემცენარეობის სამი პროდუქტის მასიური კომერციული დანერგვა ტრანსგენური თესლის (სოიო, ბამბა, სიმინდი) გამოყენებით. სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციაში მნიშვნელოვანი წვლილი ეკუთვნის სამეცნიერო სელექციას, რომლის მეშვეობითაც შეიქმნა მაღალმოსავლიანი ჰიბრიდები და გენეტიკურად შეცვლილი მარცვლეული და საკვები კულტურები. სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი კულტურების გამოყვანა, რომელიც არსებული კლიმატური ცვლილებების და წყლის ნაკლებობის პირობებში უზრუნველყოფს მაღალმოსავლიანობას. 2008 წელს გენმოდირებული კულტურები მოყვანილ იქნა მსოფლიოს 25 ქვეყნის (15 განვითარებად და 10 განვითარებულ) 800 მილიონ ჰექტარზე. აქედან, გენმოდირებული კულტურების დათესილი ფართობების 53% მოდის სოიოზე, 30%-სიმინდზე, 12%-ბამბაზე, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2050 წლისთვის გენეტიკური მოდიფიკაციის ტექნოლოგიები იაფი და ხელმისაწვდომი იქნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გენმოდირებული კულტურები და განსაკუთრებით ტრანსგენური მოდიფიკაციები, ფართო საზოგადოების შემფოთების და განხილვის თემას წარმოადგენს ბევრ ქვეყანაში, რამდენადაც აღნიშნული პროდუქტები საფრთხის შემცველია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ასევე შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს მემცენარეობასა და მეცხოველეობაზე და შესაბამისად, ბუნებრივ გარემოზე. გარდა ამისა, არის ტენდენცია, რომ ეკონომიკური ბერკეტების კონცენტრირება მოხდეს რამდენიმე ტრანსნაციონალური კომპანიის მმართველობაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფასების ზრდა და ტექნოლოგიური დამოკიდებულება ამ კომპანიებისადმი.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიმართვაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინვესტიციების გაზრდას სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისთვის, ვინაიდან, კვლევა-შემუშავებაში ჩადებული ინვესტიცია დაბრუნების მაღალი კოეფიციენტით (30-დან 70%-მდე) და

დროის ხანგრძლივი პერიოდის მოგებით ხასიათდება. სწორედ ამიტომ, ამჟამად აუცილებელია ფართომასშტაბიანი სახელმწიფო და კერძო ინვესტიციები საცდელ-სამეცნიერო კვლევებსა და სამუშაოებში, რათა სამომავლოდ სოფლის მეურნეობაში გამოყენებულ იქნას ეფექტური ტექნოლოგიები.

გლობალური სასურსათო პრობლემების გადაწყვეტა, უმეტესწილად მსოფლიო **პოლიტიკის** მოთხოვნას წარმოადგენს. ამ მიმართულებით არსებობს დიალოგის ორი ფორმა – შიდანაციონალურ დონეზე ხელისუფლების და ადგილობრივი დაინტერესებული პირების მონაწილეობით და მეორე, რომელშიც მონაწილეობენ დაინტერესებული ქვეყნები თავის საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად. მსოფლიო ვაჭრობაში მთელი რიგი დადებითი (ბრძოლა სასურსათო უსაფრთხოების ეფექტური სტრატეგიისთვის) თუ უარყოფითი ტენდენციების (მათ შორის აგრარული პროტექციონიზმის) არსებობაც გარკვეულწილად პოლიტიკის ნაწილია. სწორედ, ამიტომ მარკეტინგის სისტემაში, **პოლიტიკურ გარემოში** მიმდინარე პროცესები და ტენდენციები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების სტრატეგიებს, როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ დონეზე.

პოლიტიკური გარემო არის სამართლებრივი და ნორმატიული აქტების, სახელმწიფო ორგანოების და საზოგადოებრივი ჯგუფების მხრიდან ზემოქმედება, რომელსაც საწარმო უნდა შეეგუოს.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და, მათ შორის, საქართველოში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა ამ მიმართებით აგროსამრეწველო სექტორში. დემოკრატიზაციის პროცესებმა გამოიწვია ძველი სისტემის რღვევა, საკუთრების უფლების ინსტიტუტის აღდგენა იურიდიულად და პრაქტიკულად, ეკონომიკური ობიექტების და მიწის პრივატიზაცია. საქართველოში დღემდე გრძელდება აგროსამრეწველო კომპლექსში ლიბერალურ-ეკონომიკური, ინსტიტუციური და სტრუქტურული გარდაქმნები, რასაც ასევე სერიოზული შეცდომებიც ახლავს, რის გამოც კრიზისიდან გამოსვლა ვერ ხერხდება. მხოლოდ საკუთრების ფორმის ცვლილებების საფუძველზე აგროსამრეწველო წარმოება ვერ განვითარდა, აუცილებელია აღნიშნული სექტორის სახელმწიფო რეგულირება. სახელმწიფოს მონაწილეობით უნდა შეიქმნას სასოფლო სამეურნეო წარმოებაში კომერციული რისკების დაზღვევის გამართული და ეფექტიანად ფუნქციონირებადი სადაზღვევო სისტემა. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ფერმერებისათვის დაბალპროცენტიანი და გრძელვადიანი კრედიტების ხელმისაწვდომობაზე;

ევროინტეგრაციული პროცესების გააქტიურებასთან ერთად, მიღწეულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება, რომლის თანახმადაც საქართველოს საკანონმდებლო ბაზა მიახლოებულ უნდა იქნას ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან. ევროკავშირი დიდ ყურადღებას უთმობს სურსათის უვნებლობის სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციონალურმოწყობას. ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზა სავალდებულოა ევროკავშირის ქვეყნებისათვის, მაგრამ ის ასევე ეხება იმ ქვეყნებსაც, რომლებიც მისწრაფვიან ევროკავშირისკენ და აღიარებენ მათ საკანონმდებლო რეგულირებას. აქედან გამომდინარე, ასეთი მოთხოვნები სერიოზული ამოცანების წინაშე აყენებს ქვეყნის აგრარულ სექტორს, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან გონივრული აგრარული პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებას. საქართველო-

ევროკავშირის ურთიერთობის საერთო სივრცის შექმნისათვის აუცილებელია საკანონმდებლო-სამართლებრივი საფუძველისა და გადაწყვეტილებების საერთო კურსის შემუშავება. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა იურიდიული წესების, სამართლებრივ სისტემებისა და საკანონმდებლო დარგებში განსხვავების აღმოფხვრა მათი ჰარმონიზაციის საშუალებით.

ევროკავშირის ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სუბსიდიებზე, ფერმერების მნიშვნელოვანი ხარჯები ანაზღაურდება სახელმწიფოს მხრიდან. გარდა ამისა, სახელმწიფო არა მხოლოდ უზრუნველყოფს წარმოების მაღალ დონეს, არამედ წახალისებს ექსპორტს და ასევე (ზოგ შემთხვევაში პროტექციონისტური პოლიტიკის გატარებით) იცავს სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს გარე კონკურენციისგან.

ექსპერტების განცხადებით, ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო სოფლის მეურნეობის დარგების, კერძოდ, მევენახეობის სუბსიდირებისათვის გარკვეულ პოლიტიკას ატარებს და შესაძლებლობის ფარგლებში თანხებსაც ხარჯავს, მაგრამ დარგის განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივა ჯერჯერობით არ ჩანს. ვინაიდან არ გამოიყოფა სახსრები ფერმერის, გლეხის განათლების მიღების, საწარმოს გამართვის, გლეხისთვის ჯანსაღი კონკურენციული გარემოს შექმნისათვის და ა.შ.

აქვე უნდა ითქვას, რომ სათანადო პოლიტიკური ნების მობილიზება, შესაბამისი ორგანიზაციების შექმნა, ინვესტიციები და პოლიტიკურ მაკროგარემოში მიღებული ეფექტური გადაწყვეტილებები სასიკეთოდ შეცვლიდა მომავალში მთელი მსოფლიოს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პრობლემებს, რისთვისაც არსებობს საკმარისი რესურსი (დაუმუშავებელი სახნავ-სათესი მიწები) და ტექნოლოგიები.

მაკრომარკეტინგული გარემოს ფაქტორებიდან გარკვეულ როლს ასრულებს ქვეყნის აგროსექტორის განვითარებაში *კულტურული გარემო*.

საქართველო უძველესი აგროკულტურის ქვეყანაა, რაც წარსულში მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა აგროსასურსათო სექტორის ძირითად მიმართულებებს ქვეყანაში.

კულტურა ფართო ცნებაა. მასში იგულისხმება საზოგადოების განვითარების ისტორიულად განსაზღვრული დონე, ცალკეული ადამიანის ქცევის მანერები, სოფლის მეურნეობის პროდუქტები (მაგალითად, მარცვლეული კულტურები), ადამიანების სულიერი ფასეულობები და სხვ. კულტურული გარემო აგრომარკეტინგის სექტორში ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით. სოფლის მეურნეობის საწარმოების ტექნიკური აღჭურვილობის უქონლობის გამო, ასევე უწყვეტი საწარმოო პროცესის გამო, (განსაკუთრებით მინდვრის სამუშაოების მიმდინარეობისას სამუშაო დღის ხანგრძლივობა შეადგენს 16 საათს და მეტს.) სოფლის მეურნეობაში მომუშავე პირებს არ აქვთ გამოსასვლელი დღეების და შვებულების გამოყენების საშუალება. რაც აფერხებს მათი მზარდი ყოფითი, კულტურული და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ჩვენი ქვეყანა ტრადიციულად აგრარულ ქვეყნად მიიჩნევა და სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგებს განვითარება მომავალში, მით უმეტეს, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ცნობილია, რომ კრიზისი და სირთულეები საუკეთესო ბარომეტრია მენეჯერების, ხელმძღვანელების, კონსულტანტების შესაფასებლად. სწორედ ამიტომ, მეტად

მნიშვნელოვანია მაკროგარემოში არსებული ტენდენციების გამოვლენა, მიმდინარე ცვლილებების შესწავლა, მოსალოდნელი შესაძლებლობების და საფრთხის შეფასება და, შესაბამისად, ყველა ამ პროცესის გათვალისწინებით აგროსასურსათო სექტორში სათანადო სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება აღნიშნული სფეროს სპეციალისტების მუდმივი განხილვის და მსჯელობის თემად უნდა იქცეს.

ნუნუ ხარაზიშვილი, დოქტორანტი

*მაკროგარემოს ფაქტორების ზემოქმედება აგროსასურსათო
სექტორის განვითარებაზე*

ნაშრომში განხილულია თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მაკროგარემოში (დემოგრაფიული, ეკონომიკური, ბუნებრივი, მეცნიერულ-ტექნიკური, პოლიტიკური და კულტურული) მიმდინარე ტენდენციების შესწავლის მნიშვნელობა აგრომარკეტინგის სისტემაში.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საექსპორტო შესაძლებლობების მსოფლიო ბაზარზე რეალიზება. ამ მიზნით, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარება მომავალში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

Нуну Харазишвили, Докторант

Влияние факторов макросреды на развитие агропродовольственного сектора

В статье обсуждается необходимость изучения текущих тенденций, происходящих в макросреде демографической, экономической, природной, научно-технической, политической и культурной) в условиях современной глобализации.

Для экономического развития нашей страны одной из важных условий является реализация экспортных возможностей на мировом рынке, исходя из этого жизненно важной особенностью в будущем является развитие отдельных отраслей сельского хозяйства в соответствии с развитием мировых процессов.

Nunu Kharazishvili, PHD student

Affect of Micro Factors on the Development of Agricultural Selector

Importance of studying of current trends in the system of agromarketing in the conditions of modern globalization and their dependence on the changes in the micro-environment (demographic, economic, scientific and technological, political and cultural) have been studied.

one of the necessary factors to develop our countrys economy is reexport. This is why development of some definite fields of agriculture is vital in future, considering the processes that are taking place wordwinde.

ლიტერატურა

1. ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის თავისებურებები. თბ., 2008;
2. Marketing insighets from A to Z. 80 Concepts Every manager Needs To Know - Philip Kotler./john Wily &Sons,Inc. 2010./;
3. Мировая экономика и международные отношения —№9 2009; М., Наука
Агromаркетинг. — Цыпкин Ю.А. изд. Мир 2004;
4. <http://www.fao.org/news/story/ru/item/35686/icode/>;
5. <http://www.geostat.ge>;
6. <http://banksandfinance.ge/>.

სამართალი

*იაკობ ფუტკარაძე, სრული პროფესორი
თამარ ზაალიშვილი, დოქტორანტი*

სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპის წარმოშობის წინაპირობები და განვითარების პერსპექტივები

სოციალური სახელმწიფოს განვითარების ისტორიული მიმოხილვა. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უფლებების მნიშვნელობის გააზრების საფუძველზე და მათი უზრუნველყოფის მიზნით ჩამოყალიბდა. სოციალური სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვისა და განვითარების გარეშე. მისი დანიშნულება სწორედ ამ ფუნქციის შესრულებით გამოიხატება. სოციალურ-ეკონომიკური უფლებები განმტკიცებულია საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით და ასახულია კონსტიტუციებში, ანუ სახელმწიფოთა ძირითად კანონებში. მათი საკანონმდებლო რეგლამენტაცია შესაბამისი სახელმწიფოს სოციალური ბუნების მაჩვენებელია [1.278]. ამჟამად პრინციპის სახით არსებულ სოციალურ სახელმწიფოს წარმოშობისა და ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორია აქვს. მისი საწყისები, სოციალური სახელმწიფოს იდეის ფესვები იდეალური სახელმწიფო მოწყობის შესახებ ანტიკური დროის მოაზროვნეთა წარმოდგენებში უნდა ვეძიოთ, სოციალური სახელმწიფოს რეალური ფორმირება კი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების პროცესში ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებებში სახელმწიფოს სოციალური როლის ზრდის ობიექტურ პროცესს უკავშირდება [2.43].

«სოციალური სახელმწიფოს» ცნებამ, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში შემოტანილი იქნა 1850 წელს ცნობილი გერმანელი მეცნიერის ლორენც ფონ შტაინის მიერ [3.204], მოიცვა ყველა არსებითი მახასიათებელი (ატრიბუტი), რომლებიც მის ფენომენს გამოხატავდა. შტაინის აზრით, სახელმწიფოს იდეა გულისხმობდა თანასწორობისა და თავისუფლების დამკვიდრებას, ქვედა, დაჩაგრული კლასების «ამოწევას» მდიდრებისა და ძლიერების დონემდე, სახელმწიფოს მხრიდან მისი ყველა წევრის ეკონომიკური და საზოგადოებრივი პროგრესის უზრუნველყოფას. სოციალური სახელმწიფოს შტაინისეულ განმარტებაში მოცემული იყო მთელი რიგი პრინციპული დებულებებისა, რამაც გააფართოვა სახელმწიფოს ვალდებულებების ტრადიციული გაგება და შეცვალა სახელმწიფოსადმი, როგორც კლასობრივი ბრძოლის არენისადმი არსებული სოციოლოგიური მიდგომა. კერძოდ, შტაინის მიხედვით სოციალურმა სახელმწიფომ «მხარი უნდა დაუჭიროს ყველა განსხვავებული საზოგადოებრივი კლასის, ცალკეული პიროვნების უფლებების აბსოლუტურ თანასწორობას ხელისუფლების მემკვიდრით. იგი ვალდებულია

უზრუნველყოს ეკონომიკური და საზოგადოებრივი პროგრესი, ვინაიდან საბოლოოდ ერთის განვითარება წარმოადგენს მეორის განვითარების პირობას, და სწორედ ამ გაგებით უნდა ვისაუბროთ სამოქალაქო და სოციალურ სახელმწიფოზე» [4.215].

ზემოაღნიშნული განმარტებით, სოციალური სახელმწიფოს ერთ-ერთ მახასიათებლად გამოიყოფა ყველა ადამიანის თანასწორობა და აღიარებულია «პიროვნება – სახელმწიფოს» პრიმატი ადრინდელ - «სახელმწიფო – საზოგადოებასთან» მიმართებით. შტაინის შეხედულებები გაზიარებული იქნა როგორც სახელმწიფო და ქრისტიანული სოციალიზმის მიმდევარი, ისე ლიბერალი მეცნიერების მიერ (მაგალითად, ფრიდრიხ ნაუმანის შეხედულებები სამეურნეო და სოციალურ ურთიერთობებში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის შესახებ შეადგენდა ადრეული გერმანული ლიბერალიზმის არსებით ელემენტს [5.224]). აღსანიშნავია ადოლფ ვაგნერის ინტერვენციონისტული სოციალური სახელმწიფოს კონცეფცია [6.76], რომელიც ბურჟუაზიული სახელმწიფოს «კულტურის სახელმწიფოდ» და «საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოდ» გარდაქმნას, რკინიგზისა და სამთო საწარმოების, ბანკებისა და სადაზღვევო ორგანიზაციების განსახელმწიფოებრიობას, სახელმწიფოსა და საზოგადოებაში მუშათა კლასის ინტეგრაციას ითვალისწინებდა. «სოციალური სახელმწიფოს» ტერმინის შემოტანით ფაქტობრივად აღიარებული იქნა სახელმწიფოებრიობის არსისა და ბუნების ცვლილება. ამ ცნებამ ასახა «პოლიციური სახელმწიფოდან» «საზოგადოებრივი თანხმობის სახელმწიფოზე» გადასვლის რეალობა. კერძოდ, სოციალური სახელმწიფო აღიჭურვა პასუხისმგებლობით, რომ უზრუნველყოს მოქალაქეთა კეთილდღეობა და საზოგადოების ყველა წევრისთვის სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობა, შეექმნა

სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო სისტემები, განეხორციელებინა სოციალური პროგრამების საბიუჯეტო დაფინანსება. სოციალური პოლიტიკის ახალი მექანიზმების შემოტანა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახით, გახდა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი სოციალური ფუნქცია.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში უკვე ყალიბდება «სოციალური პოლიტიკის», «სოციალური პარტნიორობის», «სოციალური სოლიდარობის» იდეები და განისაზღვრება მათი არსი. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ეს იდეები თანდათანობით აისახებოდა სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციებში. ამასთან, კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებები სოციალური რეფორმირებისა და სოციალური სამართლიანობის იდეის რეალიზების სფეროში დაიწყო ლიბერალური იდეების საფუძველზე. ამ ღონისძიებათა მიზანს წარმოადგენდა თავისი საქმიანობით სოციალურთან დაკავშირებული ახალი ტიპის სახელმწიფოს შექმნა, უარი «ღამის გუშაგის» პოზიციის მქონე სახელმწიფოზე.

ლიბერალური სოციალური სახელმწიფოებრივი იდეები, რომლებიც გამომდინარეობდნენ საყოველთაო თავისუფლების პრინციპიდან, პირველად საკანონმდებლო წესით განმტკიცდა 1919 წლის 11 აგვისტოს ვაიმარის რესპუბლიკის კონსტიტუციაში. ვაიმარის კონსტიტუციის მიხედვით, «ეკონომიკური ცხოვრების წესი უნდა შეესაბამებოდეს სამართლიანობის პრინციპებს და ყველასთვის ღირსეული არსებობის უზრუნველყოფის მიზანს» [7.83].

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის ძირითადი კანონი 'საკმაოდ საინტერესო მოდელია კონსტიტუციისა, რომელშიც გონივრულადაა შეჯერებული მსოფლიო

კონსტიტუციონალიზმის გამოცდილება და საერთო-ეროვნული ქართული საწყისები» [8.51]. ჯერ კიდევ მაშინ საქართველოში კონსტიტუციის დონეზე განმტკიცდა, რომ ადამიანი არის ძირითადი სოციალური ღირებულება [8.52]. ამასთან, «თუ გავცნობით მეცამეტე თავის შინაარსს – «სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს», სოციალური ორიენტაცია ნამდვილად სახეზეა. თუმცა, რაიმე სხვა მინიშნება კონსტიტუციის ტექსტში «სოციალური» სახელმწიფოს შესახებ არ არსებობს» [9.102].

მე-20 საუკუნის პირველი მესამედი გამოირჩევა სოციალური ურთიერთობების მარეგულირებელი კანონების მიღების დიდი ტალღითა და მრავალი ქვეყნის პოლიტიკაში სოციალური სახელმწიფოს პრინციპების დანერგვით. კანონები, რომლებიც დაკავშირებული იყო სოციალურ და სამედიცინო დაზღვევასთან, საპენსიო უზრუნველყოფასთან, უმუშევრობისა თუ საოჯახო შემწეობებთან და უბედური შემთხვევის გამო დაზღვევასთან, აღნიშნულ პერიოდში მიღებული იქნა ავსტრიაში, დანიაში, კანადაში, იტალიაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ნორვეგიაში, საბჭოთა კავშირში, აშშ-ში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში.

სოციალური სახელმწიფოს თეორიისა და პრაქტიკის შემდგომ განვითარებას ძლიერი ბიძგი მისცა 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და მეორე მსოფლიო ომის შედეგებმა. აშშ-ში საკანონმდებლო წესით განმტკიცდა მუშათა უფლებები კოლექტიურ შეთანხმებასა და პროფკავშირების ორგანიზაციაზე, საერთო სახელმწიფოებრივი ღონისძიებები უმუშევრობასთან ბრძოლისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში.

სოციალური სფეროს მარეგულირებელმა კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სახელმწიფოს ნორმატიული ბაზის მთლიან შინაარსზე. 1930 წელს გერმანელი მეცნიერის ჰერმან ჰელერის მიერ სამეცნიერო ლიტერატურაში შემოტანილი იქნა «სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოს» ცნება [10.26]. იგი ყურადღებას ამახვილებდა მოქალაქის უფლებაზე, რომ ჰქონოდა სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი სოციალური გარანტიები. სოციალური სახელმწიფოს სამართლებრივი ბუნების კონსტატაციამ, მისი არსებობის უდავო დადგენამ განაპირობა სახელმწიფოს სოციალური ფუნქციების ფაქტობრივი განმტკიცება.

სოციალური სახელმწიფოს განვითარების ამ პერიოდს (მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან 40-იან წლებამდე) შეიძლება ეწოდოს სამართლებრივი სოციალური სახელმწიფოს ფორმირების ეტაპი.

დასავლეთის ქვეყნებში სოციალური სახელმწიფოს შექმნაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ე.წ. «ბევერიჯის გეგმამ». იგი მიიღო ბრიტანეთის პარლამენტმა და 1945 წლიდან განახორციელა ლეიბორისტულმა მთავრობამ. კეთილდღეობის სახელმწიფოს პოლიტიკურ და სამართლებრივ დოქტრინაში გაჩნდა არა მარტო ახალი მიდგომები, არამედ ახალი მოთხოვნებიც, რომლებიც გამოიხატა იმით, რომ სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მზრუნველობა უნდა გავრცელდეს ყველა მოქალაქეზე და მოიცვას მთელი მოსახლეობა. გარდა ამისა, პირობები, რომლებიც იძლეოდა სოციალური დაცვის უფლებას, იყო არა მხოლოდ სოციალური რისკები, არამედ ადამიანის მოთხოვნილებები მრავალ მომსახურებაზე [11.194]. აღნიშნული გეგმაითვალისწინებდა სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ახალ ორგანიზაციას და სოციალური დაზღვევის სისტემის გავრცელებას სახელმწიფოს თითქმის მთელ მოსახლეობაზე, ასევე, ერთიანი ნაციონალური მინიმალური შემოსავლის

გარანტირებას, რაც საკმარისი იქნებოდა მოკრძალებული ცხოვრებისათვის. გეგმის ქვაკუთხედს წარმოადგენდა სოციალური პოლიტიკის მჭიდრო კავშირი სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკასთან, რაც მიმართული იყო სრული დასაქმების უზრუნველყოფისაკენ. გეგმა, ითვალისწინებდა აგრეთვე უფასო და ხელმისაწვდომი სახელმწიფო ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შექმნას, შრომის ანაზღაურებისა და ფასების კონტროლს და სხვა ღონისძიებებს. ამ დროიდან ტერმინი «კეთილდღეობის სახელმწიფო» – „welfare state” ინგლისურენოვან ქვეყნებში გახდა სოციალური სახელმწიფოს სინონიმი. «ბევერიჯის გეგმა» გამოიყენა მრავალმა სახელმწიფომ, მათ შორის ბელგიის, დანიისა და ნიდერლანდების მთავრობებმა. იგი საფუძვლად დაედო შვედეთის სოციალური უზრუნველყოფის თანამედროვე სისტემის შექმნას.

სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპის დამკვიდრება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო სოციალური სახელმწიფოს ფენომენის განვითარების ახალი ეტაპი – სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპის განმტკიცება.

«სოციალური სახელმწიფო» კონსტიტუციური პრინციპის სახით პირველად აისახა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1949 წლის 23 მაისის კონსტიტუციაში. კერძოდ, კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 'გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არის დემოკრატიული და სოციალური ფედერაციული სახელმწიფო» [12.587]. 1958 წლის კონსტიტუციის მიხედვით «საფრანგეთი არის განუყოფელი, საერო, სოციალური, დემოკრატიული რესპუბლიკა» [13.411]. 1976 წლის კონსტიტუციით პორტუგალია გამოცხადდა სუვერენულ რესპუბლიკად, რომელიც მიზნად ისახავს თავისუფალი, სამართლებრივი და სოლიდარული საზოგადოების აშენებას [14.748]. დიქტატორული რეჟიმის დემოკრატიული მმართველობის ფორმით შეცვლის შემდგომ, 1978 წელს – სამართლებრივ, დემოკრატიულ, სოციალურ სახელმწიფოდ გამოცხადდა ესპანეთი [15.50].

კონსტიტუციები უმრავლესობა შეიცავს ბევრი სოციალური ძირითადი უფლების მკაფიო გარანტიებს. დღეისათვის, მსოფლიოს მრავალი ქვეყანა აცხადებს, რომ არის სოციალური სახელმწიფო. სოციალური სახელმწიფოს ცნებამ და თავად ამ ფენომენმა მყარად მოიკიდა ფეხი მსოფლიოს ქვეყნების კონსტიტუციურ სამართალში.

მე-20 საუკუნის 40-იანი წლების შუა პერიოდი 60-იანი წლების ჩათვლით შეიძლება გამოიყოს, როგორც სოციალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების განსაკუთრებული ეტაპი. იგი უკავშირდება სახელმწიფოს მიერ ახალი სოციალური ფუნქციების განხორციელებას (დასაქმებას, სოციალურ პატრონაჟს, ინვალიდებისათვის საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფას, ცალკეული კატეგორიის ადამიანებისა და რეგიონებისათვის სახელმწიფო დახმარების პროგრამებისა და აუცილებელი საცხოვრებელი პირობების შექმნას). აღნიშნული პერიოდი ხასიათდება, ერთი მხრივ, სოციალური სახელმწიფოსა და კეთილდღეობის სახელმწიფოს თეორიის განვითარებით და, მეორე მხრივ, ნაციონალურ დონეზე სოციალური სახელმწიფოს იდეის რეალიზაციით.

მე-20 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან 80-იანი წლების შუა პერიოდამდე ეტაპს შეიძლება ეწოდოს „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს» პერიოდი.

საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეის წარმოშობას ხელი შეუწყო განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრების დონის მკვეთრმა ზრდამ. ამ პერიოდში შექმნილმა სოციალური რისკებისაგან დაცვის სისტემამ პრაქტიკულად სრულად უზრუნველყო საზოგადოების ნათელი მომავალი და ერთსულოვნება, ერთიანობა. ადრინდელისგან განსხვავებით, სახელმწიფომ იკისრა საზოგადოების ყველა წევრისთვის მაღალი ცხოვრების დონის უზრუნველყოფის ფუნქცია. საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოსთვის განმსაზღვრელი გახდა სოლიდარობის პრინციპი. თავის მხრივ, სოლიდარობამ, როგორც საზოგადოების მიზანმა გადანაწილება აქცია სახელმწიფოს მთავარ ფუნქციად.

საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ნაციონალური მოდელების განვითარებამ ხელი შეუწყო სოციალური სახელმწიფოს არსის უფრო ღრმა გააზრებას და მისი სისტემური თვისებების გამოვლენას. ერთ-ერთ ამგვარ მოდელს წარმოადგენდა აშშ-ში დანერგილი და განვითარებული ე.წ. „ზიანის საყოველთაო ანაზღაურების საზოგადოება«, რომლის ფარგლებშიც სოციალური რისკის ცნება იცვლება „მსხვერპლის« ცნებით, ხოლო სოციალური დაცვის ინდივიდუალური მიდგომა - ჯგუფური მიდგომით.

როგორც სოლიდარობის პრინციპის, ისე ზიანის ანაზღაურების პრინციპის რეალიზება ერთნაირად უკავშირდება სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სოციალური პასუხისმგებლობების აღებას, თუმცა ამ პასუხისმგებლობების განსხვავებული ბუნება და, მათსადაამე, საზოგადოებრივი სიმდიდრის გადანაწილების შესაბამისი წესი განსაზღვრავს სხვადასხვაგვარ სოციალურ პოლიტიკასა და ურთიერთობებს საზოგადოებაში.

სოციალური სახელმწიფოს განვითარების შემდგომ ეტაპად გამოიყოფა მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან 90-იანი წლების შუა ნახევრამდე პერიოდი. ესაა როგორც საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს კრიზისი, რაც განპირობებული იყო პრობლემებით ეკონომიკურ და დემოგრაფიულ, დაზღვევის მექანიზმის, მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდის უზრუნველყოფის სფეროში. ამ პერიოდში შეიცვალა სახელმწიფოს როლი და სოციალური ფუნქციები. ეს დაკავშირებული იყო ახალი სოციალური რისკების წარმოშობასთან. შეიქმნა სოციალური დაცვის ახალი იდეოლოგია, გადაისინჯა სოციალური უფლებების ტრადიციული კონცეფცია. სოციალური დაზღვევის სოლიდარულმა პრინციპმა დაკარგა თავისი უნივერსალობა და ეფექტურობა მთელი რიგი რისკების მიმართ.

იმ პროცესების საფუძველს, რომლებიც გახდა სოციალურ სახელმწიფოში პრობლემების გამწვავების მიზეზი, წარმოადგენს ეკონომიკის ციკლური და არათანაბარი განვითარება, ეკონომიკური და სოციალური სფეროების დაქვემდებარება საგარეო და საშინაო პოლიტიკის მიმდინარეობაზე. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გაანადგურა ილუზია ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ-ეკონომიკური სიკეთეების ცენტრალიზებული განაწილების პრაქტიკას შორის ჰარმონიის შესახებ და წარმოაჩინა სერიოზული მონეტარული პრობლემები. კრიზისის დამატებითი საფუძველი გახდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სოციალისტური სისტემის რღვევა, აგრეთვე ეკონომიკური სიმწელები გერმანიაში, რაც გამოწვეული იყო ამ ორად გაყოფილი ქვეყნის გაერთიანებით. კრიზისის კიდევ ერთი საფუძველი იყო და კვლავაც არის ევროკავშირის გაფართოების პროცესი.

აღნიშნულმა გლობალურმა გეოპოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ძვრებმა გააშიშვლა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ყველა სირთულე.

მეოცე საუკუნის ბოლოს, საზოგადოების დიფერენციაციამ განაპირობა დაზღვევის სისტემის სეგმენტაცია, კორპორაციული და სოციალურ-პროფესიული ინტერესების განვითარება და სოციალური სახელმწიფოს არსის ახლებური გაგება – იგი მიიჩნევა იმ მექანიზმად, რომელიც უზრუნველყოფს საბაზრო კანონებისა და სოციალური მიზნების წინააღმდეგობების დაძლევას. ამდენად, სოციალური სახელმწიფოს განვითარების ამ პერიოდს შეიძლება ეწოდოს ლიბერალური სოციალური სახელმწიფოს ფორმირების ეტაპი.

დღეისათვის, მსოფლიოს ყველა განვითარებული ქვეყანა ამა თუ იმ ხარისხით ფაქტობრივად წარმოადგენს სოციალურ სახელმწიფოს - მიუხედავად იმისა, განმტკიცებულია თუ არა შესაბამისი დებულებები მის ძირითად კანონში.

თანამედროვე მკვლევართა უმრავლესობას მიაჩნია, რომ სოციალური სახელმწიფოს წარმოქმნას იწვევს საზოგადოების ჰუმანიზაცია და «მეორე თაობის» ადამიანის უფლებათა განხორციელების აუცილებლობა. სახელმწიფო სოციალური ნიშნით ყალიბდება ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისთვის და, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის ღირსეული არსებობის უფლების რეალიზების მიზნით. ეს წარმოადგენს სახელმწიფოს ე.წ. სოციალური ფუნქციების წარმოქმნის ოფიციალურ მოტივს, ოფიციალურად დეკლარირებულ მიზეზს. მკვლევარ ო. როდიონოვას მიხედვით, აღნიშნული გარემოებანი სოციალური სახელმწიფოს მხოლოდ მეორადი ნიშნებია - მართალია განუყოფელი, მაგრამ მაინც წარმოებული ფუნქციებია. მისი აზრით, «სოციალურად სახელმწიფო ყალიბდება კოლექტიური ინტერესის განხორციელებისთვის - სახელმწიფოს, საზოგადოების შემადგენელი სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესთა (კონსენსუალური ინტერესი) გარკვეული შეთანხმებით». მოცემული დებულება არის სახელმწიფოს სოციალური ფუნქციის წარმოშობის ამოსავალი მოტივი და რეალობაში არსებული მიზეზი. „თავისთავად, ამ ფუნქციების სახელწოდება – «სოციალური» შეიძლება არც თუ მართებული იყოს, ვინაიდან სახელმწიფოს ყველა ფუნქცია, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, სოციალურია - პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა დანარჩენი. შესაძლოა, სახელწოდება, რომელიც უფრო არსებითად უპასუხებს მოცემულ ფუნქციას, ასე განისაზღვროს - «სახელმწიფოს ფუნქციები, რომლებიც ემსახურება კონსენსუალური ინტერესების განხორციელებას». მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დასახელება საკმაოდ ვრცელი და მოუხერხებელია, ის ზუსტად გადმოსცემს განმარტებული ფუნქციის არსს და სრულიად გამართლებულია ამ განსაზღვრების გამოიყენება სამეცნიერო კვლევების სფეროში» [16.1].

სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ კონსენსუალური ინტერესი აქციონ კანონიერ ინტერესად, რაც ნიშნავს ყველა არსებული სოციალური ჯგუფის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინტერესების ლეგალურ აღიარებას. როგორც წესი, კონსენსუალური ინტერესი აისახება კანონში და მას აქვს ადეკვატური იურიდიული ფორმა, მაგრამ იგი ასევე შეიძლება გამომდინარეობდეს კონსტიტუციური ნორმებიდან ან ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივი სტატუსის ბუნებიდან. ი. ტიხომიროვის მიხედვით, «ინტერესები

საკმაოდ მრავალფეროვანია და სამართალი მოწოდებულია წარმოადგინოს ისინი ნორმატიულ-კონცენტრირებული ფორმით» [17.63].

სოციალური სახელმწიფოს არსი. სოციალური სახელმწიფოს არსის გამომხატველ სინონიმად ინგლისურენოვან ქვეყნებში ხშირად გამოიყენება ტერმინი «კეთილდღეობის სახელმწიფო» - Welfare State (გერმ. Wohlfahrtsstaat), ხოლო მოქმედ გერმანულ საჯარო სამართალში უმეტესად მიმართავენ ტერმინს «სოციალური სახელმწიფო» (Sozialstaat). შეიძლება ითქვას, რომ ტერმინი «სოციალური სახელმწიფო» უფრო ზუსტად და სრულად ასახავს თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ მრავალმხრივ საქმიანობას და შედარებით ფართო კვლევის ობიექტს, ფენომენს წარმოადგენს.

სოციალური სახელმწიფო ემსახურება საზოგადოებას და ცდილობს გამორიცხოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს გაუმართლებელი სოციალური განსხვავებები. სოციალური სახელმწიფოს ცნება არ გულისხმობს კეთილდღეობის ტოტალური სახელმწიფოს შექმნას და არ ითვალისწინებს იმგვარი ეკონომიკური სისტემის დამკვიდრებას, რომელიც მთლიანად იმართება (ან რომლის ორგანიზება ხორციელდება) სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფო მიისწრაფვის მხოლოდ იმისკენ, რომ თითქმის თანაბრად შეუწყოს ხელი მთელი მოსახლეობის კეთილდღეობას და სიმწელებები (ტვირთი) დაახლოებით თანაბრად გადაანაწილოს. ამასთან, პირადი თავისუფლების კონსტიტუციურ უფლებასა და სოციალური სახელმწიფოს მოთხოვნას შორის არსებობს «გადაულახავი, დაუძლეველი და პრინციპული დამაბულობა», ანუ წინააღმდეგობა. კანონმდებელმა უნდა დააბალანსოს ეს ორი პრინციპი. ამგვარად, პირადი თავისუფლება გარანტირებული უნდა იყოს კანონით იმდენად, რამდენადაც ეს არ არღვევს მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობს სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან.

ზემოაღნიშნული წინააღმდეგობა ბუნებრივია, ვინაიდან შეუძლებელია ცივილიზებული კაცობრიობის ყველა პარამეტრის ჰარმონიული შეხამება. ამის ქრესტომათიულ დასაბუთებას წარმოადგენს თავისუფლებასა და თანასწორობას შორის «დაუძლეველი და პრინციპული დამაბულობის მდგომარეობის» არსებობა. შეუძლებელია აღნიშნული წინააღმდეგობის სამუდამოდ დამლევა. თუმცა, არსებობს გზა, რომელიც უზრუნველყოფს ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მყოფი პრინციპების შერბილებას; კერძოდ, საჭიროა მათ შორის მისაღები კომპრომისის მოძებნა და დაცვა, რაც ხელს შეუწყობს მთლიანობაში სოციუმის განვითარებას» [18.5].

სოციალური სახელმწიფოს პრინციპით უზრუნველყოფილია:

ა) ადამიანის უფლება - მოითხოვოს სახელმწიფოსაგან საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფა;

ბ) სახელმწიფოს ვალდებულება - უზრუნველყოს ადამიანი არსებობის ნორმალური პირობებით (კომუნალური მომსახურებით, ჯანმრთელობის დაცვით, განათლებით, დასაქმებით და სხვ.), თუნდაც არა უფასოდ;

გ) ხელშეკრულებათა თავისუფლების შესაძლო შეზღუდვები (მაგალითად, ფასების რეგულირება);

დ) გარკვეული ჯგუფების იძულებითი სოციალური დაზღვევა;

ე) სოციალური საგადასახადო პოლიტიკის მოთხოვნის უფლება.

სახელმწიფოს დახასიათება სოციალურის თვალსაზრისით გულისხმობს ეკონომიკური და სოციალური უფლებებისა და თავისუფლებების გარანტირებას, მათ უზრუნველყოფას და შესაბამის სახელმწიფო ვალდებულებებს. აქვე შეიძლება ვიგულისხმოთ ეკონომიკური დაგეგმვის (პროგრამირების) კონსტიტუციური პრინციპიც [19.156].

სოციალური სახელმწიფო, თავისი ისტორიული განვითარებიდან გამომდინარე, ზოგადად კონსტიტუციური თავისუფლებების განვითარების კომპენსაციად მიიჩნევა [20.58]. თუკი სამართლებრივი სახელმწიფო განვითარების შესაძლებლობების გარანტიებს კონსტიტუციური თავისუფლებების მეშვეობით იძლევა, მაშინ მან (სახელმწიფომ), საზოგადოების მდგომარეობაზე პასუხისმგებლობებიდან გამომდინარე, იმავდროულად უნდა დაარეგულიროს თავისუფლების გამოყენების შედეგები და მოახდინოს სათანადო კომპენსაცია. შესაბამისად, სახელმწიფოს სოციალური ნიშნით ფორმირების ძირითად მიმართულებას სოციალურად სუსტი ფენებისათვის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ამდენად, სოციალური სახელმწიფოს პრინციპში შეტანილი იქნა სოციალური სამართლიანობის იდეა. შესაბამისად, სოციალურ სახელმწიფოში იგულისხმება სახელმწიფო, რომელიც დახმარებას უწევს შედარებით სუსტს და სამართლიანობის პრინციპების დაცვით ცდილობს ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობის მიღებას [21.1060].

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორების მიერ სხვადასხვაგვარადაა განმარტებული სოციალური სახელმწიფოს არსი. ჰ. ბაირის აზრით, «თანამედროვე სოციალური სახელმწიფო არის ყველა მოქალაქის მიმართ ცენტრალიზებულად წარმართული მზრუნველობა ყველა სასიცოცხლო მიმართულებით, რაც წარმოჩინდება, როგორც თანამედროვე დემოკრატიის უპირველესი გამოვლინება. ამასთან, სოციალური სამართლიანობა ეფუძნება ეკონომიკურ ლიბერალიზმს» [22.9]. აღსანიშნავია, რომ გერმანული სამეცნიერო სკოლა სოციალური სახელმწიფოს არსის განსაზღვრისას უპირატესად ეყრდნობა მოქალაქეთა სოციალური უფლებების დაცვის სფეროში ასეთი სახელმწიფოს საქმიანობის თავსებადობას საბაზრო ეკონომიკასთან, რომელიც ეფუძნება კერძო ინიციატივასა და უზრუნველყოფს სახსრებს სოციალური პროგრამებისათვის [23.42].

სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპი თავისთავად არ მოითხოვს სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურისა და ფუნქციონირების განსაკუთრებულ ცვლილებებს. იგი მოქმედებს მხოლოდ როგორც პრინციპი, რომელიც მიმართულია სოციალური უსამართლობის შემცირებისაკენ. სოციალურ სახელმწიფოს არცთუ იშვიათად უპირისპირებენ ლიბერალურ სახელმწიფოს. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში ისინი არ შეიძლება განხილული იქნეს ალტერნატიულ კატეგორიებად. ისეთი ტიპური «ლიბერალური» სახელმწიფო, როგორცაა აშშ, ახორციელებს მნიშვნელოვან ნაციონალურ სოციალურ პროგრამებს. არაგონის აზრით, «თანამედროვე სოციალური სახელმწიფო არ შეიძლება უშუალოდ ეკამათოს «არასოციალურს». იგი იძულებულია ეს გააკეთოს თავისი თავის მიმართ, ანუ მისი კრიზისი ჩნდება არა სოციალურად «ყოფნა-არყოფნის» პრობლემის სახით, არამედ როგორც რეფორმირების, მოდიფიკაციისა და სრულყოფის აუცილებლობა» [24.24]. სოციალური სახელმწიფოს, როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპის სისტემური, თანმიმდევრული განხორციელება ვლინდება არა მარტო

სახელმწიფოს მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრით, არამედ მისთვის შესაბამისი უფლებამოსილებებისა და კომპეტენციების მინიჭებით [25.46].

სოციალური სახელმწიფოს ტიპები. თანამედროვე მკვლევართა უმრავლესობა გამოყოფს სამ მოდელს, ანუ სოციალური სახელმწიფოს სამ ტიპს [26.107].

1) ლიბერალური ანუ ანგლოსაქსური მოდელი (ითვლება, რომ ამ ტიპის სოციალურ სახელმწიფოსთან უფრო მიახლოებულია დიდი ბრიტანეთი). აქ სახელმწიფო თავის ფუნქციებს შემოსაზღვრავს მხოლოდ ყველაზე უმწეოთა დახმარებით და მისი მიზანია სიღარიბის აღმოფხვრა;

2) სკანდინავიური ანუ სოციალ-დემოკრატიული მოდელი (მაგ. შვედეთი). ასეთ სახელმწიფოებში ყველა მოქალაქე გარანტირებულია საბაზო უზრუნველყოფით. ამ ტიპის სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელია უნივერსალიზმი და გადასახადების გადანაწილება პროგრესული საგადასახადო დაბეგვრის მეშვეობით. ამგვარი სახელმწიფოს ძირითადი იდეაა ყოველი მოქალაქისთვის ღირსეული ადამიანური არსებობის უფლების უზრუნველყოფა იმ პირობით, რომ ისინი ჩართული იქნებიან დასაქმების ერთიან სისტემაში;

3) კონტინენტურ-ევროპული სოციალური სახელმწიფო (მაგ. გერმანია). იგი უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის (გამონაკლისის გარეშე) ცხოვრების ღირსეულ დონეს განვითარებული სოციალური დაზღვევის სისტემის შექმნით, რომლის ორგანიზება ხდება დასაქმებულთა და დამსაქმებელთა წილობრივი შენატანების საფუძველზე. სახელმწიფო აქტიურად ერევა შრომის ბაზრის რეგულირების პროცესში. იგი ამ საქმიანობას სოციალურ პარტნიორებთან ერთად ახორციელებს, რითაც მუდმივად ამცირებს უმუშევრობას.

მიუხედავად მოდელებს შორის არსებული გარკვეული განსხვავებებისა, სოციალურ სახელმწიფოთა არსი მაინც ერთია. ამ არსის გამოვლენა ოპტიმალურია სოციალური სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციების დახასიათების გზით, თუმცა ეს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში სადავო საკითხს წარმოადგენს. ამასთან, თავად ამ ფუნქციებს არ გააჩნიათ ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება და დახასიათება. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად სოციალური სახელმწიფოს საქმიანობა შემოსაზღვრება მხოლოდ «საზოგადოებაში არსებული მატერიალური და სხვა სიკეთეების» გადანაწილებით და შემოსავლების გათანაბრებით სოციალური სამართლიანობის პრინციპის შესაბამისად [27.47]. მაგრამ სოციალური სახელმწიფოს ფუნქციები ამით არ ამოიწურება. ყურადღებას იმსახურებს შეხედულება, რომლის მიხედვით გამოიყოფა სოციალური სახელმწიფოს კომპენსაციის, საინვესტიციო, ემანსიპაციის და განაწილება-გადანაწილების ფუნქციები.

1. კომპენსაციის ან, როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ, ანაზღაურების ფუნქცია. ეს ფუნქცია არსებობს სავალდებულო სოციალური დაზღვევის საფუძველზე;

2. საინვესტიციო ფუნქცია გულისხმობს სტრატეგიულ ინვესტიციებს საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის, განათლებისა და მეცნიერების მოდერნიზაციისა და განვითარების მიზნით;

3. ემანსიპაციის ფუნქცია გამოიხატება მოქალაქის დაცვით იმ სოციალური რისკებისაგან, რაც დაკავშირებულია შრომის ანაზღაურების ცვლილებებთან საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ეს ის მატერიალური გარანტიებია სახელმწიფოს მხრიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ ღირსეული ადამიანური არსებობის უფლებას;

4. განაწილებისა და გადანაწილების ფუნქცია ყოველთვის რჩება სოციალური სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად.

ზემოჩამოთვლილ ფუნქციებს გვთავაზობს ჰანს იურგენ ურბანი [28.301] და ისინი გვხვდება კონტინენტურ-ევროპული მოდელის თანამედროვე სოციალურ სახელმწიფოებში. კომპენსაციის, საინვესტიციო და განაწილება-გადანაწილების ფუნქციები ახასიათებს სოციალური სახელმწიფოს ნებისმიერ ტიპს. ისინი წარმოადგენენ სოციალური სახელმწიფოს უნივერსალურ ფუნქციებს [29.7] და განსაზღვრავენ მის არსს.

კონკრეტული სოციალური სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციების რაოდენობიდან და მათი შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება განისაზღვროს, თუ რომელ ტიპს განეკუთვნება და ჩამოყალიბების, განვითარების ან მოდერნიზების რა ეტაპზე იმყოფება იგი. ცხადია, სახელმწიფოებს შორის ზოგადად ბევრი საერთო ნიშანი არსებობს. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოსა და სამართლის დარგის მკვლევარები მიიჩნევენ, რომ შეუძლებელია სახელმწიფოებრივ-სოციალური მოწყობის რაიმე მზა მოდელის მექანიკური გადატანა და მორგება პირდაპირი სახით რომელიმე რეალურად არსებულ სახელმწიფოზე.

21-ე საუკუნის დასაწყისში სოციალური სახელმწიფოს კონტური მკაფიოდ გამოიკვეთა და იგი მყარად დამკვიდრდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამასთან, არ არსებობს მოდელი, რომელიც იქნება აღიარებული იმ ახალი დემოკრატიების უმეტესობაში, რომლებიც ახლა იწყებენ სოციალური სახელმწიფოს შენებას. თუმცა, ინტეგრაციული პროცესების გაძლიერება, გლობალიზაცია, დემოგრაფიული პრობლემები ადამიანის უფლებათა კონტექსტში სახელმწიფოსა და მეცნიერების წინაშე აყენებს ამგვარ გამოწვევას. დასავლეთის ქვეყნებში შეინიშნება სოციალური სახელმწიფოებრიობის კრიზისი. ისინი დგანან მოდიფიკაციის, გარდაქმნის პრობლემის წინაშე. პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ნაწილი კი ამგვარი სახელმწიფოს ფორმირების მხოლოდ საწყის ეტაპზე იმყოფება [30.9].

სოციალური სახელმწიფოს შენების პროცესში მნიშვნელოვანია, თუ როგორია ქვეყნის ეროვნული და ეკონომიკური თავისებურებები. სწორედ აქედან გამომდინარე გაირკვევა - როგორი იქნება სოციალური სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივები. ამ პერსპექტივების მეცნიერული ანალიზის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია დასავლეთის სახელმწიფოების გამოცდილება.

ქვეყნებმა, რომლებიც სოციალურ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების გზას ადგანან, პირველ რიგში უნდა გააანალიზონ, თუ რომელი ტიპის სახელმწიფოდ ფორმირება იქნება მათთვის ოპტიმალური. ამისათვის საჭიროა ქვეყანაში არსებული ვითარების სრული ანალიტიკური შეფასება, შექმნილი სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის აუცილებელი სამართლებრივი ასპექტების გამოვლენა.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში გაცხადებულია საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნება - «დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო». თუმცა, საქართველოში სოციალური სახელმწიფოს პრინციპის რეალიზების სამართლებრივი უზრუნველყოფისათვის საჭიროა მისი არსისა და მნიშვნელობის, ფუნქციებისა და ელემენტების სიღრმისეული ანალიზი, რაც ნაკლებადაა წარმოდგენილი ქართულ იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში. შესაბამისი მეცნიერული კვლევა-ძიება შექმნის იმ თეორიულ საფუძველს, რომლის

გათვალისწინებითაც უნდა დაისახოს საქართველოში სოციალური სახელმწიფოს პრინციპის რეალიზების პერსპექტივები და სამართლებრივი უზრუნველყოფის გარანტიები.

*იაკობ ფუტკარაძე, სრული პროფესორი
თამარ ზაალიშვილი, დოქტორანტი*

სოციალური სახელმწიფო როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპი - წარმოშობის წინაპირობები და განვითარების პერსპექტივები

სტატიაში გაანალიზებულია სოციალური სახელმწიფოს განვითარება ისტორიულ ჭრილში და მისი, როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპის განმტკიცება. დასაბუთებულია, რომ საქართველოში სოციალური სახელმწიფოს პრინციპის რეალიზების უზრუნველყოფისა და სამართლებრივი გარანტიების შექმნისათვის საჭიროა მისი არსის, სამართლებრივი მნიშვნელობის, ფუნქციებისა და ელემენტების სიღრმისეული მეცნიერული ანალიზი, რაც ნაკლებადაა წარმოდგენილი ქართულ იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

*Иакоб Футкарадзе, Полный профессор
Тамар Заалишвили, Докторант*

Предпосылки возникновения и перспективы развития конституционно-правового принципа социального государства

В статье проанализировано развитие социального государства в историческом плане и его закрепление в качестве конституционно-правового принципа. Обосновано, что для обеспечения реализации принципа социального государства и создания законодательных гарантий в Грузии, необходим глубокий научный анализ его сути, правового значения, функций и элементов, что в незначительном количестве представлено в Грузинской юридической научной литературе.

Iakob Futkaradze, Full Professor
Tamar Zaalishvili, Doctoral Student

Welfare State As a Constitutional Principle – Premises of Emergence and Development Prospects

Development of the welfare state in historical terms and its establishment as a constitutional principle is analyzed in the article. It is argued that in order to ensure implementation of the welfare state principle and provide its legislative guarantees in Georgia, there is a need for deep scientific analysis of its essence, legal significance, functions and elements. These are the issues, which have almost not been analyzed in the Georgian legal science so far.

ლიტერატურა

1. ი. ფუტყარაძე. სოციალურ-ეკონომიკური უფლებების საერთაშორისო-სამართლებრივი და კონსტიტუციური რეგულირება. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. გამომცემლობა «უნივერსალი», თბ., 2009;
2. Гончаров П.Л. Социальное государство. сущность и принципы. Вестник Российского университета дружбы народов. Сер.: Политология. 2000. №2;
3. Stein L. von. Geschichte der Sozialen Bewegung in Frankreich vom 1789 bis auf unsere Tage. 3 Bd. Leipzig, 1850;
4. Stein L. von. Gegenwart und Zukunft der Rechts - und Staatswissenschaften Deutschlands. Stuttgart, 1876;
5. Gall L. Liberalismus und “bürgerliche Gesellschaft”. Zu Charakter und Entwicklung der liberalen Bewegung in Deutschland. Historische Zeitschrift. Bd. 220. 1975;
6. Ritter G. Der Sozialstaat – Entstehung und Entwicklung im internationalen Vergleich. Munchen. 1989;
7. Конституции буржуазных стран. Т. I. М., 1935;
8. ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე. კონსტიტუციური სამართალი. თბ., საგამომცემლო სახლი «ინოვაცია». 2008;
9. პ. ცნობილაძე. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. ტ. I. თბ., გამომცემლობა «უნივერსალი». 2005;
10. Heller H. Rechtsstaat oder Diktatur?, Recht und Staat in Geschichte und Gegenwart. Tьrbingen: J. C. B. Mohr, 1930;
11. Каленский В.Г. Социальное законодательство Англии. М. 1998;

12. Конституции государств Европы. М., Т.1.2001;
13. Конституции государств Европы. М., Т.3.2001;
14. Конституции государств Европы. М., Т.2. 2001;
15. Конституции государств Европы. М., Т.2. 2001;
16. Родионова О.В. Причины возникновения и функции социального государства и современная Россия. Вестник Ивановского Государственного Университета. Серия «Право.Экономика.Социология». 2002. Вып.4;
17. Тихомиров Ю.А. Стабильность интересов и конфликты в праве. Концепция стабильности закона. М., 2000;
18. Мамут Л.С. Социальное государство с точки зрения права. Государство и право.2001. №7;
19. Конституционное (государственное) право зарубежных стран. Руководитель и ответственный редактор доктор юридических наук, проф. Б.А.Страшун. М., 1996;
20. Bieback H. Sozialstaatsprinzip und Grundrechte. EuGRZ. 1985;
21. Zacher H. Handbuch des Staatsrechts, Hrsg. von Josef Isence/Paul Kirchof. Bd. I. Heidelberg. 1987;
22. Bair H. Ehrlichkeit im Sozialstaat. Zurich. 1988;
23. Braun H., Mathilde Niehaus. Sozialstaadt Bundesrepublik Deutschland auf dem Weg nach Europa. Campus Verlag. Frankfurt/Main. New York. 1990;
24. Aragon M. Los problemas del Estado Social. Sistema. Madrid.1994. N.118-119;
25. Гончаров П.Л. Социальное государство. сущность и принципы. Вестник Российского университета дружбы народов. Сер.: Политология. 2000. №2;
26. Мацонашвили Т. Проблемы перестройки социального государства в Западной Европе. Pro et Contra. 2001. Т.6. №3;
27. Новгородцев П.И., Покровский И.А. О праве на существование: Социально-философские этюды. М., СПб. Издание товарищества М.О. Вольф. 1911;
28. Urban H.J. Sozialpolitik in der globalisierten "Wissensgesellschaft". Sozialer Fortschritt. Berlin; Munchen. 2000. N11/12;
29. Родионова О.В. Причины возникновения и функции социального государства и современная Россия. Вестник Ивановского Государственного университета. Серия «Право.Экономика.Социология». Вып.4. 2002;
30. Каргалова М.В. От социальной идеи к социальной интеграции. М., 1998.

გიორგი ხუნაშვილი, დოქტორანტი

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალდაკარგულად გამოცხადება

თანამედროვე სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხი პირდაპირ უკავშირდება საკითხს იმის შესახებ, თუ როგორაა უზრუნველყოფილი მოქალაქეთა უფლებების დაცვის საკითხები და რა საშუალებები, მექანიზმები არსებობს მათი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. აღნიშნული საკითხის წარმატებით გადაწყვეტა შესაძლებელია, უპირველეს ყოვლისა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაუქმების შესახებ დემოკრატიული კანონმდებლობის არსებობის პირობებში. ამიტომაც სტატიაში შევეცდებით სრულყოფილად გავაშუქოთ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალდაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებული საკითხები.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებაში ორი დამოუკიდებელი ცნება იგულისხმება, ეს არის აქტის ბათილად ცნობისა და ძალდაკარგულად გამოცხადების ცნებები. მათ შორის განსხვავება არა მარტო ისაა, თუ რა მომენტიდან უქმდება ადმინისტრაციული აქტის სამართლებრივი შედეგი, არამედ ისიც, რომ ბათილად გამოცხადება შეეხება უკანონო ადმინისტრაციულ აქტს, ხოლო ძალდაკარგულად გამოცხადება არ არის დაკავშირებული აქტის უკანონობასთან, არამედ გარკვეული მიზეზების გამო აუცილებელია აქტმა შეწყვიტოს მოქმედება და მისი მოქმედების შედეგად მომავალში აღარ დადგეს სამართლებრივი შედეგი.

როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-6 ნაწილშია აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალდაკარგულად გამოცხადება ნიშნავს მისი მოქმედების შეწყვეტას ძალდაკარგულად გამოცხადების დღიდან. ამდენად, ადმინისტრაციული აქტის ძალდაკარგულობა მომავალში მისი მოქმედების გაუქმებაა, ხოლო ყველა ის სამართლებრივი შედეგი, რასაც ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული აქტის ძალდაკარგულად გამოცხადებამდე ძალაში რჩება.

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მომხდარი 2005 წლის 24 ივნისის ცვლილებების საფუძველზე ძალდაკარგულად გამოცხადებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სამართლებრივი შედეგი შეიძლება გაუქმებულად იქნეს მიჩნეული მისი ძალაში შესვლის დღიდან. აღნიშნული მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალდაკარგულად გამოცხადება ხდება დაინტერესებული მხარის მიერ ამ აქტით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში და რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალდაკარგულად გამოცხადების საფუძველი.

ასეთი დებულების არსებობამ მოქმედ კოდექსში შეიძლება გამოიწვიოს დაინტერესებული მხარის უფლებების შეზღუდვა. მაგალითად, თუ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე პირი სარგებლობდა საზოგადოებრივი

სარგებლობის სარწყავი არხით, მაგრამ მოქალაქემ დაუდევრობა გამოიჩინა და არ ისარგებლა არხით იმ წესების დაცვით, რაც იყო გათვალისწინებული, მაშინ ადმინისტრაციული ორგანო ძალადაკარგულად გამოაცხადებს აქტს საზოგადოებრივი სარგებლობის სარწყავი არხით ამ პირის მიერ სარგებლობის შესახებ. ბუნებრივია, რომ მოქალაქემ თავისი დაუდევრობის გამო უნდა შეწყვიტოს ამ სარწყავი არხით სარგებლობა, მაგრამ წინა პერიოდში გამოყენებული ეს უფლება არ უნდა შეილახოს და პირს არ უნდა მოეთხოვოს იმ სარგებლის უკან დაბრუნება, რაც მან დღემდე არხით სარგებლობის შედეგად მიიღო.

მაშასადამე, კანონმდებელი მოითხოვს, რომ ზემოთ დასახელებული კონკრეტული საფუძვლის არსებობისას ძალადაკარგულად გამოცხადებული აქტის სამართლებრივი შედეგი გაუქმდეს ამ აქტის ძალაში შესვლის დღიდან, რაც ყოველთვის არ შეიძლება იყოს გამართლებული. როგორც სამართლიანადაა მითითებული ამავე მუხლის მე-7 ნაწილში, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება, განსხვავებით მისი ბათილად ცნობისგან, იმაში გამოიხატება, რომ აქტი წყვეტს მოქმედებას ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან და არა მისი ძალაში შესვლის დღიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელი მოითხოვს, რომ ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა.

როგორც ცნობილია, აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტი რაიმე უფლებას ანიჭებს დაინტერესებულ მხარეს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის «ვ» პუნქტში აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განმარტებულია როგორც ისეთი აქტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს უფლებას ან სარგებელს.

ადმინისტრაციული აქტების დიდი ნაწილი სწორედ აღმჭურველია, ვინაიდან მოქალაქენი თავიანთი განცხადების საფუძველზე მოიპოვებენ ადმინისტრაციული ორგანოებისაგან გარკვეული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას ან უშუალოდ რაიმე სარგებელს, მაგრამ პრაქტიკულ ცხოვრებაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს მავალეებელ ან ამკრძალავ ადმინისტრაციულ აქტს, რომლებიც შეიძლება სადავო გახდეს დაინტერესებული მხარისათვის ზიანის მოტანის გამო, ამ დროს დაინტერესებული მხარე წერს საჩივარს ასეთი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

სამართლიანადაა მითითებული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარებში, რომლის მიხედვით «რაც შეეხება კანონიერ მავალეებელ ან ამკრძალავ ადმინისტრაციულ აქტებს, რომლებიც ზიანს აყენებენ ან ზღუდავენ დაინტერესებული მხარის კანონიერ ინტერესებს, ისინი ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდნენ, რათა შესაბამისი ზიანი ან უფლების შეზღუდვა თავიდან იქნეს აცილებული. კანონიერი მავალეებელი ან ამკრძალავი ადმინისტრაციული აქტი მრავალ შემთხვევაში იწვევს ზიანს ან უფლების შეზღუდვას. მაგალითად, წყალწაღებულთა გადასარჩენად პირისაგან ჩამორთმეულ ნავს შეიძლება ზიანი მიადგეს, რაც მავალეებელი ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შედეგია. ასევე თუ კვალიფიკაციის ასამაღლებლად პირი სასწავლო კურსებს არ გაივლის, იგი

დაკავებული თანამდებობიდან შეიძლება გათავისუფლდეს, რაც ამკრძალავი ნორმის შედეგი იქნება» [4. 212-213].

ამიტომ ძალადაკარგულად შეიძლება გამოცხადდეს ასევე მავალეხელი ადმინისტრაციული აქტიც, რის შესახებაც შესაძლებელია მითითებული იყოს კანონში, ან მის საფუძველზე გამოცემულ ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტში, ან დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულოს ადმინისტრაციული აქტით დადგენილი ვალდებულება, რაც შეიძლება გახდეს ამ აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, ან შეიძლება არსებობდეს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებები, რომლებმაც მავალეხელი ადმინისტრაციული აქტი შეიძლება ძალადაკარგულად გამოაცხადოს, მით უფრო მაშინ, როდესაც ასეთი აქტი და მისი მოქმედება ზიანს აყენებს არა მარტო დაინტერესებულ პირს, არამედ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებსაც.

ამდენად საკვებით სამართლიანად მიგვაჩნია არა მარტო აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება, არამედ ამკრძალავი და მავალეხელი ადმინისტრაციული აქტებისაც.

იურიდიულ ლიტერატურაში ამ აზრის სასარგებლოდ გამოთქმულია შეხედულება, რომ «ისევე, როგორც აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემთხვევაში, ამკრძალავი (მავალეხელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება, როდესაც განგრძობადი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შემთხვევაში იცვლება ამ აქტის გამოცემის ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძვლები» [3. 157].

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილია ის შემთხვევები, როდესაც აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს და ეს შემთხვევებია, როდესაც:

ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ მითითებულია კანონში ან მის საფუძველზე გამოცემულ ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტში;

ბ) კანონმდებლობის შესაბამისად ეს პირდაპირ არის მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში;

გ) დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი;

დ) გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს;

ე) არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ანგამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.

დასახელებული საფუძვლებიდან აღსანიშნავია ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება, როდესაც ამის შესახებ მითითებულია კანონში ან მის საფუძველზე გამოცემულ ზემდგომ ორგანოს კანონქვემდებარე აქტში.

აღნიშნული მითითება მოცემულ უნდა იყოს კანონში ან მის საფუძველზე გამოცემულ ზემდგომ ორგანოს კანონქვემდებარე აქტში, მაშასადამე, როდესაც ძალადაკარგულად გამოსაცხადებელი აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტი უკვე მოქმედებს გარკვეული პერიოდის მანძილზე, მაგრამ ახალმა კანონმა ან კანონქვემდებარე აქტმა იგი ძალადაკარგულად გამოაცხადა.

სხვა შემთხვევაში კანონში ან კანონქვემდებარე აქტში შეიძლება იმთავითვე იყოს მითითება, რომ გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტი ძალადაკარგულად გამოცხადდება გარკვეული ვითარების ან პერიოდის დადგომის გამო. ბუნებრივია, დაუშვებელია აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა თუ კანონში ან კანონქვემდებარე აქტში იმთავითვე გვაქვს მითითება, რომ ასეთი აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტი ძალადაკარგულია.

მოცემულ შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს ისეთ ვითარებას, როდესაც კანონში ან კანონქვემდებარე აქტში პირდაპირაა მითითებული იმ გარემოების შესახებ, რომელთა დადგომაც იწვევს აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას.

სხვაგვარად ამ დებულების გაგება შეუძლებელი იქნება, ვინაიდან თუ კანონი ან კანონქვემდებარე აქტი იმთავითვე აცხადებს ძალადაკარგულად აღმჭურველ ადმინისტრაციულ აქტს, იგი არ შეიძლება გამოიცეს კანონსაწინააღმდეგოდ და თუ მაინც გამოიცა, მაშინ დადგება საკითხი არა ძალადაკარგულად გამოცხადების, არამედ მისი ბათილად ცნობის შესახებ კანონისადმი წინააღმდეგობის გამო.

ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ამ შემთხვევას კანონმდებელი ყოფს ორ ნაწილად, პირველი, როდესაც ეს კანონშია მითითებული და მეორე, როდესაც ეს მითითებულია მის საფუძველზე გამოცემულ ზემდგომ ორგანოს კანონქვემდებარე აქტში. აქ ლაპარაკია მის საფუძველზე გამოცემულ კანონქვემდებარე აქტზე, რომელშიაც იგულისხმება არა ის კანონი, რომელიც ძალადაკარგულად აცხადებს ადმინისტრაციულ აქტს, არამედ სხვა კანონი, რომლის საფუძველზეც არის გამოცემული ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტი, რომელიც იწვევს ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულობას. თუ კანონში მითითებულია, რომ ძალადაკარგულია ყველა აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტი, რომელიც მოცემულ საკითხს შეეხება, ამ კანონის საფუძველზე და ამავე საკითხზე არ შეიძლება კანონქვემდებარე აქტიც გამოიცეს, ვინაიდან საკითხი ეხება კონკრეტულ აღმჭურველ ადმინისტრაციულ აქტს, რომლის მიმართაც კანონი მოქმედებს უშუალოდ, ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტის გარეშე.

თუ ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტი აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხს ეხება, მაშინ ეს კანონქვემდებარე აქტი უნდა ეყრდნობოდეს, როგორც აღვნიშნეთ, სხვა საკანონდებლო აქტს, ხოლო თუკი იგი იმეორებს კანონის დებულებებს აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, მაშინ ძალაში რჩება კანონი და არა კანონქვემდებარე აქტი. რასაკვირველია, ამ დროს შეიძლება დაისვას საკითხი კანონქვემდებარე აქტის გამოცემის მიზანშეწონილობის შესახებ, ვინაიდან თუ აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულობის საკითხი კანონში უკვე

გადაწყვეტილია, ბუნებრივია, ასეთი კანონქვემდებარე აქტი არ უნდა გამოიცეს. მაგრამ თუ კანონში კონკრეტულად არ არის გადაწყვეტილი აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი, მაშინ ამ კანონის საფუძველზე გამოიცემა ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტი, რომელიც მოაწესრგებს აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტი აზუსტებს და აკონკრეტებს კანონის იმ დებულებებს, რომელიც ზოგადად აწესრიგებს ამავე საკითხს. მაგრამ თუ კანონი კონკრეტულად არეგულირებს მოცემულ ინდივიდუალურ საკითხს, მაშინ იგი უშუალო მოქმედებას იწყებს და საჭირო არ არის იმავე საკითხზე კანონქვემდებარე აქტის გამოცემა. საკანონმდებლო ტექნიკის მოთხოვნების თანახმად ერთსა და იმავე კონკრეტულ საკითხზე არ შეიძლება ორი ან მეტი ნორმატიული აქტი არსებობდეს და თუ არსებობს, მაშინ ნორმატიული აქტების იერარქიიდან გამომდინარე ძალაში რჩება კანონი და არა კანონქვემდებარე აქტი.

ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ პირობას წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც კანონმდებლობის შესაბამისად აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება პირდაპირ არის მითითებული თავად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ ასევე კანონმდებლობის შესაბამისად მასში მითითებულია, რომ გარკვეული ვითარების თუ პერიოდის დადგომის გამო იგი ძალას კარგავს. თუ აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის მიღების მომენტშივე კანონმდებლობა მას ძალადაკარგულად მიიჩნევს, მაშინ ასეთი აქტი არ გამოიცემა. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც კანონმდებლობაში(კანონში, კანონქვემდებარე აქტში) პირდაპირ არის მითითებული, რომ აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტი ძალას კარგავს გარკვეული გარემოების ან პერიოდის დადგომის გამო, რომელსაც აკონკრეტებს თვით ადმინისტრაციული აქტი.

მართალია, ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში არ არის და არც შეიძლება იყოს მითითებული თუ რა გარემოება ან პერიოდია ეს, რომელთა დადგომაც კანონმდებლობის შესაბამისად აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულობას იწვევს. ყველა კონკრეტულ შემთხვევას აქვს თავისი გარემოებები, დროში არსებობის მახასიათებლები, რომელიც სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაა და ამიტომაც განსხვავებულია კანონმდებლობა, რომელიც აღმჭურველ ადმინისტრაციულ აქტს ძალადაკარგულად გამოაცხადებს. მაგალითად, თუ მიღებულია მთავრობის დადგენილება, რომ კერძო პირების მიერ იჯარით აღებული სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთებით სარგებლობა უნდა შეწყდეს ამ მიწის ნაკვეთებზე ამხანაგობების ჩამოყალიბებისთანავე, მაშინ ამ გარემოების დადგომისთანავე აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტები მიწით სარგებლობის შესახებ ძალას კარგავენ, რაც უშუალოდ უნდა იყოს მითითებული იმ ორგანოს აღმჭურველ ადმინისტრაციულ აქტში, რომელიც გასცემს მიწის ნაკვეთებს.

აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტი ყველა შემთხვევაში უნდა იყოს დასაბუთებული, რაც გულისხმობს იმ კანონმდებლობაზე მითითებას, რომლის საფუძველზედაც იგი გამოიცა [6.72]. მართალია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი შესაძლებლად მიიჩნევს ზეპირი ადმინისტრაციული აქტის გამოცემასაც,

მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას, ამ საკითხის შესახებ მოცემული ადმინისტრაციული აქტი უსათუოდ წერილობითი უნდა იყოს, ვინაიდან აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამომცხადებელი ადმინისტრაციული აქტი ზღუდავს პირის ინტერესებს. თუ პირი აღჭურვილია გარკვეული უფლებებით, რომლით სარგებლობა მას შეუწყდა აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების გამო, ბუნებრივია, ეს პირის ინტერესების შემზღვეველი გარემოებაა, თუმცა კანონიერი. ამიტომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზღუდავს პირის უფლებებს და ინტერესებს, მაშინ ზეპირი ადმინისტრაციული აქტი 3 დღის ვადაში უნდა გამოიცეს წერილობით.

აქედან გამომდინარეობს დებულება იმის შესახებ, რომ კანონის შესაბამისად მოცემულ აღმჭურველ ადმინისტრაციულ აქტში წერილობით უნდა იყოს აღნიშნული ის გარემოება, რომლის დადგომის შემთხვევაშიც აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტი ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს.

ჩვენ მივუთითეთ, რომ აღმჭურველ ადმინისტრაციულ აქტში მითითებული უნდა იყოს რაიმე გარემოებებზე ან დროის დადგომის შესახებ. გარემოება შეიძლება იყოს ნებისმიერი, რომელსაც კანონმდებლობის მიმღები ჩათვლის საჭიროდ, ხოლო რაც შეეხება ვადის, დროის მითითებას იგი შეიძლება იყოს გამოხატული როგორც გარკვეული ვადის აღნიშვნით, ისე რაიმე კამპანიის მითითებითაც (საგაზაფხულო თესვის ვადის დამთავრებისთანავე).

ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ერთ-ერთი საფუძველია ისეთი შემთხვევა, როდესაც დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა აქტით დადგენილი ვალდებულება და ეს შეუსრულებლობა კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს მისი ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში დაინტერესებული მხარის ვალდებულება გათვალისწინებულია ძალადაკარგულად გამოსაცხადებელ აქტში, მაგრამ ასეთი ვალდებულება დაინტერესებულ მხარეს ეკისრება მრავალი ადმინისტრაციული აქტით. კოდექსის მიხედვით მხოლოდ ისეთი ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი. ამიტომ, თუ კანონმდებლობაში არ არის გათვალისწინებული მოცემული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება, მაშინ დაინტერესებული მხარის მიერ ადმინისტრაციული აქტით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა არ გახდება ამ ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი.

როდესაც საუბარია კანონმდებლობის შესაბამისად გათვალისწინებულ ვალდებულებაზე, ამ დროს პირველ რიგში იგულისხმება კანონით დადგენილი ვალდებულება და, მეორე მხრივ, ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებული ვალდებულება. მაგალითად, თუ მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულია რომელიმე უფლებით სარგებლობის გაუქმება, ამ უფლებასთან

დაკავშირებული ადმინისტრაციული აქტი ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს თუ დაინტერესებული მხარე კვლავ აგრძელებს ამ უფლებით სარგებლობას.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნული საფუძვლით ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება შეეხება მხოლოდ ერთჯერადი ან დენადი ფულადი დახმარების ან სხვა მატერიალური სიკეთის მიღების შესაძლებლობას, ხოლო იგივე წესი ვრცელდება ადმინისტრაციული აქტის დამატებითი მოთხოვნის შეუსრულებლობისას, როდესაც, მაგალითად, აშენებული შენობის მშენებლობის ნებართვა არ შეიძლება ძალადაკარგულად გამოცხადდეს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ დაინტერესებულმა პირმა არ შეასრულა აქტით განსაზღვრული უბრალო დამატებითი მოთხოვნები [3.153].

დაინტერესებული მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა შეიძლება დაკავშირებული იყოს არა მხოლოდ ერთჯერადი ან დენადი ფულადი დახმარების, ან სხვა მატერიალური სიკეთის მიღების შესაძლებლობასთან, არამედ სხვა შემთხვევაშიაც, როდესაც ადმინისტრაციული აქტი არ არის ერთჯერადი და არც ფულად დახმარებას არ შეეხება. რაც შეეხება ადმინისტრაციული აქტის დამატებითი, უმნიშვნელო პირობების შეუსრულებლობას, ეს მართლაც არ უნდა იწვევდეს ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას. ადმინისტრაციულ აქტში გათვალისწინებული დამატებითი პირობის შეუსრულებლობა მაშინ არის აუცილებელი წინაპირობა ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებისთვის, თუ იგი არსებით ზეგავლენას ახდენს ადმინისტრაციული აქტის შესრულებაზე.

ჩვენს კანონმდებლობაში ხშირია შემთხვევები, როდესაც დაინტერესებული მხარის მიერ ადმინისტრაციული აქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს ამ აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას.

ლიტერატურაში ამ თვალსაზრისით დასახელებულია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პირს მიეცემა კონცესია იმ პირობით, რომ ერთი თვის განმავლობაში დაიწყებს უმაღლესი დონის სასტუმროს მშენებლობას, ხოლო პირის მიერ მშენებლობის არდაწყება შეიძლება გახდეს კონცესიის ძალადაკარგულად გამოხცადების საფუძველი. ასევე კავშირგაბმულობის ლიცენზიანტი თუ სამაუწყებლო ლიცენზიის მიღებიდან 1 წლის განმავლობაში არ დაიწყებს მაუწყებლობას, მაშინ მას შეიძლება ლიცენზია ჩამოერთვას [2.169].

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება შეიძლება, თუ გაუქმდა, ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, და თუ ასეთი მაინც გამოიცა და მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს იგი ძალადაკარგულად გამოცხადდება. კოდექსის ასეთი მოთხოვნა განპირობებულია საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპით.

მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელი ითვალისწინებს მხოლოდ ისეთი ნორმატიული აქტის გაუქმებას ან შეცვლას, რომლის საფუძველზედაც არის გამოცემული ძალადაკარგულად გამოსაცხადებელი ადმინისტრაციული აქტი. თუ იმ ნორმატიული აქტისგან განსხვავებით, რომელიც კონკრეტული ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გამოცემის საფუძველი რომელიმე სხვა ნორმატიულ

აქტშია გათვალისწინებული მოცემული კატეგორიის ადმინისტრაციული აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება, ასეთ შემთხვევაში მოცემული ადმინისტრაციული აქტი ძალას დაკარგავს მხოლოდ მაშინ, თუ სხვა ნორმატიული აქტი წარმოადგენს ზემდგომი ორგანოს აქტს, მაგრამ თუ ორივე ნორმატიული აქტი თანაბარი იურიდიული ძალისაა, მაშინ ის ნორმატიული აქტი, რომელიც მოცემული ადმინისტრაციული აქტის გამოცემის საფუძველს არ წარმოადგენს, ვერ გამოიწვევს ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულობას. მაგალითად, თუ მოცემული სამინისტროს ბრძანებით მიღებულია ადმინისტრაციული აქტი, რომელიც სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ზიანს არ აყენებს და პარალელურად მეორე სამინისტრომ გამოსცა იგივე კატეგორიის ნორმატიული აქტი, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციული აქტი და აქტის მოქმედება მნიშვნელოვან ზიანს არ მიაყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, მაშინ იგი არ გამოიწვევს მოცემული ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას.

მოცემულ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებისათვის, ე. ი. ადმინისტრაციული აქტი ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ასეთი ზიანის მომტანი იქნება. ადმინისტრაციული აქტი თითქოსდა ძალადაკარგულად არ უნდა გამოცხადდეს, როდესაც უქმდება ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი, რომელიც ზიანის მომტანი არ არის. ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევაშიც უნდა დაისვას საკითხი იმ ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებაც, რომელიც ამ ნორმატიული აქტის შედეგია.

საერთო წესის თანახმად თუ გაუქმდა ნორმატიული აქტი, მაშინ მის საფუძველზე გამოცემული ყველა ინდივიდუალური აქტი წყვეტს მოქმედებას, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ინდივიდუალურ აქტს საფუძველი ეცლება.

ამიტომ, ჩვენი აზრით, ნორმატიული აქტის გაუქმების ყველა შემთხვევაში მის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს, თუნდაც, რომ ასეთმა აქტმა არ გამოიწვიოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების მნიშვნელოვანი ზიანი.

ამდენად, ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნების მკაცრი შესრულება განაპირობებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვასაც.

ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ბოლო პირობას წარმოადგენს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციული აქტი და მისმა მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.

ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება ან გამოგონება ყოველთვის იწვევდა ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას, ასეა, მაგალითად, სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ, რომელიც უქმდება ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების შემთხვევაში. რაც შეეხება ადმინისტრაციულ აქტს, იგი ემორჩილება აღნიშნულ კანონზომიერებას და როდესაც

ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება ართმევს ადმინისტრაციულ ორგანოს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციული აქტი, ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტი ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს.

აღნიშნულ შემთხვევაში მოცემულია ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თანმდევი მეორე პირობა, კერძოდ, თუ ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს. თუ ეს უკანასკნელი პირობა გამორიცხულია, მაშინ ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება არ უნდა იწვევდეს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულობას. დასახელებული გარემოებები ასეთ დროს უნდა შეეხოს მომავალში ადმინისტრაციული აქტის გამოცემას, რომელმაც შეიძლება არ გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ზიანი. ეს გამომდინარეობს იქედან, რომ ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებები, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი აქტი. აქ თითქოსდა ლაპარაკია ახალი აქტის გამოცემის შესაძლებლობაზე, მაგრამ თუ უკვე გამოცემული ადმინისტრაციულია აქტი, რომლის მსგავსი აქტების გამოცემის უფლება ამ ორგანოსათვის გაუქმებულია და ეს აქტი მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, ბუნებრივია, იგი ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს.

არასწორად მიგვაჩნია ავტორთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ «ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება (გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ) არის ადმინისტრაციული ორგანოს უფლება და არა ვალდებულება, აქედან გამომდინარე, მას შეუძლია, მხარის კანონიერი ნდობის გათვალისწინებით უარი თქვას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებაზე მიუხედავად მისი წინაპირობების არსებობისა» (3.154-155).

ასეთი შეხედულებას არ ვეთანხმებით, ვინაიდან ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევებს შორის კოდექსში დასახელებულია – კანონში ან მის საფუძველზე გამოცემული ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტში აქტის ძალადაკარგულობაზე მითითება. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს არ შეასრულოს კანონის ან მის საფუძველზე გამოცემული ზემდგომი ორგანოს საკანონმდებლო აქტის მოთხოვნები, მათ შორის ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ. ასევე, თუ კანონმდებლობის შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში პირდაპირაა მითითებული მისი ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს არ გამოაცხადოს ადმინისტრაციული აქტი ძალადაკარგულად.

ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ყველა დანარჩენ შემთხვევაშიაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული უნდა იყოს და არა უფლებამოსილი ძალადაკარგულად გამოაცხადოს თავისი ადმინისტრაციული აქტი, რომელიც აქტის ძალადაკარგულობის ამა თუ იმ პირობას შეიცავს.

კანონიერი ნდობის მომენტზე ყურადღების გამახვილება ზემოთ მოცემულ შემთხვევაში არსებითად არაფერს არ ცვლის, ვინაიდან კანონიერი ნდობა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, როდესაც პირის კანონიერი ნდობის საფუძველია

ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) დაპირება რაიმე ქმედების შესასრულებლად.

ასეთია ჩვენი ხედვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით.

გიორგი ხუნაშვილი, დოქტორანტი

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

სტატია ეძღვნება ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს-ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მისი ძალადაკარგულად გამოცხადების კუთხით. ვინაიდან სხაელმწიფო მმართველობის ორგანოები თავიანთ საქმიანობას სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემით ახორციელებენ, რომლებიც პირდაპირ ზეგავლენას ახდენენ მოქალაქეთა უფლებებსა და ინტერესებზე, ამიტომაც კანონიერი აქტის გამოცემის და ასევე უკვე გამოცემული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხები დიდი აქტუალობით გამოირჩევა, ხოლო აღნიშნული საკითხების ამომწურავი და სრულყოფილი საკანონმდებლო რეგლამენტაცია მოქალაქეთა უფლებების დაცვის სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს. სტატიაში სწორედ ამ მიმართულებით არის გაშუქებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ცნება და მისი საფუძვლები, რაც ჩვენი აზრით ყურადღებას იმსახურებს.

გიორგი ხუნაშვილი, დოქტორანტი

Анулирование административно правового акта

Статья посвящается одному из важнейших институтов административного права - административно-правовому акту и проблемам его аннулирования. Поскольку органы государственного управления осуществляют свою деятельность изданием административно-правового акта, постольку издание правового акта и аннулирование уже изданного акта отличаются большой актуальностью. Законодательная регламентация данных вопросов является правовым гарантом защиты прав граждан. В статье именно в этом направлении разработаны вопросы, касающиеся понятия аннулированности акта и его основания.

George Khunashvi, PHD student

Cancellation of administrative legal act

The article is dedicated to one of the most important institutions of administrative law. It's about announcement of cancellation of administrative legal act. A state bodies their activities make by publishing administrative legal acts, which directly influence of citizens' rights and interests, that's why innefection of administrative legal act is highly relevant. So legislative regulation of these questions is a legal guarantee of protection of citizens' rights. That's why there is covered concept of declaring invalid of administrative legal act and it's basics. And in our opinion this problem in administrative legislation deserves great attention

ლიტერატურა

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999;
2. ზ. ადეიშვილი, გ. ვინტერი, დ. ქიტოშვილი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი, თბ., 2002;
3. ზ. ადეიშვილი, ქ. ვარდიაშვილი, ლ. იზორია, ნ. კალანდაძე, მ.კოპალეიშვილი, ნ.სხირტლაძე, პ. ტურავა, დ. ქიტოშვილი, «ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო», გამომც. «ბონა კაუზა», თბ., 2005;
4. გ. გიორგაძე, მ. კოპალეიშვილი, ა. ლორია, ვ. ლორია, ხ. ლორია, მ. სალხინაშვილი, ნ. წკეპლაძე, ც. ჩქარეული, ი. ხარშილაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომც. „ბონა კაუზა», თბ., 2008;
5. მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომც. «სიესტა», თბ., 2008;
6. Д. Н. Бахрах, Административное право, М., 1996.

დავით ბენიძე, დოქტორანტი

შეჯიბრებითობის თავისებურება ბრალდებით და სამძებრო (ინკვიზიციური) ტიპის პროცესში

შეჯიბრებითობის ინსტიტუტს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ყველაზე ძველია პროცესის კერძო-შეჯიბრებითი ტიპი, რომელსაც კერძო-სასარჩელოს ან ბრალდებითსაც უწოდებენ, ვინაიდან პროცესში მთავარი იყო ბრალდება, რომლის გარეშეც საქმის წარმოება ვერ დაიწყებოდა. ეს პროცესი შეჯიბრებითი ხასიათისაა, ანუ ეს არის თანასწორუფლებიან მხარეთა კამათი მათგან დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე.

კერძო-შეჯიბრებითი ტიპი ახასიათებს სისხლის საპროცესო სამართლის განვითარების პირველ ეტაპს, რომლის არსია კერძო საწყისის ბატონობა საჯაროზე. პროცესის კერძო-სამართლებრივი ხასიათი განპირობებულია იმით, რომ საზოგადოება ჯერ კიდევ არაა იმდენად კონსოლიდირებული, რომ შეიგნოს და დაიცვას საჯარო ინტერესები. მასში ნათესაური კავშირები ბატონობს. დანაშაული ჯერ კიდევ ესმით, როგორც კერძო-სამართლებრივი ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს არა მთელ საზოგადოებას, არამედ დაზარალებულს, როგორც მისი გვარის წარმომადგენელს. ასე, მაგალითად, ძველი ინგლისური ბრალდებითი პროცესის მიხედვით, მეფის მკვლელობისთვისაც კი მის გვარს გამოსასყიდს უხდიდნენ, ისევე, როგორც ეპისკოპოსის მკვლელობისთვის. მხოლოდ სამართლის შემდგომი განვითარების კვალობაზე გახდა მეფის მოკვლა სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ფულადი კომპენსაციით არ გამოისყიდებოდა [6.297].

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კერძო საწყისის საჯაროზე უპირატესობისას სისხლის საპროცესო სამართლის განვითარების პირველ ეტაპზე პიროვნების თავისუფლება მინიმალური იყო. პირველ რიგში, ადამიანი არ გამოიყოფოდა თავისი გვარისგან. მეორე, სამართლის განუვითარებლობისას ერთი სუბიექტის კერძო ინტერესის ბატონობა მეორის კერძო ინტერესის შელახვას, ეს კი თვითნებობას იწვევდა.

კერძო საწყისის უპირატესობა, როგორც პროცესის ბრალდებითი ტიპის საკვანძო ნიშანი, გამოიხატება პროცესის ძირითადი მონაწილეების – ბრალდების მხარის, დაცვის მხარისა და სასამართლოს – საპროცესო მდგომარეობაში.

დაწვრილებით განვიხილოთ პროცესის კერძო-შეჯიბრებითი ტიპის თავისებულები.

პირველ რიგში შევხვით ბრალდების მხარის საპროცესო მდგომარეობას. რადგან დანაშაულით ზიანი ადგებოდა არა მთელ საზოგადოებას, არამედ კერძო პირს, ბრალდების მხარედ სწორედ ეს კერძო პირი გამოდიოდა. თავად დაზარალებული და მისი ახლობლები სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას მხოლოდ პირადი ინტერესებით მოქმედებდნენ. ასეთ ბრალდებას სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში კერძო ეწოდება. ბრალდებას სისხლისსამართლებრივი სარჩელის ფორმა ჰქონდა; რადგან ის იმავდროულად კერძო იყო, ბრალდებით პროცესს კერძო-სასარჩელოსაც უწოდებენ.

კერძო ბრალმძებელს ამ ტიპის პროცესში პრაქტიკულად შეუზღუდავი უფლება ჰქონდა. მის შეხედულებებზე იყო დამოკიდებული პროცესის დაწყება, განვითარება

და შეწყვეტა. საქმის წარმოების ნებისმიერ მომენტში შეიძლება მომჩივან-დაზარალებულს სარჩელი გამოეთხოვა.

ამასთანავე, კერძო ბრალმდებელი პირადად ატარებდა სასამართლო ტვირთს, რომელიც დაკავშირებული იყო სისხლისსამართლებრივ დევნასთან. მას ეკისრებოდა ვალდებულება, მოემბნა და სასამართლოში მიეყვანა დამნაშავე. იგი ასევე პასუხისმგებელი იყო დაუსაბუთებელი ბრალდებისათვის. ასე, მაგალითად, ძველ პროცესში დაზარალებულს სისხლისსამართლებრივი სასჯელი ეკისრებოდა, მხარეთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად კი იგი შეეძლოთ ისეთივე პირობებში ჩაეყენებინათ, როგორშიც ბრალდებული [6.186].

შესაბამისი საპროცესო მდგომარეობა ეკავა დაცვის მხარეს. მას წარმოადგენდა თავად ბრალდებული ან მისი ახლობლები, რომლებიც მხოლოდ კერძო ინტერესებით მოქმედებდნენ. აღსანიშნავია, რომ ძველად სისხლის სამართალში არ არსებობდა პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი და ის შეიძლება დამნაშავის ნათესავებს დაკისრებოდა. ეს დაკავშირებული იყო სისხლის აღების ჩვეულებასთან, იმასთან, რომ ადამიანის პიროვნება არ გამოიყოფოდა მისი გვარისგან. ადამიანი განიხილებოდა არა როგორც ინდივიდი, არამედ როგორც წარმომადგენელი გვარისა, რომელსაც პასუხისმგებლობა ეკისრებოდა.

ბრალდებულის პირადი შეხედულებები მის საპროცესო სტატუსშია გამოხატული. ის, როგორც პროცესის სუბიექტი, ზეგავლენას ახდენდა საქმის მოძრაობაზე. მის სურვილზე იყო დამოკიდებული სისხლისსამართლებრივი სარჩელის ცნობა და პასუხისგება ან სარჩელზე შეწინააღმდეგება. ბრალდებულის საპროცესო უფლებები ზუსტად ისეთივე იყო, როგორც ბრალმდებლისა. მხარეთა თანასწორობა მათი უფლებების თანასწორობით გამოიხატებოდა. ბრალდებულს, ისევე, როგორც ბრალმდებელს, ეკისრებოდა ვალდებულება, წარმოედგინა მასალა, რომელიც პროცესის საფუძველს შეადგენდა.

უნდა შევეხოთ ასევე სასამართლოს საპროცესო მდგომარეობას. კერძო საწყისი სასამართლოს მდგომარეობაზედაც აისახებოდა. იგი მხოლოდ სისხლისსამართლებრივი სარჩელის და მასზე შეწინააღმდეგების ფარგლებში მოქმედებდა. მხარეთა განმკარგულებელი მოქმედებები (სარჩელზე უარის თქმა, სარჩელის ცნობა) სავალდებულო იყო სასამართლოსთვის. სასამართლოს პასიური მდგომარეობა ეკავა. მას არ ჰქონდა უფლება, საკუთარი ინიციატივით შეეკრიბა მტკიცებულებები. მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის თანაბრად იყო განაწილებული. სასამართლოს კერძო მდგომარეობა ნათლად ვლინდებოდა იმაში, რომ ძველ პროცესში წაგებული მხარე ორთაბრძოლაში იწვევდა მოსამართლეს, რომელმაც განაჩენი დაადგინა.

ბრალდებით (კერძო-სასარჩელო) პროცესში სასამართლო არ ცდილობდა გაერკვია ობიექტური ჭეშმარიტება, რომელიც არ იყო სასამართლო წარმოების მთავარი მიზანი.

ყოველ სამართალდარღვევაში ერთმანეთს ეჯახებოდა სამი მხარე: მოსარჩელე, მოპასუხე და მოსამართლე. თითოეული მხარე მტრულად იყო განწყობილი დანარჩენი ორის მიმართ, მაგრამ ორის კავშირი წყვეტდა საქმეს მესამის საწინააღმდეგოდ [6.652].

ამდენად, ბრალდებით პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპად გამოდიოდა ბრალმდებლისა და ბრალდებულის თანასწორობა, რომლებიც საკუთარი

შეხედულებისამებრ მოქმედებდნენ. მათ თვითნებობაში ვერ ერეოდა მოსამართლე, რომელსაც პასიური მდგომარეობა ეკავა.

აღსანიშნავია, რომ ძველად სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო ფორმები არ იყო მკაფიოდ გამიჯნული ერთმანეთისგან; ასეთი რამ დამახასიათებელია მხოლოდ თანამედროვე სამართლისთვის. იმ პერიოდში კი კანონის თავისებურებანი, რელიგიური ნორმები და კერძო ინტერესები ერთმანეთში იყო არეული [4.27-28].

როგორც ცნობილია, საზოგადოების განვითარების ნებისმიერ ეტაპზე სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობამიზნად ისახავს მტკიცებულებათა შეკრებას. გამონაკლისი არც განსახილველი პერიოდია. იმ დროს ბრალდებითი პროცესი ფორმალური იყო, რაც მტკიცებულებათა მოძიებისა და წარმოდგენის პროცედურაზედაც აისახებოდა.

მტკიცებულებათა სისტემა ძველი ბრალდებითი პროცესის დამახასიათებელი ნიშანია. საზოგადოება არ ფლობდა შემეცნების ადეკვატურ საშუალებებს და სამართლიანობის გასარკვევად ღმერთს მიმართავდა. ამიტომ ბრალდებით პროცესში მტკიცება მიმართული იყო არა საქმის არსისაკენ, არამედ მის გარეთ – ზებუნებრივი ძალებისაკენ. მტკიცების საშუალებებად გვევლინება ორთაბრძოლები, ორდალიები («ღვთიური სამართალი» ცეცხლით, წყლით, რკინით გამოცდის სახით), განწმენდითი ფიცის დადება. ღმერთი მოდავეთა სიმართლეს იმით განსაზღვრავდა, რომ რთული შეჯიბრების მოგებაში ეხმარებოდა. მტკიცების პროცესი მკაცრად ფორმალური იყო. ორთაბრძოლები, ორდალიები და ფიცის დადება ურთულესი წესებით ტარდებოდა, რომელთა დარღვევაც დავაში დამარცხებას ნიშნავდა [6.189-195].

ორთაბრძოლა, როგორც მტკიცების მთავარი საშუალება, შეიძლებოდა მარტო მხარეებს შორის არ გამართულიყო. ამგვარად შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო ასევე მოწმის აცილება და საჩივარი განაჩენზე. ამასთანავე, ორთაბრძოლა კერძო ომის «ყველა ყველას წინააღმდეგ» შემსუბუქების საშუალებაც იყო. ბრალდებითი პროცესი ცვლიდა სისხლის აღებას. ორი გვარის ომის ნაცვლად იმართებოდა მათი წარმომადგენლების ორთაბრძოლა შუამავლების წინაშე. შემდეგ ჯგუფური ორთაბრძოლა ინდივიდუალურით შეიცვალა. ითვლებოდა, რომ ორთაბრძოლაში (ორდალიაში) გამარჯვებული დავაში მართალი იყო [6.42,43,49,193].

ამგვარად, ბრალდებითი პროცესი წარმოშობს ფორმალურ მტკიცებულებათა სისტემას, ვინაიდან სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს განაჩენი შეჯიბრების შედეგების მიხედვით, რომლებსაც ფორმალური საფუძველი აქვს. მოსამართლეს თავისუფლების მინიმალური ხარისხი აქვს – ის შეჯიბრების შედეგების უბრალო მოწმეა. ამასთანავე, მტკიცების წესების სირთულე სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, მათი დარღვევა თავისებურად განმარტოს, რაც მოსამართლის თვითნებობას იწვევს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბრალდებითი პროცესის მტკიცების წესების განმარტების თავისუფლება მტკიცებულებათა შინაგანი რწმენით შეფასების ჩანასახია [6.43].

ბრალდებითისგან განსხვავებით, კერძო-სასარჩელო პროცესი არის სასამართლო წარმოების უფრო სრულყოფილი და გვიანდელი ისტორიული ნაირსახეობა, რომელიც განპირობებულია ინდივიდების თავისუფლების მეტი ხარისხით. ადამიანები უკვე აცნობიერებენ და აღიარებენ ობიექტურ რეალობას, რომელიც იურიდიულად გამოიხატება მტკიცების საშუალებებში, რომლებითაც უკეთესადაა

შესაძლებელი საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა. გამოიყენება მოწმეთა ჩვენებები და დოკუმენტები, რომლებსაც სასამართლო შინაგანი რწმენით აფასებს. პროცესის მონაწილეთა დიდი პიროვნული თავისუფლება გამოიხატება საქმის არსის მტკიცებისას მხარეთა აქტიურობით და სასამართლოს აქტიურობით თუნდაც მტკიცებულებათა შეფასებისას.

სისხლის სამართლის პროცესის კერძო-შეჯიბრებითი ტიპი დამახასიათებელია ნებისმიერი საზოგადოების სისხლის საპროცესო სამართლის განვითარების პირველი ეტაპისთვის. თუმცა ყოველ საზოგადოებას აქვს სოციალურ-კულტურული თავისებურებები, რომლებიც განაპირობებს სამართლის სპეციფიკას ზოგადად და სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესს. კერძოდ: ამის საფუძველზე გამოყოფენ კერძო-შეჯიბრებითი წარმოების ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და სხვა მოდელებს.

სისხლის სამართლის საპროცესო სისტემების ზემოაღნიშნული კლასიფიკაციის საფუძველზე პერსპექტიულად მიგვაჩნია მრავალი სახელმწიფოს კერძო-შეჯიბრებითი პროცესის სახესხვაობების სამ ჯგუფად განზოგადება. ესენია: 1. საერთო სამართლის ქვეყნების; 2. რომანულ-გერმანული და 3. ჩვეულებრივი (ტრადიციული) სამართლის კერძო-შეჯიბრებითი პროცესი.

ითვლება, რომ კერძო-შეჯიბრებითი პროცესი დამახასიათებელია მონათმფლობელური საზოგადოებისთვის და ადრეული ფეოდალიზმისთვის. ძველ კერძო-შეჯიბრებით პროცესს მიეკუთვნებოდა წარმოება ძველ საბერძნეთში, ძველ რომში, ინგლისში (XII საუკუნემდე), საფრანგეთში (XI–XII საუკუნეებში), გერმანიაში (X–XIII საუკუნეებში) და სხვ.

გარკვეული თავისებურებებით გამოირჩეოდა რომაული პროცესი. შეჯიბრებითი პროცესი უფრო კლასიკური ფორმით სწორედ ძველ რომში არსებობდა.

ძვ. წ. VIII საუკუნეში გამოიკვეთა რომაული პროცესის ძირითადი ნიშანი – მისი დაყოფა მოსამზადებელ პროცესად (*in jure*) დასასამართლო განხილვად (*in judicio*). ძვ. წ. 149 წელს დაიწყო მუდმივმოქმედი კომისიების – კვესტიების შექმნა. კორნელიუს სულას მმართველობის პერიოდში სისხლის სამართლის საქმეები სამოქალაქოს გამოეყო. სისხლის სამართლის კანონები საჯაროდ და კერძოდ იყოფოდა. კვესტიები, რომლებსაც პრეტორები ხელმძღვანელობდნენ, მხოლოდ საჯარო დანაშაულებს განიხილავდნენ.

საჯარო ხელისუფლება არ მონაწილეობდა ბრალმდებლისა და ბრალდებულის დაპირისპირებაში. პროცესის ამ სტადიაზე დანაშაულის კვალის მოძებნა იმ კერძო პირის კომპეტენცია იყო, რომელიც პროცესს იწყებდა.

საჯარო და ღია რომაული პროცესი იყო არა სამძებრო, არამედ შეჯიბრებითი. ბრალდებული განაჩენის გამოტანამდე სრული თავისუფლებით სარგებლობდა. რომაელთა შეხედულებით, ბრალდებულის დაპატიმრება ბრალმდებელზე მის სრულ დამოკიდებულებას გამოიწვევდა.

საქმის არსებითი განხილვა ბრალმდებლის მოსმენით იწყებოდა. შემდეგ ბრალდებულის დამცველი გამოდიოდა. ნებისმიერ ორატორს შეეძლო იმდენ ხანს ესაუბრა, რამდენსაც მოისურვებდა. ამას წერტილი დაუსვა პომპეუსის კანონმა, რომლის თანახმად, დაცვის გამოსვლის ხანგრძლივობა ბრალდებისას შეეფარდებოდა: ჩვეულებრივ, ბრალდებულს იმაზე მესამედით მეტ დროს აძლევდნენ, რომლითაც ბრალდებამ ისარგებლა.

გამოსვლების დასრულების შემდეგ პროცესი გრძელდებოდა მტკიცებულებათა შემოწმებით, რომლებსაც განეკუთვნებოდა მოწმეთა ჩვენებები, დოკუმენტები და სხვა მასალები. პროცესის შეჯიბრებითობის გამო მოწმეთა დაკითხვა მიმდინარეობდა საჯაროდ, მაგრამ არა სასამართლოს, არამედ მხარეთა მიერ.

მტკიცებულებათა შემოწმების შემდეგ იწყებოდა მხარეთა წარმომადგენელი ორატორების კამათი, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენდა პროცესის შედეგზე. ორატორთა პაექრობა საბოლოო სიტყვის, ბრალდებისა და დაცვის რეზიუმეს როლს ასრულებდა, ამიტომ პროცესის ამ ნაწილს რომაელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

სასამართლო პაექრობის შემდეგ იწყებოდა ხმის მიცემა, რომელიც რესპუბლიკის არსებობის ბოლო დღეებამდე ღია იყო. კენჭისყრის წინ თავმჯდომარე ეკითხებოდა მსაჯულებს, გაერკვნენ თუ არა ისინი საქმის არსში. თუ მესამედზე მეტის პასუხი უარყოფითი იყო, მთელი საქმე ხელახლა განიხილებოდა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ საქმეზე განაჩენი არ იქნებოდა გამოტანილი.

პროცესის ყველა ფაზა ისე იყო მოწყობილი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ბრალდებისთვის მაქსიმალურად შეწინააღმდეგება, ვინაიდან პირი არ შეიძლებოდა დამნაშავედ ეცნოთ მანამ, სანამ მსაჯულები არ წარმოთქვამდნენ «condemo»-ს.

მხარეებს საშუალება ეძლეოდათ, თავიანთ გამოსვლებში გამოეყენებინათ ყველაფერი, რასაც, მათი (და არა თავმჯდომარისა და მოსამართლეთა) აზრით, შეეძლო ხელი შეეწყო საქმის არსის გარკვევისთვის. ამას ემსახურებოდა ის პრინციპიც, რომლის მიხედვით, შეუძლებელი იყო ბრალდების მოცულობის სასამართლოში გაზრდა. მხარეთა თანასწორობა გამორიცხავდა, რომ ბრალდებას დაცვა გადაეწონა. განსასჯელის დაკითხვა არ ხდებოდა, რაც საქმეს გაუიოლებდა ბრალმდებელს, რომელსაც თვითონ უნდა ეზიდა ბრალდებითი პროცესის მთელი სიმძიმე. პროცესი უფრო ბრალდებულის დაცვისკენ იხრებოდა [1.13].

რომაული პროცესისგან შესამჩნევად განსხვავდებოდა ინგლისური პროცესი. იგი მხოლოდ კერძო-შეჯიბრებითი იყო, ვიდრე XII საუკუნეში, ჰენრი II-ის მმართველობისას გაჩნდებოდა წესი, რომლის მიხედვითაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე გამოძიებას ნაფიცი მსაჯულები ახორციელებდნენ. ინგლისური კერძო-შეჯიბრებითი პროცესის თავისებურება იყო ის გარემოება, რომ მას არ ახასიათებდა პაექრობა. პაექრობა ინგლისში ნორმანდიელმა დამპყრობლებმა შეიტანეს და იგი XI–XII საუკუნეების შემდგომ პერიოდში გამოიყენებოდა. კერძო-შეჯიბრებითი საწყისი, რომელიც სამძებროსთან ერთად არსებობდა, ინგლისში XIX საუკუნემდე იყო გაბატონებული [6.307-331].

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საერთო სამართლის ქვეყნებში კერძო საწყისი დღემდე აშკარად გამოკვეთილია და სასამართლო წარმოებას კერძო-შეჯიბრებითი ტიპის ბევრი ნიშანი აქვს, მაგალითად, გარიგებები ბრალის აღიარების შესახებ (თანამედროვე «საპროცესო შეთანხმების» პროტოტიპი).

საინტერესოა, რომ კლასიკურმა კერძო-შეჯიბრებითმა წესმა სასამართლო პაექრობასთან ერთად ინგლისში ფორმალურად იარსება 1818 წლამდე, როცა უესტმინსტერის სასამართლოს შენობაში «სასამართლო სკანდალი» მოხდა. მკვლელობაში ბრალდებულმა ტორნტონმა ძველ წესზე დაყრდნობით სასამართლო პაექრობაში გამოიწვია მოცემულ საქმეზე ბრალმდებელი ეშვორდი. ამით მანდააბნია მოსამართლეები. სასამართლო იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ პაექრობაში

გამოწვევის უფლება ნამდვილად არსებობდა, მაგრამ ეშვორდის არასრულწლოვანების მითითებით უარი თქვა მის გამოყენებაზე [6.313].

ძველ საბერძნეთში გამოიყოფოდა პროცესი კერძო საქმეებზე და სახელმწიფოებრივ საქმეებზე, თუმცა მათ შორის მკაფიო განსხვავება არ იყო. არჩევანი ბრალმდებლის პირად შეხედულებაზე იყო დამოკიდებული. კერძო საქმეებზე პროცესი წმინდა ბრალდებითი იყო. თვით აშკარა დანაშაულის არსებობისას, მოსარჩელის არყოფნის შემთხვევაში, საქმე არ აღიძვრებოდა. იმავდროულად სახელმწიფოებრივ საქმეებზე ძველ საბერძნეთში განვითარდა სახალხო ბრალდების ინსტიტუტი, როცა ბრალმდებელი იყო მოქალაქე, რომელიც საჯარო ინტერესებით მოქმედებდა [6.90-93].

კლასიკური კერძო-შეჯიბრებითი პროცესის მაგალითია სასამართლო წარმოება XI-XII საუკუნეების საფრანგეთში. თუმცა მასში უკვე არის სამძებრო ელემენტები. ისინი მკაფიოდაა გამოხატული დანაშაულის ადგილზე დაკავებული დამნაშავის საქმის განხილვის პროცედურაში. ერესში ექვმიტანილ პირთა გამოცდისას ასევე ირღვეოდა მხარეთა სრული თანასწორობის პრინციპი, ვინაიდან გამოცდა მხოლოდ ერთ-ერთის მიმართ გამოიყენება. აქ უკვე რთულია ორდალიების წამებისგან განსხვავება [6.196-205].

მუსლიმანური სისხლის სამართლის პროცესი თავისი არსით დღემდე რჩება კერძო-შეჯიბრებითად. მასში გამოიყენება აღიარება, ფიცის დადება – ბრალდებითი პროცესის ელემენტები. მთლიანობაში, მტკიცებულებები ფასდება შინაგანი რწმენით. თუმცა იგი ეფუძნება არა მხარეთა აქტიურ მტკიცებით საქმიანობას, არამედ მისტიკურ «გამოცხადებას» მოსამართლის ცნობიერებაში [4.192].

მონათმფლობელურ სისხლის სამართლის პროცესში და ადრეული ფეოდალიზმის ინკვიზიციამდელ პროცესში მხარეები, როგორც წესი, იყვნენ მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნების მქონე ფიზიკური პირები, რომლებიც სასამართლოს წინაშე კამათობდნენ და თავიანთი უფლების აღიარებას ითხოვდნენ. უკვე გვიან მონათმფლობელობის ეპოქაში «მხარეთა» ცნებამ მატერიალური შინაარსი დაკარგა. სასამართლოში პროცესს ახორციელებდნენ არა პირები, რომლებიც თავიანთ მატერიალურ უფლებებს იცავდნენ, არამედ სპეციალური სუბიექტები, რომლებსაც არ ჰქონდათ პირადი მატერიალური ინტერესი.

ბურჟუაზიულ ეპოქაში კანონმა ჩამოაყალიბა მხარეთა საპროცესო მდგომარეობა, კერძოდ, ბრალდების ფუნქცია გამოყო საქმის გადაწყვეტის ფუნქციისგან და ბრალდებულს, როგორც მხარეს, გარკვეული საპროცესო უფლებები მიანიჭა.

1789 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპი ინკვიზიციური პროცესის ცალკეულ ელემენტებს შეერწყა, რის შედეგადაც წარმოიშვა «შერეული» პროცესი. შერეული პროცესის მთავარი კონსტრუქციაა მისი მკვეთრი გაყოფა ორ სტადიად: წინასწარ და დამამთავრებელ წარმოებად.

სისხლის სამართლის პროცესის «შერეული» ტიპი არ ნიშნავს სხვადასხვა ეპოქებისა და ფორმების საპროცესო ინსტიტუტების მექანიკურ შეერთებას. არსებითად ეს ახალი პროცესია, ერთიანი პრინციპებით გამსჭვალული ერთიანი სისტემა.

წინასწარი სტადიის წარმოებაში შემორჩენილია საიდუმლოების, წერილობითობის, მხარეთა არარსებობის ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელი იყო

ინკვიზიციური პროცესისთვის. საბოლოო წარმოება (სასამართლო განხილვა) ზეპირობის, საჯაროობის, უშუალობისა და შეჯიბრებითობის საწყისებზეა აგებული.

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 258-ე მუხლის შესაბამისად, თავმჯდომარე აღჭურვილია დისკრეციული ძალაუფლებით, რომლის ძალითაც მას შეუძლია გააკეთოს ყველაფერი, რასაც იგი მიიჩნევს სასარგებლოდ ჭეშმარიტების გარკვევისათვის; კანონი ავალებს მის ღირსებასა და სინდისს, მთელი ძალისხმევა მისი დადგენისკენ მიმართოს. თავმჯდომარის განკარგულებები, გაცემული მისი დისკრეციული ძალაუფლების ძალით (“En vertu de notre pouvoir discretionnaire”), მოტივირებას არ მოითხოვს და გასაჩივრებას არ ექვემდებარება [7.300-302].

ბურჟუაზიული პროცესის კლასიკური ფორმაა საპროცესო საქმიანობის თანამიმდევრული და ერთიანი პრინციპებით გამსჭვალული სისტემა, თუმცა ეს არანაირად არ გამორიცხავს იმას, რომ მის სხვადასხვა სტადიებს სხვადასხვა ფორმები და ინსტიტუტები შეესაბამება.

ამრიგად, პროცესის კერძო-შეჯიბრებითი ტიპის მთავარი მახასიათებელია მისი კერძო-სამართლებრივი ხასიათი, რომელიც გამოიხატება მხარეთა შეხედულებებში და სასამართლოს პასიურ მდგომარეობაში, ასევე ფორმალიზმში.

კერძო-შეჯიბრებითი პროცესის მნიშვნელობა ისაა, რომ იგი გახდა სამძებრო წარმოების საფუძველი და თანამედროვე საჯარო-შეჯიბრებითი პროცესის პირველსახე. სწორედ კერძო-შეჯიბრებითი ტიპი შეიცავს უკვე მტკიცებულებათა ფორმალური თეორიის ჩანასახს.

კერძო-შეჯიბრებითი პროცესი დღესაც ვლინდება. ასე, მაგალითად, სამოქალაქო პროცესში ზოგჯერ გამოიყენება ბრალდებითი წარმოების მტკიცებულებათა ფორმალური შეფასება (მაგალითად, მოწმის ჩვენებების გამოყენების აკრძალვა) [4.36-37]. თვითონ სამოქალაქო პროცესი კერძო-შეჯიბრებით ტიპს განეკუთვნება.

სისხლის საპროცესო სამართლის განვითარების მეორე ეტაპს სისხლის სამართლის პროცესის სამძებრო ტიპი ახასიათებს. ძეზნა, როგორც ჭეშმარიტების ძიება საჯარო ინტერესებისთვის, განსაზღვრავს სამართალწარმოების ამ ტიპის სახელწოდებას.

კერძო-შეჯიბრებითი პროცესის სამძებროთი შეცვლა კანონზომიერი იყო. როგორც აღვნიშნეთ, ბრალდებით პროცესში ადამიანს პიროვნული თავისუფლების მინიმალური ხარისხი ჰქონდა. საზოგადოება ეფუძნებოდა სისხლით ნათესაობით კავშირებს, რომელშიც ადამიანი მისი ‘ტომის’ წარმომადგენლად გამოდიოდა. ამ მიზეზით პროცესის სუბიექტი გვარი უფრო იყო, ვიდრე თავად ადამიანი. თუმცა საზოგადოების განვითარების კვალობაზე მასში იზრდება ინდივიდუალური თავისუფლება. ასეთ საზოგადოებაში ადამიანი გარკვეულ ფუნქციას ასრულებს. დანაშაული ზიანს აყენებს უკვე არა მხოლოდ თვით დაზარალებულს და მის გვარს, არამედ მთელ საზოგადოებას.

დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროებაა იმის მიზეზი, რომ ადამიანის პიროვნების დაცვა და დამნაშავის დევნა საერთო საქმე ხდება. ამ საერთო საქმეს კისრულობს ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომელიც საერთო კეთილდღეობას სწირავს ცალკეულ პირთა კერძო ინტერესებს. ლიტერატურაში შემთხვევით არაა აღნიშნული, რომ სამძებრო პროცესის განვითარება გამოწვეული

იყო, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრობის გაძლიერებული დაცვის აუცილებლობით [6.211].

აი, როგორ აღწერს ი. ფონინიკვი სამძებრო სისხლისსამართლებრივ პროცესს: სახელმწიფოებრიობის იდეა შთანთქავს ყველა დანარჩენს: ბრალდებულს ერთმევა პიროვნების უფლებები და ის ხდება გამოკვლევის საგანი, რომელიც ექვემდებარება ყველაზე მკაცრ ექსპერიმენტებს სახელმწიფო ინტერესებისათვის; ეს უფლებები არ აქვს ბრალმდებელს, რომელსაც ცვლის კანონის ნება, რომელიც ისწრაფვის განსაზღვროს პროცესის მსვლელობა. პროცესიდან განდევნილია მხარეთა განსაზღვრება. ბრალდების ცნებას სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრის საფუძვლები ცვლის, გასაჩივრება სარევიზიო წესს უთმობს ადგილს, პროცესის ყველა მონაწილე სამსახურებრივი მოვალეობის ძალით ისწრაფვის მატერიალური ჭეშმარიტების დადგენისაკენ, რომლის მიღწევაც სახელმწიფო ინტერესად ცხადდება [8.17; 5.41].

სამძებრო პროცესის დამახასიათებელი ნიშნებია: ბრალდების, დაცვისა და საქმის გადაწყვეტის საპროცესო ფუნქციების შერევა, მტკიცებულებათა შეფასების ფორმალური სისტემის არსებობა.

პროცესის სამძებრო ტიპის არსი და მისი მთავარი ნიშანი არის საჯარო საწყისის მიერ კერძოს შთანთქმა. ეს ნიშანი პროცესის ძირითად მონაწილეთა საპროცესო მდგომარეობაში გამოიხატება [2.22].

საზოგადოებრივად საშიში ქმედებით დაზარალებულად აღიარებულია საზოგადოება. ბრალდებული არის პირი, რომელიც დანაშაულის შესახებ ფასეულ ინფორმაციას ფლობს. ინფორმაციის მისაღებად ძალიან სერიოზული იძულება გამოიყენება. ბრალდებული შესაძლოა ივარაუდებოდეს დამნაშავედ. უზენაესი ინტერესებისათვის იგი ვალდებულია დაკითხვისას ყველაფერი აღიაროს. ისტორიაში ცნობილია შემთხვევები, როცა ბრალდებულს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრა საკუთარი დანაშაულის შესახებ სხვადასხვა და ცრუ ჩვენებებისათვის [2.65]. მას პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირის თანაბარი მდგომარეობა არ უკავია. ასეთი იურიდიული სტატუსით, რა თქმა უნდა, არც ბრალდებული და არც დაზარალებული არ შეიძლება ჩაითვალოს მხარეებად [2.65].

სახელმწიფო ინტერესების რეალიზაციისათვის სასამართლომ უნდა გაარკვიოს ობიექტური ჭეშმარიტება და ამის საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს საქმე. იგი პროცესს ფორმალური ბრალმდებლის გარეშე იწყებს, თვითონ აყენებს საბრალდებო თეზისს და მტკიცებულებებით ამყარებს მას (ბრალდების ფუნქციას ასრულებს). ჭეშმარიტების დასადგენად სასამართლომ უნდა წამოაყენოს და შეამოწმოს საწინააღმდეგო ვერსია – დაცვითი თეზისი (დაცვის ფუნქცია უნდა შეასრულოს)². გარდა ამისა, საქმის გადაწყვეტა (იუსტიციის ფუნქცია) ასევე სასამართლოს პრეროგატივაა. სამი საპროცესო ფუნქციის ერთი სუბიექტის ხელში თავმოყრა არ იძლევა საშუალებას, ის ჩაითვალოს «სასამართლოდ» ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ესაა მოსამართლე-ინკვიზიტორი, თანამდებობის პირი, სახელმწიფო ორგანო, რომელიც საქმეს აწარმოებს. იგი პროცესის ერთადერთი ქმედუნარიანი მონაწილეა, რომელიც არ არის შეზღუდული რაიმე საზღვრებით [2.65–66]. თუმცა

² იხ.: აქედან გამომდინარეობს ინგლისური გამოთქმა: the judge is the counsel of the prisoner – განსასჯელის დამცველი მარტო მოსამართლეა.

თანამდებობის პირს, რომელიც ძებნას აწარმოებს, გაბატონებული მდგომარეობა უკავია მხოლოდ როგორც სახელმწიფო ორგანოს. როგორც პიროვნება, იგი, პირიქით, ისევე ქმედუუნაროა საპროცესო თვალსაზრისით, როგორც ბრალდებული.

ძებნის საჯარო საწყისი ზღუდავს მოსამართლის პიროვნულ თავისუფლებას. ყველა მისი მოქმედება კანონით მკაცრად რეგლამენტირებული. მოსამართლე-ინკვიზიტორს პრაქტიკულად არ აქვს არჩევანის თავისუფლება, მისი შეხედულება და შინაგანი რწმენა არანაირ გავლენას არ ახდენს მისაღებ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც მთლიანად აკონტროლებენ ზემდგომი ინსტანციები. ამის ნათელი დადასტურებაა მტკიცებულებათა ფორმალური სისტემა, როცა მათი შეფასება წინასწარაა დაწესებული³.

მთლიანობაში, სამმებრო სისხლის სამართლის პროცესისთვის განმსაზღვრელია სახელმწიფო ინტერესების გაბატონება პიროვნების ინტერესებზე, რაც სასამართლო წარმოების მონაწილეთა საპროცესო მდგომარეობაში გამოიხატება. კანონის მკაცრი მოთხოვნების შესაბამისად, პროცესის მწარმოებელი ორგანო პროცესის სხვა მონაწილეების მიმართ თავის ცალმხრივ, ძალაუფლებრივ უფლებამოსილებებს ახორციელებს. სამმებრო პროცესში ბრალმდებლის, დამცველისა და სასამართლოს ვალდებულებები ეკისრება საქმის მწარმოებელ ორგანოს, რომელსაც ჭეშმარიტების დადგენისას და გადაწყვეტილებების მიღებისას მხარეთა დახმარება არ ესაჭიროება.

სამმებრო პროცესის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ოფიციალურობა (თანამდებობრივი ინიციატივა). ეს ნიშნავს სისხლის სამართლის პროცესში თანამდებობის პირთა და ორგანოთა ვალდებულებას, საკუთარი ინიციატივით (*ex officio*) დაადგინონ ჭეშმარიტება და გადაწყვეტილებები დაინტერესებული პირების ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად მიიღონ⁴ [3.85]. უფლებამოსილებები ძებნის მწარმოებელი ორგანოს ხელშია კონცენტრირებული. მოსამართლე-ინკვიზიტორი ზემდგომ ხელმძღვანელს (ინსტანციას) ემორჩილება. ჩნდება საქმის მოძრაობის ინსტანციურობა. სამმებრო პროცესისთვის დამახასიათებელია საზოგადოებაში ძალაუფლების ერთი პირის (დესპოტის) ხელში თავმოყრა [4.125].

ერთპიროვნულობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ოფიციალურობის პირობები და გარანტიები: ა) წერილობითობა (მოქალაქეთა პირადი მონაწილეობის ნაცვლად წარმოება დოკუმენტებით ხორციელდება); ბ) სარევიზიო საწყისი (წერილობითი მასალების საფუძველზე ზემდგომ ინსტანციას უფლება აქვს, საკუთარი ინიციატივით გადასინჯოს გადაწყვეტილება); გ) პროცესის საიდუმლოება (სისხლის სამართლის საქმის მასალები დაფარულია არა მარტო საზოგადოებისთვის, არამედ დაინტერესებული პირებისთვისაც).

სამმებრო პროცესის მნიშვნელოვანი პრინციპია ასევე ინსტრუქციულობა – სისხლის სამართლის საპროცესო მოქმედებათა ზედმეტად დეტალური რეგლამენტაცია³. თუ ოფიციალურობა განსაზღვრავს საქმის მოძრაობის წყაროს, ინსტრუქციულობა პროცესის მიზნის მიღწევის გზაზე, ხერხზე მიუთითებს და იმის გაგების შესაძლებლობას იძლევა, თუ როგორ ამოქმედდება საპროცესო მექანიზმი

³ ინკვიზიციურ პროცესში ბრალდებული ივარაუდებოდა დამნაშავედ, მას ეკისრებოდა მტკიცების ტვირთი. ბრალდებულს დამნაშავედ თვლიდა არა მარტო კანონი, არამედ სასამართლოც: *Judex damnatur cum nocens absolvitur* (ლათ.) – მოსამართლე დამნაშავეა, როდესაც ის დამნაშავეს ამართლებს. [8.66].

⁴ რეგლამენტაცია თავის უმაღლეს განვითარებას აბსოლუტიზმის ეპოქის სისხლის სამართლის პროცესში აღწევს [2.54-55].

[4.31]. რეგლამენტაცია პროცესის მიზნის მიღწევის ერთადერთი გარანტიაა. გარდა ამისა, ინსტრუქციულობა გარკვეულ ჩარჩოებზე მითითებით ზღუდავს სახელმწიფო ორგანოს ძალაუფლებას.

ინსტრუქციულობის პრინციპიდან გამომდინარეობს: ა) მტკიცებულებათა ფორმალური სისტემა; ბ) საპროცესო ფორმის უნიფიკაცია; გ) სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძვლების რეგლამენტაცია.

ძებნის ზოგიერთ ადრეულ ნაირსახეობაში (სისხლისსამართლებრივი ანგარიშსწორება) მტკიცებულებათა ფორმალური სისტემა არ არსებობს. გასათვალისწინებელია, რომ: 1) ისტორიული ტიპი თავის ხარისხობრივ ნიშნებს შედარებით განვითარებულ ფორმებში იძენს; 2) მტკიცებულებათა ფორმალური სისტემის არარსებობა სისხლისსამართლებრივი ანგარიშსწორების დროს ხშირად გამოწვეულია ზოგადად მტკიცებულებათა არარსებობით. ამასთანავე, ბრალი დგინდება მოსამართლისთვის «გარეშე» კრიტერიუმებით, ესე იგი, ფორმალურად. ბრალეულობის კონსტატირება ხდება ფაქტობრივი პრეზუმფციით (სამხედრო-საველე სასამართლო), ხმებით, ორდალივით [4.112].

მტკიცებულებათა ფორმალური სისტემის არსი ისაა, რომ მოსამართლე მტკიცებულებებს მისთვის «გარეშე» კრიტერიუმებით აფასებს. ისინი დეტალურადაა მითითებული კანონში (ან სასამართლო დოქტრინაში), რომელიც ადგენს მტკიცებულებათა ძალას.

უტყუარ მტკიცებულებად მიჩნეულია ბრალის აღიარება, დამნაშავის ადგილზე დაკავება, ორი სარწმუნო მოწმის ჩვენებები. მტკიცებულებათა შეფასება სასამართლოს მიერ მათ მექანიკურ დათვლამდე დაიყვანება. საკმარისი რაოდენობის მტკიცებულებათა არსებობის შემთხვევაში გამოითქვება გამამტყუნებელი განაჩენი, მათი არარსებობისას – გამამართლებელი განაჩენი, მტკიცებულებათა უკმარისობისას კი პირი ეჭვიმტანილად რჩება [6.740].

სამძებრო პროცესისთვის დამახასიათებელია სამართლებრივი რეგულირების თავისი, ტიპური მეთოდი. რეგულირების საგანია მართვითი ურთიერთობები, რომლებშიც მართვის ობიექტია არა წარმოების პროცედურა, არამედ თავად მისი მონაწილეები – თანაბრად, ბრალდებულები და სასამართლოც. სამართლებრივი რეგულირება მხოლოდ იმპერატიული მეთოდით ხორციელდება.

სამძებრო პროცესი სხვადასხვაგვარია: საგამომიებო პროცესში ბრალდებულს აქვს ზოგიერთი საპროცესო უფლება, შესაძლებელია დაშვებულ იქნეს დამცველი, განხილვის საგანი შეზღუდულია ბრალდებით, გაბატონებულია წერილობითობა და არ არის უშუალო წარმოება; ვიწრო გაგებით «სამძებრო» პროცესში ბრალდებული ივარაუდება დამნაშავედ, წამება ფორმალურად აკრძალულია, მოქმედებს მტკიცებულებათა ფორმალური სისტემა, წერილობითობა და საიდუმლოობა; სამძებრო პროცესის ინკვიზიციურ ფორმას კი ახასიათებს წამება და შეიძლება ჰქონდეს როგორც ზეპირი ფორმა (ფორმალური მტკიცებულებების გარეშე), ისე წერილობითი [2.22-23].

შეჯიბრებითობის არსისა და ბუნების უკეთ შეცნობისთვის შევეცდებით გავაკეთოთ შედარებითი ანალიზი პროცესის ისტორიულ, სამძებრო ტიპსა და თანამედროვე, შეჯიბრებით ტიპს შორის, რომელიც ძირითადად გაბატონებულია რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნებში [4.112-122].

I. სამძებრო პროცესი.

1. სისხლისსამართლებრივი ანგარიშსწორების დროს სახელმწიფო მმართველობის ორგანო სისხლის სამართლის საქმეს განუვითარებელი პროცედურით და, პრაქტიკულად, მტკიცებულებების გარეშე წყვეტს. სისხლისსამართლებრივი ანგარიშსწორება სხვადასხვაგვარად ხორციელდებოდა;

2. ასიზა არის გამოძიება, წარმოებული სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ ადგილობრივი მოქალაქეების დახმარებით, რომლებმაც მას ბრალდებულის დამნაშავეობა შეატყობინეს. სწორედ ასიზა იყო ინგლისში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩანასახი [4.118];

3. ინკვიზიციურ პროცესში საქმეს წყვეტს სპეციალური ორგანო მყისიერად სასამართლოში განხილვით, კანონით დეტალურად განსაზღვრული პროცედურის მიხედვით. სასამართლო ხელისუფლება გამოყოფილია ადმინისტრაციულიდან. ამასთანავე, ჯერ კიდევ არ არსებობს წინასწარი გამოძიება. ფართოდ გამოიყენება წამება. იგი სამძებრო პროცესს არ გამოუგონია. წამება ერთი მხარის მიმართ საბრალდებო ორდალიების გამოყენების შედეგია [4.119];

4. საგამომძიებო პროცესში პირველად ჩნდება წინასწარი გამოძიება, რომელსაც ერთ-ერთი მოსამართლე – გამომძიებელი აწარმოებს. წამების გამოყენება უქმდება, რაც მტკიცების პროცესის უფრო ფართო რეგლამენტაციას იწვევს [4.122];

5. სასამართლო ბრძანების ინსტიტუტი სამძებრო წარმოების თანამედროვე ფორმაა. მოსამართლე წერილობითი მასალების საფუძველზე განიხილავს საქმეს სისხლისსამართლებრივ დელიქტზე და გამოაქვს გადაწყვეტილება (ბრძანება), რომელიც სრულდება მასზე ბრალდებულის თანხმობის შემთხვევაში. ესაა გამარტივებული წარმოება დანაშაულებზე, რომლებიც საზოგადოებისთვის დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს (ახლოსაა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან).

II. თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესი.

1. შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში ნიშნავს იმას, რომ სასამართლო აქტიურ მონაწილეობას იღებს საქმის გარემოებათა გამოკვლევაში, ჭეშმარიტების დადგენაში. სასამართლო პასუხისმგებელია სამართლიან გადაწყვეტილებაზე. იგი ემყარება მხარეთა დახმარებას, რომლებიც ერთმანეთს საპროცესო კამათში ეჯიბრებიან და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებიდან აშუქებენ ცალკეულ გარემოებებს. თუმცა სასამართლო თავად ხელმძღვანელობს პროცესს დავალდებულია საქმე ობიექტურად და მიუკერძოებლად გადაწყვიტოს. არ შეიძლება მართლმსაჯულება დამოკიდებული იყოს იმაზე, თუ რომელი მხარე აღმოჩნდება ძლიერი. ანგარიშსწორება გამორიცხულია. სასამართლოში მტკიცებულებათა წარდგენა მხარეთა საქმიანობის მთავარი ამოცანაა;

2. შეჯიბრებით პროცესში მონაწილეობს ორი მხარე – ბრალდების და დაცვის. გამომძიებელი საქმეს იძიებს პროკურორის ზედამხედველობით, რომელიც ბრალმდებლის ფუნქციას ასრულებს. იმავდროულად იგი იღებს გადაწყვეტილებას გამოძიების წარმართვისა და მისი შეწყვეტის შესახებ, ე. ი. მას ეკუთვნის საქმის გადაწყვეტის ფუნქცია. იგი ასრულებს პროკურორის მითითებას, რომელიც ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას. შეჯიბრებითობა არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ხდება დაპატიმრების კანონიერების სასამართლო შემოწმება. ამგვარად, გამოძიებას მხოლოდ ოფიციალური ორგანო აწარმოებს. ასიზის ელემენტები შემოდებულია მხოლოდ მსაჯულთა სახით, რომლებიც არ ერევიან მხარეთა შეჯიბრებაში და მტკიცებულებათა წარმოდგენაში;

3. მხარეებს უფლება აქვთ წინასწარი გამოძიების სტადიაზე მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა შეკრებასა და წარდგენაში. თუმცა გამოძიების ინკვიზიციურობის კვალი ჯერ კიდევ შემორჩენილია. ბრალდებას მხარს უჭერს პროკურორი. მისი ზედამხედველობით გამოძიებას გამომძიებელი აწარმოებს. ის ახდენს ბრალდების ფორმულირებას, წარადგენს მას, იღებს გადაწყვეტილებას გამოძიების მიმართულებისა და დასრულების შესახებ, ასრულებს პროკურორის მითითებებს, ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას;

4. გამომძიებლისა და პროკურორის მიერ განხორციელებული გამოძიება განსხვავდება სასამართლო გამოძიებისაგან. ასევე გამიჯნულია მხარეთა ფუნქციები;

5. სასამართლო ბრძანების გამოტანის პროცედურა არ იფარგლება საშიში დანაშაულით. ბრალდებულთან ამ პროცედურის ნებაყოფლობით გამოყენების თაობაზე შეთანხმება თითქმის ყველა კატეგორიის დანაშაულზე ვრცელდება.

ცალკეულ ქვეყნებში სამძებრო პროცესის განსხვავებულობის მიუხედავად, მისი სამი ფორმა გამოიყოფა. ესენია: 1) რომანულ-გერმანული, 2) საერთო სამართლის ქვეყნების და 3) ტრადიციული სამართლის ქვეყნების სამძებრო პროცესი. ამასთანავე, მუსლიმანურ სამართლებრივ სისტემებში სასამართლო წარმოება კერძო-შეჯიბრებითი პროცესის სტადიაზე შეჩერდა. მათში მხოლოდ ცალკეული სამძებრო ელემენტების აღმოჩენა შეიძლება. იმავდროულად, ისტორიის “ზიგზაგები» არ უარყოფს განვითარების საერთო კანონზომიერებებს. სამძებრო პროცესი განვითარებული სახით მხოლოდ კონტინენტურ ევროპას ახასიათებდა. თუმცა ის იყო კანონზომიერი ეტაპი, რომელმაც საჯარო-შეჯიბრებითი პროცესის ჩამოყალიბება უზრუნველყო.

რომანულ-გერმანულ სამძებრო პროცესს განეკუთვნება წარმოება სისხლის სამართლის საქმეებზე XIII–XVIII საუკუნეების საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, რუსეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

სამძებრო პროცესი ჯერ კიდევ ბრალდებითი წარმოების წიაღში ჩაისახა [6.205–212]. იგი დეტალურად განმტკიცდა ექსტრაორდინალურ ფრანგულ პროცესში ლუდოვიკო XII-ის 1498 წლის «ორდონანსით» და ფრანცისკო I-ის 1539 წლის «ედიქტით», შემდეგ კი – ლუდოვიკო XIV-ის 1670 წლის «დიდი სისხლის სამართლის ორდონანსით».

გერმანიაში სასამართლო პრაქტიკით გამომუშავებული საგამომძიებო საწყისები განმტკიცებულია იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ფეოდალური მიწების XV ს.-ის ბოლოს-XVI ს.-ის დასაწყისის კოდექსებში⁵. მათი გაერთიანების შედეგად 1532 წელს მიღებულ იქნა კარლოს V-ის წესდება «კაროლინა», რომელშიც სამძებრო პროცესი მთელი «ბრწყინვალეობით» წარმოჩნდა. მან პოზიციები XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე შეინარჩუნა.

რუსეთში სამძებრო პრინციპები მკაფიოდაა გამოხატული 1497 წლის «სუდებნიკში», რომლითაც ძებნა სახელმწიფო დამნაშავეთა საქმეებზე ხორციელდებოდა. ეს ტენდენცია ძლიერდება 1550 წლის «სუდებნიკით» [6.666]. 1649 წლის «საეკლესიო წესდებაში» პროცესის სამძებრო ფორმა უკვე დეტალურადაა რეგლამენტირებული. განსაკუთრებით ვითარდება სამძებრო სისხლის სამართლის პროცესი პეტრე I-ის

⁵ ტიროლის წესდება (1499 წ.), ზამბერგის საეპისკოპოსოს სისხლის სამართლის წესდება (1507 წ.), ბრანდენბურგის წესდება (1516 წ.) [6.275].

მმართველობის პერიოდში. ასე, მაგალითად, 1716 წლის «პროცესების მოკლე აღწერით» (რომელიც «საომარ წესდებას» ერთოდა) შემოღებულია ნამდვილი სამმებრო პროცესი მისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშნით [6.709]. პროცესის სამმებრო ტიპი განმტკიცებულია ასევე 1832 წლის რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულებით, 1845 წლის წესდებით «სისხლისსამართლებრივ და გამოსასწორებელ სასჯელთა შესახებ».

თუ სამართლის რომანულ-გერმანულ სისტემაში სამმებრო პროცესი «კლასიკური» სახით არსებობდა, ანგლოსაქსურ სისტემაში საქმე სხვაგვარად იყო. თვით დასახელება «ანგლოსაქსური სამმებრო პროცესი» ბევრი იურისტისთვის უჩვეულოდ ჟღერს, ვინაიდან გავრცელებულია აზრი, რომ ინგლისში პროცესი შეჯიბრებითი ხასიათის იყო და არის [6.27-28]. თუმცა შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ საერთო სამართლის ქვეყნებში არსებობდა ასევე სამმებრო პროცესის პერიოდი. ეს დამაჯერებლად დასტურდება ისტორიული ფაქტებით.

უკვე XI საუკუნეში ნორმანდიელმა დამპყრობლებმა ინგლისში შეიტანეს ადგილობრივი მოქალაქეების მეშვეობით გამოძიების მეთოდი (ასიზა) მიწაზე საკუთრების უფლების გასარკვევად [6.298-299,303]. ინგლისში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო წარმოიშვა წმინდა სამმებრო ინსტიტუტიდან, როდესაც მიწაზე დავების გამოძიებას აწარმოებდა სამეფო მოსამართლე ადგილობრივი მოქალაქეების მეშვეობით, რომელთაც ფიცს ადებინებდნენ და ისე კითხავდნენ. ეს ინსტიტუტი, ადგილობრივი ჩვეულებებისა და ნორმანდიული წესების გათვალისწინებით, თანამიმდევრულად დანერგა ჰენრი II-მ (1154-1189). შემდეგ ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოძიება გავრცელდა მძიმე დანაშაულებზედაც, როცა დამნაშავეთა დადანაშაულება არავის სურდა და ვერც ვერავინ ბედავდა (1154-1189).

ბრალდებითი ფორმის პარალელურად, მსაჯული მოწმეების მეშვეობით დამნაშავის მხილების სამმებრო წესი XIII საუკუნეში აღიარებულ იქნა საერთო სამართლის ინსტიტუტად. მხოლოდ XV საუკუნეში გარდაიქმნებიან მსაჯულები თანდათან ძეხვის ორგანოდან ბრალდების ორგანოდ [6.308,310].

ინგლისური ინკვიზიციური პროცესის ნათელი მაგალითია შეთქმულებათა შესახებ, ეკლესიისა და სამეფო ბრძანებების წინააღმდეგ საქმეები საიდუმლო საბჭოში და 1488 წელს შექმნილ ვარსკვლავურ პალატაში. მასში ბრალდებული არანაირი საპროცესო უფლებებით არ სარგებლობდა და შეიძლებოდა ეწამებინათ კიდეც. ვარსკვლავურ პალატაში ასეთი წესი XVII საუკუნემდე შენარჩუნდა. ელისაბედ ტიუდორის მმართველობის პერიოდში (1558-1603) ინკვიზიციური პროცესი ყვაოდა უმაღლესი კომისიისა (1583-1641) და სამხედრო სასამართლოების საქმიანობაში [6.360, 363-364].

მთლიანობაში, XV ს.-ის ბოლოს – XVI ს.-ის ინგლისის კანონმდებლობა შეესაბამება ინგლისური პროცესის სამმებრო პერიოდს. ამასთანავე, ინგლისური სამმებრო პროცესი არსებითად განსხვავდება ფრანგულისა და გერმანულისაგან. მასში ბევრად დიდი მნიშვნელობა აქვს ტრადიციულ ბრალდებით ფორმებს.

აღსანიშნავია, რომ წმინდა სახით პროცესის სამმებრო ტიპი არ არსებობს, ისევე, როგორც ნებისმიერი აბსტრაქტული მოდელი. სისხლის საპროცესო სამართლის განვითარების ინკვიზიციურ პერიოდში საფრანგეთსა და გერმანიაში არსებობას განაგრძობს წარმოების ორდინარული წესი, რომელსაც ბრალდებითი ნიშნები აქვს.

რუსეთში ზოგიერთი კატეგორიის საქმეები ასევე ბრალდებითი ფორმით განიხილება. ანგლოსაქსურ სისტემაში კერძო-სასარჩელო საწყისი ყოველთვის იმდენად შესამჩნევი იყო, რომ ბევრი იურისტი არც კი მიუთითებს ინგლისში საგამოძიებო პროცესის არსებობაზე. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნების აღნიშნული პერიოდის შერეული პროცესები მთლიანობაში სამძებრო ტიპს განეკუთვნება.

ისტორიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასამართლო წარმოების სამძებრო ტიპი საზოგადოების კონსოლიდაციის, სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის პროცესებს შეესაბამებოდა. იგი საჯარო საწყისის დაწესებისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისაკენ იყო მიმართული. ბრალდებით პროცესთან შედარებით სამძებრო პროცესი უფრო სრულყოფილია. მასში აღმოფხვრილია კერძო-შეჯიბრებითი ფორმის ნაკლოვანებები, აღკვეთილია მოსამართლეთა და ფიზიკურად ძლიერი მხარის თვითნებობა. ძეხნით საქმე წყდება მისი არსიდან და არა გარეშე გარემოებებიდან გამომდინარე. ამით იგებს როგორც საზოგადოება, ისე პირადად დაზარალებული და ბრალდებული.

საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ პერიოდში ინკვიზიციური პროცესი ლეგიტიმური ხდება. როგორც აღნიშნული საკითხის მკვლევარი ა. სმირნოვი აღნიშნავს, ინკვიზიციური პროცესი აუცილებელი იყო საზოგადოებისთვის, როგორც ბუღდოზერი, რომელიც ასწორებდა ფეოდალურ მოედანს ახალი შენობის ასაშენებლად. ასეთ შეუბრალებელ მართლმსაჯულებაში პირველად, თუმცა ნეგატიურად, გათანაბრდა ყველა ქვეშევრდომი, გაძლიერდა იდეა საჯაროობისა, როგორც საყოველთაო კეთილდღეობისა, რომელიც ერთიან სახელმწიფოებრივ ინტერესში და ერთიან კანონიერებაში გამოიხატებოდა [4.175].

სამძებრო პროცესის საპროცესო მნიშვნელობა ისაა, რომ მასში ჩნდება სტადიები და განსაკუთრებული თანამდებობის პირები, რომლებიც შემდგომ გამომძიებლებად და პროკურორებად იწოდებიან. საგამოძიებო პროცესი ახდენს ისეთ მტკიცებულებათა რეგლამენტაციას, როგორცაა: მოწმეთა ჩვენებები, ბრალდებულის აღიარება, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები. აქ ეყრება საფუძველი სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვის ინსტიტუტს. განსაკუთრებით დეტალურად ინკვიზიციურ პროცესში მუშავდება მისთვის ძირითადი სტადია – წინასწარი გამოძიებისა, რომელიც იყოფა საერთო, შემაჯამებელი და სპეციალური გამოძიების ეტაპებად. საერთო გამოძიება დანაშაულის მოვლენაზე წარმოებს, სპეციალური კი – გარკვეული პირის მიმართ.

სამძებრო პროცესმა მოსპო სასამართლო წარმოების კერძო ხასიათი, მასში საჯაროობა შეიტანა და პროცესის თანამედროვე საჯარო-შეჯიბრებითი ტიპის წარმოშობის წინაპირობები შექმნა. მასში საგამოძიებო საწყისები აშკარად ვლინდება გამოძიების საწყის (საერთო) ეტაპზე და გამარტივებული წესით წარმოებაში. სამძებრო წარმოების მტკიცებულებათა ფორმალურმა სისტემამ პროგრესული ნაბიჯი გადადგა ბრალდებითი პროცესიდან, თუმცა უკვალოდ არ გამქრალა. მან ევოლუცია განიცადა და თანამედროვე საჯარო-შეჯიბრებით პროცესში მტკიცების საპროცესო ფორმად, კერძოდ, დასაშვებობის ინსტიტუტად გარდაიქმნა.

ამასთანავე, აღსანიშნავია სამძებრო ტიპის პროცესის ძირითადი ნაკლოვანება – მისი ტოტალიტარული ხასიათი, რომელიც პიროვნების უფლებების შეზღუდვას იწვევს. უნაყოფოა მცდელობა, ერთი ცენტრიდან დარეგულირდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის ყველა უმცირესი დეტალი. შედეგად, საძიებელი

ობიექტური ქეშმარიტება უიმედოდ იკარგება უსასრულო ბიუროკრატიულ პროცედურებში.

ბრალდებით პროცესში მხარეთა მიერ სასამართლოსთვის სამართლებრივი მოთხოვნის განცხადება პროცესის აუცილებელი პირობაა, ის არის ბიძგი საპროცესო ურთიერთობების წარმოშობისა და მოძრაობისათვის. მხარეები პროცესის აქტიური მონაწილეები არიან. სასამართლო, პირიქით, პასიურია. საპროცესო ურთიერთობები მოსამართლის ინიციატივის გარეშე წარმოიშობა. სასამართლო არ ერევა მხარეთა მიერ თავიანთი საპროცესო ფუნქციების განხორციელებაში – მას მხოლოდ მხარეთა სამართლებრივი დავის საგანზე გადაწყვეტილების გამოტანა ევალება. ასეთ პროცესს შეჯიბრებითი (ბრალდებითი) ეწოდება. თეორიულად მისი საპირისპიროა სამძებრო (საგამომძიებო) სასამართლო წარმოება, რომელშიც სასამართლოს და მხარეთა ფუნქციები შერწყმულია, საქმის აღძვრის ინიციატივა სასამართლოს ეკუთვნის. ასევე სასამართლო ასრულებს აქტიურ როლს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის დასაბუთებასა და გამორკვევაში.

მოქმედი კანონმდებლობა, ჩვეულებრივ, აღნიშნულ ტიპებს შორის მერყეობს, კერძოდ, იგი თავის ინსტიტუტებს ხან შეჯიბრებითი პროცესის საწყისებზე აწყობს, ხან კი მათ სამძებრო წესს უახლოებს.

იმ მომენტებში, როცა წმინდა სახელმწიფოებრივი ინტერესები უპირატესია პიროვნების ინტერესებზე (როდესაც წარმოიშობოდა აუცილებლობა, სხვებზე ადრე უპირატესად სახელმწიფოებრივი მოთხოვნები დაკმაყოფილებულიყო ისე, რომ არანაირი მსხვერპლი არ ყოფილიყო გათვალისწინებული), პროცესი პოლიციური ტენდენციებით იმსჭვალება, ყველაფერი თავს იყრის სახელმწიფო თანამდებობის პირთა ხელში, რომლებსაც ეკისრებათ ვალდებულებები ყველა იმ მოვლენის გამომძიებისა, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების ნიშნებს შეიცავს, და ბრალდებულის გასამართლებისა. ამასთანავე, ცალკეული საპროცესო ფუნქციები – ბრალდებისა, დაცვისა და სასამართლოსი – ერთ მთლიანობად იქცევა. რთულია ასეთი (სამძებრო) წესის მიმართ თვით სახელწოდება «პროცესის» გამოყენება, ვინაიდან იგი ცალმხრივი საჯარო-სამართლებრივი საქმიანობაა, რომელშიც არ განსხვავდება ნორმალური საპროცესო ურთიერთობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილები, როგორც ეს ასახულია პროცესის თეორიაში.

პირიქით, როცა არაა საჭიროება, რომ სახელმწიფო ინტერესები გაძლიერებულად იქნეს დაცული და შთანთქოს პიროვნების ინტერესები, ან როდესაც ეს საჭიროება განსაკუთრებული სიმწვავეით არ იგრძნობა, პოლიციური ელემენტი ქრება პროცესიდან და სასამართლო მართვის იარაღიდან მართლმსაჯულების ნორმალურ ინსტიტუტად იქცევა – ორგანოდ, რომელიც წყვეტს სამართლებრივ დავას ან მოქალაქეებს შორის ან მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის. ასეთ პირობებში პროცესი ნორმალურ სახეს იღებს – სწორედ მაშინ ჩნდებიან მასში სასამართლოსგან გამოყოფილი მხარეები, რომლებიც ფართო უფლებებს ფლობენ, სასამართლოს კი მხოლოდ მისი ბუნებრივი როლი ენიჭება – ორგანოსი, რომელიც მოწოდებულია გადაწყვიტოს მხარეთა დავა სამართლის შესახებ; ერთი სიტყვით, პროცესი ხდება ბრალდებითი ან შეჯიბრებითი.

წმინდა სახით პროცესი, მისი დადებითი სამართლებრივი ორგანიზებით, არასოდეს არსებულა. მასში, სხვადასხვა ისტორიული მიზეზების გავლენით, ჭარბობდა პოლიციური საწყისები, ან საწინააღმდეგო მიზეზების გავლენით ეს

საწყისები ეცემოდა; პროცესის დადებითი სამართლებრივი ორგანიზება მხოლოდ მეტ-ნაკლებად იხრებოდა ამა თუ იმ მხარეს – ძეგლის ან შეჯიბრებითობის მხარეს, თანაც იქაც და აქაც, თავის სხვადასხვა ინსტიტუტებში ინარჩუნებდა ცალკეულ დებულებებს, რომლებიც ნაკლებად ეთავსებოდა მთელი ორგანიზების ძირითად ხასიათს. ამიტომ სამძებრო პროცესის ეპოქაში შესაძლებელია ვიპოვოთ ზოგიერთი ინსტიტუტი, რომელიც ეფუძნება პიროვნების დაცვის იდეას, განსაკუთრებით – საქმის საბოლოო განხილვის სტადიაზე, და, პირიქით, შეჯიბრებითი პროცესის განვითარების პერიოდებში შესაძლებელია დავინახოთ მისი გადახრა სამძებრო საწყისისკენ.

პროცესის წმინდა ტიპს, სამძებროს თუ შეჯიბრებითს, აქვს თეორიული განზოგადება. ამ განზოგადების საფუძველზე დადგენილი პროცესის ესა თუ ის პრინციპი არის კრიტერიუმი, რათა პროცესის ცალკეული ინსტიტუტები შეფასდეს იმ სახით, როგორც ისინი უნდა იყოს წარმოქმნილი. სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ პრინციპის გამოყენება რთული სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებების საქმეა; სახელმწიფოს სასამართლო პოლიტიკის სასწორი შეიძლება გადაიხაროს როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს. მეცნიერების საქმეა, კანონმდებელს მიუთითოს, რომ სასამართლო სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნებისმიერ პირობებში უნდა დარჩეს მართლმსაჯულების ორგანოდ და რომ მისი საქმიანობის სათანადო ორგანიზება განხორციელდება მხოლოდ პროცესის იმ საწყისების შენარჩუნებისას, რომლებიც ნაკარნახევია სამართლებრივი კულტურის განვითარებით. ამ განვითარებას კი მივყავდით და მივყავართ შეჯიბრებითობის საწყისის გამარჯვებამდე.

დავით ბენიძე, დოქტორანტი

«შეჯიბრებითობის თავისებურება ბრალდებით და სამძებრო (ინკვიზიციური) ტიპის პროცესში»

სტატიაში «შეჯიბრებითობის თავისებურება ბრალდებით და სამძებრო (ინკვიზიციური) ტიპის პროცესში» საუბარია შეჯიბრებითობის ინსტიტუტის ისტორიაზე, დაწვრილებითაა განხილული სისხლის სამართლის პროცესის – ამ ყველაზე ძველი ტიპის თავისებურებანი. ამ ტიპის პროცესისათვის განსაკუთრებული მახასიათებელია კერძო ბრალმდებლის პრაქტიკულად შეუზღუდავი უფლებამოსილება მაშინ, როდესაც დაკნინებული იყო დაცვის მხარის სტატუსი და ამ ორ მხარეს შორის სახეზე იყო აშკარა უფლებრივი დისბალანსი.

სტატიაში განხილულია ბრალდებითი პროცესისათვის დამახასიათებელ მტკიცებულებათა სისტემაც. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ბრალდებითი პროცესისთვის დამახასიათებელი თავისებურებაა არა საქმის გარემოებათა სინამდვილესთან შესაბამისობის დადგენისაკენ მიმართული, არამედ სხვა რაღაც ფაქტორებით განპირობებული მტკიცება.

სტატიაში კერძო-შეჯიბრებითი პროცესის ტიპოლოგია წარმოდგენილია სამ ჯგუფად. ესენია: 1. საერთო სამართლის ქვეყნების; 2. რომანულ-გერმანული და 3. მუსულმანურ სამართალში არსებული შეჯიბრებითი პროცესი.

სტატიაში მონათმფლობელური საზოგადოებისა და ადრეული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი კერძო შეჯიბრებითი პროცესის გარდა განხილულია თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესიც. შეჯიბრებითობა აქ ნიშნავს, რომ სასამართლო აქტიურ მონაწილეობას იღებს საქმის გარემოებათა გამოკვლევაში; პროცესში მონაწილეობს ორი მხარე – ბრალდება და დაცვა; მხარეებს უფლება აქვთ წინასწარი გამოძიების სტადიაზე მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა შეკრებასა და წარმოდგენაში.

სტატიაში გაკეთებულია დასკვნა, რომ სისხლის სამართლის პროცესის ისტორიული ტიპი, ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის პროცესის სამძებრო ტიპი შესაბამისობაშია ქვეყანაში არსებულ სინამდვილესთან, საზოგადოების კონსოლიდაციის, სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის დონესთან და ა. შ.

დავიდა ბენიძე, დოქტორანტ

«Особенности состязательности в обвинительном и следственном (инквизиционном типа) процессе»

В статье изложена история и подробно рассмотрены особенности института состязательности как наиболее древнего элемента уголовного судопроизводства. Характерной особенностью процесса инквизиционного типа являлись практически неограниченные полномочия личности обвинителя, в то время как статус защиты был ущемлен и между сторонами имел место явный дисбаланс.

В работе также затронуты вопросы системы доказательств, применяемой в процессе обвинением. В частности, отмечено, что характерная особенность некоторых типов обвинительных процессов состоит в том, что доказательства направлены не на установление соответствия обстоятельств дела действительности, а обусловлены какими-либо другими факторами.

Типология состязательного процесса представлена тремя группами: 1) в странах общего права; 2) в романо-германском и 3) мусульманском праве.

В современном понимании состязательность подразумевает: что суд принимает активное участие в выявлении обстоятельств дела; что в процессе участвуют две стороны – обвинение и защита; что стороны имеют право принимать участие в сборе и предъявлении доказательств на стадии предварительного следствия и в суде.

В статье делается вывод, что применение того или иного исторического типа уголовного процесса, в данном случае следственного уголовного процесса, соответствует существующей в стране действительности и зависит от степени консолидации общества, уровня централизации государственной власти и т.д.

Davit Benidze, PHD student

Peculiarity of Adversary Method in Accusatory and Inquisitional Proceeding


The article deals with the history of adversary method and peculiarities of this oldest type of criminal proceeding are observed. The particular characteristic of the adversary method is the unlimited powers of a private prosecutor while the status of defense was undervalued and both parties' rights were apparently out of balance.

The evidence system of accusatory proceeding is also examined in the article. In particular, it is noted that pleading does not aim to set respective matters of a case but it is conditioned by some other factors.

The typology of a private adversary proceeding is represented in three groups. These are adversary proceedings existing in: 1. Common law countries, 2. Roman and German and 3. Muslim law.

Alongside with the adversary proceeding of slaveholding system and early feudalism period, the article refers to modern criminal proceeding where adversary implies the court's active participation in investigation of the case; two parties – prosecution and defense take part in the proceeding, they are eligible to collect and present evidence at a preliminary investigation stage.

The following conclusion is drawn in the article: the historic type of the criminal proceeding, herein the inquisitional type, is harmonized with the existing reality of the country, the level of social consolidation, state authority centralization, etc.



1. Дрожжин В. Правосудие в древнем мире // Российская юстиция. 1994;
2. Мещеряков Ю. В. Формы уголовного судопроизводства. Л., 1990;
3. Полянский Н. Н. Уголовное право и уголовный суд Англии. М., 1969;
4. Смирнов А. В. Модели уголовного процесса. СПб., 2001;
5. Случевский В. К. Учебник русского уголовного процесса. В 2-х томах. Судостроительство. Серия - Русское юридическое наследие. М., "Зерцало". 2008;
6. Чельцов-Бebutov М. А. Очерки по истории суда и уголовного процесса в рабовладельческих, феодальных и буржуазных государствах. Т. 1. М., 1957;
7. Розин Н. Н. Уголовное судопроизводство. СПб., 1914;
8. Фойницкий И. Я. Курс уголовного судопроизводства. Т. 1., СПб., (Переиздание 1996 года).

ალექსანდრე ლილუაშვილი, დოქტორანტი

კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის წესი და ფორმა საქართველოში 1924-1996 წლების სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში

სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვას 1924 წლის საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი ხუთ მუხლს უთმობდა. გადასინჯვის უფლება ქონდა მხოლოდ უზენაეს სასამართლოს. გადასინჯვის საფუძვლები იყო:

1) როდესაც აღმოჩნდებოდა ახალი გარემოება, რომელსაც საქმისათვის ექნებოდა არსებითი მნიშვნელობა და რაც ამა თუ იმ მხარისათვის ცნობილი არ იყო;

2) როდესაც სასამართლოს განაჩენით დადასტურდებოდა გადაწყვეტილ საქმეში მოწმის ტყუილი ჩვენება, მხარის, მისი წარმომადგენლის ან ექსპერტის დანაშაულებრივი ქმედება, ან სასამართლოს იმ წევრთა დანაშაულებრივი ქმედება, რომელთაც საქმეში მონაწილეობა ქონდათ მიღებული;

3) როდესაც გადაწყვეტილება დამყარებული იყო ისეთ დოკუმენტზე, რაც შემდეგში სასამართლოს განაჩენით სისხლის სამართლის საქმის გამო ყალბ დოკუმენტად ჩაითვლებოდა, ან როდესაც გაუქმდებოდა სასამართლოს ის დადგენილება, რაც გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო.

ყველა საფუძველი ნათლად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული, მაგრამ მოკლედ მინდა მაინც განვმარტო პირველი საფუძველი. ამ საფუძველში მოიაზრება შემთხვევა, როდესაც განმცხადებლისთვის ცნობილი არ იყო და არც შეიძლებოდა გამცხადებელს ცოდნოდა, ეს სწორედ საქმისათვის ის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტებია, რომელთაც შეეძლოთ მიეყვანათ სასამართლო საქმის სხვაგვარ გადაწყვეტილებამდე, ხოლოს საქმის მონაწილე დაინტერესებულმა მხარემ არ იცოდა ამ ფაქტების არსებობის შესახებ.

სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვა შეიძლებოდა აღძრულიყო მხოლოდ უზენაეს სასამართლოს, კერძოდ, სამოქალაქო საკასაციო კოლეგიის, წინაშე. გამცხადებელი შეიძლება ყოფილიყო მხარე ან რესპუბლიკის პროკურორი ანდა სათანადო ოლქის პროკურორი. თხოვნა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ, მხარეს შეეძლო შეეტანა ერთი თვის მანძილზე იმ დღიდან, როდესაც გამოაშკარავდებოდა ეს გარემოებები რაც საფუძვლად ქონდა ამ თხოვნას. პროკურატურისთვის ვადის შეზღუდვა არ იყო გათვალისწინებული.

გადაწყვეტილების გადასინჯვა ხდებოდა აგრეთვე ე.წ. ზედამხედველობის წესითაც.

ზედამხედველობის წესით გადაწყვეტილების გადასინჯვას ახორციელებდა:

ა) უზენაესი სასამართლოს პლენუმი, რომელსაც შეეძლო გააუქმებინა ან შეეცვალა რესპუბლიკის ყოველი სასამართლოს გადაწყვეტილება თუ დადგენილება, იქნება ეს გადაწყვეტილება სახალხო სასამართლოსი, ოლქის სასამართლოსი თუ თვით უზენაესი სასამართლოს სბოდა გადასცემოდა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინადადებით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ან რესპუბლიკის პროკურორის ინიციატივით, ან

უზენაესი სასამართლოს საკასაციო ან სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის ან პროკურორის პროტესტის გამო;

ბ) უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიას, რომელსაც შეეძლო გაეუქმებინა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში შეეცვალა რესპუბლიკის ყოველი სახალხო სასამართლოსი და ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება და დადგენილება, რომლითაც არსებითად დარღვეულია მოქმედი კანონი, სახელმწიფოს ან მშრომელთა მასის ინტერესი [3 მუხლი, 251]. 1931 წლის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით გადასინჯვის საფუძვლებში გარკვეული ცვლილებები შევიდა ვადებთან მიმართებაშიც, კერძოდ, საკითხი სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ აღძრულ უნდა ყოფილიყო არა უგვიანეს ერთი თვისა იმ დღიდან როდესაც აღმოჩნდებოდა ახალი გარემოება, რასაც საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა ქონდა და რაც განმცხადებლისთვის ცნობილი არ იყო. აგრეთვე იმ დღიდან როდესაც გაირკვეოდა ზემოთ აღნიშნული საფუძვლების «ბ» და «გ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.

გადაწყვეტილების გადასინჯვის ინსტიტუტი შედარებით უფრო განვითარდა 1964 წლის საქართველოს მესამე სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით. თუმცა ამ კოდექსითაც იყო გათვალისწინებული გადაწყვეტილების გადასინჯვა ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსითაც საკასაციო ინსტანციის სასამართლოს ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი დანიშნულება გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება, სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს დაშვებული შეცდომების გასწორება იყო. კანონმდებელი ხელმძღვანელობდა იმ საღი აზრით, რომ საკასაციო წესით განხილველ სასამართლოს ქონდა სრული შესაძლებლობა გამოევიწყებინა შეცდომები, უზრუნველყო გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის სრულყოფილი შემოწმება. ამ მოსაზრებით იყო განპირობებული ის გარემოება, რომ საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ გადაწყვეტილება, თუ იგი არ იქნებოდა გაუქმებული, დაუყოვლბელივ შედიოდა კანონიერ ძალაში.

ჩნდება ერთი მნიშვნელოვანი პრაქტიკული კითხვა, კერძოდ: ვის ქონდა უფლება შეეტანა პროტესტები ზედამხედველობის წესით და ვინ განიხილავდა ასეთ პროტესტებს?

საქართველოს ყველა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების გარდა, შეიძლება გადასინჯულიყო სასამართლო ზედამხედველობის წესით. ამასთან ერთად, ზედამხედველობის წესით პროტესტის შეტანის უფლება ქონდა არა ყველას, არამედ მხოლოდ კანონით განსაზღვრულ თანამდებობის პირთა წრეს, კერძოდ:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, თბილისის ქალაქის პროკურორს;

რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებასა და განჩინებაზე და შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაზე, თუ მათ განიხილეს საქმე საკასაციო წესით.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავდა ზედამხედველობის წესით პროტესტის შეტანის ვადას. ამიტომ, ზემოთ ჩამოთვლილ პირებს შეეძლოთ შეეტანათ პროტესტი სასამართლოების გადაწყვეტილებაზე, განჩინებასა თუ დადგენილებაზე დამოუკიდებლად იმისა, თუ რა დრო გავიდა მათი კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა შეიცავდა ერთ მეტად მნიშვნელოვან დებულებას იმის შესახებ, რომ თანამდებობის პირებს, რომლებსაც მინიჭებული ქონდათ ზედამხედველობის წესით პროტესტის შეტანის უფლება შეეძლოთ შეეჩერებინა სათანადო გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება ზედამხედველობის წესით საქმის დამთავრებამდე. როგორც ვხედავთ, კანონი არ ავალდებულებდა პროტესტის შემტან პირს შეეჩერებინა აღსრულება. მას მხოლოდ შეჩერების უფლებას ანიჭებდა.

სასამართლო პრაქტიკაში არც ისე იშვიათი იყო შემთხვევა, როდესაც ზედამხედველობის წესით გამხილველი სასამართლო იწვევდა ერთ-ერთ მხარეს და მის წარმომადგენელს. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილი იყო მოწვეული ყოფილიყო მეორე მხარეც და მისი წარმომადგენელიც, რათა არ დარღვეულიყო მხარეთა თანასწორობის პრინციპი და უფრო სრულყოფილად შემოწმებულიყო საქმის ფაქტობრივი გარემოებები. პროტესტის შეტანა ზედამხედველობის წესით ავალდებულებდა შესაბამის სასამართლოს განეხილა ეს პროტესტი. საინტერესოა როგორ ხდებოდა პროტესტთან დაკავშირებით საქმის განხილვის წესი?

კვლევამ გვიჩვენა, რომ საქმის განხილვა ზედამხედველობის წესით პროტესტის განმხილველ სასამართლოში მიმდინარეობდა იმ წესების დაცვით, რაც განსაზღვრული იყო საკასაციო სასამართლოში საქმეების გარჩევისათვის, ამასთან ერთად საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდა ზოგიერთ გამონაკლისს ამ წესებიდან. კერძოდ, ზედამხედველობის წესით პროტესტის გამო საქმე განიხილებოდა საზედამხედველო ინსტანციის მიერ სასამართლო სხდომაზე არა უგვიანეს ერთი თვისა პროტესტით საქმის შემოსვლის დღიდან.

საქმეს იხილავდა სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი იხილავდა საქმეს ზედამხედველობის წესით თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრების შემადგენლობით. პლენუმის სხდომა უფლებამოსილი იყო განეხილა საქმე თუ მონაწილეობდა მისი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის სხდომაში აუცილებლად მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი.

ზედამხედველობის წესით პროტესტის განმხილველი სასამართლოს სხდომას საქმეს მოახსენებდა სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი დანიშვნით – პრეზიდენტის წევრი მომხსენებელი გადმოსცემდა საქმის გარემოებას, საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას, განჩინებასა და დადგენილებას, აგრეთვე პროტესტის შინაარსს. მომხსენებელს უნდა გაეცნო სასამართლოსთვის, აგრეთვე თავისი მოსაზრება პროტესტისა და საქმის ირგვლივ საერთოდ. მომხსენებლისთვის შეიძლება მიეცათ შეკითხვები სასამართლოს პრეზიდენტის წევრებს და პროკურორს. თუ სასამართლოს სხდომაზე ესწრებოდნენ მხარეები და საქმეში მონაწილე სხვა პირები, მათ შეეძლოთ მიეცათ სასამართლოსთვის ახსნა-განმარტება.

ამის შემდეგ გამოდიოდა პროკურორი, რომელიც მხარს უჭერდა მის მიერ ან ზემდგომი პროკურორის მიერ შემოტანილ პროტესტს. თუ პროტესტი შემოტანილი იყო სასამართლოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილის მიერ, პროკურორი მთლიანად საქმეზე იძლეოდა დასკვნას.

ზედამხედველობის წესით საქმის განხილვის შედეგად სასამართლოს პრეზიდიუმს გამოჰქონდა დადგენილება. ამ დადგენილებას პრეზიდიუმი იღებდა არა სათათბირო ოთახში, არამედ ღია სასამართლოს სხდომაზე ხმათა უმრავლესობით. ცხადია, რომ ხმის მიცემაში მონაწილეობდნენ მხოლოდ პრეზიდიუმის წევრები, რომლებსაც არ ქონდათ უფლება თავი შეეკავებინათ ხმის მიცემისაგან.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების, განჩინებისა და დგენილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განსხვავდებოდა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებათა, განჩინებათა და დადგენილებათა გადასინჯვისაგან, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძვლები, ამომწურავად იყო მითითებული კანონში და, მეორე, თვითონ საქმეთა გადასინჯვისათვის კანონით განსაზღვრული წესებით.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძვლები იყო:

1. საქმისათვის ისეთი გარემოებანი, რომლებიც არ იყო ცნობილი და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ცნობილი განმცხადებლისათვის, მაშასადამე, ეს გარემოება ცნობილი რომ ყოფილიყო საქმის განხილვა-გადაწყვეტის დროს, სასამართლო სულ სხვანაირ გადაწყვეტილებას (განჩინებას, დადგენილებას) გამოიტანდა;

2. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი იყო მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, ყალბი საბუთები ან ნივთიერი მტკიცებულებანი, რასაც მოჰყვა უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების დადგენა;

3. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ მხარეთა, საქმეში მონაწილე სხვა პირთა ან მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი მოქმედება ან მოსამართლეთა დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც ჩადენილი იყო ამ საქმის განხილვის დროს;

4. სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების, დადგენილების ან სხვა ორგანოს დადგენილების გაუქმება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილების განჩინებისა და დადგენილების გამოტანას.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ თუ იურიდიული ფაქტი, ე.ი. ფაქტი, რომელსაც ამ საქმის გადაწყვეტილებისათვის აქვს მნიშვნელობა, არსებობდა საქმის განხილვის დროს, მაგრამ იგი არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ცნობილი – ეს იყო გადასინჯვის საფუძველი. მაგალითად, მემკვიდრეობის შესახებ საქმის გადაწყვეტის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სამკვიდროს დამტოვებელს დაუტოვებია ანდერძი, რომლის ძალითაც მთელი თავისი ქონება დაუტოვა გარკვეულ პირს, მაგრამ თუ რომელიმე გარემოება წარმოიშვა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მაშინ ამ გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო არ შეიძლებოდა. ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა საქმის ზედამხედველობის წესით გადასინჯვა.

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდებოდა აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როდესაც მოითხოვდნენ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვას იმ საფუძველით, რომ აღმოჩნდა მტკიცებულება, რომელიც სხვაგვარად ადასტურებს ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც სასამართლომ დადგენილად ჩათვალა. აქ საქმე გვექონდა სასამართლო შეცდომასთან და არა რაიმე ახალ გარემოებასთან. სასამართლოს შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მან დადასტურებულად ჩათვალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოება, მაშინ, როდესაც ამისათვის მას არ ჰქონდა საკმარისი საფუძველი. ასეთ შემთხვევაშიაც შეიძლება დაიწეროს პროტესტი ზედამხედველობის წესით საქმის გადასინჯვის შესახებ.

როგორი იყო ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვის საპროცესო წესი?

გადაწყვეტილებაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის საფუძველების თავისებურებებმა განაპირობეს იმ საპროცესო წესების თავისებურებანიც, რომლებიც განსაზღვრული იყო კანონით ასეთი გადასინჯვისათვის.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეთა გადასინჯვის შესახებ განცხადებისა და წარდგინების ვადა განსაზღვრული იყო სამი თვით იმ გარემოების დადგენის დღიდან, რაც საფუძველს წარმოადგენდა გადასინჯვისათვის.

სამთვიანი ხანდაზმულობის ვადის დადგენა, რაც გათვალისწინებული იყო ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვისათვის, იწყებოდა იმ გარემოების აღმოჩენის დღიდან, რომელსაც საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, იმ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან, რომლითაც დადგენილი იყო მოწმის ცრუ ჩვენება, ექსპერტის ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი და ა.შ. რომლებიც საფუძველად დაედო გადაწყვეტილებას, იმ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან, რომლითაც დადგენილი იყო მხარეთა ან საქმეში მონაწილე სხვა პირთა დანაშაულებრივი ქმედება, ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც ჩადენილი იყო საქმის განხილვის დროს, იმ სასამართლოს გადაწყვეტილების ან სხვა ორგანოს დადგენილების გაუქმება, რომელიც საფუძველად დაედო გადაწყვეტილების, განჩინების, დადგენილების გამოტანას.

გადაწყვეტილების, განჩინების, დადგენილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოებდა სასამართლო სხდომაზე ყველა იმ წესის დაცვით, რაც დადგენილი იყო საპროცესო კანონმდებლობით. სასამართლო მოვალე იყო შეეტყობინებინა განმცხადებლისთვის, მხარეებისთვის და საქმეში მონაწილე პირებისთვის სასამართლო სხდომისა და დროის შესახებ. მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებდა განცხადების განხილვას.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების (განჩინების, დადგენილების) გადასინჯვის შესახებ განცხადების (წარდგინების) განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომლითაც სასამართლო ან დააკმაყოფილებს განცხადებას გადასინჯვის შესახებ და გააუქმებს გადასინჯულ გადაწყვეტილებას, განჩინებას, დადგენილებას, ან უარს ეტყვის გადასინჯვაზე.

სასამართლოს განჩინება, რომლითაც დააკმაყოფილებოდა განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის შესახებ, არ შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო. რაც შეეხება სასამართლოს განჩინებას, რომლითაც უარი ეთქვა

განცხადების დაკმაყოფილებასა და გადაწყვეტილების (განჩინების, დადგენილების) გადასინჯვაზე, ასეთი განჩინება შეიძლება გასაჩივრებელიყო საერთო წესის დაცვით.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების, განჩინების, დადგენილების გაუქმების შემთხვევაში საქმეს განიხილავდა სასამართლო საქმეთა განხილვის საერთო წესის შესაბამისად.

ალექსანდრე ლილუაშვილი, დოქტორანტი

**კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის
წესი და ფორმა საქართველოში 1924-1996 წლების სამოქალაქო
საპროცესო კანონმდებლობაში**

სტატიაში განხილულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების გადასინჯვის წესი და ფორმა 1924 წლიდან 1996 წლამდე. ამ პერიოდში საქართველოში მიღებული იქნა სამი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, კერძოდ 1924 წელს, 1931 წელს და 1964 წელს.

სტატიაში ნაჩვენებია თუ როგორ იცვლება და ვითარდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვის ინსტიტუტი.

Александр Лилуашвили, Докторант

**Форма и порядок пересмотра вступивших в законную силу
судебных решений в гражданском процессуальном
законодательстве в Грузии 1924-1996 гг.**

В статье рассмотренно форма и порядок пересмотра вступивших в законную силу судебных решений в гражданском процессуальном законодательстве в Грузии с 1924 года до 1996 годов. В этом периоде в Грузии были приняты три гражданских процессуальных кодексов, в частности, в 1924 году, в 1931 году и в 1964 году.

В статье показано – как меняется и развивается институт пересмотра вступивших в законную силу судебных решений.

Alexandre Liluashvili, PHD student

**Form and Rule of Review entered into legal force of judgments in
civil procedure law in Georgia from
1924 to 1996 years**

The article examined the form and procedure of the review entered into legal force of judgments in civil procedure law in Georgia from 1924 to 1996 years. During this time three Codes of Civil Procedure have been adopted in Georgia, particularly, in 1924, in 1931 and 1964 years.

The author discusses the process of changing and developing of institution of review of court decisions entered into legal force.

ლიტერატურა

1. ა.კობახიძე. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2003;
2. თ.ლილუაშვილი. სამოქალაქო სამართლის პროცესი, 1992;
3. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, 2004;
4. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, 1925;
5. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, 1932;
6. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, 1964;
7. ს.ჯაფარიძე. სამოქალაქო პროცესი, 1926;
8. Ломоносова Е. М. Пересмотр гражданских дел по вновь открывшимся обстоятельствам. 1970;
9. Морозова Л. С. Пересмотр решения по вновь открывшимся обстоятельствам. М. 1959;
10. Разъяснение пленума Верховного суда РСФСР от июня 1924.

საკუთრების უფლების დაცვა

საკუთრების უფლების დაცვა საბაზრო ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. ჯერ კიდევ რომის სამართლიდან მოყოლებული არსებობდა სანივთო-სამართლებრივი სისტემა, რომელიც ვინდიკაციურ და ნეგატორულ სარჩელებს შეიცავდა. საკუთრების უფლების დაცვათაგან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას ვინდიკაციური სარჩელი ასრულებს. ოდითგანვე საკუთრების უფლება მესაკუთრის თანამდევად გვევლინება. არსებობს ცნობილი ფრაზა: «ubi rem meum invenio ibi vindico» (სადაც ვიპოვი ნივთს, იქ მოვახდენ მის ვინდიცირებას). რომის სამართალი ამ ფაქტს შემდეგი ლოგიკით ასაბუთებდა: თუ ნივთის გადამცემ პირს არ ჰქონდა ნივთზე საკუთრების უფლება, ასეთი უფლება ვერ ექნებოდა ვერც ნივთის მიმღებ პირს. პრაქტიკაში ხშირია ისეთი მაგალითები, როცა არამესაკუთრე ასხვისებს ნივთს, ამ შემთხვევაში ნამდვილი მესაკუთრის დამცველად გვევლინება ვინდიკაციური სარჩელი, რომელიც გულისხმობს მფლობელიდან ნივთის გამოთხოვას. აქედან გამომდინარე მესაკუთრეს, მიუხედავად იმისა, რომ კარგავს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას, გააჩნია საკუთარი ნივთის დაბრუნების უფლება. სამოქალაქო კოდექსში აღნიშნულია, რომ ნივთის მფლობელობა საკუთრების პრეზუმციად განიხილება, ამიტომ მოსარჩელე ვალდებულია ამტკიცოს, რომ მას ნამდვილად გააჩნია ნივთზე საკუთრების უფლება; მოპასუხე კი ამ პრეზუმციის წყალობით მტკიცების ტვირთისგან თავისუფლდება.

საკუთრების უფლების დაცვა ყველა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან ამ უკანასკნელის გარეშე ქვეყნის სამოქალაქო ბრუნვას პრობლემები შეექმნებოდა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაც შეუძლებელი გახდებოდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლში ნათქვამია: «საკუთრება და მემკვიდრეობა კანონით აღიარებული და უზრუნველყოფილია.» აქედან გამომდინარე თითქმის ყველა სამართლის დარგი შეიცავს საკუთრების უფლების დაცვას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სამოქალაქო კოდექსი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლში აღნიშნულია, რომ «მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უკეთესი უფლება.» როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვინდიკაციური სარჩელის წარდგენის უფლება აქვს ნივთის მესაკუთრეს, მაგრამ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ნივთის მფლობელის მდგომარეობაც. სამოქალაქო კოდექსში ცალკე თავად არის გამოყოფილი მფლობელობა, რომლის ნორმებიც დეტალურად განსაზღვრავს მფლობელის უფლება-მოვალეობას. სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მფლობელობით (პოსესორულ) სარჩელს, როგორც მფლობელობის დაცვის დამოუკიდებელ საშუალებას (160-ე მუხლი); მფლობელს უფლება აქვს აღძრას სარჩელი ისე, როგორც ეს შეუძლია მესაკუთრეს ნეგატორული სარჩელით (161-ე მუხლი).

სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლში მითითებულია, რომ «დაუშვებელია მართლზომიერ მფლობელს მოეთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება. მართლზომიერი

მფლობელობის განმავლობაში მფლობელის კუთვნილებად ითვლება ნივთისა და უფლების ნაყოფი.» აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე მესაკუთრეს ყველა შემთხვევაში არ აქვს ნივთის გამოთხოვის უფლება. ვინდიკაციის წესი მთლიანადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა გზითაა გამოსული მესაკუთრის ხელიდან საკუთრების ობიექტები. ამ მხრივ აღსანიშნავია სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლი, რომელშიც აღნიშნულია: «შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. კეთილსინდისიერების ფაქტი უნდა არსებობდეს ნივთის გადაცემამდე.» 186-ე მუხლში მითითებულია, რომ მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადასაცემად აუცილებელია მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. მაგრამ 187-ე მუხლის მიხედვით შემძენი არამესაკუთრის მიერ გასხვისებული ნივთის მესაკუთრეც ხდება. აქედან გამომდინარე ნივთზე საკუთრების უფლების გადასვლისათვის აუცილებელი არ არის მესაკუთრისაგან შეიძინო ნივთი. ამ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კეთილსინდისიერებას და იმ ფაქტს, მესაკუთრის ხელიდან ნივთი ნებით გავიდა თუ მისი სურვილის წინააღმდეგ. მაგალითად, მოპარეს, დაკარგა და ა.შ. აქვე ხაზგასმითაა აღნიშნული, შემძენმა ნივთი უსასყიდლოდ მიიღო თუ განსაზღვრული თანხა გადაიხადა. არამესაკუთრეთაგან 187-ე მუხლით სარგებლობის უამრავი მაგალითი გვხვდება. ხშირია შემთხვევები, როცა დამქირავებელი ბინას თავისად ასაღებს და ასხვისებს. ამ შემთხვევაში შემძენი, მართალია, არამესაკუთრისგან იძენს ნივთს, მაგრამ კეთილსინდისიერია. როდესაც ნივთს წინა მესაკუთრე მოითხოვს და ცდილობს, სასამართლოს ძალით დაიბრუნოს თავის ქონება, სწორედ, 187-ე მუხლიდან გამომდინარე სასამართლო უძღურია, მოსარჩელეს დაუბრუნოს ნივთი. ნივთი რჩება კეთილსინდისიერ შემძენს, ხოლო ნამდვილ მესაკუთრეს ისლა დარჩენია ქირავნობის ხელშეკრულების დამდებისაგან მოითხოვოს ბინის სანაცვლოდ ანაზღაურება, ვინაიდან მის ბინას უკვე მესაკუთრე ჰყავს, რომელიც კეთილსინდისიერი შემძენია. რადგან 187-ე მუხლიდან გამომდინარე მესაკუთრე თავის უფლებას ვერ იცავს, ამიტომ მან ხელშემკვრელი პირი სწორად უნდა შეარჩიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არასწორი ნდობისათვის მოეკითხება. რაც შეეხება არამესაკუთრისგან გასხვისებული ნივთის კეთილსინდისიერ შემძენს, მას მრავალი ფაქტორი უწყარებს ნივთის ფლობის უფლებას. მაგალითად, შემძენის მომენტში კეთილსინდისიერი იყო, თანხა გადაიხადა და, რაც მთავარია, ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას. მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება კონსტიტუციურად აღიარებული და უზრუნველყოფილია და აბსოლიტურ უფლებად არის მიჩნეული, ეს უფლება მესაკუთრისაგან დაკვირვებასა და სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან შესაძლებელია, ერთი ნივთის მესაკუთრე ერთდროულად ორი სხვადასხვა მდგომარეობაში მყოფი პირი აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში 187-ე მუხლიდან გამომდინარე საკუთრების უფლებას ინარჩუნებს ის, ვინც ნივთს ფაქტობრივად ფლობს. ე.ი. ვინდიცირება ანუ ნივთის მოთხოვნა გამორიცხულია. სრულიად განსხვავებული ვითარებაა, როცა არამესაკუთრე მფლობელობაში მყოფ ნივთს გააჩუქებს. ამ შემთხვევაში ჩუქება არამყარია, რადგან მესაკუთრეს შეუძლია ვინდიკაციური სარჩელის საფუძველზე ნივთი მოითხოვოს. ეს ფაქტი შეიძლება იმით აიხსნას, რომ მესაკუთრე უფრო დაზარალებულ

მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე საჩუქრის მიმღები. მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა გაჩუქებული ნივთის მფლობელი ამ ნივთზე იმედებს ამყარებს და შეიძლება ისეთი საქმიანობა წამოიწყოს, რომელზეც უამრავ თანხას დახარჯავს. ამ შემთხვევაში კეთილსინდისიერება საკმარისი არ არის, მან ნაჩუქარი ნივთი მესაკუთრეს უნდა დაუბრუნოს. თუ ჩუქებასთან დაკავშირებულ ნორმებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ჩუქება სამართლებრივად დასაყრდენი ფაქტი არ არის. სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლში აღნიშნულია, რომ «ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურებას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.» 530-ე მუხლში კი მითითებულია: «თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას ყველა უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოთხოვოს გაჩუქებული ნივთი.» ზემოთ მითითებული ნორმების მიხედვით თვით მესაკუთრის მიერ გაჩუქებული ნივთიც საეჭვოა მფლობელის საკუთრებაში დარჩეს. აქედან გამომდინარე შემთხვევითი არ არის, რომ არამესაკუთრის მიერ უსასყიდლოდ გადაცემული ნივთის დაბრუნება მესაკუთრემ შეძლოს. ჩუქებაზე დაყრდნობა რომ არ შეიძლება, ეს მემკვიდრეობითი სამართლისაგან კარგად ჩანს. მაგალითად, მემკვიდრეობითი სამართლით ნაჩუქარი ნივთი სამემკვიდრეო წილში მიეთვლება მემკვიდრეს. ასე რომ, ნაჩუქარი ნივთის საბოლოო შენამენად ჩათვლა ეჭვის ქვეშ დგება. 187-ე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ «მოძრავი ნივთების შემძენი ვერ იქნება კეთილსინდისიერი, თუ მესაკუთრემ ეს ნივთი დაკარგა, მოპარეს ან მისი ნების წინააღმდეგ გავიდა მისი მფლობელობიდან.» მაგალითად, თუ ორი პირი ბაზრობაზე არამესაკუთრისგან კეთილსინდისიერად შეიძენს ნივთს, მათი ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ გამსხვისებლის ხელში როგორ მოხვდა ეს ნივთები. შეიძლება ერთი შემძენი ილბლიანი აღმოჩნდეს და მესაკუთრის ნებით გაცემული ნივთების მფლობელი გახდეს, ხოლო მეორე – პირიქით. ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითებიდან აშკარაა, რომ შეუძლებელია კანონმა ყოველთვის ისე დაიცვას ერთი პირი, რომ არ დაირღვეს მეორე პირის უფლება. სხვანაირად შეუძლებელიცაა, რადგან ყველაფერი შედარებითია და კანონიც შეძლებისდაგვარად ამ ფორმულის მატარებელია. 162-ე მუხლში მითითებულია, რომ «დაუშვებელია მართლზომიერ მფლობელს მოეთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება.» მართლზომიერი მფლობელობის განმავლობაში მის კუთვნილებად ითვლება ნივთისა და უფლების ნაყოფი. მაგალითად, თუ მესაკუთრემ მიწის ნაკვეთი იჯარით გასცა ამ შემთხვევაში მფლობელობა მართლზომიერია და ხელშეკრულებით განსაზღვრული დროის განმავლობაში ის ვერ გამოითხოვს მფლობელისაგან თავის ნივთს. რაც შეეხება კეთილსინდისიერებას, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მფლობელობის შემთხვევაში. სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლში აღნიშნულია, რომ «კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს.» ამ მხრივ საინტერესოა ისევ 187-ე მუხლი: «შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია.» ამ შემთხვევაში ჩვენს მიერ მოყვანილ ნორმას კეთილსინდისიერების კონტექსტში განვიხილავთ. კანონით დადგენილია ისეთი შემთხვევები, როცა არამართლზომიერ მფლობელსაც შეუძლია უარი განაცხადოს ნივთის დაბრუნებაზე, თუ მისი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, მაგრამ სახეზე უნდა იყოს კეთილსინდისიერება. მაგალითად, 163-ე მუხლში მითითებულია, რომ

«კეთილსინდისიერი მფლობელი, რომელსაც თავიდანვე არ ჰქონია ნივთის ფლობის უფლება ან დაკარგა ეს უფლება, ვალდებულია დაუბრუნოს ნივთი უფლებამოსილ პირს, ვიდრე უფლებამოსილი პირი არ გამოიყენებს ამ უფლებას. ნივთისა და უფლების ნაყოფი ეკუთვნის მფლობელს.» 163-ე მუხლის პირველივე ნაწილში დადგენილია, რომ სანამ ფლობის კეთილსინდისიერება არსებობს, თუნდაც ფლობა არამართლზომიერი იყოს, ნივთიდან მიღებული ნაყოფი რჩება მფლობელს. ამ მუხლის მეორე ნაწილშივე აღნიშნულია, რომ კეთილსინდისიერ მფლობელს შეუძლია მესაკუთრეს მოსთხოვოს ნივთზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება, მაგრამ ეს ხარჯები აუცილებლად გაღებული უნდა იყოს კეთილსინდისიერი ფლობის განმავლობაში. თუ მფლობელის მიერ გაცემული ხარჯები ანაზღაურებულია ნივთით სარგებლობითა და მისგან მიღებული ნაყოფით, მაშინ მესაკუთრე ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მიიღებს ნივთს. მესაკუთრის სასარგებლოდ არის აღნიშნული ამავდროულად მუხლში: «მფლობელის ბრალით მიუღებელი ნაყოფის ღირებულება უნდა გამოიქვითოს.» ჩემი აზრით, პრაქტიკაში არსებული მაგალითებიდან გამომდინარე შეიძლება დავა გამოიწვიოს ზემოთ მითითებულმა ფრაზამ. მაგალითად, თუ მფლობელმა კიტრის თესლი შეიძინა, ნახევარი დათესა და ნახევარი გააჩუქა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გამსხვივებული ამ თესლის მესაკუთრე არ იყო, რატომ უნდა გამოიქვითოს მფლობელის ბრალით მიუღებელი ნაყოფის ღირებულება? ვფიქრობ, ეს ფრაზა უსამართლოდაა მფლობელის წინააღმდეგ მიმართული.

ნივთის დაბრუნებაზე მფლობელისგან უარის განცხადება შესაძლებელია ასევე ორმხრივი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში. სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლში აღნიშნულია, რომ «იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა.» ე.ი. თუ ნივთი გადაცემულია ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ, ამ შემთხვევაში ნივთის დაბრუნება აუცილებლობას წარმოადგენს მხოლოდ ამ ვალდებულების შესრულების შემდეგ. მაგალითად, თუ მესაკუთრემ ბინა გასცა იპოთეკით და სანაცვლოდ აიღო განსაზღვრული თანხა. მას შეუძლია ბინის დაბრუნება მოითხოვოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აღებულ თანხას დაფარავს.

ვინდიკაციური სარჩელის წარდგენის შემთხვევაში აუცილებელია, ნივთი ფაქტობრივად არსებობდეს მოპასუხის მფლობელობაში. თუ ნივთი სხვა პირისათვის არის გადაცემული, განადგურებული, დაკარგული ან გადამუშავებულია, ამ შემთხვევაში დაზარალებულმა მხარემ ანუ მესაკუთრემ უნდა მიმართოს სამოქალაქო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებებს.

საკუთრების უფლება რომ აბსოლიტურ ხასიათს ატარებს და არავის არ აქვს უფლება, მესაკუთრე შეზღუდოს თავის უფლებაში, ამასთან დაკავშირებით არსებობს ნეგატორული სარჩელი, რომლის მეშვეობითაც მესაკუთრეს შეუძლია აღკვეთოს ყოველგვარი ხელშეშლა ნივთზე საკუთრების უფლების განხორციელებისას. სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულია: «თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელისშემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდა, მესაკუთრეს შეუძლია

მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.» სწორედ, ასეთი ხელისშემშლელი პირობები ითვისილწინებს ნეგატიურულ სარჩელს, რომლის წარდგენა შესაძლებელია როგორც მოძრავ, ისე უძრავ ნივთებზე. აქედან გამომდინარე, როდესაც საკუთრების უფლება ირღვევა საკუთრების ობიექტის ჩამორთმევის გარეშე, არსებული ქმედების აღსაკვეთად გამოიყენება ნეგატიური სარჩელი.

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ არ არსებობს უფლება, რომელიც ნაწილობრივ მაინც არ არის შეზღუდული. ამის საუკეთესო დადასტურებაა ჩვენს მიერ განხილული 187-ე მუხლი. ეს და მსგავსი ფაქტორი შეიძლება პრაქტიკაში მრავლად შეგვხვდეს, რადგან ადამიანი რობინზონ კრუზოსავით მარტო ვერ იცხოვრებს, მას ურთიერთობა უხდება როგორც სახელმწიფოსთან, ასევე საზოგადოებასთანაც. სახელმწიფო ვალდებულია შეძლებისდაგვარად დაიცვას თითოეული ადამიანის უფლება, მაგრამ ზოგჯერ აუცილებლობა მოითხოვს ერთის უფლების შედარებით მსუბუქად შეზღუდვით, შენარჩუნდეს მეორის უფლება.

მარინა ლონდარიძე, დოქტორანტი

საკუთრების უფლების დაცვა

საკუთრების უფლების დაცვის გარეშე წარმოუდგენელია საბაზრო ეკონომიკის განვითარება. ამასთან დაკავშირებით სტატიაში განხილულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ვინდიკაციური სარჩელის მნიშვნელობა, ასევე საუბარია საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

Марина Лондаридзе, Докторант

Защита права собственности

Без защиты право собственности не возможно развитие рыночной экономики. На счѐт этого в статье рассмотрено значение виндикационного иска по грузинскому гражданскому кодексу. Также говорится о проблемах ограничения права собственности.

Marina Londaridze, PHD Student

Defending the right of property

It's impossible to develop the basic economics, without defending the right of property. In the article, according to the Civil Code, the importance of Vindication is discussed. The problems related to the restriction of the property right are discussed in it as well.

ლიტერატურა

1. ბ. ზოიძე. ქართული სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., 2003;
2. ლ. ჭანტურია. უძრავი ნივთების საკუთრება. მე-2 გამოცემა, 2001;
3. ზ. ჭეჭელაშვილი. სანივთო სამართალი, თბ., 2008;
4. თ. ლილუაშვილი. საერთაშორისო კერძო სამართალი, თბ., 2000;
5. Комаров Б. К. Право собственности, Иркутск 1929.

ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმი საავტორო სამართალში შესავალი

საავტორო სამართლით ნაწარმოების დაცვის ობიექტად ქცევისათვის აუცილებელია ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების ნაწარმოები აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს - კრიტერიუმებს.

საერთაშორისო დონეზე საავტორო უფლებებს იცავს 1886 წლის 9 სექტემბრის ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია. კონვენცია ადგენს მხოლოდ დაცვის მინიმალურ კრიტერიუმს - ორიგინალობას.

ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების ნაწარმოების დაცვის დამატებითი კრიტერიუმები ეროვნული კანონმდებლობის დონეზე რეგულირდება.

ნაწარმოების დაცვის განსხვავებული კრიტერიუმებია დადგენილი საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში.

სტატიაში განხილულია ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმი ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის მიხედვით, საერთო სამართლის ქვეყნებში აღიარებული ორიგინალობის კრიტერიუმი, ინდივიდუალიზმი და შემოქმედებითი საქმიანობა, როგორც ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმი კონტინენტური ევროპის ქვეყნებში გერმანიისა და საფრანგეთის მაგალითზე, სასამართლოთა მიერ ამ კრიტერიუმების განმარტება და მათი შედარება საქართველოს კანონმდებლობასთან და სასამართლო პრაქტიკასთან.

1. ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმი საერთაშორისო საავტორო სამართლის მიხედვით

საავტორო სამართლის სფეროში მოქმედი საერთაშორისო თუ ეროვნული ნორმატიული აქტები არ იძლევიან ამომწურავ ჩამონათვალს თუ ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების რომელი ნაწარმოებები არის დაცული საავტორო სამართალით. ამავე დროს დადგენილია ზოგადი კრიტერიუმი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნაშრომი იმისათვის, რომ იქცეს საავტორო სამართლით დაცულ ობიექტად.

დაცვის ზოგადი და უმთავრესი კრიტერიუმის თანახმად ნაშრომი ინტელექტუალურ ქმნილებას უნდა წარმოადგენდეს: ლიტერატურის, ხელოვნების ან მეცნიერების ნაწარმოებს. რა არის ხელოვნება და ლიტერატურა? ამ საკითხის რკვევა სამართლებრივ ფარგლებს სცილდება და ფილოსოფიის მეცნიერებათა მიმართულების ესთეტიკის საგანია. აღნიშნულის გათვალისწინებით სამართლებრივად ვერ დადგინდება ნაწარმოების დაცვის ზუსტი და ამომწურავი კრიტერიუმი. თუმცა იმისათვის, რომ საავტორო სამართალი არ გასცდეს ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ნაწარმოებთა დაცვას სამართლის

წინაშე დგას ამოცანა გარკვეული ნიშნით შეაფასოს ნაწარმოების შექმნაში შეტანილი შემოქმედებით-ინტელექტუალური წვლილი, დააწესოს დაცვის მინიმალური კრიტერიუმი.

საერთაშორისო დონეზე საავტორო უფლებებს იცავს ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია, რომელიც 1886 წლის 9 სექტემბერს იქნა მიღებული. ბერნის კონვენციას დღეისათვის მიერთებულია 164 ქვეყანა.

ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ტერმინი „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოები» მოიცავს ყველა ნაწარმოებს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში როგორი საშუალებით და ფორმითაც უნდა იყოს იგი გამოხატული. კონვენციაში მოცემულია ვრცელი ჩამონათვალი თუ კონკრეტულად ხელოვნების რომელი პროდუქტი იგულისხმება ამ ტერმინის ქვეშ, მაგალითად წიგნი, ბროშურა, ნახატი, ფერწერა... თუმცა ეს ჩამონათვალიც არ არის ამომწურავი, რადგან მასში გვხვდება ისეთი ტერმინები, როგორიცაა: მიმართვა, ქადაგება და სხვა ამგვარი ნაწარმოები, კინემატოგრაფიული და კონემატოგრაფიულის ანალოგიური საშუალებით შექმნილი ნაწარმოები, ფოტოგრაფიული და ფოტოგრაფიულის ანალოგიური საშუალებით გამოხატული ნაწარმოები.

ბერნის კონვენციის კომენტარებში აღნიშნულია, რომ ნაწარმოების ხარისხი და ღირებულება არის სუბიექტური შეფასების საგანი და ამდენად მას არ ენიჭება მნიშვნელობა ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმის გარკვევისას. სასამართლომ არ უნდა განსაზღვროს ნაწარმოების სახელოვნობო ღირებულება თუ კულტურული მნიშვნელობა [5.13].

ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თარგმანი, ადაპტაცია, მუსიკალური არანჟირება და ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოების სხვაგვარი გადაკეთება დაცულია ისევე, როგორც ორიგინალური ნაწარმოები ორიგინალური ნაწარმოების ავტორის უფლებების შეულახავად.

ამგვარად ნაწარმოების დაცვის ერთადერთ კრიტერიუმად ბერნის კონვენციაში ორიგინალობა სახელდება.

ინტელექტუალური დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ ბერნის კონვენციის კომენტარში ორიგინალობა შემდეგნაირად არის განმარტებული: ორიგინალობა არასოდეს არ უნდა იყოს არეული სიახლეში. თუკი ორი მხატვარი ხატავს ერთსა და იმავე პეიზაჟს ისინი ქმნიან დამოუკიდებელ ნაწარმოებებს. მეორე ნახატი არ იქნება ახალი, ვინაიდან მასზე გამოსახული საგნები უკვე არსებობს პირველ ნახატზე. თუმცა მეორე ნახატი ორიგინალურია, ვინაიდან ის ასახავს მისი შემქმნელის პიროვნულობას. ორიგინალობის გარკვევა და დადგენა სასამართლოს კომპეტენციაა [5.17].

ამგვარად ბერნის კონვენცია მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით წევრ ქვეყნებს თავისუფლებას ანიჭებს განსაზღვრონ თუ რომელი მატერიალური ფორმით განმტკიცებული ნაწარმოებია საავტორო სამართლით დაცვადი. კონვენცია ადგენს მხოლოდ დაცვის მინიმალურ კრიტერიუმს-ორიგინალობას.

ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების ნაწარმოების დაცვის დამატებითი კრიტერიუმები ეროვნული კანონმდებლობის დონეზე რეგულირდება.

2. ორიგინალობა, როგორც ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმი საერთო სამართლის ქვეყნებში

საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში ნაწარმოების დაცვის განსხვავებული კრიტერიუმებია დადგენილი. ასევე ამ ქვეყნების სასამართლოს მიერ განსხვავებულად განიმარტება ბერნის კონვენციით აღიარებული ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმი - ორიგინალობა.

აღნიშნულ მიდგომას მეცნიერთა ნაწილი საავტორო სამართლის წარმოშობას უკავშირებს. ვინაიდან კონტინენტურ ევროპაში, საავტორო სამართალი კანტისა და ჰეგელის მოძღვრების საფუძველზე განვითარდა ავტორის მორალური უფლებები დაცვის უფრო მაღალი სტანდარტით სარგებლობს, ავტორობა წარმოადგენს შემოქმედის პიროვნულობის გამოხატვის საშუალებას. ნაშრომი შემოქმედებითი წვლილის გარეშე არ არის დაცული საფრანგეთისა და გერმანიის საავტორო სამართლით [14. 389].

საერთო სამართლის ქვეყნები ნაწარმოების დაცვის მთავარ კრიტერიუმად ორიგინალობას ასახელებენ. საერთო სამართლის ქვეყნების საავტორო სამართლის ცენტრში კოპირების უფლება დგას, დაცვას ექვემდებარება ნებისმიერი ნაწარმოები, რომელიც შეიძლება კოპირების საგანი იყოს.

ტერმინი «საავტორო სამართალი» და «საავტორო უფლება» (ფრანგულად *droit d'auteur*, გერმანულად *Urheberrecht*) საერთო სამართლის ქვეყნებისათვის არ არის საკანონმდებლო ტერმინი. “copyright”, რომელსაც კონტინენტურ ევროპაში თარგმნიან, როგორც საავტორო უფლებას, სიტყვა სიტყვითი თარგმანით ასლის გადაღების უფლებას გულისხმობს. შესაბამისად დაცვას ნებისმიერი კოპირებადი ნაწარმოები ექვემდებარება, რომელიც ორიგინალურია და არ წარმოადგენს სხვა ნაწარმოების ასლს.

საერთო სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებული ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმს - ორიგინალობას სხვადასხვანაირად განმარტავენ ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის სასამართლოები. შედეგად დაცვის ამ კრიტერიუმმა სხვადასხვა დატვირთვა შეიძინა სამივე ქვეყანაში.

საერთო სამართლის ტრადიციულ მიდგომას, რომ დაცულია ყველა კოპირებადი ნაწარმოები ინგლისის სასამართლოები ყველაზე უფრო მკაცრად მისდევენ. ჯერ კიდევ 1916 წელს გამოტანილ გადაწყვეტილებაში საქმეზე შპს ლონდონის უნივერსიტეტის გამომცემლობა შპს უნივერსიტეტის მასწავლებელთა გამომცემლობის წინააღმდეგ (*University of London Press Ltd v. University Tutorial Press L*) ლონდონის სასამართლომ განმარტა, რომ სიტყვა ორიგინალური არ ნიშნავს, ნაწარმოების გამოხატვის ახალსა და ორიგინალურ ფორმას, არამედ მხოლოდ იმას, რომ ნაწარმოები არ წარმოადგენს სხვა ნაწარმოების ასლს და ავტორისეულია [15.19].

ინგლისის კანონმდებლობის მიხედვით დაცულია ორიგინალური ლიტერატურული, დრამატული, მუსიკალური და ხელოვნების ნაწარმოები (*Copyright, Designs and Patents Act 1988*).

ინგლისის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ორიგინალობის კრიტერიუმის დადგენისას უნდა გაირკვეს რამდენად არის ნაწარმოებზე დახარჯული უნარი, შრომა და განსჯა. ამგვარ მიდგომას იურისტთა ნაწილი „ოფლის ღვრის“ (*sweat of the brow*)

პრინციპს უწოდებს და უპირისპირებს ამერიკულ მიდგომას, რომელსაც „ორიგინალობის გაბრწყინებად“ (spark of originality) მოიხსენიებენ [15.22].

ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ საავტორო სამართლით დაცულ ობიექტად არ ცნო სატელეფონო ცნობარი და საქმეში ფეისტის გამომცემლობის კორპორაცია რურალის სატელეფონო მომსახურების კომპანიის წინააღმდეგ (Feist publication Inc. v. Rural Telephone Service co.) აღნიშნა: ნაწარმოები დაცვისათვის უნდა აკმაყოფილებდეს ორიგინალობის კრიტერიუმს, რაც ნიშნავს, რომ ნაშრომი უნდა იყოს შესრულებული დამოუკიდებლად ავტორის მიერ, არ იყოს კოპირებული და გააჩნდეს სულ მცირე შემოქმედებითობის ხარისხი მაინც [11.362].

სასამართლო გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით ამერიკელ იურისტთა ნაწილმა ჩამოაყალიბა ნაწარმოების დაცვის სამი მთავარი კრიტერიუმი: ნაწარმოები გამოხატული უნდა იყოს ფიქსირებული ფორმით, უნდა იყოს ორიგინალური და აკმაყოფილებდეს შემოქმედებითობის მინიმალურ დონეს [12.82].

ორიგინალობას, როგორც ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმს, ადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საავტორო სამართლის 1909 წლის აქტი. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, კონტინენტური სამართლის ქვეყნებისაგან განსხვავებით ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოები ორიგინალობის განმარტებისას მხოლოდ შემოქმედების მინიმალურ დონეს ითხოვენ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ისეთი ბანალური ნაწარმოებებიც კი იყო დაცული ორიგინალობის კრიტერიუმით, როგორცაა ნამცხვრის ყუთზე გაკეთებული იარლიყი და პლასტილინით დამზადებული ყვავილები [16.60].

საერთო სამართლის ქვეყნებიდან ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმს - ორიგინალობას ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კანადის კანონმდებლობაში. კანადის საავტორო სამართლის აქტის მე-5 მუხლის მიხედვით დაცულია ორიგინალური ლიტერატურული, დრამატული, მუსიკალური და ხელოვნების ნაწარმოებები.

კანადის სასამართლოები უპირატესობას ანიჭებენ შუალედურ პოზიციას ამერიკული «ორიგინალობის ნაპერწკალსა» და ინგლისურ «ოფლის ღვრის» პრინციპს შორის. ისინი არ იზიარებენ ამერიკის სასამართლოების მიერ დადგენილ კრიტერიუმს, რომ ნაწარმოები მინიმალურ შემოქმედებით დონეს უნდა აკმაყოფილებდეს. კანადის სასამართლოთა განმარტებით ნაწარმოებზე დახარჯული უნარი, შრომა და განსჯა არ უნდა იყოს იმდენად ტრივიალური, რომ მხოლოდ მექანიკურ შრომად დახასიათდეს [15.23].

კანადის საავტორო სამართლის აქტის მე-5 მუხლის განმარტებაში აღნიშნულია, რომ საჭირო არ არის შემოქმედებითი ღირებულება, მაგრამ გარკვეული ძალისხმევა უნდა იყოს დახარჯული რაღაც მიღწეულ იქნას საბოლოო შედეგი [7. 12].

გარკვეულ ძალისხმევაში ინტელექტუალური ძალისხმევა იგულისხმება. თუკი საუბარი იქნებოდა მხოლოდ ფიზიკურ ძალისხმევაზე და ტექნიკური საშუალებების გამოყენებაზე, მაშინ საავტორო სამართლის დაცვას დაქვემდებარებული აღმოჩნდებოდა ოფიციალური დოკუმენტებისათვის გადაღებული ფოტოც, რომელზეც არანაირი ინტელექტუალური ძალისხმევა არ არის დახარჯული.

3. ინდივიდუალიზმი და შემოქმედებითი საქმიანობა-ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმი კონტინენტური ევროპის ქვეყნებში გერმანიისა და საფრანგეთის მაგალითზე

საავტორო უფლებებისადმი ორი კონცეპტუალურად განსხვავებული, საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის მიდგომა ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმის დადგენისას ნათლად იჩენს თავს. „კოპირაიტის“ სისტემა საავტორო უფლებებს განიხილავს, როგორც საკუთრების გარკვეულ ფორმას. სამოქალაქო სამართლის ქვეყნებში კი უპირატესობა მიენიჭა საფრანგეთში აღმოცენებულ იდეებსა და მიდგომებს, რომლებიც საავტორო უფლებებში, გარდა საკუთრების ფორმისა, ხედავენ ავტორის პიროვნულ გამოხატულებასაც. პიროვნული უფლებები ბუნებითი სამართლის ძალით მოითხოვდა ისეთივე დაცვას, როგორსაც ქონებრივი უფლებები [2.16].

საფრანგეთისა და გერმანიის კანონდებლობაში არ გვხვდება სიტყვა ორიგინალობა, როგორც ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმი. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 112-1 მუხლის მიხედვით დაცულია საავტორო უფლებები ყველა ინტელექტუალურ ნაწარმოებზე ჟანრის, გამოხატვის ფორმის, ხარისხისა თუ მიზნის მიუხედავად. ინტელექტუალური ნაწარმოები არის თუ არა საავტორო სამართლით დაცვადი ამ საკითხს საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკა პიროვნულობის გამოხატვას, ინდივიდუალიზმს უკავშირებს. მაგალითად საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ნაწარმოები უნდა ასახავდეს შემოქმედის პიროვნულობას, კასეტაზე ჩაწერილი ჩიტის ჭიკჭიკი ეს ვერ იქნება დაცვადი, რადგან ის არ ასახავს შემოქმედის პიროვნულობას [13.10].

სიტყვა ორიგინალობა არ გვხვდება ასევე ევროსაბჭოს საავტორო სამართლის დირექტივებში. დირექტივები განსაზღვრავს, რომ ნაშრომი უნდა იყოს ინტელექტუალური შრომის შედეგი [17.176].

ფოტოგრაფიულ ნაშრომებში ნათლად ვლინდება განსხვავება შემოქმედებით და არაშემოქმედებით პროდუქტს შორის. ამიტომაც ხშირია სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელიც ამ საკითხს შეეხება. საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ფოტოსურათის ავტორად ჩაითვლება ის, ვინც მოიფიქრა ფოტოს ობიექტი, კუთხე, განათება, გადაღების დრო და არა ის ადამიანი, რომელმაც მხოლოდ ღილაკს დააჭირა თითი [18.178].

გერმანიის საავტორო სამართალში ნაწარმოების დაცვის მთავარი კრიტერიუმი პიროვნულობა და შემოქმედებითობაა. გერმანიის საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის მეორე ნაწილის პირველი პარაგრაფის, მეორე მუხლის მიხედვით დაცულია მხოლოდ პიროვნული ინტელექტუალური შემოქმედება.

გერმანული სამართალი შეეცადა საკანონმდებლო დონეზე გარკვეულწილად დაედგინა განსხვავება შემოქმედებით და არაშემოქმედებით პროდუქტს შორის. გერმანული კანონმდებლობა ინტელექტუალურ პროდუქტს ყოფს ნაშრომებად (*werke*(works) და ნაწარმოებებად, მიღწევად (*achivements* (*leistungen*)). მაგალითად, ფილმები იყოფა ორ კატეგორიად: ფილმ ნამუშევრებად და მიმდინარე სურათებად (*running picture*, *laufbilder*). ფილმების მსგავსად ორ კატეგორიად იყოფა ფოტო ნამუშევრებიც, ესენია ფოტოგრაფიული ნაშრომები (*Lichtbildwerke*, *photographic Work*) და ფოტოები (*Lichtbilder*, *Photographs*) [18.228].

ფილმი ნამუშევრები აკმაყოფილებს ინდივიდუალური შემოქმედების გარკვეულ კრიტერიუმებს. მხატვრული და გასართობი ფილმები, რომლებსაც აქვთ ინტელექტუალური და ემოციური დატვირთვა, ამის საუკეთესო მაგალითია.

მეცნიერთა ნაწილის აზრით ფილმები პოლიტიკურ და კულტურულ მოვლენებზე, მოყვარულთა მიერ გადაღებული ვიდეოები არ აკმაყოფილებენ ფილმ-ნამუშევრის მოთხოვნას და წარმოადგენენ მიმდინარე სურათებს. ამ შემთხვევაშიც ამ ორ კატეგორიას შორის ზღვარი ინდივიდუალურ შემოქმედებით დონეზე გადის. ფოტოგრაფიული ნაშრომიც ადამიანის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ძალისხმევის შედეგი უნდა იყოს. ადამიანს სულ მცირე უნდა შეერჩია ობიექტი, მანძილი, გადაღების ადგილი, დრო, გადაღების კუთხე. ნაშრომი უნდა იყოს პიროვნულობის გამოხატულება და უფრო მეტი უნდა იყოს ვიდრე მხოლოდ რეალობის წმინდა ასახვა. შემოქმედებითი მომენტები შეიძლება დამატებული იყოს სტუდიასა და ლაბორატორიაში [8.123].

გერმანულ საავტორო სამართალში შემოქმედებითობის დასადგენად ფართოდაა გავრცელებული ტერმინი „Kleine Munze“, რომელიც აუცილებელ ატრიბუტად თვლის ნაწარმოებში სულ მცირე შემოქმედებითობას მაინც [10.169].

ამგვარად თუკი საერთო სამართლის ქვეყნებში დაცვის მთავარი კრიტერიუმი ორიგინალობაა, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში ძირითად კრიტერიუმს ინდივიდუალურობა და პიროვნულობის გამოხატვა წარმოადგენს.

4. ინტელექტუალურ-შემოქმედითი საქმიანობა-ნაწარმოების დაცვის ძირითადი კრიტერიუმი საქართველოს კანონში «საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ»

«საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმად მიჩნეულია შემდეგი: მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის ნაწარმოები უნდა წარმოადგენდეს ინტელექტუალურ - შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს და იგი გამოხატული უნდა იყოს ობიექტური ფორმით.

საქართველოში «ორიგინალობა» კონკრეტულად არ არის კანონით დასახელებული, კრიტერიუმად „ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია» დაწესებული. ეს კრიტერიუმი, უფრო მეტი პრეტენზიისაა ვიდრე „ორიგინალობა». კრიტერიუმის განმარტება კი სასამართლოს მიერ უნდა მოხდეს.

საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმი ყველაზე ახლოს დგას გერმანულ საავტორო სამართალთან. იგი არ ცნობს საკანონდებლო დონეზე საერთო სამართალში განმტკიცებულ ორიგინალობის პრინციპს და ფრანგული სამართლის მსგავსად არ იცავს საავტორო უფლებას ყველა ინტელექტუალურ ნაწარმოებზე, არამედ დამატებით კრიტერიუმად შემოაქვს შემოქმედებითი საქმიანობა.

თუმცა ნაწარმოების დაცვის ქართულსა და გერმანულ კრიტერიუმებს შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავება. გერმანული სამართალი დაცვის აუცილებელ კრიტერიუმად პიროვნულობას, ინდივიდუალიზმს ითვალისწინებს (დაცულია პიროვნული ინტელექტუალური-შემოქმედება).

საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის კომენტარში ვკითხულობთ: ინტელექტუალური ანუ გონებრივი შემოქმედების

განსაზღვრისათვის საჭიროა დადგინდეს შემოქმედების შეფასების კრიტერიუმი. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ შემოქმედება დაკავშირებულია კონკრეტული ავტორის პიროვნებასთან, ამდენად ის ყოველთვის ინდივიდუალურია. ნაწარმოები, შექმნილი ნებისმიერი ინდივიდუალის გონებრივი განსჯის შედეგად ყოველთვის ორიგინალურია. მაშასადამე, თუკი იკვეთება ნაწარმოების გარეგნული ან შინაარსობლივი ორიგინალობა (ინდივიდუალობა) მაშინ იგი შემოქმედების შედეგს წარმოადგენს, ანუ საავტორო უფლებებით დაცვის საგანია [1.38].

კანონის კომენტარში სიტყვა ორიგინალობა და ინდივიდუალობა სინონიმების სახით არის გამოყენებული. თუმცა ინდივიდუალობა ალბათ ფრანგულ და გერმანულ სამართალში განმტკიცებულ პიროვნულობის გამოხატუვასთან უფრო ახლოს დგას ვიდრე ორიგინალობასთან ანუ ნაწარმოების თავდაპირველ წარმოშობასთან. ნაწარმოების დაცვის საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის ქვეყნების კრიტერიუმებს შორის კი სწორედ ეს არის პრინციპული განსხვავება: ნაწარმოები უნდა იყოს ორიგინალური, არაკოპირებული თუ მას ჰქონდეს გარკვეული შემოქმედებითობის, ინდივიდუალიზმის ნიშნები.

ვინაიდან ქართული საავტორო სამართალი კონტინენტური ევროპის საავტორო სამართლის პრინციპებზე დგას, უნდა ვიგულისხმოთ, რომ შემოქმედებითობაში ინდივიდუალიზმი იგულისხმება ისე, როგორც მას გერმანული და ფრანგული სასამართლოები განმარტავენ.

საერთო სამართალში დამკვიდრებული ორიგინალობა ნაწარმოების დაცვის მინიმალური კრიტერიუმია, რომელიც შემოქმედების და ინდივიდუალიზმის მინიმალურ ნიშნებს მოიცავს. ამ შემთხვევაში შემოქმედებას არ აქვს აბსოლუტური მნიშვნელობა. მთავარია ნაწარმოები განსხვავდებოდეს წინამორბედი ნაწარმოებებისაგან და არ წარმოადგენდეს მათ ასლსა და იმიტაციას.

კონტინენტური სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებული ინდივიდუალიზმიც მოიცავს შემოქმედებითობას, ოღონდ არა აბსოლუტური მნიშვნელობით, არამედ გარკვეული დოზით. ამაზე მეტყველებს გერმანულ მეცნიერებაში დამკვიდრებული პრინციპი „Kleine Munze“.

ამგვარად, ნაწარმოების დაცვის აუცილებელი კრიტერიუმებია ორიგინალობა და ინდივიდუალიზმი. მაქსიმალური სტანდარტი კი შემოქმედებითობა. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საერთო სამართლისა და ასევე კონტინენტური სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებული პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეს, ადგენდეს დაცვის მინიმალურ სტანდარტს და სასამართლოების მიერ განიმარტებოდეს შემოქმედებითობის რა ხარისხი არის სავალდებულო ნაწარმოების დაცვითუნარიანობისათვის.

5. საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

ნაწარმოების დაცვითუნარიანობის სამი ძირითადი კრიტერიუმი - ორიგინალობა, ინდივიდუალიზმი და შემოქმედებითი საქმიანობა ერთ მიზანს ემსახურება: დაადგინოს წარმოადგენს თუ არა ნაშრომი ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების ნაწარმოებს. როგორც საერთო სამართლის ასევე კონტინენტური სამართლის ქვეყნებშიც ორიგინალობა, ინდივიდუალიზმი და შემოქმედების გარკვეული დონე სასამართლო პრაქტიკით განისაზღვრება.

საქართველოში სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ მწირია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ» კანონის მიღების შემდეგ საქართველოში მხოლოდ ორი სასამართლო გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომელიც ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმს შეეხება.

2003 წელს უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე, რომელიც შეეხებოდა გამოსახულებას, შემდგარს წითელი ფონისა და თეთრი ფერის ქართული ასოების «კოკა-კოლა» კომბინაციით.: მოქალაქე მ. მანჯგალაძემ უჩივლა კომპანია „კოკა-კოლას» და მოითხოვა წითელ ფონზე სტილიზებურად გამოსახული ქართულ წარწერიანი „კოკა-კოლა» ნახატის გამოყენების შეწყვეტა მისგან, როგორც ამ ნახატის ავტორისაგან ნებართვის აღების გარეშე. უზენაესმა სასამართლომ უარი უთხრა მოსარჩელეს, რადგან დაადგინა, რომ ნახატი ორიგინალური არ არის და არ ექვემდებარება საავტორო სამართლით დაცვას. სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ მოსარჩელე ნახატის შესრულებისას ცდილობდა სრულად შეენარჩუნებინა სტილი და ესთეტიკური შთაბეჭდილება მანამდე არსებული ლათინური წარწერისა. სწორედ ამიტომ გადაწყდა, რომ ნაშრომი არ არის ორიგინალური წარმომავლობით.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სასამართლოებმა უნდა განსაზღვრონ წარმოადგენს თუ არა ნაწარმოები ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს. საქართველოს კანონმდებლობაში ორიგინალობა არ არის ნაწარმოების დაცვის აღიარებული კრიტერიუმი. თუმცა მიუხედავად ამისა სასამართლომ დაცვის კრიტერიუმის დასადგენად სწორედ საერთო სამართლისათვის დამახასიათებელ წარმომავლობით ორიგინალობაზე მიუთითა და არა ნაწარმოების შესაქმნელად დახარჯულ შემოქმედებით შრომაზე.

ერთი შეხედვით მარტივად გადასაწყვეტი საქმე უზენაეს სასამართლომდე სწორედ იმიტომ მივიდა, რომ არ არსებობს ობიექტური საზომი შემოქმედებითი წვლილის დადგენისა. მეცნიერთა ნაწილი აღნიშნულ გადაწყვეტილებაში, მაინც ხედავს შემოქმედებითი წვლილის რკვევის გარკვეულ მცდელობას, რადგანაც მოცემულ შემთხვევაში საავტორო შემოქმედებასთან კი არ გვაქვს საქმე არამედ „მექანიკურ», „ტექნიკურ-ხელოსნურ შემოქმედებასთან». ვინაიდან ქართული ნახატის შემსრულებელმა მაქსიმალურად მიმსგავსებული ნახატი დახატა [3.31].

ყველა მსგავსი გადაწყვეტილების მიღებისას საერთო სამართლისა თუ კონტინენტური სამართლის ქვეყნები ვერ უვლიან გვერდს ორიგინალობის და ინდივიდუალურობის გამოხატვის შესახებ მსჯელობას. სწორედ ამიტომ საქართველოს საავტორო სამართლისაგან განსხვავებით მათ ეს კრიტერიუმები საკანონმდებლო ტერმინებად აქციეს.

ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმის შესახებ მეორე გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიღო 2007 წლის 31 ივლისს (გადაწყვეტილება № 2/1131-07. გადაწყვეტილება გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში. არ არის გამოქვეყნებული. ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლოს არქივში). მოსარჩელე როლფ შრადემ სარჩელი აღძრა შპს არტანუჯისა და ბუბა კუდავას წინააღმდეგ. მოპასუხეებმა საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში ავტორის ნებართვის გარეშე მოახდინეს მისი 242 ფოტოს რეპროდუცირება, რომელზეც ასახული იყო საქართველოს ციხესიმაგრეები და

ეკლესიები. მოსარჩელე ითხოვდა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას.

სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, მოსარჩელის მოთხოვნა დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ ცნო ორი ნიშნით: სადავო ფოტოები არ შეიძლება მივიჩნიოთ ფოტოგრაფიული ან ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებით შექმნილ ნაწარმოებებად და მათი ასეთად მიჩნევის შემთხვევაშიც კი, ისინი არ წარმოადგენენ საავტორო უფლებით დაცვად ობიექტებს, ვინაიდან მათზე ასახულია ისტორიული ფაქტები.

საქართველოს კანონში არ არის მოცემული კონკრეტული განსხვავება, თუ რომელი ფოტო ნაშრომები არის დაცვადი საავტორო სამართლით. მაგრამ მეცნიერთა ნაწილის აზრით, საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე შემდეგი დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი: ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნილი ნაწარმოების დროს საქმე გვაქვს «შემქმნელობითი შემოქმედების შედეგთან». ფოტონაწარმოებიც იმ შემთხვევაშია საავტორო სამართლით დაცვადი თუკი იგი «ფოტოგრაფიულ-შემქმნელობითი-შემოქმედებითის» ნაყოფია [4.12].

სასამართლომ სადავო ფოტოები ფოტონაწარმოებებად არ ცნო. აღნიშნული ფოტოების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ფოტოებზე აღბეჭდილია უდავოდ მაღალი ღირებულების მქონე ხელოვნების ნაწარმოებები. თავად ფოტოებს კი არ ახასიათებთ მაღალი დონის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი თვისება, რომლის შედეგადაც იქმნება ახალი, საავტორო სამართლით დაცვადი ნაწარმოებები.

სასამართლომ დაცვის კრიტერიუმად მაღალი დონის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი თვისება დაასახელა და არა შემოქმედებითი საქმიანობის მინიმალური დონე, ინდივიდუალიზმი, ორიგინალობა, როგორც ეს მიღებულია საერთო სამართლისა თუ კონტინენტური სამართლის ქვეყნებში. თუკი საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ამ გზით განვითარდა და საკანონმდებლო დანაწესი „შემოქმედებით-ინტელექტუალური საქმიანობა» განიმარტა, როგორც მაღალი დონის შემოქმედებითი თვისება, ძალიან ბევრი ინტელექტუალური ნაწარმოები აღმოჩნდება საავტორო სამართლის დაცვის ფარგლებს გარედ.

ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ გვერდი ვერ აუარა საყოველთაოდ აღიარებულ ორიგინალობისა და ინდივიდუალიზმის კრიტერიუმს და აღნიშნა: ფოტოებს არ გააჩნია გარეგნული და შინაარსობლივი ორიგინალობა და მათი ინდივიდუალურობა იმდენად მცირეა, რომ იგი არ შეიძლება ფოტოგრაფიულ ნაწარმოებად მივიჩნიოთ. ფოტოგრაფიული ნაწარმოები საავტორო სამართლით დაცვადია მხოლოდ მაშინ, თუ ის ორიგინალურია, ანუ თუ მხოლოდ ფოტოაპარატის უმიზნო „დაჩხაკუნების» შედეგს არ წარმოადგენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ფოტოზე ასახულია არსებითი ობიექტი ისე, რომ ნებისმიერ სხვა პირს შეუძლია ადვილად, ინტელექტუალური შემოქმედების გარეშე „დააჩხაკუნოს» ფოტოაპარატი და იგივე სურათი მიიღოს, მაშინ ასეთი ფოტო საავტორო უფლებით დაცვას არ ექვემდებარება.

ამგვარი მსჯელობით სასამართლომ გაიზიარა გერმანულ და ფრანგულ სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული ინდივიდუალიზმის და გერმანულ მეცნიერებაში დამკვიდრებული შემოქმედების მცირე დოზის „Kleine Munze,, პრინციპი.

ფოტოგრაფიული ნაწარმოების დაცვის საკითხს შეეხება 1993 წლის 29 ოქტომბრის ევროკავშირის საბჭოს დირექტივა № 93/98 „საავტორო უფლებებისა და მათთან დაკავშირებული მომიჯნავე უფლებების დაცვის ხანგრძლივობის შესახებ“. აღნიშნული დირექტივის მე-6 მუხლი დაცვას უქვემდებარებს ფოტონაწარმოებს თუ „ის არის საკუთრივ ავტორის ინტელექტუალური ქმნილება, რომელშიც აირეკლება მისი პიროვნულობა“.

დირექტივა კონტინენტური სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებულ დაცვის კრიტერიუმს ანიჭებს უპირატესობას და აღნიშნული პრინციპი საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებაშიც არის გაზიარებული.

საინტერესოა განვიხილოთ აღნიშნულ სასამართლო გადაწყვეტილებაში მოყვანილი მეორე არგუმენტიც, რომლის მიხედვითაც სასამართლომ დაადგინა, რომ ფოტოები არ წარმოადგენენ საავტორო უფლებით დაცვად ობიექტებს, ვინაიდან მათზე ასახულია ისტორიული ფაქტები. სასამართლომ გაიზიარა მოპასუხეების მოსაზრება, რომ სადავო ფოტოებზე გამოსახული ისტორიული ძეგლები, ეკლესია-მონასტრები, წარწერები ფრესკები და ა.შ. წარმოადგენენ ისტორიულ ფაქტებს, ხოლო ფოტოები შესაბამისი ფაქტების ილუსტრაციას. საქართველოს კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხულია ნაწარმოებში.

საკითხავია, რამდენადაა მიზანშეწონილი ამ მუხლის გავრცელება ფოტო ნაწარმოებზე, რომელიც დოკუმენტური კინოს მსგავსად რეალობას, არსებულ ფაქტებს ასახავს. ფოტო ნაწარმოების დაცვისათვის მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს არა ის თუ რა არის მასზე გამოსახული, არამედ ის, თუ როგორ დაინახა ავტორმა ფაქტი და როგორი მხატვრული ხერხით გამოსახა ის, რომელი რაკურსით, რამდენად ჩააქსოვა თავისი ინდივიდუალური ხედვა.

ფოტო ნაწარმოები თუკი არ არის წინასწარ „დადგმული“ სცენის ამსახველი, ყოველთვის ან ფაქტს გამოსახავს ან მოვლენას. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონში კი არ არის დადგენილი, რომ მხოლოდ „დადგმული“, წინასწარ ჩაფიქრებული კომპოზიციითა და მიზანსცენით შესრულებული ფოტოებია დაცვადი.

დასკვნა

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ საავტორო სამართლით დაცული კრიტერიუმები უნდა გახდეს უფრო კონკრეტული ვიდრე „შემოქმედებით-ინტელექტუალური საქმიანობის შედეგია“. უნდა დადგინდეს, რომ კანონი კონტინენტური სამართლის ქვეყნების მსგავსად შემოქმედებითობის მხოლოდ მინიმალურ დონეს ითხოვს, რაც ინდივიდუალიზმს, პიროვნულობის გამოხატულებას გულისხმობს და არა შემოქმედების მაღალ ხარისხს.

როგორც საერთო სამართლის ასევე კონტინენტური ევროპის ქვეყნების საავტორო სამართალი დაცვის მინიმალურ კრიტერიუმებს ადგენს და შემდეგ სასამართლო პრაქტიკით ხდება ამ კრიტერიუმთა განმარტება და განზოგადება. შემოქმედებითი

საქმიანობის შედეგის განმარტებისას საქართველოს სასამართლო მაინც ვერ სცდება ორიგინალობისა და ინდივიდუალიზმის ჩარჩოებს.

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვის საქართველოს კანონის მე-6 მუხლი შეიცავს ვრცელ ჩამონათვალს რომელი ინტელექტუალური პროდუქტები არის დაცვადი საავტორო სამართლით. მათ შორისაა, მაგალითად, გეოგრაფიის, კარტოგრაფიის დარგებს მიკუთვნებული რუკა და გეგმა, მონაცემთა ბაზა. რუკის, გეგმისა თუ მონაცემთა ბაზის ავტორისთვის კი საავტორო სამართლებრივი უფლებების წარმოშობისთვის არ უნდა იყოს აუცილებელი ამტკიცოს, რომ მის მიერ გაწეული შრომა წარმოადგენდა შემოქმედებას. აღნიშნული მუხლით ასევე დაცულია კომპიუტერული პროგრამები, მათ შორის ოპერაციული სისტემების ჩათვლით, როგორც ლიტერატურული ნაწარმოებები. ამ შემთხვევაშიც აუცილებელი კრიტერიუმი ორიგინალობა, ინტელექტუალური საქმიანობა უნდა იყოს და არა შემოქმედებითი საქმიანობა. საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-6 მუხლში მოცემული მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. აქედან გამომდინარე შესაძლოა იგი საავტორო სამართალი ინტელექტუალური საქმიანობის სხვა ისეთ პროდუქტებზეც გავრცელდეს, რომელიც წარმოადგენს გონებრივი და არა შემოქმედებითი შრომის რეზულტატს, მაგალითად: ტრანსპორტის მოძრაობის განრიგი, ქუჩების ცნობარი, ფეხბურთის მატჩების ცხრილი.

კონტინენტური სამართლის ქვეყნებში აღიარებული ინდივიდუალიზმი ერთგვარი შუალედური კრიტერიუმია საერთო სამართალში დამკვიდრებულ ორიგინალობის კრიტერიუმსა და შემოქმედებით საქმიანობას შორის. იგი შემოქმედების მცირე დონეს მოითხოვს. საქართველოს საავტორო სამართალი, რომელიც კონტინენტური ევროპის საავტორო სამართლის პრინციპებს იზიარებს, აღნიშნული გზით უნდა განვითარდეს.

ლიკა საჯაია, დოქტორანტი

ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმი საავტორო სამართალში

საავტორო სამართლით ნაწარმოების დაცვის ობიექტად ქცევისათვის აუცილებელია ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების ნაწარმოები აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს - კრიტერიუმებს.

საერთაშორისო დონეზე საავტორო უფლებებს იცავს 1886 წლის 9 სექტემბრის ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია. კონვენცია ადგენს მხოლოდ დაცვის მინიმალურ კრიტერიუმს: ორიგინალობას.

ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების ნაწარმოების დაცვის დამატებითი კრიტერიუმები ეროვნული კანონმდებლობის დონეზე რეგულირდება.

ნაწარმოების დაცვის განსხვავებული კრიტერიუმებია დადგენილი საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში. ასევე სასამართლოთ მიერ განსხვავებულად განიმარტება ბერნის კონვენციით აღიარებული კრიტერიუმი - ორიგინალობა.

კონტინენტური სამართლის ქვეყნებს ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმის უფრო მაღალი სტანდარტი აქვთ. საერთო სამართლის ქვეყნებში დაცვის მთავარი კრიტერიუმია: ნაწარმოები არ წარმოადგენდეს ასლს და იყოს ორიგინალური. კონტინენტური ევროპის ქვეყნებში ძირითად კრიტერიუმს ინდივიდუალურობა და პიროვნულობის გამოხატვა წარმოადგენს.

«საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმად ინტელექტუალურ-შემოქმედებით საქმიანობა სახელდება.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკა მწირია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს მხოლოდ ორი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმს შეეხება.

სტატიაში განხილულია კონტინენტური ევროპის ქვეყნებსა და საერთო სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებული ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმები, სასამართლოს მიერ ამ კრიტერიუმთა განმარტება და მათი შედარება საქართველოს კანონმდებლობასთან და სასამართლო პრაქტიკასთან.

Лица Саджая, Докторант

Критерии охраноспособности произведения в авторском праве

Для того чтобы произведение стало объектом защиты авторского право необходимо чтобы произведеие искусств, литературы и науки удовлетворяло некоторые требования- критерий.

Авторское право на международном уровне защищает Бернская конвенция (9 сентябрь 1886) по охране литературных и художественных произведений. Конвенцией установлен только минимальный критерий – оригинальность.

Дополнительные критерии защиты литературных, научных и художественных произведений регулируется национальным законодательством.

В странах континентальной Европы и в странах общего право установлены различные критерии для защиты произведения. Также по различному обьесняется судами этих стран критерий Бернской конвенции– оригинальность.

В странах континентальной Европы критериумы для защиты произведения более высшего уровня. В странах общего право установлен главный критерий защиты: произведение не должно представлять копию и должно быть оригинальной. В странах континентальной Европы основной критерий является индивидуальность и выявления личности.

Согласно статье №5 «Об авторских и смежных правах» по закону Грузии основным критериумом защиты произведения является интеллектуально-творческая деятельность. Судебная практика Грузии в этом направлении скудна. Существует лишь два судебных решения которые касаются критериумов защиты произведения.

В статье обсуждаются распространенные критерии защиты произведения в странах континентальной Европы и в странах общего право, судебная интерпретация этих критерий и их сравнение с Грузинским законодательством и судебной практикой.

Lika Sajaia, PHD student

Protectability criteria of a work within Copyright Law

In order to make literary, Artistic and Scientific works the object of protection of the Copyright Law – they should meet certain requirements-criteria.

On the International level – The Copyright and Related Rights are protected by the Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works (9 September, 1886), according to which - protected work must be original (Article 2 of the convention). The Berne Convention gives the minimum criteria of protection which is Originality.

Additional Criteria for the protected literary, Artistic and Scientific works are provided by the National law levels.

Continental Europe and the common law systems have different approach and different criteria for protected works. Also, courts of these countries give different interpretation of the Berne Convention criteria - Originality.

Continental European countries have higher standards of protection criteria. Under the Common Law the main criteria of protection is that the work should be original and it should not be a copy of other work. In the Continental European Countries the main criteria is the expression of individuality and personality of an author given in the work.

According to the Georgian Law of Author's and Neighbourings Rights (Article 5) the main criteria of Copyright is that the work must be the result of the Intellectual and creative activities (Scientific, literary and Artistic works).

The judicial practice regarding mentioned issue is quite poor in Georgia. There are only two judicial decisions regarding the Copyright issue done by the Georgian court.

In this article following important issues are given, like: Copyright criteria of protected works in the Continental European and Common Law Systems Interpretation of such criteria given by the court and comparison of these issues with the Georgian Legislative and Case Law.

ლიტერატურა

1. ლ. ჭანტურია. რედ., «საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ» საქართველოს კანონის კომენტარი, თბ., 2003;
2. დ. გაბუნია, გ. თაქთაქიშვილი. საერთაშორისო საავტორო სამართალი, თბ., 2005;
3. დ. ძამუკაშვილი. ინტელექტუალური უფლებები, თბ., 2006;
4. დ. ძამუკაშვილი. ფოტოგრაფიული გამოსახულების დაცვა საქართველოში, თბ., 2008;
5. A. Bogsch. Guide to the Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works (Paris Act, 1971), Geneva, 1978;
6. A. Dietz. Copyright Law in the European community, Netherland, 1978;
7. M. Chromecek, S. McCormack. World Intellectual Property Guidebook, Washington, 1991;
8. G. Schricker, M.Voge. Urheberrecht: kommentar, 2nd edn, Munich, 1998;
9. D. Lipszyc. Copyright and Neighbouring Rights, Unesco publishing, 1999;
10. P. Goldstein, International Coryright: Principles, Law and Practice, Oxford, 2001;
11. Y. Mazeh, Canadian Originality and The Tension Between the Commonwealth and the American Standards for Copyright Protection: The Myth of Tele-Direct, "Intellectual Property Journal", №562-98, 2003 (3,16);
12. S. Fishman. The Copyright Handbook How to protect & Use Written works, 7th edition, USA, 2003;
13. G. Bonnet. Code de la Propriete Intellectuelle, 4th ed, Paris, 2004;
14. C. Colson, K. Middleton. Modern Intellectual Property law, Second edition. London, 2005;
15. P. Adusei. Modern challenges to moral rights protection under copyright law: the way forward, Edmonton, Alberta, 2005;
16. M. Leaffer Understanding Copyright Law, Fourth Editon, LexisNexis, 2005;
17. P. Torremans, Holyoak and Torremans Intellectual Property Law, Fourth Edition, Oxford, 2005;
18. E. Adeney. The Moral Rights of Authors and Performers. An international and comperative analysis, Oxford, 2006;
19. A. Subbian. Intellectual Property Rights, Heritage, Science and Society under International Treaties, New Delhi, 2007.

სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ფუნქციები და კონსტიტუციური გარანტიები

სოციალური სახელმწიფოს იდეა საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციებში სხვადასხვაგვარი ფორმულირებებით, კონსტრუქციებითა და შინაარსით არის განმტკიცებული. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საზოგადოების სოციალურ მდგომარეობაზე ევროპის სახელმწიფოების სტრუქტურულ ელემენტად გვევლინება [1.415].

საფრანგეთის 1958 წლის 4 ოქტომბრის კონსტიტუციის პირველი მუხლის შესაბამისად, «საფრანგეთი არის განუყოფელი, საერო, სოციალური, დემოკრატიული რესპუბლიკა» [2.411]. ამასთან, მოქმედი კონსტიტუციის ნაწილად ქცეული 1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულა განამტკიცებს მრავალ სოციალურ ძირითად უფლებას.

1976 წლის 2 აპრილის კონსტიტუციის მე-2 მუხლით პორტუგალიის რესპუბლიკა სამართლებრივი სახელმწიფოა, რომელიც ახორციელებს დემოკრატიულ პრინციპებს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში [3.748]. კონსტიტუციის მე-9 მუხლის შესაბამისად, ეროვნული დამოუკიდებლობისთვის სოციალური პირობების შექმნა, აგრეთვე მოსახლეობის სოციალური უფლებების რეალიზაცია სახელმწიფოს ერთ-ერთ ფუნდამენტურ ამოცანად განიხილება. პორტუგალიის კონსტიტუციის მეორე თავით განმტკიცებულია მრავალი სოციალური უფლება და მოვალეობა. კონსტიტუციის 81-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფოს პრიორიტეტულ მოვალეობებს განეკუთვნება ადამიანების სოციალური კეთილდღეობის ამაღლებისა და სოციალური სამართლიანობის ხელშეწყობა.

დიქტატორული რეჟიმის დემოკრატიული მმართველობის ფორმით შეცვლის შემდეგ, 1978 წელს – სამართლებრივ, დემოკრატიულ, სოციალურ სახელმწიფოდ გამოცხადდა ესპანეთი [3.50]. 1978 წლის 29 დეკემბრის კონსტიტუციის პირველი მუხლი ადგენს, რომ ესპანეთი არის დემოკრატიული, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო. კონსტიტუციის მე-40 მუხლი საჯარო ხელისუფლებას ავალდებულებს, რომ ხელი შეუწყოს სოციალურ პროგრესს. 41-ე მუხლი განამტკიცებს ხელისუფლების ორგანოების მიერ სოციალური დაზღვევის სახელმწიფო სისტემის მხარდაჭერას, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მოქალაქისათვის აუცილებელი დახმარების გაწევას და სოციალურ მომსახურებას, პირველ რიგში, უმუშევრობის შემთხვევაში.

სახელმწიფოს მოვალეობები მოქალაქეთა კეთილდღეობისა და სოციალური უფლებების სფეროში დადგენილია შვედეთის 1974 წლის 27 თებერვლის კონსტიტუციით [2.598]. კონსტიტუციის პირველი თავის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ინდივიდების პირადი, ეკონომიკური და კულტურული კეთილდღეობა არის სახელმწიფოს საქმიანობის უპირველესი მიზანი. სახელმწიფო, პირველ რიგში, ვალდებულია უზრუნველყოს ყველასთვის ჯანმრთელობის, შრომის, საცხოვრებლის და განათლების უფლებები, აგრეთვე მხარი დაუჭიროს სოციალურ უზრუნველყოფას, უსაფრთხოებას და ცხოვრების კარგ პირობებს.

ფინეთის 1999 წლის 1 მარტის კონსტიტუცია [2.374], რომელიც 2000 წლის 1 მარტს შევიდა ძალაში, მე-19 მუხლით ადგენს, რომ ყველა ადამიანს, რომელიც ღირსეული ცხოვრებისათვის საჭირო სახსრებს ვერ მოიპოვებს, აქვს სავალდებულო სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დახმარების მიღების უფლება. კონსტიტუციის თანახმად, კანონით ყველა უზრუნველყოფილია სოციალური დახმარებით უმუშევრობისას, ავადმყოფობისა და შრომისუუნარობის დროს და სიბერეში, აგრეთვე ბავშვის შეძენისა და მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში. ხელისუფლება, კანონის შესაბამისად, უზრუნველყოფს ყველას სოციალურ და სამედიცინო მომსახურებას და ხელს უწყობს მოსახლეობის დახმარებას. გარდა ამისა, ხელისუფლება ეხმარება ოჯახებს და ნებისმიერ პირს, რომელსაც აკისრია ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობა. კონსტიტუციით განმტკიცებულია, ასევე, ყველა ადამიანის საცხოვრებელი უზრუნველყოფის უფლება.

ბელგიის 1994 წლის 17 თებერვლის კონსოლიდირებული კონსტიტუციის 23-ე მუხლით [4.344] განმტკიცებულია სოციალური საკითხების კავშირი ადამიანის ღირსების შესაფერისი ცხოვრების უფლებასთან. ამ მიზნით, კანონი განამტკიცებს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს და ადგენს მათი რეალიზაციის საფუძვლებს. აღნიშნული უფლებები, პირველ რიგში, მოიცავს შრომის უფლებას, პროფესიის თავისუფალი არჩევის უფლებას, შრომის სამართლიანი პირობებისა და შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლებას, კოლექტიური მოლაპარაკებების უფლებას, სოციალური უზრუნველყოფის უფლებას, ჯანმრთელობის დაცვის უფლებას, სოციალური, სამედიცინო და სამართლებრივი დახმარების უფლებას, სათანადო საცხოვრებლის უფლებას, ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს დაცვის უფლებას, პიროვნების კულტურული და სოციალური განვითარების უფლებას.

დანის სამეფოს 1953 წლის 5 ივნისის კონსტიტუცია 75-ე მუხლში [4.771] განსაკუთრებულ ყურადღებას საყოველთაო კეთილდღეობაზე ამახვილებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო უნდა ისწრაფვოდეს ყოველ შრომისუნარიან მოქალაქეს მიეცეს ისეთი პირობებით მუშაობის შესაძლებლობა, რომლებიც უზრუნველყოფს მის არსებობას. ადამიანი, რომელიც თავის თავს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს საკვებით ვერ უზრუნველყოფს და ეს სხვას არ ევალება, სარგებლობს სახელმწიფოს მხრიდან დახმარების მოთხოვნის უფლებით. აღნიშნული მოთხოვნის უფლება წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ იგი კანონით განსაზღვრულ პირობებს აკმაყოფილებს.

ნიდერლანდების სამეფოს 1983 წლის 17 თებერვლის კონსტიტუცია მე-20 მუხლით [3.609] ადგენს, რომ არსებობისათვის საჭირო სახსრებისა და სიმდიდრის სამართლიანი გადანაწილების უზრუნველყოფისათვის ზრუნვა სახელმწიფო ორგანოების მოვალეობას წარმოადგენს. სოციალური უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესები დგინდება კანონით. მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ნიდერლანდების ტერიტორიაზე და არ გააჩნიათ საარსებო სახსრები, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, აქვთ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დახმარების მიღების მოთხოვნის უფლება. სახელმწიფოს სოციალური ფუნქციები განმტკიცებულია კონსტიტუციის სხვა მუხლებშიც, კერძოდ, მე-19 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფას; 21-ე მუხლი ავალდებულებს სახელმწიფო ორგანოებს იზრუნონ გარემოს შენარჩუნებასა და მის გაუმჯობესებაზე; 22-ე მუხლის მიხედვით,

განსაზღვრულია სახელმწიფო ორგანოების ვალდებულება – ხელი შეუწყონ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას; კონსტიტუციის 23-ე მუხლით განმტკიცებულია სახელმწიფოს მოვალეობა იზრუნოს განათლებაზე, კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად განათლების უფლების რეალიზაციისათვის პირობების შექმნაზე.

მალტის რესპუბლიკის 1964 წლის 21 სექტემბრის კონსტიტუციის მე-17 მუხლის თანახმად [3.471], გარანტირებულია თითოეული შრომისუუნარო და ცხოვრებისათვის საჭირო სახსრების არამქონე მოქალაქის მიერ სოციალური დახმარებისა და განათლების მიღების უფლება, ასევე, დასაქმებულთა გონივრული დაზღვევა უბედური შემთხვევების, ავადმყოფობის, შრომისუუნარობის, სიბერისა და არანებაყოფლობითი უმუშევრობის შემთხვევაში.

კვიპროსის რესპუბლიკის 1960 წლის 16 აგვისტოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით [3.216] უზრუნველყოფილია ყველა მოქალაქის სათანადო არსებობისა და სოციალური უსაფრთხოების უფლება.

ლუქსემბურგის საჰერცოგოს 1868 წლის 17 ოქტომბრის კონსტიტუციის მე-11 მუხლი [3.403] ადგენს, რომ კანონმა უნდა შექმნას გარანტიები სოციალური უზრუნველყოფისათვის, ჯანმრთელობის დაცვისა და მშრომელთა დასვენებისთვის, ასევე შრომის უფლების რეალიზებისათვის.

საბერძნეთის რესპუბლიკის 1975 წლის 11 ივნისის კონსტიტუცია 21-ე და 22-ე მუხლებით [4.654] უზრუნველყოფს მრავალ სოციალურ უფლებას და სახელმწიფო ვალდებულებას. მათ შორისაა, სახელმწიფოს ვალდებულება იზრუნოს მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვაზე, მიიღოს სპეციალური ზომები ახალგაზრდების, მოხუცების, ინვალიდებისა და ღარიბების დახმარებისათვის, იზრუნოს დასაქმებულთა სოციალურ დაზღვევაზე.

სლოვენის რესპუბლიკის 1991 წლის 28 დეკემბრის კონსტიტუციის მე-2 მუხლის თანახმად [2.171] «სლოვენია არის სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო». კონსტიტუციის 50-ე მუხლი განამტკიცებს კანონის შესაბამისად მოქალაქეთა უფლებას სოციალურ დახმარებაზე. გარდა ამისა, ამავე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოს მოვალეობას წარმოადგენს სავალდებულო სამედიცინო, საპენსიო, ინვალიდობისა და სხვა სოციალური დაზღვევის ორგანიზება და მის განხორციელებაზე ზრუნვა. კონსტიტუციის 51-ე და 52-ე მუხლებით გარანტირებულია კანონის შესაბამისად ყველასთვის ჯანმრთელობის დაცვისა და ინვალიდებისათვის სოციალური უზრუნველყოფის უფლებების რეალიზება.

სლოვაკეთის რესპუბლიკის 1992 წლის 1 სექტემბრის კონსტიტუციის 36-ე მუხლის თანახმად [2.121], დასაქმებულებს აქვთ უფლება სამართლიან და დამაკმაყოფილებელ სამუშაო პირობებზე. კონსტიტუციის 38-ე, 39-ე და მე-40 მუხლები უზრუნველყოფენ სხვა სოციალურ უფლებებს: კანონის შესაბამისად ჯანმრთელობის დაცვის უფლებას, კანონის შესაბამისად სამედიცინო დაზღვევის საფუძველზე უფასო სამედიცინო მომსახურების და სამედიცინო შემწეობის მიღების უფლებას; ქალების, ახალგაზრდების და ავადმყოფთა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალურ უფლებას შრომის პროცესში და შრომის განსაკუთრებული პირობების შემთხვევაში; სათანადო მატერიალური უზრუნველყოფის უფლებას მოხუცებულობის, შრომისუუნარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში; ყველას

მიერ დახმარების მიღების უფლებას არსებობისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფისათვის.

პოლონეთის რესპუბლიკის 1997 წლის 2 აპრილის კონსტიტუციის მე-2 მუხლი [3.687] პოლონეთს აცხადებს დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოდ, რომელიც უზრუნველყოფს სოციალური სამართლიანობის პრინციპების რეალიზაციას. კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, ავადმყოფობის ან ინვალიდობის გამო შრომისუუნარობის შემთხვევაში, ასევე, საპენსიო ასაკის მიღწევისას, მოქალაქეს აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება (კანონით განსაზღვრული მოცულობითა და ფორმით). გარდა ამისა, სოციალური უზრუნველყოფის უფლება აქვთ იმ მოქალაქეებსაც, რომლებიც არიან უმუშევრები მათი ნების საწინააღმდეგოდ. კონსტიტუციის 68-ე მუხლით განმტკიცებულია ჯანმრთელობის დაცვის უფლების გარანტიები. 69-ე მუხლის თანახმად, საჯარო ხელისუფლების მოვალეობას წარმოადგენს კანონის შესაბამისად დახმარების გაწევა ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე პირების არსებობის უზრუნველყოფად, მათი შრომითი საქმიანობის პროცესში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩასართავად.

უნგრეთის რესპუბლიკის 1949 წლის 18 აგვისტოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის თანახმად [4.539], რესპუბლიკა ზრუნავს საჭიროების მქონე პირთათვის სოციალური ღონისძიებების უზრუნველყოფაზე.

ესტონეთის რესპუბლიკის 1992 წლის 28 ივნისის კონსტიტუციის 28-ე მუხლი [2.719] უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის უფლებას. ესტონეთის ყველა მოქალაქეს აქვს სახელმწიფო დახმარების უფლება სიბერის დროს, შრომისუუნარობისას, სიღარიბისას. სახელმწიფო ხელს უწყობს ნებაყოფლობით და თვითმმართველობების მიერ განხორციელებულ მზრუნველობას. მრავალშვილიანი ოჯახები და ინვალიდები სარგებლობენ განსაკუთრებული სოციალური დახმარების უფლებით სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან.

ლატვიის რესპუბლიკის 1992 წლის 15 თებერვლის კონსტიტუციის 107-ე მუხლის თანახმად [3.316], ყველა დასაქმებულს აქვს უფლება, მიიღოს შესრულებული სამუშაოს შესაბამისი ანაზღაურება არანაკლებ სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმუმისა. კონსტიტუციის 109-ე მუხლის მიხედვით, ყველას აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება სიბერისას, შრომისუუნარობის დროს, უმუშევრობისას და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. კონსტიტუციის 111-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო იცავს ადამიანების ჯანმრთელობას და უზრუნველყოფს ყველას ძირითადი სამედიცინო მომსახურებით.

ლიტვის რესპუბლიკის 1992 წლის 25 ოქტომბრის კონსტიტუციის 52-ე მუხლი [3.340] ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს მოქალაქეთა პენსიის მიღების უფლება განსაზღვრული ასაკის დადგომისას და ინვალიდობის შემთხვევაში. ამავე მუხლით გარანტირებულია მოქალაქეთა სოციალური დახმარების უფლება უმუშევრობის, ავადმყოფობისა და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. კონსტიტუციის 53-ე მუხლით განმტკიცებულია სახელმწიფოს მოვალეობა - იზრუნოს ადამიანების ჯანმრთელობაზე. აღნიშნული მუხლი ადგენს სამედიცინო დახმარებისა და მომსახურების გარანტიებს ავადმყოფობის დროს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1949 წლის 23 მაისის კონსტიტუცია (მე-20 მუხლის პირველი პუნქტი) გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას აცხადებს დემოკრატიულ და სოციალურ ფედერალურ სახელმწიფოდ [4.580]. გარდა ამისა,

კონსტიტუცია განამტკიცებს სოციალურ-სახელმწიფოებრივი პრინციპების მარეალიზებელ შემდეგ დებულებებს: ყოველ დედას აქვს დაცვისა და დახმარების უფლება სახელმწიფოსაგან (მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი); ბავშვების მოვლა და აღზრდა არის მშობელთა ბუნებრივი უფლება და მათი უპირველესი მოვალეობა (მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი); სასკოლო საქმეს მთლიანად სახელმწიფო ზედამხედველობს (მე-7 მუხლის პირველი პუნქტი); გაერთიანებების შექმნა შრომისა და ეკონომიკური პირობების დაცვისა თუ გაუმჯობესებისათვის გარანტირებულია ყველასთვის და ყველა პროფესიის წარმომადგენლისათვის (მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი).

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის პრეამბულაში გაცხადებულია საქართველოს მოქალაქეების ურყევი ნება «დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო». კონსტიტუციის მე-17 მუხლის მიხედვით «ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია». 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით. «სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრის სტატუსი განისაზღვრება კანონით». კონსტიტუციის 35-ე მუხლში მოცემულია განათლების უფლების რეალიზაციის კონსტიტუციური გარანტიები, კერძოდ, «სკოლამდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონით დადგენილი წესით», «ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება». კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებულია ყველას უფლება, რომ ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით. ამასთან, ამავე მუხლის შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.

სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციებში წარმოდგენილი ნორმების და ზემოთ მოყვანილი ნორმების განხილვის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძირითად კანონებში განსხვავებული მოცულობით, ჩვეულებრივ, მცირე რაოდენობითაა განმტკიცებული სოციალური სახელმწიფოს პრინციპის რეალიზების გარანტიების განმსაზღვრელი დებულებები. კანონმდებლის თავშეკავება სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული, როგორცაა ისტორიული გამოწვევები, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები, სამართლის ეფექტურობა; მაგრამ, ეს გარემოება არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სოციალური სახელმწიფოს იგნორირება. კონსტიტუციაში ცალკეულ რეგულირებებზე უარის თქმა არ ნიშნავს სოციალური სახელმწიფოებრიობის უარყოფას. იგი მიუთითებს კონსტიტუციიდან გამომდინარე კანონმდებლის სფეროში გადანაცვლებაზე, სადაც შესაძლებელია და აუცილებელიცაა შემუშავებულ იქნეს გაცილებით ზუსტი რეგულირებები[5.241]. ამგვარ გზაზე მიუთითებს სწორედ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტში კანონმდებლის მიერ სოციალური სახელმწიფოს პრინციპის განსაზღვრა. ამით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი არანაკლებ უზრუნველყოფს სოციალურ სახელმწიფოებრიობას,

ვიდრე ის კონსტიტუციები, რომლებიც თავად შეიცავენ ცალკეულ სოციალურ-სახელმწიფოებრივ რეგულაციებს.

სოციალური სახელმწიფოს პრინციპის რეალიზების საკანონმდებლო გარანტიების შექმნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სოციალური სახელმწიფოს პრინციპის სპეციფიკა, სხვა კონსტიტუციური პრინციპებისგან (მაგალითად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისა და დემოკრატიის პრინციპებისაგან), განსხვავებით, ისაა, რომ კანონმდებელს ამ პრინციპის განმამტკიცებელი ნორმის ადრესატის გამოკვეთილი ფუნქცია აკისრია: «სოციალური სახელმწიფოს რეალიზებაში არსებითი როლის თამაში მხოლოდ კანონმდებელს შეუძლია» [6.97]. კონსტიტუციის ის ნორმა, რომლითაც განმტკიცებულია სოციალური სახელმწიფოს პრინციპი არა მხოლოდ ზოგადი სახის საპროგრამო წინადადებაა, არამედ წარმოადგენს სავალდებულო კონკრეტულად შესასრულებელ ნორმას, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია კანონმდებლისაკენ.

ის, თუ რისი მოთხოვნა შეუძლია ინდივიდს სახელმწიფოსაგან, პირველ რიგში უნდა განსაზღვროს კანონმდებელმა საკუთარი პასუხისმგებლობით [7.313]. შესაბამისად, სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან, როგორც წესი, მოქალაქის უშუალო მოთხოვნის უფლებები სახელმწიფოს მიმართ, არ გამომდინარეობს. ამგვარი უფლებების წარმოშობა საჭიროებს დამატებით საკანონმდებლო რეგულირებას - სოციალური სახელმწიფოს პრინციპი შეიცავს დაკონკრეტების მოთხოვნას კანონმდებლის მიმართ [8.231]. კანონმდებელი ვალდებულია, განაგრძოს და უზრუნველყოს სოციალური სახელმწიფოს პრინციპის განხორციელება არა მარტო სოციალური სამართლის ვიწრო სფეროში, არამედ სამართლის ყველა დარგში, მათ შორის, სამოქალაქო სამართალში. ამასთან, კანონმდებელს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას საკმაოდ ფართო დისკრეტია რჩება [9.97]. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი არ წარმოშობს ცალკე, დამატებით საკანონმდებლო უფლებამოსილებებს. მის დაკონკრეტებას კანონმდებელი ახორციელებს მისთვის მიკუთვნებული საერთო საკანონმდებლო კომპეტენციის ფარგლებში.

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი არ წარმოადგენს სუბიექტური უფლებების [10.1] ან სხვა წარმოქმნილი სამართლებრივი შედეგების საფუძველს. მისი საშუალებით არ შეიძლება იქნეს დარღვეული სხვა კონსტიტუციური პრინციპებიდან, განსაკუთრებით - სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე ვალდებულებები [11.182]. სოციალური სახელმწიფოს პრინციპს არ შესწევს უნარი, კანონმდებლის მიერ დამატებითი დაკონკრეტების გარეშე, უშუალოდ შეზღუდოს ძირითადი უფლებები. თუ არსებობს საკანონმდებლო რეგულირებები, ამ შემთხვევაში სოციალური სახელმწიფოს პრინციპი არაპირდაპირ შეიძლება გამოყენებული იქნეს კანონების განმარტებისათვის და სათანადო მოთხოვნის წარმოშობის არგუმენტირებისათვის [12.231].

კანონმდებლისთვის დაკონკრეტების მოვალეობის განსაზღვრის გარდა, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ეხმარება აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას როგორც კონსტიტუციის ინტერპრეტაციისას, ისე ჩვეულებრივი სამართლის შეფარდებისა დროს. თუმცა, ყოველივე ეს არ იძლევა საფუძველს, რომ ლიბერალური თავდაცვითი უფლებები გარდავქმნათ სოციალურ მავალეულ უფლებებად. მორალური და/ან პოლიტიკური მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ

სოციალურ-სახელმწიფოებრივი ვალდებულების მკაცრი შეფარდების საფუძველზე იქნეს რეალიზებული.

მართლმსაჯულების და სამართლის მეცნიერების ფუნქციას, სოციალური სახელმწიფოს შინაარსი განსაზღვროს ცალკეული ქვეპრინციპებისა და მახასიათებელი პრინციპების განვითარების საფუძველზე. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასეთ პრინციპებად გამოიყოფა: სოციალური სამართლიანობის პრინციპი; სოციალური საგადასახადო პოლიტიკის პრინციპი (სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ამართლებს გადასახადების სფეროში ეკონომიკურად სუსტი სუბიექტებისათვის ხელშეწყობის განსაკუთრებული პოლიტიკის გატარებას, მაგრამ გულისხმობს არსებული უთანასწორობის გამოსწორებას და არა აბსოლუტური თანასწორობის დამკვიდრებას); მიღებული დანაკარგების შემცირებისა და ტვირთის გადანაწილების მოვალეობა; უმწეოთა დახმარება; სხვადასხვა ცხოვრებისეული ინციდენტების შემთხვევაში სოციალური არსებობის დაცვა, რომელიც ინსტიტუციონალიზებულია სოციალური დაზღვევის საფუძველზე და დაკონკრეტებულია სოციალური უზრუნველყოფის და სოციალური გათანაბრების ქვეპრინციპის ძალით; საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის უფლება; ჯანმრთელობის დაცვა, განსაკუთრებით ჯანმრთელობის დაზღვევის მექანიზმის გამოყენებით; უმუშევართა და უბედური შემთხვევების დაზღვევის უფლება, საპენსიო დაზღვევა და ბოლოს, ისეთი სპეციფიკური დარგობრივი ქვეპრინციპები, როგორებიცაა დამნაშავეთა რესოციალიზაცია, სოციალური განსჯადობა, საპროცესო ხარჯების დაფარვაში დახმარება [13.104], ბავშვთა კომპენსაციები [14.108] და საარსებო მინიმუმის გათავისუფლება გადასახადისაგან [15.60].

ამგვარად, აბსტრაქტულობის მაღალი ხარისხის გამო სოციალური სახელმწიფოს პრინციპი განსაკუთრებულ დაკონკრეტებას საჭიროებს, უპირველეს ყოვლისა კანონმდებლისაგან, ისევე როგორც აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მიერ. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს კანონმდებლობის (უპირველეს ყოვლისა - სოციალური კანონმდებლობის) შედარებითი მეცნიერული ანალიზი. კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე მოსაზრებების შემუშავება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სოციალური სახელმწიფოს პრინციპის რეალიზების სამართლებრივი უზრუნველყოფის საქმეში.

თამარ ზაალიშვილი, დოქტორანტი

სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ფუნქციები და კონსტიტუციური გარანტიები

სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციებში ასახული სოციალური სახელმწიფოს იდეის მარეალიზებელი დებულებების განხილვის საფუძველზე სტატიაში წარმოდგენილია დასკვნა, რომ კონსტიტუციებში განსხვავებული მოცულობით, და

ამასთან, მცირე რაოდენობითაა განმტკიცებული დებულებები, რომლებშიც საუბარია სოციალური სახელმწიფოს პრინციპზე. სოციალური სახელმწიფოს პრინციპის სპეციფიკა, სხვა კონსტიტუციური პრინციპებისგან განსხვავებით, ისაა, რომ კანონმდებელს სოციალური სახელმწიფოს პრინციპის განმამტკიცებელი ნორმის ადრესატის გამოკვეთილი ფუნქცია აკისრია. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კანონმდებლობის, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, სოციალური კანონმდებლობის შედარებითი მეცნიერული ანალიზი. კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე მოსაზრებების შემუშავება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სოციალური სახელმწიფოს პრინციპის რეალიზების სამართლებრივი პერსპექტივების შექმნაში.

Тамар Заалишвили, Докторант

функции и конституционные гарантии принципа социального государства

На основании анализа положений о реализации идей социального государства, представленных в конституциях разных стран, автор статьи приходит к выводу, что в этих конституциях в разных (в основном незначительных) объемах даются положения, представляющие принципы социального государства. Специфика принципа социального государства, в отличие от других конституционных принципов, заключается в том, что на законодателя возлагается четко выделенная функция адресата нормы, закрепляющего принцип социального государства. Исходя из этого, особое значение имеет сравнительный научный анализ законодательства, в первую очередь это касается социального законодательства. Разработка представлений о совершенствовании законодательства, внесет значительный вклад в создании правовых перспектив реализации принципа социального государства, закрепленного конституцией Грузии.

Tamar Zaalishvili, PHD student

Functions and Constitutional Guarantees of the Social State Principle

Provisions related to the social state principle, which are reflected in the constitutions of various countries are analyzed in the article. The author concludes that the number of norms guaranteeing the principles of welfare state in these constitution is very different. In most cases, only few provisions related to the welfare state principle are covered by the constitutions. A specific feature of the principle of social state, in contrast to other

constitutional principles, is that the legislative body acts as the main addressee of the respective constitutional norm. For this reason, it is of particular importance to provide comparative scientific analysis of the legislation (with particular emphasis on social legislation). Development of ideas on improvement of the legislation can make an important contribution in creating legal perspectives for the effective realization of the social state principle guaranteed by the Constitution of Georgia.

შ ო ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. Bonner Kommentar zum Grundgesetz. Art. 20 I. Republic, Demokratie, Bundesstaat, Rechtsstaat. (Prof. Dr. Gerhard, Trier). 2009;
2. Конституции государств Европы. Т.3. М., 2001;
3. Конституции государств Европы. Т.2. М., 2001;
4. Конституции государств Европы. Т.1. М., 2001;
5. Maurer H. Staatsrecht I. Мьнchen. Verlag C.H.Beck. 2001;
6. BVerfGE (Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts) B1, 97 (105); B50, 57 (108); B53, 164 (184); B65, 182, (193); B69, 272 (314); B70; 278 (282);
7. BVerfGE B.33, 303 (333);
8. BVerfGE B59, 231 (263); B82, 60 (81);
9. BVerfGE B1, 97 (105); BverfGE B82, 60 (80); B84, 90 (125); B94, 241 (263); B103,242 (259);
10. BVerfGE B17, 1 (11); B26, 16 (37);
11. BVerfGE B65, 182 (193f.); BverfGE B88,203 (319);
12. BverfGE B59, 231 (263); BverfGE B.52, 283 (298);
13. BVerfGE B.78, 104 (117 ff.); B9, 256 (258); 22, 83 (86 ff.); 35,348 (355);
14. BVerfGE B43, 108 (124 f.); B82, 60 (78);
15. BVerfGE B82, 60 (85); 85; B87,153 (168).

ფიზიკური პირის გარდაცვლილად გამოცხადების პრეზუმფცია

პრეზუმფცია ძირითადად გამოიყენება იმისათვის, რომ მოვახდინოთ განსაზღვრული მდგომარეობის დადგენა, როცა არსებულ ფაქტზე დასკვნის გაკეთება სხვა გზით შეუძლებელია. განსაკუთრებით ეს მჟღავნდება პირის გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევაში. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა ადამიანის სიცოცხლისაგან განუყოფელია, თუმცა კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც უფლებაუნარიანობის დასრულება დამყარებულია არა ფიზიოლოგიურ ფაქტზე, გარდაცვალებაზე, არამედ მის ვარაუდზე. სამართალი ადამიანის დაკარგვისა და გარდაცვალების ვარაუდს უკავშირებს გარკვეულ შედეგებს [1.108]. საომარი პირობების, ავარიის, სხვადასხვა სახის კატასტროფისა და მსგავსი სიტუაციის დროს, ყოველთვის შეუძლებელია სიკვდილი ფაქტის დადგენა [2.43]. გარდაცვალება არა მხოლოდ უფლებაუნარიანობის შეწყვეტას იწვევს, არამედ მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგის დადგომის საფუძველიცაა, კერძოდ, იხსნება მემკვიდრეობა. ამიტომ, ბუნებრივია, იმ პირთა დაინტერესება, რომლებიც პოზიტიურ მემკვიდრეებს წარმოადგენენ და მათი მამკვიდრებლის სიცოცხლის ან გარდაცვალების შესახებ დიდი ხნის მანძილზე არავითარი ინფორმაცია არ გააჩნიათ. ასეთ შემთხვევებისათვის სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს გარდაცვლილად გამოცხადების პრეზუმფციას – ვარაუდს, რომ პირი გარდაცვლილია [3.161]. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პირი შეიძლება გარდაცვლილად გამოცხადდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. მეორე მსოფლიო ომის დროს გარდაცვლილად გამოცხადების ინსტიტუტი საკმაოდ ფართოდ გამოიყენებოდა, რადგან მილიონობით ადამიანის შესახებ აღარ მოიპოვებოდა რაიმე ცნობები მათი სიცოცხლისა და ადგილსამყოფელის შესახებ. მსგავს შემთხვევებს ვერც ჩვენი ქვეყანა გადაურჩა. აფხაზეთისა და ე.წ. «სამხრეთ ოსეთის» ტერიტორიაზე არაერთი პირის მდგომარეობა და ადგილსამყოფელი გაურკვეველი გახდა. იურიდიულ ლიტერატურაში ერთიანი აზრი არ არსებობს პირის გარდაცვლილად გამოცხადების საფუძველთან დაკავშირებით. თითქმის ყველა ავტორს ერთი აზრი აქვს, ყველას მიაჩნია, რომ აქ სახეზე გვაქვს პირის გარდაცვალების პრეზუმფცია [4.136]. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პირი შეიძლება სასამართლოს წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ:

ა) მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფლის შესახებ;

ბ) აგრეთვე, თუ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა ანდა

გ) სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება.

ამ მოწესრიგებისაგან განსხვავებით, მაგალითად, გერმანიის «დაკარგულად გამოცხადების შესახებ» კანონის მე-3 პარაგრაფის, იტალიის სამოქალაქო კოდექსის

58-ე მუხლისა და ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 193-ე I მუხლის თანახმად, შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის სავალდებულოა ათწლიანი ვადის გასვლა. ამ ქვეყნების კანონმდებლობასთან შედარებით ვადაში არსებული დიდი სხვაობის მიუხედავად, აღსანიშნავია საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების კანონმდებლობაში ვადის გაზრდის ტენდენცია. მაგალითად, რუსეთის ფედერაციისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების კოდიფიკაციებში. თუმცა არსებობს ძველი მიდგომის შენარჩუნების მაგალითიც სომხეთის რესპუბლიკის კანონმდებლობაში [5.112]. აღნიშნული მუხლის სტრუქტურა ასეთია: თუ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ არსებობს ცნობები პირის ადგილსამყოფელის შესახებ, მაშინ ის ითვლება გარდაცვლილად, სანამ არ დამტკიცდება საპირისპირო; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით ის პირი, რომელმაც გარდაცვლილად გამოცხადებულის ქონება სასყიდლით შეიძინა, ვალდებულია დაუბრუნოს მას ეს ქონება, თუ დამტკიცდება, რომ ქონების შეძენისას მან იცოდა, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი ცოცხალი იყო. ამ ნორმის მიხედვით, პირველ შემთხვევაში აუცილებელია მხოლოდ პირის ადგილსამყოფელის შესახებ ცნობების არარსებობა, მეორეში კი – იმის ცნობები, რომ ის ცოცხალია. პრეზუმფციური ნორმის სტრუქტურის გათვალისწინებით, ჩვენ უნდა გავაკეთოდ დასკვნა, რომ წინააღმდეგობა ამ ნორმებში არ არის, ვინაიდან გარდაცვალების ვარაუდი არის პრეზუმფცია, ის შეიძლება იყოს საცილობელი და მისი უარყოფის ყველაზე გავრცელებული გზა არის იმის დამტკიცება, რომ ვინმეს ეცოდინება იმის შესახებ, რომ პირი ცოცხალი იყო. მაგალითად, ყავდათ ნანახი, იღებდა მისგან კორესპონდენციას და ა.შ. ჩვენ ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ კატეგორიულად არც იმის თქმა შეიძლება, რომ გადაწყვეტილებას პირის უგზოუკვლოდ დაკარგულად ცნობისა, თუ გარდაცვალებულად გამოცხადების შესახებ საფუძვლად უდევს პირის სიცოცხლე და არც იმის, რომ ამ აქტის საფუძველია პირის სიკვდილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. ორივე შემთხვევაში პრეზუმფციაში შეიძლება იყოს როგორც სიკვდილი, ისე სიცოცხლე. როცა პირი უგზო უკვლოდ დაკარგულად იქნება ცნობილი, აქ საუბარია, რომ ეს პირი ცოცხალიც არის და მკვდარიც. ასევე გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევაშიც და როდესაც ეს ფაქტი დგინდება, რასაც მოჰყვება გარკვეული სამართლებრივი შედეგები, ივარაუდება, რომ ეს პირი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ როცა კანონმდებელი ითვალისწინებს გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს ამ პირთა გამოჩენისა და დაბრუნების შემთხვევაში ივარაუდება, რომ ეს პირი შეიძლება ცოცხალიც იყოს [4.137].

სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც პირის გარდაცვლილად გამოცხადების პრეზუმფცია არასწორადაა ახსნილი. მაგალითად, 2006 წლის ივნისში თ. ბაგიროვმა განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა მისი ბაბუის ხ. ბაგიროვის გარდაცვლილად გამოცხადება. თავის მოთხოვნას განმცხადებელი იმით ასაბუთებდა, რომ მისი ბაბუა ხ. ბაგიროვი დაიბადა 1866 წელში. 1938 წლის 24 ივნისს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს მიერ ცნობილი იქნა

დამნაშავედ ჯამუშობისათვის და შეეფარდა საზღვარგარეთ გასახლება, მაგრამ იგი გასახლებამდე გარდაიცვალა თბილისში. ხ. ბაგიროვი 1989 წლის 16 იანვრის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების საფუძველზე რეაბილიტირებული იქნა. მათთვის ცნობილია რომ ხ. ბაგიროვი სიკვდილით არ მომკვდარა, იგი დახვრიტეს 1938 წლის 11 სექტემბერს, მაგრამ მათთვის გვამი არ გადაუციათ და შესაბამისად მისი გარდაცვალებაც უტყუარად არავის დაუდასტურებია. მას შემდეგ მისი ადგილსამყოფელის შესახებ ცნობები არ მოეპოვებათ ოჯახში, იგი არ უნახავთ მეზობლებს და მის შესახებ არც რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოში მოიპოვება ცნობები. მას ხ. ბაგიროვის გარდაცვლილად გამოცხადება ჭირდება იმისათვის, რომ მან მიიღოს ქონება მემკვიდრეობით, რასაც ვერ ღებულობს გარდაცვალების მოწმობის არ არსებობის გამო. სასამართლოში წარდგენილი იქნა საქართველოს შსს საარქივო ცნობა, რომლითაც დასტურდებოდა ის გარემოება, რომ ხ. ბაგიროვი გარდაიცვალა ციხეში 1938 წლის 11 სექტემბერს. სასამართლომ მოცემულ საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება და ხ. ბაგიროვი გამოცხადებული იქნა გარდაცვლილად; მისი გარდაცვალების თარიღად მიჩნეული იქნა 1938 წლის 11 სექტემბერი. სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა იმის შესახებ, რომ ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ შეიტანოს ჩანაწერი ხ. ბაგიროვის გარდაცვალების შესახებ რეგისტრაციის წიგნში; ეს გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა [6.137]. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით პირის გარდაცვალების დღედ მიიჩნევა მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე. გამონაკლის შემთხვევებში, თუ პირის დაკარგვა დაკავშირებულია რაიმე უბედურ შემთხვევასთან ან საომარ მოქმედებასთან, სასამართლოს შეუძლია მისი სიკვდილის დღედ აღიაროს სავარაუდო დაღუპვის დღე. გარდაცვლილად გამოცხადება უნდა განვასხვავოთ მოქალაქის დაღუპვის ფაქტის დადგენისაგან. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო ადგენს ფაქტებს, რომლებზედაც დამოკიდებულია მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის ზ) პუნქტის მიხედვით, სასამართლო განიხილავდა საქმეებს – პირის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ, თუ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანომ უარი თქვა გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციაზე; საქართველოს კანონში „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ» 2008 წლის 21 მარტს განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები და დამატებები; ამ კანონის 116¹-ე მუხლის თანახმად, 1. სააგენტო ადგენს შემდეგ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს: ა) პირის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში დაბადების ფაქტს; ბ) პირის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტს; გ) პირის დაბადების რეგისტრაციის ფაქტს; დ) პირის გარდაცვალების რეგისტრაციის ფაქტს. იმავდროულად ცვლილებები და დამატებები შევიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და გარდაცვალების რეგისტრაციის ფაქტის დადგენის თაობაზე აღძრული საქმე უწყებრივად აღარ ექვემდებარება სასამართლოს. აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლოს არ ქონდა საფუძველი გამოეტანა გადაწყვეტილება პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ, რადგანაც დაინტერესებული მხარისათვის

წინასწარ ცნობილი იყო იმის შესახებ, რომ პირი, რომლის გარდაცვლილად გამოცხადებასაც იგი ითხოვდა, გარდაიცვალა ციხეში 1938 წლის 11 სექტემბერს; მსგავს შემთხვევაში სასამართლოს, იმ დროს მოქმედი საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მიხედვით უნდა ემსჯელა პირის გარდაცვალების ფაქტის დადგენის საკითხზე. ჩვენი მოსაზრებით მსგავსი შეცდომები სასამართლო პრაქტიკაში აღარ განმეორდება, რადგანაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლში იმპერატიულად ჩამოთვლილია ის საქმეები, რომლებსაც სასამართლო განიხილავს უდაო წარმოების წესით. მსგავსი კატეგორიის საქმეების განხილვის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ ემყარება ამ პირის სიკვდილის არა უტყუარ ფაქტს, არამედ ვარაუდს, რომ რაკი პირი აღარ გამოჩნდა დიდი ხნის მანძილზე, უფრო შესაძლებელია მისი სიკვდილი. გარდაცვლილად გამოცხადება გულისხმობს ვარაუდს, რომ პირი ცოცხალი აღარაა. აღნიშნული საგულისხმოა იმ თვალსაზრისით, რომ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა პირის გარდაცვალების თარიღის შესახებ და პირის გარდაცვლილად გამოცხადება სხვადასხვა სამართლებრივ შედეგს წარმოშობს. უდავო წარმოების წესით იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას სასამართლო ადასტურებდა უკვე არსებულ ფაქტს, ე.ი. სასამართლო ადგენდა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს მხოლოდ მაშინ, როცა ეს ფაქტი ბუნებაში უკვე არსებობდა. გარდაცვლილად გამოცხადებისას კი სასამართლო არ ადასტურებს პირის გარდაცვალებას. ასეთ დროს, სამოქალაქო-სამართლებრივი წესრიგისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, სასამართლო ვარაუდობს პირის გარდაცვალებას და აცხადებს მას სამართლებრივად და არა ფაქტობრივად გარდაცვლილად. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ იურიდიული ფაქტის დადგენა პირის დალუპულად ცნობის შესახებ ემყარება არა ვარაუდს, არამედ უტყუარ მტკიცებულებას პირის სიკვდილის შესახებ, რომლის დროსაც არ შეიძლება გაიცეს ექიმის ცნობა ამ პირის სიკვდილის შესახებ, რადგან გვამი არ არსებობს სახეზე. აქ მტკიცება არის სიკვდილის შესახებ და საჭირო არ არის მისი ვარაუდი. ვთქვათ ვინმემ დაინახა, რომ პირი დაიღუპა რომელიმე ტრანსპორტის აფეთქების დროს. აქ დგინდება იურიდიული ფაქტი პირის დაღუპვის შესახებ. მაგრამ იგივე ტრანსპორტის აფეთქების დროს თუ ცნობილია, რომ ეს პირი ამ ტრანსპორტში იმყოფებოდა, მაგრამ არავის დაუნახავს, რომ ეს პირი დაიღუპა, თუმცა ამის შემდეგ ის აღარ გამოჩენილა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მაშინ ასეთი პირის დაღუპვის ფაქტი კი არ დადგინდება, არამედ იგი გარდაცვლილად შეიძლება გამოცხადდეს [4.141]. სასამართლო პრაქტიკიდან მოვიყვანთ შემთხვევას, რომელიც თვალნათლივ გვიჩვენებს გარდაცვლილად გამოცხადების პრეზუმფციის სწორ გაგებას. ნ. ლუხავამ განცხადებით მიმართა სასამართლოს მისი მეუღლის - მ. ლუხავას გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ შემდეგი საფუძვლით: მხარეები იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში და შეეძინათ ორი შვილი. 1993 წლიდან მ.ლუხავა მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად აფხაზეთში გამართულ ბრძოლებში, სადაც მიიღო სხეულის დაზიანებები და ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუუარესდა. 1999 წელს იგი მკურნალობდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ნ. ლუხავას განმარტებით, მან მეუღლე უკანასკნელად 2000 წლის 19 იანვარს მისი მეგობრის სახლში მძიმედ

ავადმყოფი ნახა, რის შემდეგ მ. ლუხავა აღარავის უნახავს. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ლუხავას განცხადება დაკმაყოფილდა, მ. ლუხავა გამოცხადდა გარდაცვლილად, მ. ლუხავას გარდაცვალების დღედ ჩაითვალა მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე, მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოს დაევალა შესაბამისი ჩანაწერის განხორციელება [8.15]. აღნიშნული აზრის გასამყარებლად შეგვიძლია მივმართოთ კიდევ ერთ მაგალითს სასამართლო პრაქტიკიდან. 2003 წლის 10 ივნისს ა. მუკუტაძემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მისი მამის – ჯ. მუკუტაძის გარდაცვლილად გამოცხადება. განმცხადებლის განმარტებით, 1940-45 წლებში ჯ. მუკუტაძე წაიყვანეს ხულოს რაიონის უშიშროების თანამშრომლებმა, გაასამართლეს და გადაიყვანეს რუსთავის ციხეში, რის შემდეგ იგი სახლში აღარ დაბრუნებულა. აღნიშნული ფაქტი ცნობილი იყო შუახევის რაიონის სოფ. ჯაბნიძეების ყველა ასაკოვანი წევრისათვის. შუახევის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით ა. მუკუტაძის განცხადება დაკმაყოფილდა: ჯ. მუკუტაძე გამოცხადდა გარდაცვლილად, ა. მუკუტაძის გარდაცვალების დღედ ჩაითვალა 1943 წელი [9].

ზოგიერთი კონტინენტური ევროპის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოური სახელმწიფოების კოდიფიკაციებში არ არის მოწესრიგებული დაკარგული პირის ასაკის გავლენა მის გარდაცვლილად გამოცხადებაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს დაკარგული პირის ასაკიდან გამომდინარე, გარდაცვლილად გამოცხადებისათვის გათვალისწინებული აუცილებელი ვადის შემცირების შესაძლებლობას. გერმანიის «დაკარგულად გამოცხადების შესახებ» კანონის მე-3 I 2 პარაგრაფის თანახმად, ვადის ხუთ წლამდე შემცირება ანუ განახევრება გათვალისწინებული იმ შემთხვევაში, თუ დაკარგული პირი გარდაცვლილად გამოცხადების მომენტისათვის ოთხმოც წელს იქნებოდა მიღწეული. ანალოგიურ შედეგს ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 193-ე II 1 მუხლი დაკარგულის 75 წლის ასაკის შესრულებას უკავშირებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჩვენ იმ ცივილისტების აზრს ვემხრობით, რომლებიც თვლიან, რომ კანონმდებელმა საქართველოში თავი შეიკავა ვადის განახევრებისაგან სწორედ უკვე შედარებით მცირე ხუთწლიანი ვადის არსებობის გამო [5.112]. გარდაცვლილად გამოცხადების ზოგადი ხუთწლიანი ვადიდან არსებობს გამონაკლისები. ერთია, როცა სავარაუდოა პირის დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო, ასეთი უბედური შემთხვევები შეიძლება იყოს წყალდიდობა, მეწყერი, გემის დაღუპვა, საჰაერო ხომალდის დაღუპვა და ა.შ. ამ დროს სავალდებულო არ არის ხუთწლიანი ვადის გასვლა. კანონი შესაძლებლად მიიჩნევს პირის გამოცხადებას გარდაცვლილად ექვსი თვის გასვლის შემდეგ ამ შემთხვევის დადგომიდან. მეორე გამონაკლისი დაკავშირებულია საომარი მოქმედებების დროს სამხედრო მოსამსახურის ან სხვა პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვასთან. ასეთ ვითარებაში დაკარგული პირები შეიძლება გამოცხადდნენ გარდაცვლილად საომარი მოქმედებების დამთავრებიდან ორი წლის გასვლის შემდეგ [3.162].

იურიდიულ ლიტერატურაში შეიძლება შევხედეთ გამოთქმას იმაზე, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად პირის აღიარება მოდის ასევე პრეზუმფციიდან, მაგრამ

ამჯერად სიცოცხლის პრეზუმფციიდან. სწორედ ამ პრეზუმფციის მიხედვით პირი შეიძლება აღიარებული იქნეს უგზო-უკლოდ დაკარგულად, თუ არსებობს მისი სიცოცხლის ვარაუდი; ეს იმითაც აიხსნება რომ უგზო-უკლოდ დაკარგულ პირს სამოქალაქო უფლებები უნარჩუნდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის მიხედვით დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო-უკლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო-უკლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები. ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, პირი რომელიც უგზო-უკლოდ დაკარგულად აღიარებული იქნა იმის გამო, რომ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილზე, ივარაუდება რომ იგი ცოცხალია. ფიზიკური პირის უგზო-უკვალოდ დაკარგვის ფაქტი პრეზუმფცირდება სიცოცხლის ვარაუდით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 320-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც მოქალაქე აღიარებულია უგზო-უკლოდ დაკარგულად, წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ უგზო-უკლოდ დაკარგულის ქონება მინდობილი საკუთრების სახით გადაეცეს სამართავად მის კანონით მემკვიდრეებს. სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც მოქალაქე გამოცხადებულია გარდაცვლილად, წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანომ შეიტანოს ჩანაწერი ამ მოქალაქის გარდაცვალების შესახებ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის წიგნში. ამავე კოდექსის 321-ე მუხლის მიხედვით უგზო-უკლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული მოქალაქის გამოჩენის ან მისი ადგილსამყოფლის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო ახალი გადაწყვეტილებით აუქმებს თავის წინანდელ გადაწყვეტილებას. ახალი გადაწყვეტილება წარმოადგენს მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის წიგნში გარდაცვალების შესახებ ჩანაწერის გაუქმების საფუძველს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 23-ე მუხლის მიხედვით, დაბრუნების დროის მიუხედავად, პირს უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს. ის პირი, რომელმაც გარდაცვლილად გამოცხადებულის ქონება სასყიდლით შეიძინა, ვალდებულია დაუბრუნოს მას ეს ქონება, თუ დამტკიცდება, რომ ქონების შეძენისას მან იცოდა, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი ცოცხალი იყო. თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება გადაეცა სახელმწიფოს და მან მოახდინა მისი რეალიზაცია, მაშინ გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ პირს უბრუნდება ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა.

რევაზ ფუტკარაძე, დოქტორანტი

ფიზიკური პირის გარდაცვლილად გამოცხადების პრეზუმფცია

ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა ადამიანის სიცოცხლისაგან განუყოფელია, თუმცა კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც უფლებაუნარიანობის დასრულება დამყარებულია არა ფიზიოლოგიურ ფაქტზე, გარდაცვალებაზე, არამედ მის ვარაუდზე. სამართალი ადამიანის დაკარგვას და გარდაცვალების ვარაუდს უკავშირებს გარკვეულ შედეგებს. გარდაცვალება არა მხოლოდ უფლებაუნარიანობის შეწყვეტას იწვევს, არამედ მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგის დადგომის საფუძველიცაა, კერძოდ, იხსნება მემკვიდრეობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს გარდაცვლილად გამოცხადების პრეზუმფციას – ვარაუდს, რომ პირი გარდაცვლილია. სასამართლოს გადაწყვეტილება პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ ემყარება არა უტყუარ ფაქტს, ამ პირის სიკვდილის შესახებ, არამედ ვარაუდს, რომ რაკი პირი აღარ გამოჩნდა დიდი ხნის მანძილზე, უფრო შესაძლებელია მისი სიკვდილი. გარდაცვლილად გამოცხადება გულისხმობს ვარაუდს, რომ პირი ცოცხალი აღარაა. სამოქალაქო-სამართლებრივი წესრიგისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, სასამართლო ვარაუდობს პირის გარდაცვალებას და აცხადებს მას სამართლებრივად და არა ფაქტობრივად გარდაცვლილად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს დაკარგული პირის ასაკიდან გამომდინარე, გარდაცვლილად გამოცხადებისათვის გათვალისწინებული აუცილებელი ვადის შემცირების შესაძლებლობას. იურიდიულ ლიტერატურაში შეიძლება შევხდეთ გამოთქმას იმაზე, რომ უგზო-უკლოდ დაკარგულად პირის აღიარება მოდის ასევე პრეზუმფციიდან, მაგრამ ამჯერად სიცოცხლის პრეზუმფციიდან. სწორედ ამ პრეზუმფციის მიხედვით პირი შეიძლება აღიარებული იქნეს უგზო-უკლოდ დაკარგულად, თუ არსებობს მისი სიცოცხლის ვარაუდი.

რევაზ ფუტკარაძე, დოქტორანტი

Презумпция объявления физического лица умершим

Правомочность физического лица неотъемлема от жизни человека. Однако закон предусматривает такие случаи, когда завершение правомочности опирается не на физиологический факт, смерть, а на ее предположение. Право связывает предположение пропажи и смерти человека с определенными последствиями. Смерть не только влечет за собой прекращение правомочности, но также является основанием наступления важных юридических последствий, в частности, открывается наследство. Гражданский кодекс Грузии утверждает презумпцию объявления лица умершим, т.е.

предположение, что лицо скончалось. Решение суда о признании лица умершим опирается не на достоверный факт смерти данного лица, а на предположение, что поскольку лицо не объявилось в течение длительного времени, его смерть весьма возможна. Объявление лица скончавшимся предполагает, что лицо не является живым. С целью обеспечения гражданского правопорядка и стабильности, суд предполагает, что лицо скончалось и объявляет его умершим не фактически, юридически. Гражданский кодекс Грузии не предполагает возможности сокращения срока, необходимого для объявления пропавшего лица умершим, исходя из возраста пропавшего. В юридической литературе можно встретить высказывания о том, что признание лица без вести пропавшим происходит также из презумпции, в данном случае, из презумпции жизни. Именно согласно этой презумпции лицо может быть признано пропавшим без вести, если имеется предположение его нахождения в живых.

Revaz Putkaradze, PHD student

Presumption of Recognition of Physical Person Deceased

Competence of physical person is inseparable from human's life. But law provides the cases, when competence is based not on the physiological fact of death, but its assumption. Jurisprudence relates assumption of person's missing or death to concrete results. Death involves not only termination of competency; it is a basis for origination of important legal results, namely opening of heritage. Civil Code of Georgia provides presumption of recognition of physical person deceased, i.e. supposition that a person is dead. Legal resolution of recognition of physical person deceased is based not on reliable fact of death of concrete person, but assumption that as this person has not appeared for the long period, his(her) death is rather possible. Recognition of a person deceased supposes that he(she) is not alive. For the purpose of civil order and stability court assumes that a person is dead and recognizes him(her) deceased not factually, but legally. Civil Code of Georgia does not provide shortening of the terms for recognition of missing person deceased, based on his(her) age. In law books one can find expressions that recognition of a person missing is based on another presumption, presumption of life in this case. Just according to this presumption a person may be recognized missing if there is an assumption that he(she) is alive.

ლიტერატურა

1. Kereselidze, AT dez ZGB,104; Snitzer, vergleichende Rechtslehre, 1945,317 ff. ვუთითებ დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2001;
2. Ойгензихт В.А. Презумпции в советском гражданском праве. М., 1976;
3. ლ. ჭანტურია. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997;
4. ა. კობახიძე. სამოქალაქო სამართალი ზოგადი ნაწილი, თბ., 2001;
5. დ. კერესელიძე. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2001;
6. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება №2-931, ბათუმის საქალაქო სასამართლოს არქივი.
7. www.supremecourt.ge საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეებზე. №10, 2006;
8. შუახევის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება №2-89, შუახევის რაიონული სასამართლოს არქივი.

არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება

ნ. კუზნეცოვიც იზიარებს მალეინას მოსაზრებას და განმარტავს, რომ მორალური ზიანი არ არის ზუსტი გამომხატველი იმ შინაარსის რასაც ეს ინსტიტუტი არეგულირებს და შესაბამისად ქონებრივი ზიანის საწინააღმდეგოდ გამოყენებულ უნდა იქნეს ტერმინი «არაქონებრივი», «არამატერიალური» ზიანი [6.11].

გ. გორშენკოვი თვლის, რომ ტერმინი «მორალური ზიანი» და «არაქონებრივი ზიანი» არ მოიცავს სრულად იმ დანაკარგებს, რასაც პიროვნება განიცდის სამართალდარღვევისას. მისი აზრით დანაკარგები გამოიხატება არა მხოლოდ ფიზიკურ, ფსიქიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში, არამედ იწვევს პირის სოციალური თვისებების დაკარგვას, იგი თავს გრძნობს დაჩაგრულად, კარგავს თვითრწმენას, სტაბილურობას და შესაძლებლობას სოციალური მოქმედების შედეგად მიიღოს სარგებელი. გორშენკოვი მიზანშეწონილად თვლის ასეთი სახის დანაკარგებს მისი შინაარსის შესაბამისად ეწოდოს «სუბიექტური დანაკარგები» და შესაბამისად ტერმინი «მორალური ზიანი» შეიცვალოს ტერმინით «სუბიექტური დანაკარგები». ის აღნიშნავს, რომ არაქონებრივ ზიანს ასევე თან სდევს მატერიალური ზიანიც, რადგან ამ დროს ხდება პირის შრომისუნარიანობის დაქვეითებაც და ის ვეღარ იღებს სარგებელს. გორშენკოვის განმარტებით «მორალური ზიანი ეს არის სამართალდარღვევის უარყოფითი შედეგები, რომელიც განიცადა პირმა ფიზიკური, ფსიქიკური ტანჯვის სახით, ზნეობრივი განცდებით, სოციალური დისკომფორტით, ასევე მიუღებელი შემოსავლებით, რაც არის არაქონებრივი უფლებების დარღვევის პირდაპირი ან ირიბი შედეგი» [7.88].

ა. ერელესკის მიაჩნია, რომ რადგან მორალური ზიანი გამოიხატება დაზარალებულის უარყოფით ფსიქიკურ რეაქციაში უმჯობესი იქნებოდა მორალური ზიანის ნაცვლად დამკვიდრებულიყო ტერმინი «ფსიქიკური ზიანი» [8.5].

იმისათვის, რომ უპირატესობა მივანიჭოთ რომელიმე მოსაზრებას აუცილებელია შევარჩიოთ ისეთი ტერმინოლოგია, რომელიც ზუსტად ასახავს ამ ინსტიტუტის შინაარსს და შედარებით სრულად მოიცავს მის არსს.

უცხოეთის კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკაში და მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებებს საერთო აქვთ ის გარემოება, რომ აღნიშნული ინსტიტუტი ითვალისწინებს პირისათვის მიყენებული «ტანჯვის» ანაზღაურებას ე.ი. თითქმის ყველა თანხმდება, რომ ტერმინი «ტანჯვა» შედარებით ზუსტად გამოხატავს ასეთი სახის ზიანს.

ტერმინი «ტანჯვა» განსაზღვრავს, რომ მორალური ზიანის მიმყენებლის მოქმედებამ აუცილებლად უნდა ჰპოვოს ასახვა დაზარალებულის შეგნებაში, კერძოდ, კი მის უარყოფითი ფსიქიკური რეაქციის გამოწვევაში. პირი ტანჯვას განიცდის ან უარყოფითი შეგრძნების შედეგად (ფიზიკური ტანჯვის სახით), რომელიც შემდეგ ასახვას პოვებს მის ფსიქიკაში ან უარყოფითი ემოციების (ფსიქიკური ტანჯვის სახით) განცდის დროს, რომელიც ასევე პირდაპირ აისახება ადამიანის ფსიქიკაზე. ფიზიკური ტანჯვის ქვეშ შეიძლება ვიგულისხმოთ ტკივილი, გულისწყასვლა, გულისრევა და სხვა სიმპტომები, ხოლო ფსიქიკური ტანჯვის დროს

ადამიანი განიცდის ემოციურ მღელვარებას, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ძლიერი შიშში, სირცხვილში, მწუხარებაში და სხვა უარყოფით შეგრძნებებში.

ფსიქოლოგიაში ტერმინი «მორალური ზიანი» გაიგება, როგორც ფსიქოლოგიური ტრავმა ე.ი. ნეგატიური ემოციური განცდები, ფსიქიკური დარღვევები ადამიანის შინაგან ორგანოებში [7.94].

აღსანიშნავია, რომ ცნება «ფიზიკური ტანჯვა» და «ფიზიკური ზიანი» არ არის იდენტური შინაარსის, რადგან ფიზიკური ტანჯვა ეს არის მორალური ზიანის ერთი ფორმა, ხოლო ფიზიკური ზიანი (რომელსაც ერდელევსკის აზრით უპრიანი იქნება ეწოდოს «სხეულის დაზიანება») ეს არის ნებისმიერი უარყოფითი ნეგატიური ცვლილება ადამიანის სხეულში [8.3].

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია საწინააღმდეგო მოსაზრებაც, კერძოდ ე. მიხნო თვლის, რომ «ფიზიკური ტანჯვა» არ წარმოადგენს მორალური ზიანის ერთ ფორმას. მისი აზრით ფიზიკური ტანჯვა იურიდიულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ის იწვევს ფსიქიკურ ზიანს¹. აღნიშნული მოსაზრება ვფიქრობთ არასწორია, რადგან ფიზიკური ტანჯვა (ტკივილი, გულისრევა, გულისწასვლა) თავისთავად წარმოადგენს არაქონებრივ ზიანს. ე. მიხნოს წესის შესაბამისად გამოდის, რომ სულიერად ავადმყოფი, რომელმაც შეიძლება განიცადოს ტკივილი, მაგრამ არ გააცნობიეროს მომხდარი ფაქტი კარგავს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, რაც თავისთავად არასწორი იქნებოდა. შესაბამისად მნიშვნელოვანია ფიზიკური ტანჯვის და არა მხოლოდ ამ ტანჯვის შედეგად დამდგარი შედეგი.

ფიზიკური ზიანი წარმოადგენს მატერიალურ და ამასთანავე არამატერიალურ ზიანს. გარეგანი ზემოქმედების შედეგად ნეგატიური ცვლილებები ხორციელდება ადამიანის ორგანიზმში, დაზარალებულის მატერიალურ სფეროში. აღნიშნულმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს ფსიქიკური კეთილდღეობის დარღვევა ან/და პირის მატერიალური სფეროს გაუარესება.

მაგალითად, როდესაც პირი დასახიჩრდება ავტოავარიის შედეგად, თავად დასახიჩრება წარმოადგენს «სხეულის დაზიანებას», აღნიშნული დაზიანება იწვევს ფიზიკურ ტანჯვას დასახიჩრების მომენტში, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს მკურნალობის პერიოდშიც. შესაბამისად პირის მიერ თავისი არასრულფასოვნების გათვითცნობიერება, რომ ვერ ეწევა ჩვეულ ცხოვრებას, დაკარგა სამუშაო და სხვა უარყოფითი გარემოებების გამო ის განიცდის ფსიქიკურ ტანჯვას. ზემოაღნიშნული განცდები, როგორც ფიზიკური ასევე ფსიქიკური ტანჯვა წარმოადგენს მორალურ ზიანს და პირს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის შესაბამისად შეუძლია მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება.

როდესაც ინვალიდს აუნაზღაურდა მანქანის და ინვალიდის ეტლის ყიდვის ხარჯები, იმისთვის, რომ დამოუკიდებლად გადაადგილდეს, ეს წარმოადგენს მატერიალური ზიანის ანაზღაურებას. მორალურ ზიანს ასეთ შემთხვევაში წარმოადგენს დასახიჩრებისას დამდგარი გამოუსწორებელი შედეგის შესახებ უარყოფითი განცდები.

შეიძლება ითქვას, რომ «ფსიქიკური ზიანი» და «მორალური ზიანი» არ არის იდენტური ცნებები, რადგან ფსიქიკა ხასიათდება, როგორც ადამიანის ინდივიდუალური სამყარო (იგი ბერძნული სიტყვაა და აღნიშნავს ადამიანის განცდათა ერთობლიობას, როგორც შედეგი ცნობიერებაში ობიექტური სინამდვილის

ასახვისა, მაშინ როდესაც მორალი ეს არის საზოგადოებრივი ეთიკა (მორალი ლათინური სიტყვაა და იგივეა რაც ზნეობა) [10.449]

მართალია, ტერმინი «ფსიქიკური ზიანი» მთლიანად მოიცავს ტერმინს ფსიქიკური ტანჯვა, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით «ფიზიკურ ტანჯვაზე». ფიზიკური ტანჯვა, როგორც აღვნიშნეთ, გამოიხატება ტკივილში, ხუთვაში, თავბრუსხვევაში, გულისრევაში, ქავილში, წვაში და სხვა სიმპტომებში. რა თქმა უნდა, ეს შეგრძნებები ასახვას პოვენს ადამიანის ცნობიერებაშიც და იწვევს სხვადასხვა განცდებს: შიშს, შფოთვას, წუხილს და სხვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითქმის ყოველთვის ფიზიკური ტანჯვის დროს ადამიანი განიცდის ფსიქიკურ ტანჯვასაც, თუმცა აღნიშნული სიმპტომები შემდეგ აისახება ადამიანის ცნობიერებაში, პირველად კი გააჩნიათ სხვაგვარი ბუნება. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ «ფსიქიკური ზიანი» არ მოიცავს «ფიზიკურ ტანჯვასაც» და შესაბამისად «მორალური ზიანის» ნაცვლად ტერმინის «ფსიქიკური ზიანის» ხმარება არ იქნება გამართლებული, რადგან ის სრულად არ მოიცავს აღნიშნული ინსტიტუტის შინაარსს. ვფიქრობთ, უფრო ზუსტად აღნიშნული ინსტიტუტის შინაარსს გამოხატავს ტერმინი «არაქონებრივი ზიანი», რადგან ასეთი ზიანის მთავარი მახასიათებელი არის მისი არაქონებრივი ხასიათი.

ტერმინი «მორალური ზიანი» ნაწარმოებია სიტყვიდან «მორალი», რომელიც არის ზნეობრიობის სინონიმი და ნიშნავს ქცევის ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობას, რომელიც განაპირობებს ადამიანის მოვალეობებს, ნორმები იდეურ საფუძველს ღებულობენ სიკეთისა და ბოროტების იდეალების, საჭიროების, სამართლიანობის და სხვა სახით [11.526].

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა და უცხო სიტყვათა ლექსიკონში ტერმინი «მორალური» განმარტებულია როგორც ზნეობრივი. ხოლო «ზნეობრივი»-ს მთავარი მნიშვნელობა არის ზნეობასთან დაკავშირებული. ტერმინი ზნეობა კი განიმარტება, როგორც იმ წესების ნორმების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებასა და ყოფაქცევას საზოგადოებაში. მართალია, ზნეობრივი ასევე განმარტებულია როგორც შინაგანი, თუმცა ამ შინაარსით როგორც წესი, აღნიშნული ტერმინი არ გამოიყენება.

მართალია ტერმინი «მორალური ზიანი» ზუსტად და სრულად არ ასახავს აღნიშნული ინსტიტუტის შინაარსს, მაგრამ ეს ტერმინი დიდი ხნის დამკვიდრებულია საზოგადოებაში და არცთუ ისე შორს დგას ამ ინსტიტუტის შინაარსისაგან, თუმცა უნდა აღვნიშნოს ის გარემოება, რომ კანონში ერთი და იმავე ინსტიტუტის ორი სხვადასხვა ტერმინით გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, იმ განმარტებებზე უფრო სწორი, რომ არაქონებრივი ზიანი ეს არის «ზნეობრივი და ფიზიკური ტანჯვა» ან «სულიერი და ფიზიკური ტანჯვა» არის განმარტება, რომ არაქონებრივი ზიანი ეს არის პირის მიერ განცდილი ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა.

აუცილებელია მოხდეს არაქონებრივი ზიანის განმარტება და განიმარტოს როგორც «ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა, რომელიც განიცადა პირმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად». აღნიშნული განმარტება არ გულისხმობს, რომ ნებისმიერი ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა, რომელიც პირმა განიცადა მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად უნდა ანაზღაურდეს.

ანაზღაურების შემთხვევები და პირობები დარეგულირებული უნდა იქნეს კანონმდებლობის შესაბამისად.

აუცილებლად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული განმარტება განხორციელდეს საკანონმდებლო დონეზე, რადგან უმჯობესია კანონის წაკითხვის დროს შეექმნას პირს წარმოდგენა თუ რას ნიშნავს, რა შინაარსს ატარებს და რა ურთიერთობებს არეგულირებს ეს ინსტიტუტი და არ დასჭირდეს სხვადასხვა სასამართლო გადაწყვეტილებების და სამეცნიერო შრომების წაკითხვა.

ლევან დოღონაძე, დოქტორანტი

არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნება

სტატიაში განხილულია არაქონებრივი (მორალური) ზიანის ცნებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები. გაანალიზებულია მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრებები და სასამართლო პრაქტიკა აღნიშნული ინსტიტუტის მცნებასთან დაკავშირებით. მოცემულია არაქონებრივი ზიანის შინაარსის განმარტება.

ლევან დოღონაძე, დოქტორანტი

Понятие о нематериальном (моральном) ущербе

В статье рассмотрены понятия о проблемных вопросах, связанных с нематериальным (моральным) ущербом. Проанализированы научно обдуманые соображения и судебная практика, связанные с понятиями указанного института. Даны пояснения о сути нематериального (морального) ущерба.

Levan Dogonadze, PHD student

The definition of moral (nonmaterial) damage

The article discusses the acute issues related to the concept of non-material (moral) damage. It analyzes the different scientific approaches to this issue and current judicial practice on the definition of the above mentioned concept. The author suggests the definition of nonmaterial (moral) damage.

ლიტერატურა

- 1.С.В. Нарижный, компенсация морального вреда в уголовном судопроизводстве 2001;
- 2.Н.И. Бусленко, Юридический словарь-справочнику М., 2000;
3. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის თბ., 2003;
4. Нагиев В.В. Основы судебно-психологической экспертизы М., 2000;
5. Малеина М.Н. Нематериальные блага и перспективы их развития. Закон М., 1995;
- 6.Кузнецова Н.В. Проблемы компенсации морального вреда уголовном процессе. Ижевск; 1999;
- 7.Горшенков Г.Г. Моральный вред и его компенсация по российскому законодательству. Новгород, 1990;
- 8.Ерделевский А. М. Компенсация морального вреда в России и зарубежом - М., 2007;
9. Холопова Е.Н. Правовые основы судебно-психологической экспертизы по факту морального вреда в уголовном судопроизводстве, Калининград 2003;
- 10.Михно Е.А. Проблемы возмещения морального вреда, Харьков, 2005;
11. არნ ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986;
12. გ. აბსნაძე, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 2007.